

# სახი მოწვევა

თებერვალი 2009 №46  
ფუნ 7 ლარი



## ისტორიები

## მიხეილ სააკაშვილი

უადეალ სტივენონი

## პარტიულ რიცორე

ნონ ჯაფიაშვილი

## ალექსი მაზავარიანი

დავით ბუხრიკიძე

## ანალიზი

ახალი წესები ასალი მსოფლიოსთვის  
ფარაო ზარარის

რატომ წამოიცყო ისრაელია ღაზაში რომ  
ძრის გაერჩიო

## რეალიტიაზი

საკუთარ ნაზუზში  
სალომ კიკალებიშვილი

## ინტერვიუები

### ირაკლი ალასანია

მოსეა გავარდაშვილი

ა6 ზევალი

პლიტი ისტველი

ლილიან როსი

## კომინისტები

ბაბრძელება იპირება?

ნონ რობაჭიძე

აურზაური სალხინეთში

ია ათაძე

პრივატული საუბრები

სალხინ ნავარიანი

ომი ლა მშვიდობა

ნონ ავიშვილი

მშობლის ჩანაწერი

ეფერ კერატი, ზორა გავალი

ომის რაციონალიზაცია

იაბო კაჭავაშვილი

## ოიტერატურა

ზარ გარი მუსიკაზ ლა ელიაზიო

პორ გასველ უაზზე

ზორა ბასენერი

ლია სტერა

პარუე მარაკაში

ISSN 1512-2220





geoCELL  
**Connect**



# ესტონიური მობილური ნეტური ავტომატიზაცია!

კალაპგარით, გიზის შეხვედრის დროს ან თუდოა მგზავრობისას,  
მასართით მოდემი ერთგული და ინტერნეტი ჩართულია!  
ნებისმიერის სიჩქარეა 3.6 მეგაბიტი/წამი;

ასრული და ხელმისაწვდომი სატარიფო გენერა:

ნებისმიერ ტაფილი 1 გიგაბაიტამდე – 35 ლარი/თვეში

ნებისმიერ ტაფილი 5 გიგაბაიტამდე – 69 ლარი/თვეში

ვიპინგით მოდემის აკოსტიკის აზრით მასახურების რიცხვები.



USB მოდემი/Data Card

HSDPA – 7.2 mbps

HSUPA – 2.0 mbps



EXPRESS/PCMCIA მოდემი/Data Card

HSDPA – 7.2 mbps

HSUPA – 2.0 mbps

## Wherever you go, take internet with you!....

Geocell Connect allows you to surf the internet with Highest Speed - 3.6 mb/sec, just Connect the data card to your Laptop and you are online!

Easy and affordable tariff plan

Internet traffic up to 1Gb – 35 GEL per month

Internet traffic up to 5Gb – 69 GEL per month

HSDPA - HSUPA - UMTS - EDGE - GPRS

[www.geocell.ge](http://www.geocell.ge)




# [tride]

ତ୍ରିଲିଙ୍ଗ ପାଇସିଆରିଆ







- 10** რედაქტორის ცერილი
- 12** ჩვენი ავტორები
- 16** შაომული ცერილები
- 18** კულტ-გიმოსილვა
- 20** მავლარი დროის მასათვები ავტორი: დავით ბუხრიკიძე
- 24** აქცენტები  
-7 გრადუსი უკვე კარგია! ავტორი: თამარ ჯიშუარიანი
- 28** კომენტარები  
გაგრძელება იქნება?! ავტორი: ნინო რობაქიძე
- 29** აურჩაური საჭირებები ავტორი: ია ანთაძე
- 30** პრივატული საუბრები ავტორი: სანდრო ნავერიანი
- 31** როდ და მშვიდობა ავტორი: ნინო ბექიშვილი
- 34** მშობლის ჩანაცემი შირა გევენისა და ეტგარ კერეტის ავტორობით
- 35** რომ რაციონალიზაცია ავტორი: იაგო კაჭკაჭიშვილი
- 38** გამოვაცებაში დაკარგულები ავტორი: სალომე კიკალეიშვილი
- 40** დისკუსია  
ქალაუზლების ღისაურსი საქართველოს მართლებადიდებალ ეკლესიაში ავტორი: ნინო ბექიშვილი
- 44** ანალიზი  
ახალი ცესაგი ახალი მსოფლიოსთვის ავტორი: ფარედ ზაქარია,
- 48** რატომ ცამითყო ისრაელი დაზაგი რომი  
ავტორი: ქრის მაკრილი, ინგლისურიდან თარგმნა დავით გაბუნიაშ
- 54** რეპორტაჟი  
საკუთარ ცაჟაჟში ავტორი: სალომე კიკალეიშვილი
- 60** ისტორია  
მიხეილ სააკაპილი - მარგი საქართველოზე  
ავტორი: უენდელ სტივენსონი
- 68** ინტერვიუ ირაკლი ალასანიასთან  
საქართველოში უცდა დამთავრდეს მასივის მოლოდინი  
ავტორი: შორენა შავერდაშვილი
- 74** ინტერვიუ ქლინთ ისთვედთან  
თარგმნა თამარ ბაბუაძემ
- 80** ისტორია  
ტულპა ავტორი: ნინო ჯაფიაშვილი
- 86** ინტერვიუ  
ჯაშუშის ცხოვრება  
ესაუბრა ან შევალიე, თარგმნა ლიკა ბერძენიშვილმა
- 92** ისტორია  
მიახლოება ავტორი: დავით ბუხრიკიძე
- 96** ესეი  
ჩაკატილი საზოგადოება და მისი დარაჯები  
ავტორი: გიორგი მაისურაძე
- 100** პარიზული ჩანაწერები  
„ვებგვერდი სავსეს, ვიგრევებ ცარსულს“...  
ავტორი: ლანა ლოლობერიძე

აიცილეთ კურსის ცვალებატობის რისკი!



გახსენით  
აონლაინ კომუნიკაციის ანაბაზი  
ბანკ “რესპუბლიკა”!

6 ლიარი სარგებელი

14%-მდე

თუ თქვენი ანაბაზის ვალუტის კურსი ეცემა, კონვერტირებაზე ანაბაზი გაძლევთ საშუალებას, გადაიტანოთ თქვენი ფანაზოგი სხვა ვალუტაში და თანაც შეინარჩუნოთ ანაბაზზე დაგროვილი სარგებელი.

 ბანკის რესპუბლიკა  
BANK REPUBLIC

მ 221 92 55 55  
[www.republic.ge](http://www.republic.ge)

ჯანები სოსიებულები

# სახი მოწოდება

მთავარი რედაქტორი  
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორები  
ნინო ლომაძე, ნინო ჯაფიაშვილი

არტ-რედაქტორი  
გიორგი ნადირაძე

რედაქტორ-სტილისტი  
ნინო სვანიძე

კორექტორი  
ნინო საითიძე

## ცომის გულაოგზე

თამარ ბაბუაძე, გიორგი მაისურაძე, დათო ტურაშვილი, კახა თოლორდავა, ნინო ჯაფიაშვილი, ნინო ბექიშვილი, ნინო რობაქიძე, შორენა შავერდაშვილი, ლანა ლოლობერიძე, ნინო ლომაძე, სალომე კიკალეიშვილი, დავით ბუხრიკიძე, დათო გაბუნია, ანა კორძაია-სამადაშვილი, სანდრო ნავერიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ია ანთაძე, თამარ ჯიშუარიანი, ლიკა ბერძენიშვილი

## ფოტო

დავით მესხი, ლევან ხერხეულიძე, თომას დვორუაკი

ილუსტრაცია  
მაია სუმბაძე

## დიზაინი

თორნიკე ლორთქიფანიძე, კახა დოლიძე

საზოგადოებრივი ურთიერთობა  
ლელა შუბითიძე

სარეკლამო და გაყიდვების სამსახურის უფროსი  
ნესტან ავალიანი

## რეკლამის განთავსება

შპს „მსა თბილისი“, ფალიაშვილის ქ. 108  
ტელ./ფაქსი: 91 23 26  
ელ-ფოსტა: advertise@shokoladi.ge

## დისტრიბუტორი

ზვიად შენგელია

## გამოცემები

„ცხელი შოკოლადი“, „კინო-ცხელი შოკოლადი“, „ბიზნესი-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“, „დაალოგი“, „თიბისი და თიბისელები“.  
შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108,  
ტელ./ფაქსი: 91 23 26  
ელ-ფოსტა: mppublishing@caucasus.net

## სტამპა

შპს „სეზანი“, თბილისი, წერეთლის გამზ. 140  
ტელ.: 35 70 02  
ელ-ფოსტა: lika@cezanne-web.com

შურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან  
© 'M Publishing' საავტორო უფლებები დაცულია.  
შურნალში გამოქვეყნებული მსალების ნაწილობრივი  
ან მთლიანი გამოყენება აკრძალულია.

[www.shokoladi.com](http://www.shokoladi.com)



# გაამართე ლანდობი ოქროთი



## ოქროს ანაბარი

- ▲ გარიზონიული საპრიცენტო სარიგებელია - 9%
- ▲ სტანდარტულ საპრიცენტო განაკვეთზე შეტანილის შიღაუბის შესაძლებლობა - მაქს. 16%

რ 27 27 27 | გ 27 27 | [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge)

თიბისი ბანკი  
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

## რედაქტორის ნირილი



12 იანვარს გადავწყიტე, რომ არ შეიძლებოდა ამერიკას შეერთებული შტატების 44-ე პრეზიდენტის, ბარაკ ობამას ინაუგურაციის უპრეცენდენტო ცერემონიალს ჩემს გარეშე ჩაევლო. 13 იანვარს თვითმფრინავის ბილეთი აფილე და 14-ში უკვე ნიუ-იორკში ვიყავი. მაგრამ მას შემდეგ რაც დავრჩმუნდი, რომ ეს ცერემონიალი მასობრივ ჰიპნოზის დაქმსგასეხოდა და ისიც ამერიკის დიდი „სამოქმედო ზეიმი“ გახდებოდა, ინაუგურაციას ბიოკოტი გამოუცხადე და სახლიდან, სადაც CNN-იც კი არ ჰქონდათ, ფეხი არ მომიცვლია. არათუ ვაშინგტონში, თამას სკვერზეც კი არ გავსულვარ, ან იქვე ჰარლემში, სადაც უამრავი საზეიმო ღონისძიება იყო დაგეგმილი. არადა, როგორ გულწრფელად მინდოდა პატივი მიმეგო ჩემივე იმედებისა და ოპტიმიზმისათვის, რომ ცვლილებები შესაძლებელია, რომ ქვეყანა ყოველთვის შეიძლება საკუთარ თავში განახლების იმპულსს პოულობდეს, რომ ერთმა ადამიანმა შეიძლება მილიონობით ადამიანი დაარჩმუნოს, რომ ის პროგრესირებად სამყაროში ცხოვრობს, სადაც თანასწორუფლებიანობის იდეა ჯერ კიდევ მიღწევადია, ამერიკული ოცნება ჯერ კიდევ ცოცხლობს და ის უოლ სტრიტის ნანგრევებში არ მოყოლილა. ნეტავ, ნინა დღეს მანიც არ მენახა ღაზაში დახოცილი პალესტინელი ბავშვების კადრები, სადაც სამი კვირის გამავლობაში ვერ შეაჩერეს ისრაელის დაპომბვები ვერც ამერიკელმა მოდერატორებმა და ვერც უკვე ანაქრონისტულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა. არა, ზედმეტად ბევრი პარალელი ამომიტივდიდა თავში! რა ზეიმი, რის ზეიმი, როცა სამყაროში ჯერ კიდევ არ შეცვლილა ძალაუფლების დისკურსი და ორმაგი მორალი, ჯერ ისევ დიდის და ძლიერის სამართალი იმარჯვებს და მასების იდეალიზმითა და პატრიოტიზმით სწორედ ამ ძალაუფლების ლეგიტიმაცია ხდება. უღრუბლო ცაზე მოფრიალე დროშების და სიმღერების ფონზე თვალზეცრემლმომდგარი ამერიკელების შემხედვარეს, ჩვენი ხუთი წლის წინანდელი მასობრივი ეზალტაცია და უამრავი ხელიდნ გაშვებული შანსი გამახსენდა. მეც რომ ამემღვრა თვალები, ჯომ მკითხა, – „მისა გახსენდება, ხო?“ მისა „აღსაყდრება“, გორის დევნილთა ბანაკები და ებრაელი მწერლის, ეტგარ კერეტის წერილი: „ჩვენ გვყავს შვილი, 3 წლის ბიჭი, რომელიც დილას შემოძრება ხოლმე ჩვენს საწოლში და, – ცხელი კაკა დამალევინეთო, – ითხოვს. და როცა მასთან ერთად ვწევართ ლოგინში და ვხვდებით, თუ როგორი ცივი და ცარიელი იქნებოდა ჩვენი საბანი მის გარეშე, ზუსტად ვგრძნობთ, რომ არც ერთი იდეა და მიზანი არ ამართლებს შვილის მშობლის კალთიდან მოგლევას. როდესაც გამომილებთ სუფთა ფურცელს და დაინტებთ თქვენს ხელთ არსებული პოლიტიკური და სამხედრო გეგმების ჩამონერას, უარი თქვით გეგმაზე, რომელიც საბავშვო ბალების განადგურების საფრთხეს შეიცავს. მეტს არაფერს ვითხოვთ“. ეტგარმავე მომწერა, – „მძიმე წელი იყო ჩვენი ქვეყნებისთვის, იქნებ 2009-ში მანიც იყოს მშვიდობა.“

ვნახოთ. ინაუგურაციის შემდეგ პირველივე დღეს, ბარაკ ობამამ გასცა განკარგულება გუანტანამოს ციხის ერთი წლის ვადაში დახურების თაობაზე და ახლო აღმოსავლეთში, პირად წარმომადგენლად ჯორჯ მიტჩელი დაასახელა, რითაც ჩემი სკეპტიკოსი მეგობრებისგანაც კი ორი დიდი პლუსი დამსახურა. ჩვენს რეგიონს ვინ ჩაიბარებს, ჯერ-ჯერობით უცნობია. თუმცა, რაც უკვე ვიცით ისაა, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ერთი ახალი ფიგურა, ირაკლი ალასანია შეემატება, რომელთანაც ინტერვიუ ნიუ-იორკში ჩავნერე. შთაბეჭდილებების თავმოყრა ჯერ მიჭირს, ამიტომ ამ მასალას საკუთარი ინტერვიუტაციების გარეშე გთავაზობთ. ერთი, რაც ახლავე შემიძლია გითხრათ ისაა, რომ ალასანიას პოლიტიკური კარიერა ახლა იწყება და ჩვენ თუ ფხიზლად არ ვიყავით, ცოტა ხანში ისევ საკუთარ თავზე გაგვეცინება.

მაშინ, როცა მე ინაუგურაციის ცერემონიალს ვუცხადებდი ბიოკოტს, თბილისში საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ სამოქალაქო აქცია მოეწყო ლოზუნგებით „დაიცავით სარედაქციო დამოუკიდებლობა“, „უარი საპატრიარქოს“ და „უურნალისტებმა ილოცონ სახლში!“ (იხილეთ კომენტარები ამავე ნომერში). ეს მას შემდეგ, რაც „პირველი არხის“ ეთერში გაიმართა დისკურსია თემაზე, რას ვერჩით საზოგადოებრივ მაუწყებელს. „პრივატული საუბრებით“, აბა, ვის რას უნდა ვერჩიდეთ, მაგრამ რა ვიცი, მაინც მედია გვგონია უურნალი და ვფიქრობთ, რომ სარედაქციო დამოუკიდებლობის გარეშე მუშაობას აზრი არა აქვს, საპატრიარქოს დიქტატი კი პოლიტიკურ დიქტატზე უარესია. უურნალისტებმაც და პოლიტიკოსებმაც, თუ შეიძლება, ილოცეთ სახლში. ქუჩაში მხოლოდ პირჯვრის გადაწერა და „ზასაობა“ შეიძლება. ისიც გვეყოფა, ბარაკ ობამა და ჯორჯ ბუში 20 იანვარს თაგაქინდრულები რომ იდგნენ და 15 წუთში ერთხელ 100,000-მდე აკრედიტირებული უურნალისტის წინაშე ლოცულობდნენ.

შორენა შავერდაშვილი



## ყოველთვის ექსკლუზიური

70 ნოტი აზადდება გარმანიაზი

აცლო-ეფი განვითარებული ქავის ბრენდი  
ოფიციალური მისამართის საკამათო საბაზო ჯგუფი

აღმასრულებელი: წლის ქ. №2 (ვაკესთავის ქადაგის ტერიტორია), ტელ: 47 56 12

**Pioneer**

**DENON**

**marantz**

**Magnat**

 **AUDIOVOX  
CORPORATION**

**CANTON**

 **OEHLBACH**

 **Metz**

**HECO**



## ნიმო ბექიშვილი

ორი დღეა, სხვაზე ვერაფერზე ვფიქრობ – ვერც იმ რეალურ საფრთხეზე, რომელიც მედიას არა მხოლოდ კლერიკალებისგან დაემუქრა; ვერც იმაზე, რომ სადღაც ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით შეიძლება ოცნებები ყველას აუზდეს.

ორი დღი წინ, 19 იანვარს მოსკოვში დღის 4 საათზე პრესკონფერენციიდან გამოსულ 34 წლის ადვოკატს სტანისლავ მარკელოვს ნიღბიანმა ქილერმა მიბჯენით ესროლა. ადვოკატი ამ დროს უურნალისტ ანასტასია ბაბუნოვას ესაუბრებოდა. უურნალისტი მკლელს გაეყიდა. ანასტასია ბაბუნოვას გადარჩენა ექიმებმა ვერ შეძლეს.

„ეს სამსახური კი არა, გადარჩენისთვის ბრძოლაა, ჩვენ გვჭირდება დაცვა ნაცისტებისგან, მაფიოზი ხელისუფლებისგან, ძალოვანი სტრუქტურებისგან, რომელებიც ნაცისტებს თანაუგრძნებენ. უკვე კარგად გვესმის, რომ ვერავინ დაგვიცავს – ვერც ღმერთი, ვერც მეფე, ვერც კანონი. ვერავინ. თავად უნდა დავიცვათ საკუთარი

თავი.“ ეს სიტყვები სტანისლავ მარკელოვმა სიკედილამდე რამდენიმე თვით ადრე მოსკოვში გამართულ ანტიფაშისტურ მიტინგზე წარმოთქვა, სადაც სულ რამდენიმე ათეული კაცი იყო შეკრებილი.

სტანისლავ მარკელოვი, როგორც უფლებათადამცველები წერენ, ერთადერთი იყო რუს ადვოკატთა შორის, ვისაც ადამიანის უფლებათა დამცველ უნიფრებდნენ. რუსი სამხედროების მიერ ჩადენილ სასტიკ დანამაულებზე მუშაობდა და დაზარალებულ ჩეჩენებს იცავდა. იცავდა „მემარცხენებს“ რუსეთის სხვადასხვა რეგიონში, იცავდა ბელარუს პოზიციონერებს, იცავდა ანტიფაშისტური მოძრაობების აქტივისტებს. მარკელოვს სიკვდილით სკინპედებიც ემუქრებოდნენ და სამხედროებიც. რუსეთში სამხედროებსაც და ნაცისტებსაც პუტინის რეჟიმი მფარველობს და საეჭვოა, მკვლელობის დამკვეთები ვინმებმ დასაჯოს. იქ ასე ხდება – შემსრულებლებს იქტერენ ხოლმე.

25 წლის ნასტა ბაბუნოვას „ნოვაია გაზეტაში“ მუშაობა ახალი დაწყებული პერიოდი. ეკომოძრაობის და ანტიფაშისტური ორგანიზაციების აქტივისტი იყო. გაზეთში, ძირითადად, სკანპედებზე წერდა.

20 იანვარს საპროტესტო აქციები მოსკოვშიც გაიმართა და სანკტ-პეტერბურგშიც. პეტერბურგში სულ 50-60 კაცი იდგა, მაგრამ მიტინგი მაინც დაარბიეს. ყველაზე მეტად რაც გმილივირდა, ის იყო, რომ გრიზნოში მარკელოვს მკვლელობის გასაპროტესტობლად დაახლოებით ათასი კაცი შეიკრიბა. ადგომატი გრიზნოში პირველად 2004 წელს ანა პოლიტკოვსკაიასთან ერთად ჩავიდა; მაშინ მათ მოახერხეს, დამნაშავე რუსი ოფიცერი ლაპინი დაეპატიმრებინათ. 2006 წლამდე პოლიტკოვსკაია და მარკელოვი ერთად მუშაობდნენ.

პუტინის რეჟიმმ უკვე 15 უურნალისტის სიცოცხლე შეენირა.

თავისუფალ და გაბედულ ადამიანებს რუსეთში ვერავინ იცავს – „ვერც კანონი, ვერც მეფე, ვერც ღმერთი“...

## სალომე კიკალაშვილი

მთელი ბავშვობა სიონში მაქს გატარებული. როგორც კი ქალაქში ჩამოცხებოდა, მთელი ოჯახი კაკაოსუერ 07-ში ვეჭეჭებოდით და სიონისკენ მიმვალ, ორმოებინ გზას დაგვადგებოდთ ხოლმე. იქ ჩასვლა ყველაზე მეტად მიყვარდა. ჩვენი სახლი ცენტრისგან მოშორებით, ტყეში იდგა. ისე, მარტო ცენტრისგან კი არა, მგონი – მთელი ცივილიზაციისგან. ძველი შავ-თეთრი ტელევიზორი მარტო იმ შემთხვევაში უჩვენებდა, თუ ხელს გვერდზე მაგრად მიარტყამდი. პოდა, წამდაუწეულ რტყმის თავი რომ არავის პერიოდა, ამიტომ მე და ლევანი, რომელიც ქვემოთ სახლში ცხოვრიბდა, დილიდანცე ათას „საქმეს“ ვიგონებდით:

„ვითომ ტყეში დაგიკარგეთ“, „ეხლა ზღვში ვიზრიბი და შენ გადა-მარჩენ“ (სიონის წყალსაცავს, მგონი, დღლებდე ზღვას ეძახიან), შტაპში

მოპარულ კარტოფილებს ვწვავდით... მოკლედ, სიონში „საქმე“ ყოველთვის ბევრი იყო. როცა წამოვიზარდეთ და უკვე ის ასაკი დაგვიდგა, მოპარული კარტოფილების მაგივრად, სიგარეტის ბოლში რომ ვიზრიბოდით, ახალი „საქმე“ გამოიქმენეთ – კინოში სარული. ერთ-ერთ ბინაში მოპარული იაპონური ტელევიზორი იდგა და ვიდეოთი 10 წლის წინანდელ ფილმებს უჩვენებდნენ. იაფი ღირდა შესვლა და ამიტომ, ყოველ საღამოს იქ ვიყავით. ვუყურებდით ვეკი ჩანს, ჟუნფუისტ ბავშვებს, „უუასებს“ და თან სიგარეტს ვაბოლობდით. მართალია, კასეტა ზოგჯერ

ჭედვადა ან ხმა იკარგაბოდა, მაგრამ ეს არ გვადარდებდა – ჩვენ ხომ კინოში ვიყვათ! კინოზე და ქართულ გახმოვანებაზე წერისას სულ ის იაპონური ტელევიზორი და კუსტარული კინოთახი მახსენდებოდა. არა, სიონური კინოჩენების ეფექტები აქ ნამდვილად არ არის, მაგრამ... აქაც ყველაფერს მოყვარულები აკეთებენ და, სიონის არ იყოს, იცან, რომ შეცდომებზე პასუხს არავინ მოსთხოვს. აბა, ვინ ამოიღებდა იქ ხმას, მთელ სოფელში ხომ ერთადერთი კინოთახი იყო, მისი მფლობელები.




თავისი სიცამაზისთვის



სიახლე ჯიპისის აფთიაქებები!

სახის კანისა და თმის  
უფასო დიაგნოსტიკა



ჭავჭავაძის გამზირი 50  
გამსახურდიას გამზირი 2  
ლეონიძის ქუჩა 8



გიორგი მასერაძე

ის, რაც „საქართველოს დიდი ათეულის“ ტელეგანხილვაზე ვნახეთ, ნაკლებად ეხება გა-დაცემის ხარისხს. ჩემი აზრით, ეს ტელე-შოუ ერთგვარი სოციოლოგიური გამოყითხვა იყო, რომელიც საზოგადოებრივ ცონიქებრებაში, განსაკუთრებით, კულტურულ მექანიზრებაში მიმდინარე პროცესების სინდრომებს ავლენდა. ასეთი გადაცემები არც შემეცნებითა და არს საგანმანათლებლო, არამედ საზოგადოების გარკვეულ იდეოლოგიურ სიმბოლოებთან დამოკიდებულებას აჩვენებს.

မაგრამ ეს ყველაფერი მეორეხარისხოვანია იმ დისკუსიასთან მიმართებაში, რომელიც 16 იანვარს საქართველოს ტელევიზიის პირველმა არხმა აჩვენა, რამდენადაც მთავარი პრობლემა, რომელიც ამ გადაცემაში გამოიკვეთა, იყო კონფლიქტი, ერთი მხრივ, სი-ტყვისა და მედიის თავისუფლებას და, საზოგადოდ, დემოკრატიულ ინსტიტუციებსა და, მეორე მხრივ, სრულიად ანტიგანმანათლებლურ და ფუნდამენტალისტურ ცნობიერებას შორის, რომლის დამკაირღებასაც, უკვე რამდენიმე წელია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ცდილობს და, როგორც დავინახეთ, საკმიოდ წარმატებულადაც. ესაა კონფლიქტი მოდერნიზმისა და შუა საუკუნეების ობსურანტიზმის შორის.

საპატრიარქოს წარმომადგენელთა განცხადება, რომ ეკლესია არავიზუ ზეწოლას არ ახდებს, ის მხოლოდ ნინადადებით გამოდის და საკუთარ აზრს გამოთქვემს, უბრალოდ ცინიზმი მგონია, რადგანაც ყოველ ასეთ „რეკომენდაციას“ თან ახლაցს განმარტებები, რომ ეკლესია ღმერთის სახელით ლაპარაკობს, რომ მხოლოდ მისი პოზიციაა სწორი და ვინც ამას არ გაიზიარებს, ის მწვალებელი და ცოდვილი ოქენება! ესაა საზოგადოების მანიპულაციის და მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლის ტიპიური ნიმუში, რაც აშკარად ჩანდა „პარველი არხის“ სამეტოლუსურელ საბჭოს განცხადებებიდანაც, რომ მათ საქ- მიანობაში კი ერევიან, მაგრამ ამაზე საუბარი აქ არ შეიძლება. გამოდის, რომ ეკლესიის რჩევა ის „ნინადადებაა, რომელზედაც ვერავინ უარს ვერ იტყვის“.

როგორც 21-ე საუკუნის ადამიანმა, რომელიც განმანათლებლობის პრინციპებზეა აღზრდილი და ინტელექტუალურ შრომას ეწევა, თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი, როდესაც საპატირიარქოს ნარმობადადგენელთა სრულიად არქაულ-მითოლოგიურ აზროვნებას, რომ ისინი პირადად ღმერთის აზრის მოვაბასენბინ, რომ კულტურისა მეტი

წმინდანი ჰყავს, ვიდრე ქართველ ერს სახელოვანი საერთო მამულიშვილი, და თანაც, რომ ეკლესიის მისია გამამანათლებლობა(!), – სტუდიაში მიწვეულ აკადემიური ხარისხის მქონე პირთა არათუ პროცესტი, არამედ თანხმობა მოჰყვა. ამ ქართველი ინტელექტუალების საყურადღებოდ შეიძლებოდა თქმა, რომ „განმანათლებლობა“, რომელიც დღვევანდელ საქართველოს ცელაზე მტრად აკლია, XVII საუკუნის ერთოპაში სწორედ იმ სახის მითო-რიცტუალური არგუმენტაციის წინააღმდეგ გაწნდა, რომელიც სტუდიაში საპატრიარქოს წარმომადგენლოთაგან მოისმოდა.

როგორც ქართველ ჰუმანიტარის, შემრცხევა, როდენაც საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის ეთერიდან განათლებულობისგან საკმაოდ შორს მყოფი სამღვდელო პირები დამახინჯებულ და გაზიარებულ საქართველოს ისტორიას მიყვებოდნენ, მკარნახობდნენ და მმოძღვრავდნენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვიზროვნო და რა თემებზე მაქვს მსჯელობის უფლება. შემრცხევა ჩემი კოლეგების არათავისუფლი და ყოველგვარ რეფლექსის მოკლებული, ლამის აქსიომად მიღებული ფრაზის – „არავინ აყრინებს ეჭვიშვილ საპატრიარქოს უმაღლეს აღტორიზებულს“! – მრავალდერ მოსმენა.

როგორც საქართველოს მიერადაქე, პროტესტი გამოვთქამ სახელმწიფო მოხელეთა განცხადებაზე, რომ „ჰატრიარქის აზრი კანონზე მაღლა დგას!“ რაც, ჩემი აზრით, არა მხოლოდ ლაიციზმის, არამედ კანონის უზენაესობის პრიციპის უხეში დარღვევა და თეოკრატიის აღიარებაა, რომელიც რელიგიური ავტორიტეტის სახელმწიფოსა და კანონმდებლობაზე მაღლა დგომას ნიშნავს და რომლის მაგალითიც ირანის ისლამური რესპუბლიკაა, სადაც ცელება მინიჭებულოვანი სახელმწიფო გადაწყვეტილების მიღებისას ბოლო სტყვა ქვეყნის უმაღლეს სასულიერო ავტორიტეტს – აიათოლას ეკუთვნის.

ჩემს შეფოთებას ინვესტ საქართველოს „ირანიზაციის“ მოხსირებული სიმპოზიუმი, რომლის მორიგი ნიშანიც სახელმწიფო ტელევიზიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება და გადაცემის შეწერება იყო, რასაც ავტორებისგან პროტესტიც კი არ მოჰყოლია. მათი დაბრული და უსუსური სახის გამომეტყველებები არათუ საქართველოში თავისუფალი მედიის მითს აცამტვერებს, არამედ უურნალისტის პროფესიასაც კი საეჭვოს ხდის, რომელიც, როგორც ჩანს, მხოლოდ იდეოლოგიური დიქტატორის სუვლირებით შემოიფარგლულდა.

ასეთი პროცესები კი, ვიშმობ, საბოლოო ჯამში, საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას კი არ უწყობს ხელს, არამედ უფრო მეტად საკუთარ საბჭოურ წარსულთან აახლოვებს, როდესაც კანონზე მაღლა მდგომი უმაღლესი ავტორიტეტების — პარტიისა და მისი ბელადების წინაშე უსიტყვო და უკრიტიკულ მორჩილება საზოგადოებრივი ცნობერების სრულ დევენერაციას იწვევდა. შემოქმედებითი თუ სააზროვნო არათავისუფლება კი ტოტალიტარული რეჟიმების წიადაგს ამზადებს.

აქვთ მაღლობა მინდება გადაუსახო ქართულობრივი წილი ბურდულს და პატიონის დათო პაიჭაძეს მოქალაქეობრივი ღირსებისა და ფუნდაციური კულტურული ცენტრების წინააღმდეგ საჯაროდ გამოხატული პროექტებისათვის.

## ახცალებს მიღებას

# საზოგადოებრივი უნივერსიტეტის სამათა ინსტიტუტი პროგრამის

სწავლა დაიწყება 2009 წლის 15 მარტიდან

ლექციები ჩატარდება სალამოს საათებში. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.



საზოგადოებასთან ურთიერთობის/PR სამაგისტრო პროგრამა  
სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეიძინონ აუცილებელი პროფესიული  
ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები საზოგადოებასთან  
ურთიერთობისა და პოლიტიკური კომუნიკაციის სფეროებში წარმატების  
მისაღწევად როგორც სახელმწიფო, ისე კომერციულ ან არასამთავრობო  
ორგანიზაციებში.

ლექციებსა და სემინარებს ქართველი და ამერიკელი სპეციალისტები  
გაუძლებათ. სწავლის პერიოდში სტუდენტებს შეეძლებათ  
კომპიუტერული და სამონტაჟო ლაბორატორიებით, უახლესი ფოტო,  
ვიდეო და ტელე აპარატურით, ასევე, საქართველოს საზოგადოებრივ  
საქმეთა ინსტიტუტის მდიდარი ბიბლიოთეკით სარგებლობა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამა  
განვითარებული და სამონტაჟო ლაბორატორიებით, უახლესი ფოტო,  
ვიდეო და ტელე აპარატურით, ასევე, საქართველოს საზოგადოებრივ  
საქმეთა ინსტიტუტის მდიდარი ბიბლიოთეკით სარგებლობა.

## საზოგადოების მიღების პროგრამის 2009 წლის 15 თებერვალი

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ

საქართველოს საზოგადოებრივ სამათა ინსტიტუტის ვებ-გვერდზე [www.gipa.ge](http://www.gipa.ge)

ან დაუკავშირდით ნორ დალის, აროგრამის კორპორაციის 93-43-46 (სამს), 895-11-96-86, [dane@gipa.ge](mailto:dane@gipa.ge)

## გამოსული ნირილები



გამოსხაურება „სხელი შოკოლალის“ 45-ე ნოარქი  
დაპეტლილ ციცი ლომაპის სტატიაზე „პავანეთი –  
სტეპანს მიღმა საკართველო“

„ცესლი შოკოლადის“ წინა ნომერში ჯვავახეთის შესახებ წერილი დაიხურდა ავტორმა რეგიონში რამდენიმე დღე გაატარა, თუმცა სტატუაში ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის პრობლემებს გაცილებით მეტი ყურადღება დაეთმო, ვიდრე ადგილობრივი სომხების. სომხების ხმა, ვინც რეგიონის სპეციფიკას ქმნის, ნაკლებად ისმის.

კომენტარის დაწერა იმიტომ გადავწყიტებ, რომ მოკლედ მაინც მეტევა იძულდობლობის მიზეზების შესახებ, რომელიც ქართულ და სომხურ მოსახლეობას შორისაა. ასევე მინდოდა, მომეოოლა ჯავახეთის მთავარ პრობლემებზე რადგან თბილისში ამაზე თითქმის არ საუბრობენ.

დეკემბრის ბოლოს, როგორც ყოველთვის, ახალი წლის შესახვედრად ჯავახეთში გავემგზავრე და იქ სულ რამდენიმე დღე დავყავი, მაგრამ ესეც საკმარისი იყო იმ ცვლილებების დასახახად, რაც იქ ბოლო წელინას მოხდა.

იანვრის დასაწყისში ჭავახეთში პარლამენტის დეპუტატის ოფისში რამდენიმე შეიგარებული ადამიანი შეიქრა. დეპუტატის შუბლზე მიტვენილ საპტოთა პისტოლეტს რომ გაესროლა, დღეს ალბათ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეივარავდა და მის მიერ გადასახლები არჩევნები ექცევილი ჩასატარებელი.

საქმის გამოიყებას შეს-ს ყველაზე მაღლამზრინოსანი მოხელეები შეუდგრენ, თუმცა ამასთან დაკავშირებით ქართულ მედიაში სიტყვაც კი არ თქმულა. თუკა ასეთ სკანდალურ ფაქტს ვერ იგებენ დედაქალაქში, ადვილი ნარმოსადგენია, რაც ცოტნ რამ იციან ჯავახეთის ყოველდღიური (ცხოვრიშის შესახებ).

ჯავახეთი, უკვე რამდენიმე ათწლეულია, ასეთ ჩეცეტითი რეჟიმში ცხოვრობს. აქაურების მთავარი მიზანია, უკეთ მოერგონ ახალ ყოფას; ისინი იძულებულებიან, შეეგუონ მძიმე ზამთარს, რომელიც ნახევარი წლელ გრძელდება; ეგუაზარიან, რომ თავის გატანა მხოლოდ რუსეთში გამგზავრებით და იქ სეზონური შრომითაა შესაძლებელი; ეგუაზარი, რომ ენის უცოდინრობის გამო, არ შეუძლიათ რეგიონის მართვაში სრულყოფილი მონაწილეობის მიღება, რომ აღარა ფერი ვთქვათ დედაქალაქსა და დიდ პოლიტიკაზე.

ხალხი მიეჩვია იმის მოსმენას, რომ ჯავახეთში მცხოვრები სომხები მხოლოდ იმას აკეთებენ, რომ ავტონომიას ითხოვენ და ქართული ენის წინააღმდეგ გა- მოდიან. იმის მაგივრად, რომ თბილისმა გაარკვიოს, რატომ არის ადგილობრივი მოსახლეობა უკანასკნელი, ყორინობებს შექარას უსმებს, თუ რამდენად ადგი- ლია სომხების აჯანყება.

საბჭოთა დროს ჯავახეთის ჩაკუტილობა იმით იყო გამოწვეული, რომ ის სასაზღვრო ზონა გახსნდათ „მტრულად განწყობილ ნატო-ს“ წევრ თურქეთთან. ჩემს ოჯახის წევრებს ხშირად უწევდათ ახლობლებისთვის ცრუ შინაარსის დეპეშების გაგზავნა, რომ ვინმეს გარდაცვალების მიზეზთ მაინც მიეღოთ ჯავახეთში ჩამოსკოლის უფლება. სხვანაირად თითქმის ნარმოულდებოდა იყო ჩვენთან მოხელეები.

ახლა ძნელია გადაჭრით თქმა, უფრო მეტად დაუახლოვდებოდა თუ არა ჯავახეთი დანარჩენ საქართველოს, რომ არ ყოფილიყო ჯერ გამსახურდისა ნაცონიალისტური პოლიტიკა, ხოლო შემდეგ შევარდნაძის მიერ რეგიონის სრული კავშირი.

80-იანი წლების ბოლოს საგანგებოდ ჩამოყავილი ქართველი პრეფექტების დანიშვნით რეგიონში ადგილობრივ სომხებს ნაციონალიზმი გაუღვივეს. აქაურებს ანგარიში არ გაუწიეს. ისე ეკცევოდნენ, როგორც ულირს ერს, რომელსაც როგორც კი შესაძლებლობა გაუწიდება, მათინვე გაყყოფს. ამის შემდეგ დენის გამორთვაც კი ყველას ნაციონალური ნიშნით შევაწროებად ეწვენებოდა. ამიტომ მთავრობის გადაწყვეტილებებს აქ ყოველთვის ეჭვითა და უნდობლობით ხვდებიან.

შევარდნაძის დროს რეგიონში ყვაოდა კორუფცია, რომელმაც მოკლა იმდი, რომ ქვეყანაში პატიოსანი შრომით შეიძლებოდა რაიმეს მიღწევა. ნინოზმინდას 13 წელი ქურდული კანონებით განაცხადდა ყოფილი პატიმარი, რომელიც ლამის ყველას პენსიიდან წილს იღებდა. თბილისის შხარდაჭერით, სწორედ ასეთი ადა-მიანები განაცხადდნენ რეგიონს.

რევოლუციის შემდგომი ცვლილებები იქ მხოლოდ ბოლო ხანს გახდა საგრძნობი და ისიც, სანაკოვენი პროექტს მოგაზონებთ – მცდელობას, რომ ურნწმუნო სომხებს ბეგნიერ საქართველოში ცხოვრება მოაწყობოს. ავტორები და პრინციპები იგივეა, მხოლოდ მასშიც იხსენია ჯერჯურობით ნაკლები.

სააკაშვილი რეგიონში თითქმის ყოველთვე ჩამოდის, ყველას კოცნის და გა-  
მუდმებით უკეთეს მომავალს გვპირდება. ლაპარაკობს ახალ გზებზე, გვარწმუ-  
ნებს, რომ ყველა სახლში მაღლ იქნება გაზი, გაიზრდება ხელფასი, მოგარდება  
განათლების პრობლემები.

სიცევე, როგორც სამხრეთ ოსეთში, აქაც უნდა შექმნილიყო შთაბეჭდილება, რომ „ხალხი ხალისით იღებს მონაწილეობას უკეთესი მომავლის შენებაში“. გამაძლარი მოხელეების ნაწილი პენსიაზე გაუშვეს, ნაწილი – საერთოდ ქვეყნიდან, ნაწილი დიტოვეს, ვიღაცასან ხომ უნდა დაფინანსონ საქმე. მოყვანეს თავიანთი ხალხი, რომელთაც მთავრობის ახალი პროექტი უნდა განახორციელონ.

უკანასკნელ წლებში ჯავახეთში დაპროტენდა რამდენიმე ადამიანი, რომლებმაც კრიინგალურ წლებში რუსეთში კაპიტალი დაუგროვეს. მათ ფულის რეგიონში დაპანდება და დატრიალება გადაწყვიტეს; მოგებაზე მეტად, ცენტრისგან პოლიტიკური გამორჩების მიღება სურთ, ადგილობრივებისგან კი – პატივისცემის. ადგილოდ აუკრისტოს ალომ თბილისის შეკვეთას.

ରାମଦ୍ଵାରିନୀର ତୁଳି ନିରକ୍ଷଣ ପାଇଲୁ କାହିଁଥିଲୁ ନାହିଁ । ଏହାର ପାଇଲୁ କାହିଁଥିଲୁ ନାହିଁ । ଏହାର ପାଇଲୁ କାହିଁଥିଲୁ ନାହିଁ ।

შორიდან რომ ალარ ეფრინა, სააკაშვილი აქტიურად გაიზინდავდა რეგიონში რეზიდენციის მშენებლობის საკითხსაც, თუმცა შემდეგ გადაიიფიქრა, ან მიხვდა, რომ გადაამლაშა, შეიძლება ფრანსურმა კრიზისმაც შეუშალა ხელი. ვერ ვიტყვი, რომ ამ ყველაფრის შემხედვარე ადგილობრივი მოსახლეობა სიხარულით ფეხზე ველარ დგას. უფროსა თაობა ამ ყველაფრეს პრაგმატულად უდგება და ფიქრობენ, სათავისოდ როგორ გამოიყენონ იმის შედეგები, რაც ახლა კეთდება. უფრო ისინი წესან, ვისაც რაიმა აქვს დასაკრები, მირთადად — ახალგაზრდები. ზოგიერთმა ღიად გამოხატა უკმაყოფილება და ოქვა, რომ ხალხის თვალის ასახვევად რაიმეს კეთებას, ჯობს საქმე მართლა გაკეთდეს. ერთი-ორი ასეთი ახალგაზრდა ციხეში აღმოჩნდა საკმაოდ საჭკვი ბრალდებებით, დანარჩენები კი სასარულაზიმის ბრალობის მიმართ გააწიმეს.

უკანა გზაზე ერთი გოგონა დამეგზავრა, რომელიც ამჟამად თბილისის უნი-  
ვერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობს. 4 წლის წინ მას და მის  
მეგობრებს შეკვირდნენ, რომ უპრიბლებოდ ჩაბარებდნენ თბილისში. მანაც  
გადაწყვიტა, გაუკვალავი გზით ევლი და ერვენში არ ნასულიყო სასწავლე-  
ბლად. თბილისში მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეძლო ჩაბარება. მოელი გზა  
მიყევბოდა, როგორ გადადიოდა ერთი ფაკულტეტიდან მეორეზე, კურსელებ-  
თან საერთო ესა რომ გამოენახა და ის ესწავლა, რაც უნდოდა. და მართალა,  
წესდა, რომ ასეთი უპასუხისმგებლო, გაუზრებელი დაპირებების გამო, მისი  
მომავალი გაურკვევილი იყო, ის მანიკ თბილისში ბრუნდებოდა.



## დააგროვეთ ფული

იმ თანხიდან, რასაც

ჩვეულებრივ ხარჯავთ -

მაგ: ტანსაცმელი, საჩუქრები,

დასვენება, რესტორანი, ავტოსერვისი,

ბავშვის მოვლა, კოსმეტიკა,

სამედიცინო მომსახურება, აფთიაქი...



# ხარჯი და აგრძელება!

## GPI Card - ით!

დააფიქსირეთ შენაძენი 150-მდე ობიექტში თბილისში!

დააგროვეთ თანხა პერსონალურ ანგარიშზე „ჯიპიაი ჰოლდინგში”...

## კულტ-მიმოხილვა



### ბორის ფრუმინის მასტერპლასეპი

როგორ ვუშველოთ ქართულ კინოს – ამ ყბადალებულ საკითხზე ბევრს უმსჯელია და ლამის ამდენივეს დაუჩივლია, – ვიდრე ამ საქმეში ძალიან დიდი ფული არ ჩაიდება, არაფერი გვეშველებაო. თუმცა, ნამდვილი პროფესიონალი ყოველთვის გეტყვით, რომ, პირველ რიგში, განათლებაა საჭირო და მხოლოდ შემდეგ – ფული. კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა და კინოკომპანია „დამოუკიდებელმა კინოპროექტმა“ სხვა ბევრ საჭირო საქმესთან ერთად ამ მხრივაც გამოიჩინეს ინიციატივა: მათი მოწვევით თბილისში ნიუ-იორკის უნივერსიტეტის კინოფაკულტეტის პრედაგოგო, პროფესიონალი ბორის ფრუმინი ჩამოვიდა და ახალგაზრდა ქართველ კინემატოგრაფისტებს მასტერკლასეპი ჩაუტარა.

ფრუმინმა ვგიყის დამთავრების შემდეგ ორი ფილმი გადაიღო საბჭოთა კავშირში („სკოლის დირექტორის დღიური“ და „ახალგაზრდობის შეცდომები“) და 1978 წელს ემიგრაციაში წავიდა შეერთებულ შტატებში, სადაც იგი კიდევ რამდენიმე სურათს იღებს და ძირითადად პედაგოგიური საქმიანობითაა დაკავებული.

ფრუმინის თბილისური მასტერკლასეპი მოიცავდა როგორც ლექცია-სემინარებს ვიზუალური მასალის დემონსტრირებით, ასევე – ინტენსიურ პრაქტიკულ დავალებებს, რომლებსაც მონაწილეთა ჯგუფები ძალიან მოკლე დროში ასრულებდნენ. როგორც მასტერკლასეპის ორგანიზატორმა, ქალბატონმა ნინო ანჯაფარიძემ განაცხადა, ეს არ იქნება ერთჯერადი მოვლენა, გაზაფხულის ბოლოს დაგეგმილია მასტერკლასეპის მეორე ეტაპის ჩატარება, სადაც მონაწილეები თავიანთ ახალ ნამუშევრებს წარმოადგენენ.

სემინარების პირველი, ათდღიანი ნაწილი 18 იანვარს დასრულდა, და მართალია, სასწაულების, დიდი ხანია, აღარ გვჯერა, მაგრამ მონაწილეთა გაორმაგებული მონდომება იმედს ნამდვილად ბადებს.

## ტამ-აუტი

### EVITAPERONI-ის მაღაზია თბილისში

აბაშიძის 24-ში გაიხსნა ცნობილი მსოფლიო ბრენდის **EVITAPERONI**-ის ქალბატონების აქსესუარების მაღაზია. ბრენდი **EVITAPERONI** დანიურ კომპანია **DEICHMANN + CO**-ს ეკუთვნის, რომლის ქალი მსოფლიოს 40 ქვეყნაში 150-ზე მეტ მაღაზიას ითვლის. საქართველოში და ამიერკავკასიაში **EVITAPERONI**-ის ბრენდს ქართული კომპანია **Nexus House LLC** წარმოადგენს, რომელიც ბრენდის ექსკულუზური წარმომადგენელია. **EVITAPERONI**-ის თბილისის მაღაზიაში დანიური წარმოების სხვადასხვა ხელნაერი აქსესუარი გაიყიდება. „ბრენდი ქალბატონებისთვის წელიწადში ექვს ახალ კოლექციას წარმოადგენს. კოლექციები წებისმიერი გემოვნების ქალბატონებს დაკამაყოფილებს. პროდუქციის ფასები კი მათ საშუალებას მისცემთ, ხშირად განახლონ და გამრავალეუროვნონ საკუთარი აქსესუარების კოლექციას, – განაცხადა ბრენდის წარმომადგენელმა ხსეს კალინაშვილი. 2011 წლამდე საქართველოში **EVITAPERONI**-ის კიდევ 2 მაღაზია გაიხსნება. ამ დროისთვის ბრენდის მაღაზიები სომხეთსა და აზერბაიჯანშიც დაიწყებს ფუნქციონირებას.



### „ვი პი აი ჰოლდინგის“ კიდევ ერთი ინოვაციური პროდუქტი

„ვი პი აი ჰოლდინგი - ვენის სადაზღვევო ჯგუფი“ ახალ წელს ახალი პროექტით ხედება. კომპანია მომხმარებელს ახალ ფასადაკლების ბარათს – „ვი პი აი ქარდს“ სთავაზობს. „ვი პი აი ქარდის“ გამოყენება რამდენიმე ასეულ სავაჭრო თუ მომსახურების ოპერეტისა შესაძლებელი. ბარათის მფლობელს დახარჯული თანხის გარკვეული ნაწილი პერსონალურ სადაზღვევო ანგარიშზე „ვი პი აი ჰოლდინგის“ უპრონდება და სარგებელი ერთიცება. დაგროვილი თანხის გამოყენების რამდენიმე ალტერნატივა არსებობს – სამედიცინო დაზღვევის საოჯახო პაკეტების, ავტომატურების შეძენა, ან თანხის საპენსიო ანგარიშზე გადატანა, რომელსაც გარკვეული ჟერიოდის გასვლის შემდეგ ბარათის მფლობელი სურვილისმებრ გამოიყენება. ამ სიახლესთან ერთად „ვი პი აი ქარდისგან“ წლის მანძილზე მომხმარებელს არაერთი სიურპრიზი და საჩქარი ელოდება. „ვი პი აი ქარდის“ გამოყენება 10 იანვრიდანაა შესაძლებელი. „ვი პი აი მომხმარებლებს ბარათი საჩქარად დაურიგდებათ, მისი შეძენა კი „ვი პი აის“ მომსახურების ცენტრებში წებისმიერ მსურველს შეუძლია.



CANTON

აღმოჩენის შენი სამყარო



ავტომატური გარემონტის დაწყების პროცესის  
მომსახურებაზე დამატებული საკარითოებით „კონარ ელექტრი“

მისამართი: ქიოშ ქ. №2 (ვერაცი ქიოშ ავალვარის გარეთ), გვ. 47 56 12

Pioneer

DENON

marantz

Magnat

AUDIOVOX  
CORPORATION

CANTON

DEHLBACH

Metz

HECO



# მკვდარი დროის მესაათებები

„ახალი ქართული პიესა“ – შესაძლებლობა ღა პერსპექტივა

ავტორი: დავით ბუხრიძე

იანგარი ქართული თეატრის თეატრის თეატრი. თუ პრინცი-ჟულად ანტითეატრალი არა ხართ, ან გარკვეული აკვიატებები არ გახასიათებთ, ისტორიული ასოციაციები – 14 იანგარი და გიორგი ერისთავის „გაყიდვა“, ახმეტელი და მარჯვანიშვილი, ვერიკო და უშანგი, ხორავას ოტელო, თუმანიშვილის „ანტიგონე“, სტურუას „კავკასიური“ თუ გაბრიაძის მარიონეტები, თითქმის უნდღიერ აღგეძრებათ. მართალია, კლასიკოსისა არ იყოს, „ნაშთი ძველი დიდებისა არ გამქრალა ჯერაც ყველა“, მაგრამ უკვე გარდასული თეატრალური მითების დავიწყების საფრთხე რეალურად არსებობს. და ეს განსაკუთრებით კარგად იგრძნობა უკულტურო ინტერნეტის, ნახევრად კულტურული ფეშენტივისა და პრიმიტიული სანახაობების შემოტევის ეპოქაში.

## ტრუალური ისრეპი

კარგი თეატრი პირველ რიგში ხარისხიან დრამატურგიას გულისხმობს. და თუ ეს აქსიომა თუნდაც ყველაზე ცნობილი რეჟისორებისათვის არის გამონაკლისი, ეს გამონაკლისი მხოლოდ ჭეშმარიტებას დაადასტურებს. ალარ ჩავეძიებით ტექსტის, კონტექტისა და ზოგადად კულტურის დაკარგვა-გაუფასურების ამბავს, რომელმაც არაერთი ცნობილი ქართველი მწერალი თუ დრამატურგი მოინელა. დაკარგული „კულტურული დროის“ ძიება მოძალებული კრიზისი ფონზე (განსაკუთრებით ტრიუმფალური თეატრალური ნარსულის შემდეგ), უფრო საამაყო ისტორიული იარების გახსნებას ჰგავს. მაგრამ ეს განცდე-

ბი ტეკილანიცაა და სასამოვნოც. მთავარია, წარსულმა შემოქმედებითი წყურვილი გაამძაფროს, საბოლოოდ მითების ტყვეობაში რომ არ დავრჩეთ. სამწუხაროდ, განთავისუფლების მცდელობა ახალ თეატრალურ ტექსტებში არცთუ წარმატებულია.

მიხეილ თუმანიშვილი წიგნში „ფიქრები თეატრის ირგვლივ“, თითქოს ანბანურ ჭეშმარიტებას იმეორებს: „რამდენიც არ უნდა ვიკამათოთ, პიესა, ლიტერატურა – თეატრალური წარმოდგენის ფუძეთა-ფუძეა. ჩვენ კარგი პიესის დაბადების მუდმივ მოლოდინში ვართ“. მაგრამ დრო გადის და მოლოდინი სკეპტიციზმს უფრო ემსგავსება, ვიდრე სიახლის აღმოჩენის სიხარულს. ყველაფერთან ერთად დრამატურგის მიზანი თუ ამოცანა დღეს სულ უფრო რთულდება; პიესის ფორმები ქრელი და კალეიდოსკოპური ხდება. რაც მთავარია, თეატრალური გემოვნება და დროის მოთხოვნა წარმოუდგენლად სწრაფი ტემპით იცვლება. ისინი უპირისპირდებან და თან აგსებენ ერთმანეთს.

ჩვენი დროის დრამატურგები (იგულისხმეთ ახალი ლექსიკა, პაროდიული მეტა-ტექსტი, აპსურდის ლამის ნარკოტიკული დოზა, შეულამზებელი ნატურალიზმი და ა.შ.) თითქოს ბრეიგელის ბრმებივით ერთ, ყოვლისშემძლე თოკზე არიან გამობმულები, მაგრამ სხვადასხვა მიმართულებით აპირებენ გადაჩეხვას... რასაკირველია, არსებობენ გამონაკლისებიც, მაგრამ ახალი ქართული პიესები დიდხანს ვერ მკვიდრდება თეატრალურ რეპერტუარში. საბოლოოდ კი

ისევ დავთა კლდიაშვილის ან პოლიკარპე კავა-ბაძის მორიგი რეჟისორული ვარიაციის იმედად ვრჩებით. ამავე დროს ვერ იტყვით, რომ ახალი პიესები იშვიათია. წერენ სტაუინი ძველები თუ სტაბილურად საშუალო თაობის წარმომადგენლები, თითქმის ნორჩები თუ ეპატაჟის მოყვარულები. წერენ ბევრს და ხშირად, ელეგანტურად და ცინიკურად... ბაძავენ უენეს, მროვეკას თუ იონესკოს. „შეყირობები“ ჩეხოვსა და ბრეხტზე. ცდილობენ, გაქქონ ფსიქოანალიზიც, ისე, რომ მთლად ცუდი სურნელი არ დადგეს.

მოკლედ, არსებობს უკვე დამკვიდრებული თეატრალური რეალობის შეცვლის სურვილი. ახალგაზრდა დრამატურგები თითქოს არც დაჩაგრულები არიან. მათი პიესები კერძო გამომცემლობების მიერ მცირე ტირაჟით, მაგრამ მაინც გამოიცემა. რეჟისორებამდე გაცილებით მარტივად აღწევს, ვიდრე, ვთქვათ, ათი-თხუთმეტი წლის წინათ. და მაინც, მთავარ პრობლემად ისევ დროისა და ტექსტის მიმართება და თავად ტექსტის ავტონომიური ფასეულობა რჩება.

სწორედ ტექსტის (ანუ თუმანიშვილის ენით „თეატრალური წარმოდგენის ფუძეთა-ფუძის“) აღმოჩენა-მოთვინიერება-გავრცელებას ემსახურება მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდის დამარსებლისა და მისი თავმჯდომარის, მანანა ანთაძის მიერ წამოწყებული ინიციატივა – მთარგმნელთა და დრამატურგთა კონკურსი, რომელიც 2006 წლიდან მოყოლებული, ყოველ წელს იმართება. მთარგმნელი, ლიტერატორი და



„ჭვალაზერი არაფირზე“ – ჩუსთაველის თეატრი



„ვეზაუს კალა“ ცეკვა – ჩარჩანაშის თეატრი

წლების განმავლობაში თუმანიშვილის სახელობის თეატრის ღიატერატული ნაწლოს გამგე – მანანა ანთაძე, მრავალი წარმატებული გასტროლის ორგანიზატორია. ამავე დროს შექმპირის, მოლიერის, ჩეხოვის, ბრექტის, უილიამსის, საიმონის, ო'ნილისა და სხვა ცნობილი დრამატურგებისა და მწერლების მთარგმნელი:

**„რატომ გადავწყვიტეთ კონკურსის დაარსება:** თეატრები გამუდებით ეძებენ ახალ პიესებს. ტექსტი, სიტყვა, სპექტაკლის სასიცოცხლო ენერგიაა, ძალა და სულია. თეატრი და დრამატურგია ერთად ვთარღდება და უერთმანეობდა არ არსებობს. ვფიქრობ, რომ ჩვენი ფონდის ორივე კონკურსი – „საუკეთესო თარგმანი“ და „ახალი ქართული პიესა“, აგრძორებს წერისას სტრუქტულ აძლევას, რეჟისორებს კი პიესებით ამარაგებს. საერთოდ, რეჟისორებს დიდი არჩევანი უნდა ჰქონდეთ; ბევრი პიესა უნდა მოძებნონ, რათა აუცილებელი ან საჭირო იპოვონ.

რა დახმარებას უნდეს ჩვენი (ფონდისა და უიურის წევრების) შრომა ჩვენს თეატრებს? ამ კითხვას უფრო გვიან, 5-6 წლის შემდეგ შევიძლია უკაპასუხოთ, თუმცა შედეგი უკვე გვაქვს. ყველა სირთულის მოუხდავად, ახლა მთავარია, კონკურსები არ შეწყდეს, სპონსორი ჰყავდეს. 2008 წელს თეატრიშვილის ფონდს და კონკურსს „მაგთიკომმა“ გაუწია დახმარება. ამისათვის მათ განსაკუთრებული მაღლობა მინდა ვუთხრა; მით უმეტეს, ომის შედეგებით განადგურებულ ბიუჯეტს თუ გავითვალისწინებთ. მიხეილ თუმანიშვილის ფონდს დაარსებიდან ათი წელი შეუსრულდა და იუბილე სწორდე „ახალი ქართული პიესის“ კონკურსით აღვნიშნეთ“.

### ვეზაუს დავურთოთ არემობი და სითბო

შედარებით ღიბერალური ღიტერატურული კონკურსებისაგან განსხვავებით, „ახალი ქართული პიესა“ და „საუკეთესო თარგმანი“ მონაწილეებს მეუცრ პირობებს უყენებს:

ა) წარმოდგენილი პიესა აუცილებლად უნდა იყოს ახალი, გამოუქვეყნებელი და დაუდგმელი;

ბ) ავტორთა ვინაობა უცნობია უიურის წევრებისათვის;

გ) უიური 15-20 წევრისაგან შედგება, რომელთა ვინაობა ასევე არ მყდავნდება და მისი შემადგენლობა მუდმივად იცვლება;

დ) გამარკვებულთათვის დაწესებულია ფულადი პრემია.

2006 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად ტარდება კონკურსები ორიგინალურ თუ თარგმნილ დრამატურგიაში. შეიძლება ითქვას, რომ კონკურსის შედეგებმა უკვე გავლენა მოახდინეს დრამატურგების დაინტერესებაზე და, ზოგადად, თეატრების რეპერტუარზე. ამას მოწმობს კონკურსში მონაწილეობა რაოდენობაც. წელს, მაგალითად, „ახალი ქართული პიესის“ კონკურსში ოცდაათზე მეტი ავტორი მონაწილეობდა. ამაზე მეტყველებს ახალი პიესების მიმართ რეჟისორთა, მსახიობთა და კრიტიკოსთა დიდი ინტერესიც.

რეჟისორი და მსახიობი გოჩა კაპანაძე, რომელიც წლევანდელი კონკურსის („ახალი ქართული პიესა“) უიურის წევრი იყო, აცხადებს: „ფონდის მიერ დაარსებულმა კონკურსებმა გარკვეული პაუზის შემდეგ ბიძგი მისცა თეატრალურ პროცესს, რომელიც ქართულ დრამატურგიაში ახალი

სახელების, მიმდინარეობის, ტენდენციის, ენის შექმნას ემსახურება. შესაძლოა, მაღალი დონის მიესები და შედევრები არ დანეროს, მაგრამ მრავალეროვანი იდეები და ახალი ფორმები მომავალში აუცილებლად მოიტანს შედეგებს“.

იქცევა თუ არა „თარგმნილი“ და „ახალი ქართული პიესა“ ახალი თეატრალური რეალობის ამასხევლ ბარომეტრად? ამას, ცხადია, უფრო ხანგრძლივი დრო, ანალიზი და შეფასება სჭირდება. მაგრამ უკვე ის ფაქტი, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩვენმა ახალმა და ძველმა დრამატურგებმა ფანტაზიას გასაქანი მისცეს (ხოლო საკმაოდ სოლიდური პრემია, მოგეხსენებათ, ნიჭასაც აღვიძებს და მადასაც აღრჩავს) და კონკურსების შემდეგ მრავალი ახალი პიესა დაიდგა, მრავლისმეტყველია.

არანაკლებ შთამბეჭდავია გასული წლის კონკურსებში მონაწილე პიესების მიხედვით დადგმული სპექტაკლების სია: გოჩა კაპანაძე ჰარვედის „კვარტეტის“ მიხედვით რუსთაველის მცირე სცენაზე დადგმულ „მოხუც ჯამბაზებში“ ლამის თეატრის მთელი თანავარსკვლავედი დააკვავა; ახალგაზრდა და თითქმის უცნობმა რეჟისორმა ვალერიან გორგოშაძემ შმიდტის „სტუმარი“ ექსპერიმენტულ სცენაზე განხორციელა; ხოლო ლალი კეკელიძის გასული წლის კონკურსზე წარმოდგენილმა პიესამ „ყველაფერი არაფერზე“ ექსპერიმენტულ სცენაზე საინტერესო განზომილება შეიძინა.

მარჯანიშვილის თეატრის ახალ სცენაზე (რომელიც სხვენში გაიხსნა და დაახლოებით ორასა-მდე მაყურებელს იტევს), რეჟისორმა დიმიტრი



„მოხეცი ჯაგაზაბი“ – რესთავების თამაზრი

ღვთისიაშვილმა 2007 წლის კონკურსში მონაწილე თამარ ბართაიას პიესა „პეიზაჟს აქლია სითბო“, ლამის მსახიობ ეკა ჩხეიძის ბერეფისად აქცია. ფოთის, ვალერიან გუნიას სახელობის თეატრში, გაგა გოშაძემ ასევე საინტერესოდ მოახერხა თარგმანის კონკურსში მონაწილე პიესის „ზვავის“ განხორციელება. სხვათა შორის, თურქი დრამატურგის ჯუჯენ თლლუს „ზვავის“ დადგმას მშობლიურ თეატრში რობერტ სტურუაც აპირებდა, თუმცა უკვე დაწყებული რეპეტიციები მოულოდნელად შეწყვიტა. გასული წლის კონკურსში მონაწილისა და მეორე პრემიის მფლობელის, ბასა ჯანიკაშვილის „მეტროს“ კი მალე თეატრალურ სარდაფშიც დადგამენ. ასე რომ, კონკურსმა უკვე მოახერხა თეატრების რეპერტუარში ცვლილების შეტანა.

რაც შეეხება 2008 წლის კონკურსს, უიურის გადაწყვეტილება ასეთია:

პირველი პრემია – არ გაიცა

მეორე პრემია – ლალი კეკელიძე, „მკვდარი საათი“

მესამე პრემია – ლიკა მოლარიშვილი, „ეთერი“ მესამე პრემია – დათა თავაძე, „ყვავები“

სპეციალური პრემიები – თამარ ბართაია („მთავრი როლი“), დათო გაბუნია („სხვისი შვილები“)

ქალები, ქახები, ყვავები და... გაფუჭებული საათები

ქალი – და ომი ჯერ არ დამთავრდა?

მეორმარი – (ჭამს) არა, მაგრამ მალე დამთავრდება. ცოტაც და გავიმარჯვებთ!

ქალი – რას ლაპარაკობთ?.. რა კარგია! მეორმარი – (ჭამს) კი, ზაურისტები ალყაში გვყავს! ქალი – უკვე? მეორმარი – კი, და მალე დედა ეტირებათ! ვა, რა გემრიელი ხაჭაპურია?!.. და მერე გვიყურონ! ქალი – რა საინტერესოა?! მეორმარი – ჩვენი დრო მოდის, ჩვენი!.. ქალი – ხო.

#### (ნაწყვეტი პიესიდან „მკვდარი საათი“)

არცთუ ურიგოდ დაწერილი პიესა უკვე გამოცდილი დრამატურგის და წინა კონკურსების პრემიების მფლობელის, ლალი კეკელიძის ლიტერატურულ გემოგნებასა თუ აბსურდის ფლობის ხელოვნებას გვამცობს. ანტილოგიკის მყაცრი ლოგიკა, ცარიელი ფრაზების დრამატული სისავსე და მოულოდნელი ფინალი (როდესაც სახლში გაქანებული ქეიფია და გარეთ ომი, რომელშიც რეალურად ყველა პერსონაჟი ილუპება) დამცინავად არის გადმოცემული. თუმცა სიტუაციის ხელოვნერობა და პერსონაჟების სიყალებებროვნებრობა მანც საგრძნობია. ამავე დროს კონკეფუცია ცხადი, ირნინული და გასაგებია. კარგი რეჟისურისა და ზუსტი, მახვილგონივრულად მოძებნილი კონცეფციის შემთხვევაში, შეიძლება ნებისმიერ სცენაზე დაიდგას და პუბლიცისტური ულერადობაც შეიძინოს.

ეთერი – (ნახატს დასცექერის) „მართლა კარგი ნამუშევარი გამომივიდა. ალბათ იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ეს ზღაპარი. სევდიანია და

თან ნათელი... წიქარა იმ ხარებს მივამსგავსე, სოფელში რომ მყავს ნანახი ოდესლაც. ისეთი დინჯები იყვნენ, თოთქოს გამუდმებით ფიქრობდნენ... ჰოდა, ჩემი წიქარაც ფიქრიანია.

ბიჭს კი დიდი, მუქი, მავედრებელი თვალები დავუხატე და მისი მზერა გულის სიღრმემდე მწვდება. ბიჭი ცხრაკლიტულში ზის, სადაც არც ჯადოსნური სალამური აქვს და წიქარაც ვერ მიემველება... მერე რა, ოდესმე ხომ მანც დაალწევს თავს იქაურობას. იმედია, იქ პატარა სარკმელი მაინც არის, საიდანაც ცას ნაწილი მოჩანს – დღისით მზე, ლამით ვარსკვლავები... მართლა საოცარი ლამეებია და დიდხანს ვერ ვიძინებ, სულ ცას შევყურებ.

#### (ნაწყვეტი პიესიდან „ეთერი“)

კონკურსის დებიუტანტის, ლიკა მოლარიშვილის საქმად კარგი გემოგნებითა და კლასიკური ლიტერატურით „დალდასმული“ პიესა სწორედ რომ თხრობით-ლიტერატურულია, ვიდრე ქმედით; თუმცა კარგი გემოვნებით და ფაქტიზირებით სავსე, საინტერესო და, შეძლებისდაგვარად, გამოვეთილი ხასიათით. განსაკუთრებით საინტერესო მთავარი პერსონაჟი, რომელიც მსატვარია და მეაცრი, დაუნდობელი რეალობის მსხვერპლი ხდება. უიურის წევრის – კრიტიკოსისა და დასავლეთ ევროპული თეატრის სპეციალისტის, ირნა ღოლობერიძის აზრით, „მ პიესაში არის კარგად განცდილი, თუნდაც მარტივი, მაგრამ არა მოგონილი სამყარო – სიპათოური და კარგად დანახული მთავარი გმირით, ნაცნობი პერსონაჟე-



„სტარი“ – რუსთაველის თეატრი



„ზაფი“ – ფოთის თეატრი

ბით, უცნაური ფინალით. ის, რაზეც ავტორი წერს, იცის და განცდილი აქვს. ეს კი, საქმაოდ ბევრი უსუსური პიესის ფონზე, მნიშვნელოვანია“.

(ქარის ხმა, ყვავების ჩხავილი)

ზახაროვი – რამდენი ყვავია...

ეკატერინე – არ მიყვარს ყვავები... დედაჩემს მაგონებენ.

ზახაროვი – მე კი პეტერბურგს.

ეკატერინე – არც პეტერბურგი მიყვარს...

ზახაროვი – თქვენ ყოველთვის მოსკოვს ანიჭებდით უპირატესობას. მოსკოვი, მოსკოვი, მოსკოვი... (პაუზა) გუშინ დამე...

ეკატერინე – ღამე?

ზახაროვი – ღამე, ან გამთენისას...

ეკატერინე – ჰო, პაშა გვიან მოვიდა...

ზახაროვი – მარტო არ იყო.

ეკატერინე – არა, პანიხიდინთან და ორ ქართველთან ერთად.

ზახაროვი – ქართველებს რაღა უნდოდათ?

ეკატერინე – რა უნდა ნდომოდათ ქართველებს? ჭამა და ჭიქების ჭახუნი.

**(ნაწყვეტი პიესიდან „ყვავები“)**

ახალგაზრდა დრამატურგის, დათა თავაძის პიესა ცხად და ნაცნობ ასოციაციებს აღძრავს ჩეხოვის დრომატურგიასთან. მაგრამ იგი ხაზგასმულად გროტესკულია. უფრო ზუსტად, „ყვავები“ – ეს არის იმ შეგრძნებებისა და სურნელის გამოძახილი, რომელითაც სავსეა რუსი კლასიკოსის პიესები: ლამის არქეტიპული და მრავლისმეტყვე-

ლი პაუზებით, უბედურ-უსიყვარული ქალებით, უბადლო მეტაფორებით, მკრთალად სექსუალური ქვეტექსტებით... „ნეოჩეხოვი“ დასავლეთში, დიდი ხანია, მოდაშია. მისი გავლენით წერენ გუსტავ შვაბი, მარიუს ფონ მაიერბურგი. ამ ბოლო დროს თვით ნობელიანტი ელფრიდე იელინეკიც ჩეხოვის წერის მანერას და „სავსე პაუზებს“ უტრიალებს; ხოლო პოსტმოდერნისტმა ბორის აკუნინმა ახალი „თოლია“ დანწერა (სხვათა შორის, ეს პიესა მსახიობმა ნინო ბურდულმა ექსპერიმენტის სახით დადგა თუმანიშვილს თეატრში). ასე რომ, დათა თავაძის ნანარმოები უფრო მახვილგონივრულ და ირონიულ გამოძახილს ჰგავს. თუმცა ამ „გაკე-თებული“ პერსონაჟების თამაში საკმად რთულია მსახიობებისათვის. ცხადია, თუ ტრადიციულ ფსიქოლოგიურ თეატრს გავითვალისწინებთ.

ჩევნი აზრით, გაცილებით უფრო საინტერესოა „სპეციალური პრემიით“ დაფილდოებული მწერლის, კრიტიკოსისა და უკვე დრამატურგის, დათო გატუნის „სხვისი შვილები“, რომელიც ბრეხტისა და, ზოგადად, მიმეზისის გავლენითა და სხარტად არის დაწერილი. გარდა ამისა, ორიგინალურია პიესის იდეაც – როგორ შეიძლება იქცეს ადამიანისთვის აბსურდად არასექსუალური სექსუალური კონტაქტი და დაუბადებელი სიცოცხლე. პიესას პირველ ვარიანტში „სიმონ ჩაჩავა“ ერქვა და ეს უკვე გასაგებ და ირონიულ კონტექსტს ქმნის წასაკითხადაც და ალბათ სცენაზე აღსაქმელად. რაც შეეხება „ახალი ქართული პიესის“ უკვე კლასიკოს თამარ ბართაძის (რომელიც თოთქმის ყველა კონკურსში მონაწილეობს), „მთავარი როლი“,

შესაძლოა, არ არის ისეთი ღრმა და საინტერესო როგორც წინა პიესები, მაგრამ მასში გათამაშებული თემა თეატრი–თეატრში, მსუბუქად მოწოდებული ფორმით, რეუსისრებისათვის დიდ სიცრცეს ტოვებს. მაგალითად:

ბუბუსია – ახლა რაღას იტყვით, ბატონი მამი?

მამია – განვაგრძობთ, პრემიერას მაინც არ გადავდებ!

ბუბუსია – როგორ, რაც იყო, ისიც განადგურებულია. ფული საიდან, ფული?

მამია – არა, ჩვენ ამას ვითამაშებთ, ჩვენ დავდგამთ „ოთვლისს“. მე ყველას დაგუმზიაცებ, რომ ჩვენ ცოცხლები ვართ, ჩვენც შეგვიძლია რაღაც. ბუბუსია – როგორ, როგორ?!

მამია – მუხლებში ჩავუვარდები ყველას, კულტურის მინისტრსაც, ყველაფერს ავუხსნი. რაც არ მიქნა, იმას ვიზამ!

ბუბუსია – ეჱ, მანც რა გულუბრყვილო ხართ, ბატონო მამია. გენადის იმედი გაქვთ?

არ ვიტყვი, ვინაა გენადი, ან მისი იმედი რამდენად უნდა გვერდდეს, მაგრამ მხოლოდ კლასიკის „გოდოს“ ამარა დარჩენაც სახიფათოა... და მეონი, უკვე სასაცილოც. „ახალი ქართული პიესის“ მიერ გაკვალული პატარა და რეალურად საჭირო ბილიკი კი მსოფლიო აბსურდის „უღრანში“ ძალიანაც საჭიროა. მით უმეტეს, გარეთ ომია, სხვისი შვილები სხვის მამებს მისტირიან, ყვავები ჩხავიან, საათები კი, დიდი ხანია, გაჩერებულია.

# –7 ბრალუსი უკვე კარგია!

ავტორი: თამარ ჯიშკარიანი



წინასაახალწლო დღეებში თბილისში სიარული სასტიკად მეზარება. საავტომობილო საცობებით გადაჭედილი ქუჩები, ყოველ ნაბიჯზე ჩინურ პიროტექნიკას აფეთქებენ, რომლის ხმაც აგვისტოს მოვლენების შემდევ ისე აღარ მაღიზიანებს, როგორც ადრე. ეტყობა შევეჩვიე... თითქოს მთელი 2009 წლის მარაგი ახლა იყიდეს, გოჭებთა და ინდაურებით დახუნდლული დიასახლისები საქმიანად დააბიჯებენ ქუჩაში... დაახლოებით, ასეთივე სამზადისში არიან ჯიბებზე ამხედრებული თბილისელები, რომლებიც, წინამორბედებისგან განსხვავებით, გოჭების ნაცვლად შოპინგზე დარბიან...

ვფიქრობ, მთელ ამ აურზაურს თავი როგორ დავაღწიო და სადმე კაფეში განვმარტოვდე. მობილურზე მესიჯი მივიღე, – 40 ზომა პლასტიკი ხომ არ გაქვსო. გზავნილის ავტორია ხატია გოგიძე, მეტსახელად მათე ბიჭი. ისიც ახალი წლის შესახვედრად ემზადება, მხოლოდ ქართველი ქალისთვის არატრადიციულად. აგროვებს თბილ ხელთამანებს, ქარგაუმტარ ქურთუს, „პლასტიკს“ (ეს ალპინისტური ფეხსაცმელი), უამრავ რკინეულობას, რაც მთაში დასჭირდება და არ ავიწყდება შოკოლადი, შავი ლუდი და კიბორჩალას ჩხირები, რომლის სალათიც 3700 მეტრზე, 31 იანვარს ღამის 12 საათზე სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს...

40 ზომა „პლასტიკი“ არ მაქვს, ხატიასი კი მშურს, რადგან ის ახალ წელს საქართველოში ყველაზე მაღლა, 3700 მეტრზე შეხვდება. საახალწლო ღამეს სურვილის ჩათქმა კი აღბათ, ყველა იმ გოგონას ოცნებაა, ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ანდა, სულაც ახლა

აპირებს ზღვის დონიდან 3700 მეტრზე მდებარე მეტეოსადგურში და ლრუბლების ზღვაში, ალაგ-ალაგ ამოშვერილ კუნძულებამდე გაცურვას...

მეტეოსადგურამდე ასვლას ოთხი დღე მოანდომეს. ჯერ ყაზბეგიდან საბერნემდე აზიდეს აღჭურვილობა და 10 დღის მარაგი სურსათ-სანოვაგე, შემდეგ საბერნედან მეტეომდე. ნეპალში ამას შერპები აკეთებენ და ბანაკამდე ერთი გზის გავლა უხდებათ. ჩვენთან ამ გზას თავად ალპინისტები გადაინა და შინაურულად „ხოდევებს“ ეძახიან. 2008 წლის მიწურულს „ხოდეაზე“ ყაზბეგიდან მეტეომდე 11 მამაკაცთან ერთად ხატიამაც იარა.

– ზამთარში მთაში იმიტომ წავედი, რომ შემძულდეს და მეტჯერ აღარ წავიდე ზამთარში, ან საერთოდ მთაში. ჩემზე ძალიან ბევრი ადამიანი ნერვიულობს, ოჯახი, მეგობრები... ალბათ შარშანაც, ზამთარში ამ მიზეზით წავედი, მაგრამ ფანგასტიური ამინდები იყო. ახლა ძალიან ცუდი... არ მერიდება იმის თქმა, რომ მეტეომდე ძლივს ავედი. საბერნემდე, ზოგიერთ მიზაკვეთში ისეთი ღრმა თოვლი იყო, რომ ეფლობოდი. წინ ბიჭები მიღიოდნენ და გზას კვალავდნენ. მეუკან მივყვებოდი, – ყვება ხატია.

ერთი ღამე კარვებში გაათიეს. საშინელი ქარი ქროდა. დილით ამინდი ოდნავ დაწყნარდა და მთამსვლელებიც მეტეოსკენ დაიძრნენ. ყინულის ენამდე ხატია ვაჟუაცურად მიღის წინ. მყინვარზე გადასულებს საშინელი თოვლის გავვალვა უხდებათ, ამ თოვლის ქვევით შეიძლება 40-მეტრიანი ნაპრალი იყოს, ამიტომ თოკში ჩაბმულები

# BEST PLACE FOR : Breakfast, Lunch, Dinner, Supper All kinds of meetings, Relax



**VONG**  
asian fusion

29 Abashidze Str.  
T: (+995 32) 292 570



29 Abashidze Street.  
T: (+995 32) 230 923  BELLE DE JOUR



**BUFFET**  
რესტორანი უნიკალური

29/31 Abashidze Str.  
T: (+995 32) 224 961



29 Abashidze str.  
T: (+995 32) 293 108 



**BRASSERIE  
L'EXPRESS**

14 Charden Str.  
T: (+995 32) 439 349



11 Rkinis Rigi  
T: (+995 32) 439 348;



## აქცენტი

მიდიან. დრო შეუმჩნევლად გადის, მზე ორწვერს ეფარება და უკვე ყინვაც იგრძნება... მეტეოსადგურამდე ერთი ნაშალი ფერდია ასავ-ლელი, სულ 100 მეტრი იქნება, მაგრამ ალპინისტები მას „ბოლმას“ ეძახიან. იმიტომ, რომ ხედავ თავშესაფარს და ფერდი აღარ მთავრდება. ხატიამ მოულოდნელად თავის გასამზნევებლად ლილინი წა-მოიწყო: „I see ya baby shakin that ass, Shakin that ass, Shakin that ass...“ მაგრამ მალე მიხვდა, რომ სიმღერა ძალას აცლიდა, არადა თავიდან ბოლომდე გაყინული იყო და თითქმის ვეღარ მოძრაობდა... მერე, თითქოს დაუსრულებელ სერპანტინზე, რომლის ბოლოშიც „სახლია“, მოსახვევიდან მოსახვევამდე დათვლა დაიწყო - ერთიდან ათამდე... ზოგი ათ თვლაში აიარა, ზოგი - 20-ში... იმ ღამეს მკვდარივით დაეძინა.

- 31 დეკემბერს მეტეოში მარტო დამტოვეს და საბერწეზე „ხო-დყაზე“ წავიდნენ... დავრჩი და დავიწყე დიასახლისობა. ჯერ დავგავე და დავალაგე, შემდეგ ბიჭებს სადილად ორნაირი კერძი მოვუმზადე - წინიბურა და მაკარონი. შემდეგ დიდი ქვაბი თოვლით გავავსე, გა-ვადნე და თბილ წყალში „ზუკო“ გავაზავე. ცალ ყურში MP3 მქონდა გარჭობილი და ცალით ვტბიზღლობდი. ბიჭებისთვის არ მითქვამს, მაგრამ მეტეოსადგურის შენობის მეშინია. ათასი ჭორი მაქვს მოს-მენილი დაღუბული ალპინისტების საყვარელ თავშესაყარზე, თეთრი ქალის სტუმრიანობაზე, ჰალუცინაციებზე და მეგონა, ორივე ყურ-სასმენი რომ გამეცეთებინა, ჩემს ზურგს უკან აუცილებლად რაღაც მოხდებოდა... უკვე ბინდდებოდა. ვხედავდი ბიჭებს, როგორ მოძრა-ობდნენ ყინულზე და ერთი სული მქონდა, მალე ამოსულიყვნენ, რადგან უკვე კარის ჭრიალის ხმები მესმოდა... - იხსენებს ხატია.

მეტეოზე ამოსულმა ბიჭებმა ზურგჩანთებიდან ჩურჩხელები, გო-ზინაყი, ჩირი, შოკოლადი, კონიაკი, ვისკი, არაყი, ძეხვეულობა ამოა-ლაგეს... ამას ხატიას კიბორჩხალას სალათი და ლუდიც დაემატა... საა-ხალწლო სუფრასათან გირლანდებიც გადაჭიმეს, და მეტეოსადგურზე ყველაზე თბილი ადგილი. ე.წ. „შტა-ბი“, სადაც ცარიელ ოთაში -17 გრადუსია, მერე კი ხალხთან ერთად -7 გრადუსამდე თბება, საზიმოდ მოაწყევს... 3700-ზე, სა-დაც ოდესლაც ერთ-ერთი ძლიერი მეტეო-სადგური იყო, ახლა ელექტროენერგიაც კი არაა. ალპინისტების თავშესაფარში ტელე-ვიზორი ზედმეტი ფულუნებაა. გარეთ მინუს 30-20 გრადუსია. ტრადიციული თბილისუ-რი საახალწლო სუფრისგან განსხვავებით, მეტეოში აპსოლუტური დემოკრატია, რო-მელსაც ანარქიაში გადაზრდა არ ემუქრე-ბა, რადგან მხოლოდ 12-ის არიან და ყველა ერთმანეთს უსმენს. თუ არ მოუსმენ, თავს ვერ გაიტან - ეს მთის ფერმენია. ბიჭებ-მა ახლა იმაზე დაიწყეს ბჭობა, ახალ წელს თბილისის დროით საღამოს 8 საათზე შე-ხვედროდნენ, თუ 12-სთვის დაეცადათ. არც თამადა აურჩევიათ.

ახალი წლის დადგომამდე გვარიანადაც შეზარხოშნენ და ალპათ, შტაბში შესული

მეკვლე ხატიას სახით რომ არ გამოჩენილიყო, ახალი წელი გაეპა-რებოდათ.

- ახალი წლის დადგომამდე მეგობრებს მისალოცი მესიჯები გავუ-გზავნე. ყველას ვეუბნებოდი, რომ მაგრად ყინავს, მაგრამ ყველაზე მაგრა ახალი წელი მაქვს, 3700 მეტრზე... ჩემს დასაც კი შევახარბე ისლანდიაში...“ - ამბობს ხატია.

2009 წელს მეტი მეკვლე მეტეოსადგურზე არ ასულა... აი, შარშან ოთხ ქართველ მთამსვლელს შუა ღამეს ოთხი უკრაინელი ალპინის-ტი დაადგა თავს. ჯერ, ხატიასი არ იყოს, ეგონათ, რომ ყინულები-დან მოსული ხმები ეჩვენებოდათ, თან - ქალების, მაგრამ გარეთ გასულებმა ოთხი მგზავრი დაინახეს, რომლებიც თოვლის ბაბუებისა და „სნეგუროჩებისაგან“ მხოლოდ ჩაცმულობით გამოირჩეოდნენ.

1 იანვარი ნაბახუსევ დღედ გამოცხადეს და 2-ში მწვერვალებზე

- სპარტაცა და ორწვერზე გავიდნენ... ცაზე ღრუბლის ნაფლეთი არაა. ის იყო შეუდგნენ მწვერვალზე ფოტოების გადაღებას, რომ ერთ-ერთი მთამსვლელის გამარტული ყვირილი გაიგეს, - ვეშვე-ბით! ვეშვებითო! მთამსვლელებმა თბილისის მიმართულებით საო-ცარი ზომისა და ფერის ღრუბლები შენიშვნეს. ნახევარ საათში მიწინვა-რნვერის მიდამოებშიც ანალოგიური ფერის ღრუბელი შემოვიდა.

- „ამბავი ატყდა... ქარი ნამქერს გვაყრიდა და სახეს გვისერავდა. უცებ ისე აცილდა, რომ არც ქუდი გვშველოდა და არც ნიღაბი. თუ

რაიმე ადგილი დაუფარავი დაგრ-ჩა, ყინვისგან დაგაყრის... ცხვი-რიდან ათასი საოცრება მოგდის; ან როგორ ესუნთქავდი, ახლაც მიკვირს. ხმაურასთან ქვების წვი-მაში მოვდიოდით. ქარს მოჰქონდა. - ყვება ხატია.

ერთი ქვა ხატიასაც მოხვდა პლასტიკზე. ოდნავ მაღლა რომ მოხვედროდა, მუხლს დაუზიანე-ბდა. „მაშინ გავიფიქრე, - მეტის ღირსი ხარ ხატია-მეთქი!!!“

იმ დღიდან მოყოლებული შობა-მდე 3700-ზე აღარ გამოუდარია. ეს ის დღეებია, როდესაც ზიხარ უზარმაზარ გემში (მეტეოსადგურს გემის ფორმა აქვს) და ელოდები მზეს. თუმცა, ახალგაზრდა მთამსვლელებმა, ზურა კუჭავას ხელმძღვანლობით, მზე მხო-ლოდ ყაზბეგში დაბრუნებულებმა დაინახეს.

ასეა თუ ისე, ხატიამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ ზამთარში მთაში აღარ წავა.

- და ამას ამბობ შენ, რომელიც დღიუ-რებში წერდი, რომ ნამდვილი ალპინისტი-ვით მთაში სიკვდილი გინდა? - ვეკითხები ხატიას.

- კი, და ბიჭებიც ამაზე მეკაიფებოდნენ. ნამდაუნუმ მეძახდნენ, როგორია ზამთრის მყინვარი? კიდევ ნამოხვალ?

- მერე?

- მყინვარზე სიკვდილი მივხვდი რომ არ ღირს. აი, უშბაზე... - ხატია დაფიქრდა - კიდევ შეიძლება. ოლონდ ჯერ ჭაუხებში უნდა ვიარო და უშბამდე გავიზარდო. 2008-ის აგვისტოში კი ვიარე სამხრეთ უშგულზე 2ბ მარშრუტი, მაგრამ ომი დაიწყო და ვინ დაგაცადა...



ხატია გოგიაშვილი





პროკრედიტ ბანკი  
ProCredit Bank



# კონკურსი

აუქტივ ბანკი, სომეცხვაც ენერგია



## გამრძალება იქნება?!

ავტორი: ნინო რობაკიძე

**16** იანვარს „დიდი ათეული“ ლია ეთერში გავიდა და, უნდა ვა-  
ღაროთ, შოუ შედგა! ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ერთ  
მშენებირ საღამოს საქართველოს პირველი პრეზიდენტის მეუღლემ და  
მისმა თანამოაზრებმა საპატრიარქოსთან საქამაოდ შთამბეჭდავი აქცია  
გამართეს და პროექტ „დიდი ათეულის“ ნომინანტთა სიიდან წმინდანების  
სახელების ამონება მოითხოვეს.

„წმინდანების სახელის სარეკონგროდ წარდგენა ნიშნავს იმას, რომ სა-  
ქართველო არ არის მართლმადიდებელი ქვეყანა და არის ცოდვის ქვეყა-  
ნა. და ისინი, ვინც ცოდვილნი არიან, წაბრძანდნენ იქ, ვინც ამ საშინელ  
გადაცემას აფინანსებს. ეს „ბიბისი“ იქნება თუ სოროსი, მნიშვნელობა არ  
აქვს.“ – განაცხადა მანანა არჩვაძემ საპროტესტო აქციაზე.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ქრისტიანი და მისი მომხრების  
აქცია სულ ბოლოს კინოთეატრ „ამირანთა“ მახსოვს. კინოფესტივალ  
„პრომეთეს“ ორგანიზატორებს მევლელებს იმიტომ უძახდნენ, რომ სა-  
ფესტივალო კინოჩენებაში ზვიად გამსახურდიაზე გადაღებული დოკუ-  
მენტური ფილმი არ ჩასვეს.

თუ „დიდი ათეულის“ ნომინანტთა სიიდან წმინდანებს ამონებენ, სა-  
ქართველოს პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია დიდი ქართვე-  
ლის ტიტულისთვის ბრძოლაში უკონიურენტო ლიდერი გახდება. რამდე-  
ნიმე კვირის გამავლობაში, პროექტის ვებ-გვერდის მონაცემებით, ზვიად  
გამსახურდია ლიდერობდა, მაგრამ ბოლო მომენტში პირველი ადგილი  
დავით აღმაშენებელმა დაიკავა.

არ ვიცი, გახსოვთ თუ არა „დიდი ათეულის“ ის გადაცემა, რომელშიც  
ნოე ჟორდანიაზე, სტალინსა და ზვიად გამსახურდიაზე იყო საუბარი. ნოე  
ჟორდანიასა და სტალინს ადვოკატებიც ჰყავდათ და ბრალმდებლებიც,  
ისე, როგორც ეს გადაცემის ფორმატით იყო გათვალისწინებული, მაგრამ  
ზვიად გამსახურდიას მხოლოდ იცავდნენ. თუ ყოფილი პრეზიდენტის  
მოღვაწეობაზე კრიტიკული აზრის დაფიქსირება გართულდა, წმინდანად  
შერაცხულ საზოგადო მოღვაწებზე ხომ წარმოგიდგნიათ?

თუ ჩვენ მიეცვდით იმას, რომ ძალიან ცოტა იქნებოდა ადამიანი, რო-  
მელიც ასლოლეტურად ვოლუნტარისტულად ისაუბრებდა ტაბუდადებულ  
თემებზე და მზად იქნებოდა, ამისთვის თურნდაც საზოგადოების ნანილის  
რისხვა დაემსახურებინა, რატომ ვერ გათვალეს ეს პროექტის ორგანიზა-  
ტორებმა და არხის ხელმძღვანელობამ?

სანამ პროექტი ეთერში გავიდოდა, ჩატარდა სერიოზული კვლევითი  
სამუშაო კომიტი, „ეისითისთან“ ერთად. ACT-ის საქმიანობის პირველი  
ეტაპი გულისხმობდა ე. ნ. ფოკუსური ჯგუფების ჩამოყალიბებასა და  
მათთან მუშაობას. 10 ფოკუსური ჯგუფი შეიკრიბა. ჯგუფები დაკომპლე-

ქტდა მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, შოუ-ბიზნესის, ესტრადის  
წამყვანი მოღვაწეებისგან, მწერლებისა და პოეტებისაგან, ასევე სხვა-  
დასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებისაგან.

ვინმეს შეუძლია წარმოიდგინოს, რომ აქ ნახსენებ სხვადასხვა რელი-  
გიურ კონფესიას შორის მართლმადიდებლური ეკლესია და საპატრიარქო  
გამორჩათ? როგორც ჩანს, საპატრიარქო თავიდანვე იცოდა, როგორი  
პროექტი მზადდებოდა, რა იქნებოდა ამ შოუს მთავარი პრინციპი და რო-  
გორ აირჩიოდა დიდი ქართველი.

მე ეს პროექტი იმიტომ არ მომწონს, რომ მხოლოდ წარსულიდან ვირ-  
ჩევთ გმირებს და თან ბევრ მათგანზე სიმართლის ცოდნის მანიკალუ-  
რად გვეშინა; უფრო სწორად – სიმართლის თქმის და გამოაშეარავების,  
გვიყვარს ეს მრუდე სარკები!

საპატრიარქოსთვის წმინდანების „შეჯიბრებითობის პრინციპია“ მიუ-  
ღებელი. რატომ გამოხატა საპატრიარქო თავისი პოზიცია „დიდი ათეუ-  
ლის“ ეთერში გასვლიდან მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ? რატომ  
დათანხმდა საპატრიარქო პროექტთან თანამშრომლობას თავიდან და რა-  
ტომ დაემთხვა ასე უხერხულად საპატრიარქოს პოზიციის დაფიქსირება  
პირველი პრეზიდენტის ქვრივის მიტინგებს?

არ ვიცი, შეიძლება ახლა ჩემი კითხვებიც მერქელობაა, მაგრამ მე  
ეს კითხვები გამიჩნდა. შეიძლება ძალიან ცუდია, რომ კითხვები კიდევ  
გვიჩნდება, მაგრამ გვაპატივთ, გვაინტერესებს რაღაც რაღაცები.

„დიდი ათეული“ არის ერთი ხანგრძლივი არჩევნები: ჯერ პროფესიო-  
ნალთა გუნდმა შეადგინა 400-კაციანი პირველადი სია, შემდეგ აქედან  
ხალხმა აირჩია ასეული, მერე 50 დიდი ქართველი, და ათეულასაც აირ-  
ჩევნ ალბათ, თუ პროექტი ისე გარძელდა, როგორც ჩაფიქრებული  
იყო. მოკლედ, არჩევნები არის, მაგრამ შეჯიბრი სად არის, მართალი  
გითხრათ, ვერ ვხედავ. ოპონირება რომ ყოფილიყო, სხვა საქმეა – იქნებ  
ზოგ დაენახა, რომ მისი ფავორიტი მნერალი არც ისეთი დიდი მნერა-  
ლია და დიდი მოაზროვნე, როგორც მას ეგონა, რომ თურმე მას აკრიტი-  
კებენ ეიდეც და მასზე ორი აზრი არსებობს. ამ გადაცემაში კი ორი აზრი  
ფაქტობრივად არ არსებობს – 16 ანვრის ეთერში დაჩი გრძელიშეილიც  
და ეკა ხოფერიაც ორ ხმაში ერთსა და იმავეს იმეორებდნენ, – არავის  
რეპუტაციის შელახვას და დამცირებას არ ვაპირებდით, ჩვენ მხოლოდ  
დამსახურებების წარმოჩენა გვინდოდა და პროექტი საგანმანათლებლო  
ხასიათისათვის.

მაგრამ არ ვიცი, რატომ არ იქნება განათლება, თუ, მაგალითად, გრი-  
გოლ რობაკიძის ან კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას ვინმე  
გაბედავს და გააკრიტიკებს. ან რატომ არ იქნება განათლება, თუ ამ გა-

დაცემაში ვინმე იტყვის, რომ ილია ჭავჭავაძეზე კარგი პოეტი იყო ნიკო სამადაშვილი. რატომ ნიშნავს ეს ილიას დამცირებას?

მოკლედ, ამ გადაცემაში შეჯიბრი ნამდვილად არ არის. პროექტის შედეგი ერთადერთი იმას გვიჩვენებდა, თუ ვინ უყვართ ქართველებს, რა ლირებულებებზე არინ, „ჩაბლაუჭებულინ“ და რა მაქვთ წარსულოდან მომავალში. მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცით – გაგრძელება იქნება?! და გამოგიტყდებით, მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე ამ პროექტს წერტილი, უკვე დიდი ხანია, დავუსვი, მაინც ვაულშემატკივრობ „დიდ ათეულს“.

16 იანვრის გადაცემის ეთერში გასვლამდე რამდენიმე შეხვედრაზე გადაცემის წამყანები და ავტორები საპატრიარქოში დაუბარებიათ, მერე უკვე საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის წევრები – ასევე რამდენჯერმე. ბოლოს მივიღეთ ის, რაც მივიღეთ – ბორდმა პირველი არჩის ხელმძღვანელობას საპატრიარქოს თხოვნის გათვალისწინება ურჩია. მორალური ზენოლის კლასიკური მაგალითა და სულ არ არის რთული, შეხვიდე ბორდის თითოეული წევრის, როგორც ადამიანის, მდგომარეობაში. გვესმის, ბორდის წევრებიც წვეულებრივი ადამიანები არიან და მათივისაც არსებობენ ავტორიტეტები. მაგრამ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდი, ფორმალურად აპსილუტურად დამოუკიდებელი ორგანო, წევულებრივი ადამიანების ერთობისგან განსხვავებით, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვერ გრძნობს მთელი საზოგადოების წინაშე. ამ ბორდის წევრებს გადაწყვეტილების მიღებისას არ გახსენებიათ მუსლიმი ქართველები, რომლებისთვისაც ილია ჭავჭავაძეც და დავით აღმაშენებელიც ისეთივე ძვირფასია, როგორც წებისმიერი ჩვენგანისთვის.

ბოლოს და ბოლოს „საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია: უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება“ (კანონი მაუწყებლის შესახებ, მუხლი 16). იმავე კანონის მე-18 მუხლის მიხედვით,

„საზოგადოებრივი მაუწყებელი, მისი თანამდებობის პირი და თანამშრომელი საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს. მათ საქმიანობაზე უკანონო ზემოქმედება და ამ საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია, ხოლო ამგვარი ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება – ბათილი.“

ძალიან ბევრისთვის თურმე ეკლესია უფრო მაღლა დგას, ვიდრე კანონი. ეს ყველა ადამიანი პიროვნული და ძალიან ინტიმური გადაწყვეტილებაა, მაგრამ მე ის მიკვირს, კანონის უზენაესობას ხმის ჩახლებით რომ ითხოვდა 100 ათასობით ადამიანი, ის რა იყო? ისიც მაინტერესებს, ვინმე, არაურისტიანმა საქართველოს მოქალაქემ რომ გამოაცხადოს, – ჩემთვის ჩემი რელიგია უფრო მაღლა დგას, ვიდრე საქართველოს კანონიო, – და მის რელიგიურ დღესასწაულზე საჯარო სამსახურში რომ არ გამოცხადდეს, რას იზამენ?

ფაქტა, რომ ბორდის წევრები საკუთარ გადაწყვეტილებაში კანონის დარღვევას ვერ ხდავენ, თორემ განზრას კანონდამრღვევები იყვნენ, არ მგონია. არჩის ხელმძღვანელობაც ცოტა დაბრუნებული ჩანდა 16 იანვრის ეთერში, – დრო გვჭირდება, ნაჩქარევ გადაწყვეტილებას წუ მივიღებთო. ნეტა რამდენ ხანს იფიქრებენ? უბრალოდ, საინტერესოა, რა მოხდება. მიუხედავად იმისა, გაგრძელდება თუ არა ტელეპროექტი „დიდი ათეული“, მიუხედავად იმისა, როგორი ფორმატით გაგრძელდება, ამ პროექტმა ერთი კარგი საქმე უკვე გააკეთა. ჩვენ უკვე ვდავობთ იმაზე, მიუხედავად ჩვენი ეთნიკური, რელიგიური თუ კულტურული კუთვნილებისა, ვართ თუ არა თანაბარნი კანონის წინაშე. ვდავობთ ლია ეთერში, ქუჩაში, სახლში. ახალგაზრდული გადაცემა „ჩვენი ექსპრესის“ წამყვანი ნათია მეუბნება: „ჩვენ ყოველთვის გაჩვენებთ იმას, რასაც საჭიროდ ვთვლით და რაც კანონით არაა აკრძალული. სისულელე კი, არ აქვს მნიშვნელობა ვისგან მოდის – მღვდლისგან, ჩინოვნიკისგან თუ უპრალო ადამიანისგან, ჩვენთვის არ არის საინტერესო.“ ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაგრძელება იქნება!



## აურზაური სალენეთში

სტატია გამოივიდებულია „რალიო თავისუფლების“ ეთერში

ავტორი: ია ათარები

**3** ირველი არხი განწყობისთვის – რომლის მსოფლხედვით, ცხოვრება მშვენიერია, რომელიც სამოთხის ვაშლები ხარობენ და რომლის კაბარეშიც ხუთი ვარსკვლავი ერთდროულად ბრწყინავს – დიდ ხათაბალაში გაეხვა. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მედია-პროექტი – „საქართველოს დიდი ათეული“ – არჩის ხელმძღვანელებმა ლამის პირდაპირ ეთერში დახურეს. ამ არაპოპულარული გადაწყვეტილების ინიციატორად აგრეთვე პირდაპირ ეთერში დასახელდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელმაც სამეურვეო საბჭოს წევრებს ურჩია, პროექტიდან ქართველი წმინდანების სახელები ამოელოთ. საბჭოს წევრებმა საზოგადოებას განუცხადეს, ჩვენ

კი მოგვწონს პროექტი, მაგრამ პატრიარქთან შეხვედრის შემდეგ არჩევანი აღარ დაგვრჩა და „დიდი ათეული“ უნდა დაეხუროთ.

საზოგადოების ერთ ნაწილში გადაწყვეტილებამ, რომ შესაძლოა, პროექტი დაიხუროს, გულწრფელი წევრის გამოიწვია, მეორე ნაწილში კი – რისხვა სიტყვის თავისუფლების და სარედაქციო დამოუკიდებლობის შელახვის გამო. ძალიან ცოტა ადამიანი მიიჩნევს, რომ პროექტის დახურვა სწორი გადაწყვეტილება იქნება.

თუმცა, სადაც არ არის, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ისევე, როგორც წებისმიერ მოქალაქეს, უფლება ჰქონდა, საკუთარი აზრი გამოეთქვა ამ გადაცემის შესახებ. ისიც ცხადია,

## კომიტეტი

რომ მისმა მოსაზრებამ განსაკუთრებული არჩევანის წინაშე დააყენა სამეურვეო საპჭო. საპჭომ კი არჩევანი სასწრაფოდ თავიდან მოიშორა, კაპიტულაცია გამოაცხადა და თან დაიჩივლა, – არჩევანის გარეშე დაგვტოვეს. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საპჭოს არ გაჩინია უნარი, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები, აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ რეკომენდაციებზე და გაცნობიერებული პოზიციით წარდგეს საპატრიარქოს, მაუწყებლის ხელმძღვანელობის თუ საზოგადოების წინაშე.

ყველაზე მთავარი, რაც „დიდი ათეულის“ ბოლო გადაცემაში გამოჩნდა, ის არის, რომ პირველ არხზე თავისუფლების ღრმა დეფიციტია. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტი ჯერ კიდევ არ გულისხმობს, რომ მისი თითოეული სიტყვა საზოგადოებამ საკუთარ თავზე ზენოლად უნდა აღიქვას. მაში, რატომ მიიღეს პოპულარული გადაცემის დახურვის გადაწყვეტილება ასე ერთბაშად? საქმე ისაა, რომ „დიდი ათეულის“ მსვლელობისას პირდაპირ ეთერში წარმოჩნდილ კონფლიქტს, სინამდვილეში, გაცილებით ღრმა შინაარსი აქვს. საპატრიარქოსა და ხელისუფლებას შორის, კარგა ხანა, ჩუმი ჭიდოლია. ხელისუფლებას, როგორც ჩანს, აფრთხობს ეკლესიის მრევლი, რომელიც ერთადერთი ანგარიშგასანევი თრგანიზებული ძალაა ქართულ საზოგადოებაში. საპატრიარქოს კი, როგორც ჩანს, აფრთხობს მოარული ხმები ხელისუფლების ჩუმი გეგმების შესახებ, რომლებიც ეკლესიის საქმეებში ჩარევას გულისხმობს.

ის ფაქტი, თუ როგორი „სიამტკბილობაა“ საპატრიარქოსა და ხელისუფლებას შორის, სრულიად მოულოდნელად გამჟღავნდა გასული წლის 25 დეკემბერს, პატრიარქის აღსაყდრების დღეს. სწორედ ამ დღეს, ერთ-ერთმა ეპისკოპოსმა მისასალმებელ სიტყვაში თავად

კათოლიკოს-პატრიარქისა და პრეზიდენტის თანდასწრებით ბრძანა: „აგვისტოს შემაშფოთებელი თვის შემდეგ, როდესაც საქართველოს ჩამოაგლიფეს ნაწილები... ჩვენში დაისადგურა ერთგვარმა უიმედობამ. მაგრამ სულმნათი აკაკი ბრძანებს: გმირს წინა უძღვის ყოველთვის უძლური წინამორბედი. თქვენი ლოცვით გვაქვს მოლოდინი საქართველოს მომავალი დიდებისა“. ეს სიტყვები 25 დეკემბერს „კურიერმა“ გადასცა ჯერ ექვს საათზე, შემდეგ კი – ცხრაზე.

დღეს რეალობა ამგვარია, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პირველი რჩევისთანავე ხელისუფლების მიერ სრულად კონტროლირებად ტელევიზიში ყველაზე რეიტინგული გადაცემა იხურება. გასაკვირი სულაც არ არის, რომ ამით ხელისუფლების ზოგიერთ, განსაკუთრებით პატივმოყვარე წარმომადგენელს ლირსების გრძნობა ელახება. სავარაუდოდ, სწორედ მათი კარახით შეჩერდა ფაქტობრივად მიღებული გადაწყვეტილება გადაცემის დახურვის შესახებ. გამოცხადდა, რომ „დიდი ათეულის“ ბედი ორ დღეში გაირკვევა.

იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ხმაურის შემდეგ გადაცემა მაინც დაიხურება, ხელისუფლება თავს დაზარალებულად იგრძნობს. იმ შემთხვევაში, თუ გადაცემას არ დახურავენ, ალბათ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს დარჩება წყენა. დღეს ორივე მხარე, სავარაუდოდ, სამომავლო ნაბიჯებზე ფიქრობს და საკუთარ ძალებს წონის. რაც შეეხება სიტყვის თავისუფლებას, ის პირველ არხზე არ არის და არც არასოდეს ყოფილა. ამ არხის ცხოვრებს წესია კომფორტი და ურისკო ყოფა სწორედ სიტყვის თავისუფლების დათმობის ხარჯზე. ამიტომ, „დიდი ათეული“ დაიხურება, თუ არსებობას რაიმე ფორმით გააგრძელებს, საპატრიარქოს პოზიცია გაიმარჯვებს თუ ხელისუფლების, ამ აუზაურის მიუხედავად, პირველი არხის სალხინეთში ცხოვრება ძველებურად მშვენიერი დარჩება.

## პრივატული საუბრები

ავტორი: სალერო ნავორიანი

**პ**რთხელ, როცა გაზეთ „24 საათში“ ვმუშაობდი, ერთმა ჩემ-მა ნაცნობმა მჟითხა, – სად მუშაობო. მეც ვუპასუხე სადაც ვმუშაობდი, – „24 საათში“-მეთქი. ეგ რა არის, აფთიაქია? – მკითხა.

აფთიაქი კი არა, უარესი ყოფილა (აფთიაქში ადამიანები დადიან მაინც) „24 საათიც“, „ცხელი შოკოლადიც“ და კიდევ ყველა მაგისტანა უურნალ-გაზეთი. არადა, როცა იმ ჩემს ნაცნობს ვეუბნებოდი ჩემი სამსახურის სახელს, მიკვირდა, – აქამდე რატომ არ იცის, ეს ხომ გაზეთია, რომელსაც ყველა კითხულობს და თუ კითხულობს, ესე იგი, ჩემი სახელი და გვარიც ამოკითხული ექნება და რატომ ვერ მიხსენებს-მეთქი.

ეგ მაშინ მიკვირდა – იქამდე, ვიდრე მკითხავდნენ, – „24 საათი“ აფთიაქია? იმ დღის მერე კი აღარ მიკვირს ის, რომ საქართველოში სარეკლამო ბანერებისა და ფლაერების მეტს არაფერს არ კითხულობენ და აღარც ის მიკვირს, დათო ტურაშვილი ყოველ მეორე სიტყვას სასოწარკვეთილი რომ ამატებს, – წიგნი იკითხეთ. ალბათ, გავა ოცდაათი წელი და დათო ტურაშვილი იგივე ამპლუაში იქნება, უბრალოდ, კიდევ უფრო სასოწარკვეთილი, საქართველოში კი კითხვა საერთოდ დაავიწყდებათ. თუმცა, ეს სხვა თემაა და სხვანაირად სათქმელი, ახლა კი რამდენიმე დღის წინ პირველ არხზე გასული თოქ-შოუ „აქცენტები“ მინდა გავიხსენო,



რომელშიც მონაწილეობას ლაშა ბაქრაძე, შორენა შავერდაშვილი და ლევან ყუბანეიშვილი იღებდნენ. ამ ადამიანების თავშეყრის საბაბი შორს წაგიყვანს და ისიც, თუ რაზე საუბრობდნენ, იმიტომ, რომ ის გადაცემა იყო დემაგოგის და ბურჟუაზის ერმანეთთან შეტაკება, ბრძოლა, რომელიც დემაგოგიამ მოიგო. ამ დუელში აღმოცენდა ახალი ტერმინი, რომლის ავტორიც ლევან ყუბანეიშვილია. მან საჯარო დისკუსიას, რომელიც შემდეგ ურნალში დაიბეჭდა, „პრივატული საუბარი“ უწოდა.

სამწუხაროდ, პირველი არხის გენერალური დირექტორი „მართალია“ – ქართული პრესა მართლაც „პრივატულ საუბრებს“ ჰგავს, სკაიპს ან რომელიმე conference call-ს, რომელსაც რამდენიმე ადამიანი უსმენს ან კითხულობს. მიუხედავად იმისა, რომ ეს მართლაც ასეა – ქართულ პრესას დღეს, ფაქტობრივად, არანაირი ძალა არ გააჩნია და ამის მიზეზი ბევრი რამ შეიძლება იყოს: ქვეყანაში დემოკრატიის დაბალი ხარისხი, განვითარების ხარისხი, საშუალო ფერის არარსებობა... მაინც ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ ქვეყნის ყველაზე მძლავრი (იდეაში) მედია საშუალების გენერალური დირექტორი, რომელიც, წესით, მედიის ლოკომოტივი უნდა იყოს, ასე აზროვნებს – ქართული პრესა „პრივატული საუბარია“. სწორედ ესაა პრობლემა აზროვნებასა და აღქმის უნარში და ეს არა მხოლოდ ლევან ყუბანეიშვილის, არამედ ყველას ეხება (დათო ტურაშვილის გარდა), საზოგადოების ყველა ფენას, რომელიც ამ ქვეყანაში ცხოვრობს და ანგარიშვალდებულია ამ ქვეყნის წინაშე (ისევე, როგორც ქვეყანაა ანგარიშვალდებული თავისი მოქალაქეების წინაშე).

არ აქვს მნიშვნელობა, იმ მომენტში ლევან ყუბანეიშვილმა რა

კონტექსტში თქვა ის, რაც თქვა. ამ სიტყვებზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამაზე რეაქცია არ ჰქონია არავის, მხოლოდ შორენა შავერდაშვილმა იკითხა, – საჯარო დისკუსია პრივატული საუბრებიან? ეკა კვესიტაძეს კი, რომელიც წლების განმავლობაში სწორედ ბეჭდურ მედიაში მოღვაწეობდა (და კიდევ წერს, თუ არ ვცდები), საერთოდ რეაქცია არ მოუხდებია.

სამწუხაროა.

სამწუხაროა, რომ ამ სფეროში მომუშავე ადამიანებისთვის საპატრიარქო-„დიდი ათეულის“ ფსევდო-სკანდალი უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. არადა, ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს თითოდან გამოწვილი, ხელოვნურად შექმნილი თავის ტკივილია, რომლის მთავარი მიზეზი პირველი არხის სამეთვალყურეო საბჭოა.

სამწუხაროა, რომ ლელა კაცულია ვერ არის ისეთი წინასწარმეტყველი, როგორიც ამერიკელი წინასწარმეტყველი ედგარ კეისი იყო და რომელმაც სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე თქვა, – 21-ე საუკუნის ყველაზე დიდი პრობლემა აზროვნება და საკითხების არასწორად აღქმა იქნება. ედგარ კეისი ალბათ მთელ მსოფლიოს გულისხმობდა, და თუ წარმოიგიდებათ, რომ საქართველო მთელი მსოფლიოს ნაწილია, მისი სიტყვები ასრულდა და ასე აგიხდეთ ყველაფერი კარგი.

ჩვენ ძალიან ბნელები ვართ, შეიძლება – ანგოლელ მონებით მოვაჭრებსა და ჩრდილო კორეელ პატრიოტებზე მეტადაც კი. ამიტომაც, ჯერ ჩვენს აზროვნებას და ცნობიერებას უნდა მივხედოთ, უნდა ვისწავლოთ საკითხების სწორად აღქმა და ამას რომ ვისწავლით, მხოლოდ ამის შემდეგ ავტეხოთ ხმაური გია ჭანტუარიას „პიდარასტზე“ და კიდევ ვიღაც-ვიღაცების რაღაც-რაღაცებზე.

## ომი და გავიღობა

ავტორი: ნინო ბერიძე



**ს** მერიეის შეერთებულ მტატებთან სტრატეგიული ურთიერთობის ქარტიის გაფორმების შემდეგ „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში ვაშინგტონიდან ჩაერთო რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი და თქვა: გიორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ საქართველოს ასეთი მნიშვნელობის ხელშეკრულება არ გაუფორმებათ. როგორც ჩანს, გვიჩირს იმ მეტკიდრეობისგან გათავისუფლება, რაც რუსეთის 200-წლიანმა მონიბამ დაგვიტოვა და ამერიკასთან სტრატეგიულ შეთანხმებაზეც კი ავტედით ტრაქტატი გვაგონდება. ხელშეკრულებას საქართველოს მხრიდან ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ მოაწერა ხელი, რომელსაც ორმაგი მო-

ქალაქეობა აქვს – საქართველოსა და რუსეთის. ჩემს რუსეთის მოქალაქეობას შეხედეთ, როგორც დიპლომატიურ ინსტრუმენტს, – განაცხადა ვაშაძემ, თან დაუმატა, რომ ის რუსეთის სახელმწიფოს და არა პუტინ-მედვედევის მოქალაქეა და არ აპირებს თავისი ცხოვრების 30 წელს ხაზი გადაუსვას; თანაც, მისი თქმით, ეს ხელისუფლება რუსეთში თურმე მალე შეიცვლება. გრიგოლ ვაშაძე შეიძლება კოზირიც კი იყოს ქართული ხელისუფლებისთვის, მაგრამ როგორ გამოვიყენოთ საქართველოს საგარეო მინისტრის რუსეთის მოქალაქეობა ქვეყნისთვის, რომელიც გამუდმებით მუშტებზე იყურება და ურჩევნია, პატარა საქართველოს კი არა, მთელ მსოფლიოს ეშინოდეს მისი?

## კომიტეტი

ვიბენევით მაშინაც, როცა სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვან ობიექტებს რუსული ან ყაზახურს ამიფარებული რუსული კომპანიები ყიდულობდნენ. ბოლო დრომდე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები უარყოფნენ ენგურჲესის გასხვისებას. ან რუსეთან ერთობლივი მართვის შესაძლებლობას. მას შემდეგ, რაც ოპზიციამ განგაში ატეხა, ხელისუფლებამ განვიმარტა, რომ ენგურჲესის აქციათა 100 პროცენტი კვლავ საქართველოს სახელმწიფოს ეკუთვნის და რუსულ კომპანია „ინტერ რაოს“ მხოლოდ 10 წლის ვადით ერთობლივად გაეონტროლების უფლება გადაეცა. საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა ლაშა უვანიამ აგვისენა, რომ ეკონომიკური ურთიერთობები სხვაა, პოლიტიკური – სხვა, რომ ქვეყნები, რომლებიც ერთმანეთს ემშებიან, ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობენ; თუმცა, ვინ მონანილებდა მოღაპარაკებებში, როგორ მოხდა ამ ხელშეკრულების გაფორმება – დამალა. პირდაპირ თქვა, – არ ვიცი, ამ ხელშეკრულების შესახებ პირველად მეც უურნალისტებისგან გავიგე და შემდეგ დავინტერესდიო.

საუბრები იმაზე, რომ ქართველები და რუსები ერთმორნმუნები ვართ, რუსებს ქართული კულტურა განსაკუთრებით უყვართ და რუსებისნარად ქართველებს დედამინის ზურგზე არავინ აფასებს, დღესაც არ წყდება. ამაზე ლაპარაკობენ ეკლესიაში, ინტერნეტ ფორუმებზე, ბეჭდვით მედიაში, მოკლედ – საზოგადოება საუბრობს. მაგრამ ინფორმაცია, რომელიც დეკემბერში საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს, თოთქმის დაუკერძებელი იყო: „საქართველო მზადაა, 2009 წელს მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში ქართული კულტურის დღეები ჩატაროს. განცხადება ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში მეციტრუსეებთან გამარ-

ვაწენი იმაზე საუბარს და ვიშვიშს, რომ ის ხალხი, ვინც მოსკოვში მათ მოსასმენად და საყურებლად მივა, მართლაც არაფერ შეუძინა და მათ გულწრფელად ენატრებათ და უყვართ ქართველები. კულტურული ურთიერთობები იქნებ მართლაც არ უნდა შეენიროს პოლიტიკას, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების მიერ ორგანიზებული ქართული კულტურის დღეები მოსკოვში სწორედ რომ პოლიტიკური აქციაა.

უკვე ისიც ცნობილია, რომ „ევროვიზიის“ საერთაშორისო კონკურსზე, რომელიც წელს მოსკოვში გამართება, საქართველო მონანილებას მიიღებს. ქართული მხარე აცხადებს, რომ „ევროვიზიის“ საერთაშორისო კონკურსის ორგანიზატორები დიდი ხნის განმავლობაში ემუდარებოდნენ ქართველებს, პოლიტიკური ნაშინის გამო, უარი არ ეთქვათ კონკურსში მონანილებაზე. მათაც რა ექნათ?! აგვისტოს შემდეგ ისეთ იაფიასიან კონკურსსაც კი, როგორიც „ევროვიზია“, ვერ ვთმობთ. 1980 წელს, ცივი მოის დროს ამერიკის დელეგაცია არ ჩაიდა მოსკოვს ლომპიადაზე. ეს ახალი თაობისათვის – ვინც არ იციოთ და არ გახსოვთ.

ქართული მხარე ოფიციალურად აცხადებს, – სანამ აფხაზეთსა და ოსეთში რუსული საელჩოებია, საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები არ აღდგება. მაგრამ ეჭვი გვიჩნდება, რომ, რაც რუსეთმა ცეცხლითა და მახვილით ვერ შეძლო, ახლა იმის გავეთებას „სიყვარულით“ აპირებს. დეკემბერში რუსეთის პრეზიდენტი შეხვდა საქართველოს პატრიარქს. ამ შეხვედრიდან დაბრუნებული პატრიარქი საქმაოდ დაიმედებელი გახლდათ: „საქართველოს სჭირდება ძლიერი რუსეთი, ისევე, როგორც რუსეთს სჭირდება ერთიანი და მეგობრული საქართველო. ვფიქრობ, რომ ღვთის შეწევნით ჩვენ ამას მივაღწევთ.“ საინტერესოა ისიც, რომ მოსკოვში ყოფნისას პატრიარქი ქართული სათვისტომოს წევრებს და მოსკოვში საქართველოს დიასპორის ხელმძღვანელს მიხეილ ხუბუტიასაც შეხვდა. პატრიარქმა მოსკოველ ქართველებს სამშობლოში დაბრუნება შესთავაზა, უქადაგა და მათგან საჩუქრებიც მიიღო. პატრიარქის მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ილია II სწორედ მისი დავალებით იყო მოსკოვში ჩასული. მეორე დღესვე რუსები თითქმის გავიდნენ პერევიდან, იქ ქართული პოლიცია შევიდა, მაგრამ მალევე დაბრუნდნენ, თანაც – გაზრდილი სამხედრო კონტინგენტით და დღემდე იქ არიან.

ზემოთ ნახსენები მიხეილ ხუბუტია მოსკოველი ბიზნესმენი და „ედინაია როსიას“ წევრია. დეკემბერში ხუბუტია სრულიად გასაოცარ განცხადებებს აკეთებდა რუსული მედიით – თითქოს სააკაშვილს შეხვდა და ესაუბრა, თითქოს საქართველოს პრეზიდენტისაგან თბილისში ახალი რუსული სკოლის გახსნებიც შეთანხმდნენ. ამ ბოლო დროს იმასაც ხშირად აღნიშნავს, რომ საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობის მოგვარება მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია და დღევანდელ პოზიციას ამის უნარი არ შესწევს. მიხეილ ხუბუტია მოსკოვში 2 თებერვალს „ქართველთა კონგრესს“ გამართავს, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტი მედვედევიც დაქანირება მოწვეული სტუმრის სტატუსით. კონგრესზე საქართველოდან 1500 კაცია მიწვეული. საქართველოს მთავრობის წევრებმა უარი თქვეს ამ შეხვედრები მონაწილეობაზე. ხუბუტიამ ქართველთა კონგრესი მეტი პომპეზურობისთვის კათალიკოს-პატრიარქის მოსკოვში ვიზიტს დამთხვევა, რომელიც საეჭვოა, რომ ამგვარ ღონისძიებაზე საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე მიღიოდეს. ისიც საკარაუდოა, რომ 1500-კაციან თუ არა, 1000-იან ამაღლას მაინც გაიყოლებს თან.

## ცოტა ძილი წარმოსალგენია, რომელ შეიძლება ევენიასთან ერთსა და იმავე დროს სამარ მლგომარებაში იყო და თან იქ „კულტურის დღეების“ გამართვაზე საჯაროდ საუბრობელი მოსკოვში ერთვის კართველთა კოლეგიუმის საკვა-თამაში, თუდას გულა გულა და და იყოს, ძილი წარმოსალგენია. საქართველოს პრეზიდენტმა ამ საკითხზე ჯერ ბათუმელ მეციტრუსეებთან ილაპარაკა, ასე ვთქვათ, ფონი მო- სინჯა და ალბათ ელოდება, როდის დაიწყებენ ჩვენი კულტურის მოღ



# EVITA PERONI®



## EVITAPERONI-ის მაღაზია თბილისში

აბაშიძის 24-ში გაიხსნა ცნობილი მსოფლიო ბრენდის EVITAPERONI-ის ქალბატონების აქსესუარების მაღაზია. ბრენდი EVITAPERONI დანიურ კომპანია DEICHMANN + CO-ს ეკუთვნის, რომლის ქალბატონების მსოფლიოს 40 ქვეყანაში 150-ზე მეტ მაღაზიას ითვლის. საქართველოში და ამიერკავკასიაში EVITAPERONI-ის ბრენდს ქართული კომპანია Nexus House LLC წარმოადგენს, რომელიც ბრენდის ექსკლუზიური წარმომადგენელია. EVITAPERONI-ის თბილისის მაღაზიაში დანიური წარმოების სხვადასხვა ხელნაკეთი აქსესუარი გაიყიდება. „ბრენდი ქალბატონებისთვის წელიწადში ექვს ახალ კოლექციას წარმოადგენს. კოლექციები წებისმიერი გემოვნების ქალბატონებს დააკმაყოფილებს. პროდუქციის ფასები კი მათ საშუალებას მისცემთ, ხშირად განაახლონ და გაამრავალდეოროვნონ საკუთარი აქსესუარების კოლექცია,“ – განაცხადა ბრენდის წარმომადგენელმა ხოსე ვალინასმა. 2011 წლამდე საქართველოში EVITAPERONI-ის კიდევ 2 მაღაზია გაიხსნება. ამ დროისთვის ბრენდის მაღაზიები სომხეთსა და აზერბაიჯანშიც დაიწყებს ფუნქციონირებას.





თავშესაფარი, ლაზა, სავარი 2008

## გამობლის ჩანაწერი

შირა გაფენისა და ეფხარ კარატის ავტორობით  
იგბლისურილი თარიღი თარიღი თარიღი

შვილები იყვნენ. გვესმის, რომ გულუბრყვილობაა ასე ფიქრი. გვესმის, რომ ისინი განწრას გვესვრიან დასახლებული რაიონებიდან; გვესმის, რომ სამხრეთ ისრაელშიც აუარება ბავშვი დატანკულა და დღემდე იტანჯება, ფიზიკურად და ემოციურად, და ისიც ვიცით, რომ „ჰამასი“ ყველა მაღალჩინოსანს მათი განცდები და ტრაგები ნერვს არ უტოვებს.

უბრალოდ, ჩვენ გვყავს შვილი, 3 წლის ბიჭი, რომელიც ყოველ დილას შემოძრება ხოლმე ჩვენს საწოლში და, – ცხელი კაკაო დამალევნეთო, – ითხოვს. და როცა მასთან ერთად ვწევართ ლოგინში და ვხვდებით, თუ როგორი ცივი და ცარიელი იქნებოდა ჩვენი საბანი მის გარეშე, ზუსტად ვგრძნობთ, რომ არც ერთი იდეა და მიზანი არ ამართლებს შვილის მშობლის კალთიდან მოგლეჯას. დიახ, ჩვენი მტრები ალპათ არ ფიქრობენ ასე. მერე რა. ჩვენი მტრები ხომ გრძელ წერსაც ატარებენ და ალაპ ალ-ა-ბარს გაპეივიან. და, როგორც დედატვენებმა გვასწავლეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ცუდად მოგვეკცნენ, ბოროტად მაინც არ უნდა გავუსწორდეთ სხვებს. ომს არა მხოლოდ ჩვენი სიცოცხლისა და მიწის-თვის ვანარმოებთ, არამედ ჩვენი იდენტობის შენარჩუნებისთვისაც. დიახ, ჩვენი პრინციპულობა შეიძლება ალიქვან, როგორც ჩვენივე სისუსტე, მაგრამ კიდევ უფრო მეტი სისუსტე იქნება, უფლება მიუცეთ მტრეს, თვითონ მოგვაციოს თავს მორალი და ღირებულებები, რითაც ცხოვრებაში უნდა ვიხელმძღვანელოთ.

სულ რამდენიმე წლის წინათ ყოველი დაგეგმილი სპეციალისაც, რომელსაც უდანაშაულო გამვლელების მსხვერპლი მოჰყვებოდა, სავარრ განხილვების საგანი ხდებოდა. ამ ბოლო საპარო დაბომბვებს კი, რომელთაც ასობით უდანაშაულო მოქალაქის სიცოცხლე ემსხვერპლა, ეჭვის ნაპერნეალიც კი არ წარმოუშვია. თითქოს, საზოგადოების ზნეობა თვალსა და ხელს შუა დაჩილუნგდა ისე, რომ დღეს უკვე საკუთარ თავს უფლებას ვაძლევთ, იოლად მივიღოთ მოვლენები, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ გაუსაძილისი იქნებოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვაც ესაა – რატომ მოხდა ასე. ნუთუ ვიგრძენით, რომ ჩვენს არსებობას ექმნება წარმოუდგენლად დიდი საფრთხე? თუ უიმედობამ დაგვრია ხელი, გამოგვახმო და გაგვაქვავ?

ბატონმა ოლმერტმა კეთილი ნება რომც გამოიჩინოს და მოგვისმინოს, ალპათ გვიპასუხებს, რომ განზე მდგომი კაცისთვის კრიტიკა და დაკირვება იოლია; და რომ უმჯობესია, ამის ნაცვლად, ახალი ალტერნატივები შევთავაზოთ. ნეტავ კი გვერდებს სასწაულმოებები წამალი, რომელიც ახლო აღმოსავლეთს მთელი თავისი სნეულებებისგან განკურნავდა, მაგრამ ვინაიდან არ ვფლობთ დიდ სიბრძნეს შემდეგი გვაძლევის შემთხვევაში, ამ სტრატეგით ჩვენი და ჩვენი შვილების უსაფრთხო მომავალსა და მთელი ახლო აღმოსავლეთის მშვიდობასაც რომ უზრუნველყოფდეთ.

**ს**აბავშვი ბალში, რომელშიც ჩვენი შვილი დადის, 22 ბავშვი სწავლობს, მაგრამ ზამთარში, როცა ყოველი მეორე გაციებულია, ბალში დიდი-დიდი 17 ბავშვი თუ მოგროვდება ხოლმე. 17 – ზუსტად ამდენი ბავშვი მოკლეს ორი დღის წინ დაზაში. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ორი დღის წინ დაზაში მთელი საბავშვო ბალი ამოულიტეს.

ომის დაწყების დღიდან გაჩინდა საბრძოლო მოქმედების წარმოების უამრავი სამხედრო თუ პოლიტიკური სტრატეგია. ციდან დავბომბოთ თუ ფეხოსანი არმია შეუტვათ, „ჰამასი“ მოვარღვიოთ, თუ ისე მივიმწვდიოთ კუთხეში, რომ მოლაპარაკებებზე თვითონ წამოვიდნენ. ამ წერილში ჩვენ მოვინდომეთ, ამ აუარება კომენტარებისა და სტრატეგიების ზღვა რაღაც ახლით შეგვევსო. ჩვენს შემოთავაზებას არაფერი აქვს საერთო კარგად წაცად „სახურავის სტრატეგიასთან“ (როცა წინასწარ აფრთხილებნ საცხოვრებელ სახლებს, შესაძლოა, სამიზნე თქვენი კორპუსი აღმოჩნდესო და როცა ბავშვები და ქალები სახურავზე აპყავთ, თვითმფრინავებიდან მათი გარჩევა რომ შეძლონ და სახლი არ დაბომბონ). არც ეგვიპტელი მედიატორების საქმეში ჩართვას ვითხოვთ, რათა მათ მაინც შეძლონ, დროებითი მშვიდობის აღდგენის შესახებ შეთანხმების მიღწევა. ჩვენი წინადადება განკუთვნილია პრემიერ-მინისტრისთვის, ამ წინადადების აგტორები კი ვართ ორი ჩვეულებრივი მოქალაქე, რომელთაც მას ხმა არც მისცეს. აი, ჩვენი იდეაც: როდესაც გადმოიღებთ სუფთა ფურცელს და დაიწყებთ თქვენს ხელთ არსებული პოლიტიკური და სამხედრო შესაძლებლობების ჩამონერას, უარი თქვით გეგმაზე, რომელიც საბავშვო ბალების განადგურების საფრთხეს შეიცავს. მეტს არაფერს ვითხოვთ. განიხილეთ დანარჩენი გეგმები სერიოზულად და აირჩიეთ, რასაც აირჩევთ. მაგრამ როდესაც მიხვდებით, რომ თქვენი გეგმის განხორციელებას შეიძლება ათეული ბავშვის სიკვდილი მოჰყვეს, გთხოვთ, ბატონო ლომერტ, წითელი ფანჯრით გადახაზეთ ეს გეგმები. წითელი ფანჯრით გადახაზეთ თუნდაც იმ შემთხვევაში, ამ სტრატეგით ჩვენი და ჩვენი შვილების უსაფრთხო მომავალსა და მთელი ახლო აღმოსავლეთის მშვიდობასაც რომ

შესაძლოა, ჩვენ მართლა ვცხოვრობთ პლანეტის ყველაზე სისხლიან მინაზე, მაგრამ გვჯერა, რომ სირთულეების მიუხედავად, მაინც შემოგვრჩა არჩევანის ნება და შანსი. და როცა არჩევანზე მიდგება საქმე, ჩვენ ვირჩევთ მომავალს, რომელიც ბავშვების გვამებზე არ იქნება აგებული, თუნდაც ეს ბავშვები ჩვენი მტრების



# ომის რაციონალიზაცია

ავტორი: იაჩო კაჭაშვილი

**6** ებისმიერი მოვლენის, მათ შორის ომის, შეფასების ორი სტრატეგია არსებობს: მორალური (ეთიკური) და სოციალური (ან სოციალურ-პოლიტიკური). მორალი, თავისი სუბსტანციური არსით, მეტაფიზიკურია, ანუ უცვლელი. მეტაფიზიკური მორალი აბსოლუტურ ღირებულებებთან არის წილნაყარი და ვერ ეგუება სიტუაციურობას, კონტექსტუალობას, რელატიურობას. აბსოლუტური (მეტაფიზიკური) მორალის წყარო არის ღმერთი. მეტაფიზიკური მორალის პრინციპებიდან გამომდინარე, ომი (კაცის კვლა) უპირობოდ წარმოადგენს ბოროტებას. შეუძლებელია, მეტაფიზიკურმა მორალმა დაუშევას ასეთი პირობა: კაცის კვლა, ზოგადად, მიუღებელია, თუმცა, ომის კონტექსტში – გამართლებული. ღირებულებათა რელატიურობა ანგრევს აბსოლუტურ მორალს.

თუმცა, სოციალური ცხოვრების (ან თანაცხოვრების) მოწყობის თავისებურებები გვეარნახობს, რომ მეტაფიზიკური მორალის პრინციპების მიხედვით საზოგადოების მშენებლობის განზრახვა წმინდა წყლის უტონია, რომლის განხორციელების მცდელობამ ტოტალიტარიზმდე შეიძლება მიგიყვანოს (რელიგიურ-ფუნდამენტალისტური სახელმწიფოების არსებობა ამის საუკეთესო მაგალითია). ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხშირად ის, რაც აბსოლუტური მორალის კუთხით მიუღებელი და გაუმართლებელია, სოციალური თვალსაზრისით, შეიძლება მისაღები და გამართლებული აღმოჩნდეს. ამის ყველაზე უტრიორებული მაგალითია პროსტიტუციის ინსტრუმენტის საზოგადოების ლოგიკისთვის – ადეკვატური, და დღეს ცივილიზებულ ქვეყნებში არავის მოუვა აზრად ბორდელების აკრძალვა.

მაშასადამე, სოციალური ცხოვრება, თავისი ხასიათით, იმდენად ჭრელი და მრავალფეროვანია, რომ მის მოქცევას ერთ – მორალის – განზომილებაში ადამიანთა მისწრაფებების იგნორირებამდე და უფლებების შელახვამდე მივყავართ. რასაკვირველია, აქედან

ერთი ნაბიჯია დარჩენილი თვითნებობისა და ქაოსის ლეგიტიმაციამდე. თუმცა, თანამედროვე ლიბერალურმა დემოკრატიამ ამ მეორე უკიდურესობის თავიდან ასაცილებლად ასეთი პარადიგმა შემოიტანა – ყველაფერი ნებადართულია, რაც თავის თავში სოციალურ საშიშროებას არ ატარებს. შესაბამისად, აბსოლუტური მორალის პარალელურად, არსებობს სოციალური მორალი (ეთიკა), რომელიც ცდილობს, სოციალურ და პოლიტიკურ ქმედებებს მიზანშეწონილების გარკვეული ფარგლები დაუწესოს. ამას სხვანაირად რაციონალიზაციას უწოდებენ, რომელიც შეიძლება აღინეროს როგორც მოქმედების მართვა გონიერის კარნაზით, როდესაც წინასწარ გათვლილია მოქმედების შესაძლო შედეგები.

რალა თქმა უნდა, სოციალური ეთიკის და რაციონალიზაციის პრინციპი ომთან მიმართებამიც მოქმედებს. ამ შემთხვევაში, მსჯელობა იმას არ ეხება, შეიძლება თუ არა ომი, ზოგადად, ჩაითვალოს ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ ეფექტურ ინსტრუმენტად. სოციალური ეთიკა, ამ პრინციპული დაშვების ფონზე, აყალიბებს მეტარეგულაციებს, როგორიცაა, მაგალითად ის, რომ საარტილერიო ან საავიაციო დაბომბვისას ბომბები მშვიდობიან მოსახლეობას უნდა ააცილო, ანდა ის, რომ წითელი ჯვრის წარმომადგენლებს უნდა მისცე ბრძოლის ველზე თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა, ჟურნალისტებს არ უნდა ესროლო და ა.შ. სხორცედ ომის რაციონალიზაციის პროდუქტია ისეთი პოლიტიკური ფორმულები, როგორიცაა: „ძალის პროპორციული/არაპროპორციული გამოყენება“, „მისაღები/მიუღებელი იარაღი“, „მინიმალური მსხვერპლი“ (როგორც წარმატებული სამხედრო ოპერაციის ერთ-ერთი ინდიკატორი) და სხვ. (ყველას გვახსოვს, აგვისტოს მოვლენების დროს ძალის „არაპროპორციული გამოყენების“ ფორმულამ ყველაზე კარგად „იმუშავა“ ჯერ რუსეთის აგრძისის აღსანერად საქართველოს წინააღმდეგ, ხოლო მოგვიანებით ევროსაბჭოს დასკვნაში ეს ფორმულა საქართველოს

## კომიტეტი

ხელისუფლების მისამართითაც გამოიყენეს ცხინვალის წინააღმდეგ შეტევის შესაფასებლად.

ომის რაციონალიზაციის შედეგია ე.ნ. „პრაგმატული პაციფიზმის“ კონცეფციაც, როგორც „ლირებულებითი პაციფიზმის“ ჩანაცვლება. ქართველი (და არა მხოლოდ) პოლიტიკოსებისაგან და „ჩვეულებრივი“ მოქალაქეებისაგან ხშირად გვესმის, რომ ისინი საქართველოს დაკარგული ტერიტორიების ძალის გამოყენებით დაპრუნების წინააღმდეგი იმიტომ კი არ არიან, რომ ეს მეთოდი მიუღებელია ლირებულებითი თვალსაზრისით, არამედ იმიტომ, რომ საქართველოს ამის რესურსები არა აქვს, მით უფრო, რუსული აგრძესის ფონზე.

სოციალური ეთიკა, თავისი არსით, კონვენციონალურია და სწორედ ეს ქმნის მისი პრინციპების სხვადასხვაგარი ინტერპერაციის შესაძლებლობას. კონვენციის წყარო შეიძლება იყოს ესათუ ის სოციალური ჯგუფი, პოლიტიკური პარტია, ორგანიზაცია ან, სულაც, სახელმწიფო (უკეთ, ხელისუფლება). ყველაზე ცუდი ისაა, როდესაც ხდება ამა თუ იმ ინტერპრეტაციის მონოპოლიზება და იდეოლოგიზირება, როს შედეგადაც საზოგადოებაში ბატონდება ერთი მიდგომა ან ხედვა. ასეთი მონოპოლიზება ყველაზე ეფექტურად ხორციელდება მაშინ, როდესაც მის სათავეში ხელისუფლება ან რომელიმე გლობალური სტრუქტურა (მაგალითად, საერთაშორისო ორგანიზაციები) დგას. ამ შემთხვევაში, არაჩვეუ-

რომ განსხვავებული შეფასებები ერთ ობიექტურ შეფასებად „გადავადნოთ“. როდესაც მოდერნულ საზოგადოებას წინამოდერნულისაგან განასხვავებენ, სოციოლოგები ყოველთვის მიუთითებენ ამ განსხვავების ერთ-ერთ ყველაზე ძირულ ინდიკატორზე – მოდერნულობა ალტერნატივათა ლეგიტიმაციის ახდენს, ხოლო წინამოდერნულობა – ალტერნატივების არსებობას განიხილავს ნაკლოვანებად, რომელიც უნდა დაიძლიოს. ქართული საზოგადოება ამ ნიშნითაც აკმაყოფილებს წინამოდერნულ საზოგადოების წევრად ყოფნას. ამის დადასტურებას წარმოადგენს თუნდაც ისრაელ-პალესტინის მიმდინარე კონფლიქტის მიმართ დამოკიდებულება. როლები განაწილებულია: ისრაელი – ტერორიზმთან ბრძოლის გმირი, პალესტინა – ტერორისტული ორგანიზაციების („ჰამაზი“ და სხვ.) თავშესაფარი და პროგრესული კაცობრიობის მტერი. არავითარი ეჭვი, არავითარი დისტანცირება ამ სტერეოტიპებსგან და სტიგმებისგან. კარგა ხანია, ცნობილი ამბავია სოციალურ ფიქტოლოგიაში: ინტერაქციის ყველაზე უფრო მომზიფებული ფორმა ისაა, როდესაც შეგწევს უნარი, რაც შეიძლება ბევრ როლში „განივთდე“, რომ სხვათა პოზიციონან შეხედო ამა თუ იმ მოვლენას და ეს პოზიციები დააბალანსო. ასეთი კულტურულ-რელატივისტური დამოკიდებულება თავიდან აგვაცილებს პატერნალიზმს და ქსენოფობიას. მხოლოდ ამ შემთხვევაში გაჩნდება პასუხისმგებლობის გრძნობა, კრიტიკული

## აბსოლუტური (მეტაფიზიკური) მორალის წყარო არის ლეირობი.

მეტაფიზიკური მორალის პრინციპების გამომდინარე, რომ (კაცის კვლა)

უპირობოდ ნარმოადგენს პოროცენტას. შეუძლებელია, მეტაფიზიკურმა

მორალის დაუშვას ასეთი პირობა: კაცის კვლა, ზოგადად, მიუღებელია, თუმცა,

რომ კონცეპსიზი – გამართლებული. ლირებულებათა რელაციური პრინციპების განვითარება.

აბსოლუტურ მორალს.

ლებრივად მობილიზებული საჯარო ურთიერთობის (PR) სამსახურები ახდენს საზოგადოებრივი ცნობიერების ზომბირებას და მის ერთ – დამკეთისთვის სასურველ – განზომილებაში მოქცევას. საზოგადოებრივი ცნობიერების ზომბირების მაგალითები უამრავია: ამერიკელების მიერ ერაყის ინტერვენციის გამართლება ტერორიზმთან ბრძოლით; ისრაელის, როგორც მუსლიმური სამყაროს პერმანენტული „მსხვერპლის“, იმიჯი: რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ აგრესის უალტერნატივობა („როგორც უნდა მოვქცეულიყავით, რუსეთი მაინც დაგვარტყამდა“), ნატო-ში განევრიანების დასახვა პანაცეად და ბევრი სხვა. საინტერესო ისაა, რომ თავისთავად ეს იდეოლოგიზირებული მესიჯები სრულიადაც არ არის ყალბი – ისინი განსაზღვრული მიდგომის გამოვლენაა და, ცხადია, არსებობის ისეთივე უფლება აქვთ, როგორც მათგან განსხვავებულ ან დაპირისპირებულ დისკურსებს. სიყალბის სამოსელში ისინი მაშინ ექცევიან, როდესაც საპირწონედ აღარ ხვდებათ არანაირი ალტერნატიული მოსაზრება და, ამდენად, ერთადერთი შესაძლო ინტერპრეტაციის პრეტენზიას იძენენ.

სამწუხაროდ, ჩვენ სწორედ ასეთ, ერთგანზომილებიან საზოგადოებაში ვცხოვრობთ: ყოველთვის ვცდილობთ, დავიჯეროთ „ერთადერთი სწორი“ რეალობის არსებობა, ყოველთვის გვინდა,

რეფლექსის უნარი და დაიბადება ჯანსაღი, ხშირად პასუხგაუცემელი შეკითხვები: რატომაა მუსულმანი ფანატიკოსის მიერ (რომელსაც თავისი რელიგია კარნახობს, რომ მხოლოდ მაშინ ცხონდება, თუ თავის მტერს იმქვეყნად გაიყოლებს) მაღაზის ან მეტროს აფეთქება – ტერორიზმი, ხოლო ისრაელის მიერ უდანაშაულო პალესტინელების ამოხოცვა – „ტერორიზმთან ბრძოლა“? რატომ იყო ერაყის კულტივური შეჭრა ინტერვენცია, ხოლო ამერიკის ერაყში შეჭრა – ამ ქვეყნის გათავისუფლება? რატომ შეიძლება პოლიტიკოსს (ჯ. ბუშს ვგულისხმობ), რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის ომს იწყებს გაერო-ს რეზოლუციის გარეშე და საერთაშორისო ნორმების იგნორირებას ახდენს, კანონის უზენაესობის პატივისცემა „დააბრალო“? იქნებ ის, რაც გუშინ ტერორიზმთან ბრძოლის სახელით ღაბას სექტორში (და ბევრ სხვა ადგილასაც) კეთდებოდა, სხვა არაფერია, თუ არა უცხო კულტურის ძალისმიერი ინტერვენცია ლოკალურ კულტურებზე, როგორც გლობალიზაციის ყველაზე ცუდი გამოვლინების მანიფესტაცია?

ეს ის შემთხვევაა, როდესაც შეკითხვების დასმა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათზე პასუხის გაცემა.



# GPI Card

**GPI Card** „ჰიპიათ ჰოლდინგი – ვენის სადაზღვევო ჰგუფი”-ს  
კიდევ ერთი ინოვაციური პროდუქტი



„ჰიპიათ ჰოლდინგი - ვენის სადაზღვევო ჰგუფი” ახალ წელს ახალი პროექტით ხდება. კომპანია მომხმარებელს ახალ ფასდაკლების ბარათს – „ჰიპიათ ქარდს” სთავაზობს.

„ჰიპიათ ქარდის” გამოყენება რამდენიმე ასეულ სავაჭრო თუ მომსახურების ობიექტშია შესაძლებელი. ბარათის მფლობელს დახარჯული თანხის გარკვეული ნაწილი პერსონალურ სადაზღვევო ანგარიშზე „ჰიპიათ ჰოლდინგში” უბრუნდება და სარგებელი ერიცხება.

დაგროვილი თანხის გამოყენების რამდენიმე ალტერნატივა არსებობს – სამედიცინო დაზღვევის საოჭახო პაკეტების, ავტოდაზღვევის შესტანა, ან თანხის საპენსიო ანგარიშზე გადატანა, რომელსაც გარკვეული

პერიოდის გასვლის შემდეგ ბარათის მფლობელი სურვილისამებრ გამოიყენებს.

ამ სიახლესთან ერთად „ჰიპიათ ქარდისგან” წლის მანძილზე მომხმარებელს არაერთი სიურპრიზი და საჩუქარი ელოდება. „ჰიპიათ ქარდის” გამოყენება 10 იანვრიდანაა შესაძლებელი. „ჰიპიათ”-ს მომხმარებლებს ბარათი საჩუქრად დაურიგდებათ, მისი შეძენა კი „ჰიპიათ”-ს მომსახურების ცენტრებში წებისმიერ მსურველს შეუძლია.

„ჰიპიათ ქარდის” პრეზენტაცია 28 დეკემბერს გაიმართა კლუბში „თუ საიდ”.

## გახმოვანებაში დაკარგულები

აზოვი: სალომ კიკალაშვილი

**3** უძღვი ჩემს 8 წლის შვილს ანას, რომელმაც ამ სტატიაზე მუშაობის სას მთხოვა, – თუ კინოს დირექტორს დაუუკეკავ, აუცილებლად უთხარი, რომ მე შენუხებული ვარ ქართული გახმოვანებით. და ისიც უთხარი, რომ „ვააფშე“ მთელი ქალაქი შენუხებულია.

კარგად მახსოვს ეს დღე. ჯეომს ბონდის ახალ სერიას ვუყურეთ და გარეთ ცოტა განპილებულები გამოვდიოდით. ვერ გეტყვით, რისი ან ვისი ბრალი იყო, ბონდის თუ ჩემი ინგლისურის, მაგრამ ფაქტია, რომ ქართულად გახმოვანებულის სანახავად ვერ გავრისკეთ წასვლა. ვიღაცამ მითხრა, – ბონდის ქალს ქალი-ტაფა ახმოვანებსო, – და ამიტომ ფილმის ორიგანალში წახვა ვარჩიეთ. სხაპასხუპით მოლაპარაკე ბონდინას გმირებისან ბევრი ვერაფერი გავიგეთ – არა მარტო ჩვენ, არამედ დარბაზის 90%-მა, რომელმაც ფილმს, გაკმენდილ-გასუსულმა უყურა, და ყველამ ერთად და-გასკვენით, რომ action-ის გარდა, ფილმში არც არაფერი ვარგოდა.

– ვაა, როგორ ხა? შენა და, მოგეწონა ფილმი? – ძლივს ისმის ვიღაცის ხმა გამოსასვლელ კართან

– აპა, უპრალიდ დავიტანჯე რა, რალაცები არ მესმოდა, – პასუხობს მაღალი ტიპი, ბოლოდან

– ბიჭო, არც მე, მაგრამ შემეშინდა... შენ შონზო-ზვიოს გახმოვანებული გინახავს რამე?

– ნტ!...

– აუუუ... არ იცი, ეგ რა არის, ისევ ინგლისურს ვუყურე რა... ქართულ გახმოვანებულზე როგორ წავიდოდი... ეგენი რომ ყოფილიყვნენ?

### კრიტიკა №1

#### ეგენი რომ ყოფილიყვნენ

შორინიან დავიწყებ. სექტემბრის შუა რიცხვები იყო, 19 თუ არ ვცდები, როდესაც კინოთეატრ „რუსთაველის“ წარმომადგენლებმა ხმამაღლა განაცხადეს, – დღეიდან და სამუდამოდ კინოთეატრებში ფილმებს მხოლოდ ქართული გახმოვანებით გიჩვენებთ. ასეთი წაუცბათევი წაბიჯი ბოლო დროს განვითარებული პოლიტიკური მოვლენებით იყო განპირობებული, რადგან სანამ საქართველო დათ-ს ქვეყნებში შედიოდა, ფილმების ერთადერთი მომწოდებელი დიდი რუსეთი იყო. ამიტომაც, იქიდან შემოსული, უკვე რუსულ ენაზე დუბლირებული ფილმები უცვლელად გადიოდა ჩვენ-

თან – რუსულად. ომის შემდეგ კი, როდესაც საქართველომ დსთ-დან გამოსვლაზე გააკეთა განცხადება, კინოთეატრების წარმომადგენლებმა დისტრიბუტორი ქვეყანა ლონდონის სტუდიებით ჩაანაცვლეს. ლოგიკურია, რომ ლონდონიდან ჩამოსული ფილმები ინგლისურ ენაზეა და ამიტომაც, ფილმების დუბლირების აუცილებლობა შეიქმნა. კარგად მახსოვს, მაშინვე ითქვა, – ქართულად დუბლირების გარდა, ფილმები ზოგჯერ სუბტიტრებით გავა ეკრანზე. შევშინდი, ძალიან შევშინდი. რადგან მე, როგორც ქართული გახმოვანების შედეგად ტრავმირებულ ადამიანს, თავში მაშინვე ამომიტივტივდა „გლდანელი ქალბატონის“ მიშა ანდლულაძის გაფუჭებული მმონტი („გამყინვარების პერიოდი“), სოროსის ფონდობანა „მადაგასარში“, ჯეომს ჯონდის (ბონდის) პური მშივა ქალხო და ზოიოს შეუდარებელი, ქართლული ნიღაბი; რასაც, სრულად ლოგიკურად, ხასიათის დამძიმება და სრული უიმედობის განცდა მოჰყვა. ბავშვები რომ არ დაშვებოდნენ „საძმოს“ დამუ-

შევებულ ანიმაციებზე, ეს უკვე ვიცოდი, მაგრამ ნუთუ ახლა ფილმშაც ვეღარ ვნახავ-თქო?! ახალ ამბავს აქტივური ფორუმელებიც გამოეხმაურენ ვებ-გვერდით – „კინოში წასვლა აღარ ლირს“. სათაურიდან გამომდინარე, მიხვდებოლით, რომ მის გვერდებზე გამართული დისკუსია ცუდ გახმოვანებას და „შონზო, ზოიო და საძმოს“ თემას უტრიალებდა: „სანამ რუსულ გახმოვანებაზე ვიტყოდით უარს, ხომ არ აჯობებდა, ქართული გახმოვანების დონე აგვემალლებინა, სულ ცოტათი მაინც, თუნდაც სამუალომდე“; „ეს იგი, კინოში ვეღარ წასვლავარ თუ ისევ შონზო და მისი საძმო გაახმოვანებს, – „ჩაიცუცექ ძმაო, ტერმინატორა ვარ“; „ერთადერთი დარჩა, დაჯდე სახლში, ინტერნეტიდან ქაჩი ფილმები and relax,“ – ენერა ბოლოს.

მართალია, ჩვენდა საბედნიეროდ, „საძმო“, რამდენიმე თვეა, რაც დუმს, თველემს – უფრო სწორად, მაგრამ ახალი სეზონის ფილმების ნახვისას კიდევ ერთხელ დაგრძელებული, რომ ქართული კინოთეატრების პრობლემა არამარტო ეს დიდი „საძმოა“.

ნლების მანძილზე ფილმები ქართულად ხმოვანდებოდა კინოსტუდის ჩანელებულ პავილიონებში, იმ განსხვავებით, რომ ხმის ჩამწერ პულტ-თან მსახიობები იდგნენ! რაც მთავარია, სწორად შერჩეული მსახიობები, რადგან გახმოვანება ცალკე პროფესია და სამსახიობო ფაკულტეტის დამთავრება, თუნდაც ფრიადზე, სრულებით არ ნაშავს კარგ გამზმოვანებელს. შეიძლება ძნელი წარმოსადგენი იყოს, მაგრამ მაყურებლისთვის საყვარელი ქართული კინოს არაერთი ცნობილი გმირი ხომ სულ სხვა მსახიობებმა „გააცოცხლეს“ და აალაპარაკეს ეკრანზე. მარტო ეროსი მანჯგაღალაძის პიპინია რად ლირს, ანდა მისივე ქრისტეფორე?! ეროსი ხომ ფილმიდან ფილმში „ალაპარაკებდა“ ვასილ ჩხაიძეს; ლეილა ძიგრაშვილის გახმოვანებული მთავარი როლები ფილმებში: „გარიგება“, „დიდი მწვანე ველი“, „ავარა“, „ჩვენი ეზო“, „შერეკილები“, „პირველი მერცხალი“, „ფატიმა“, „სოფლის აშიკი“ და სხვა... რეზო თავართეილაქე, გურამ საღარაძე, ოთარ მეღვინეოთუსუცესი!

მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე დამაშვიდებელი წამლის ეფექტივით იმოქმედა ჩემზე „რუსთაველის“ მარკეტინგის მენეჯერის დევი გვახარის განცხადებამ, – ფილმებს, ქართულად მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები გაახმოვანებენ, – შედევი მაინც არ აღმოჩნდა დამატაყოფილები. ხელში შეგვრჩა ტექნიკურად უხარისხმელ მასალა და ისევ ისე, ცუდად გახმოვანებული ფილმები. განცხადების – „ქართულ

ენაზე გადავდივართ” – შემდეგ სპეციალურად წავედი კინოში ჩემს ასევე ტრაგმირებულ შვილთან ერთად, რომელმაც ერთი წაიკავლა, – ისევ ქართულად უნდა ვუყუროთო? – და „კოსმონაგტ მამუნებს“ ვუყურეთ. ხომ იცით, რას ნიშანას ფილმის ქართულად დაუბლირება? განსაკუთრებით კი – ანიმაციის? სასაცილო პერსონაჟები ეკრაზე მუნჯებიყით დადან, მუნჯებივით ხტუნავებ და როცა ხმის ამოლებაზე მიდგება ჯერი, გესმის ხმა! ვაშაა! ანუ, როგორც წესი, ლაპარაკის გარდა, ფილმის ნებისმიერი სხვა ხმაური, უცრად, მისტიკურად ორთქლდება ხოლმე. ამჯერად კი „კოსმონაგტი მამუნების“ ყურებისას ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც... ვაა, ხმები ისმის-თქო, – ძლიერ მოვასნარი გაფიქრება-ალფროვანება, რომ უცებ, „კარგად“ დაბალნებული ხმის გამო, დედა-შეიმმა კინაღამ ყურის ბარაბები დავტოვეთ „რესტავრელის“ №2 დარბაზში. მართალია, დირექცია აცხადებს, – უუახლესი აპარატურა გვაქსხო, – მაგრამ მარტო აპარატურა თავისით ხომ ვერაფერს იზამს! ამაზე ისევ არის ერთადერთი და უნივერსალური პასუხი, – „ასეთ მოკლე პერიოდში გაგვიჭირდა რადიკალური ცვლილებების ჩატარება და ეს ტექნიკური წუნი ეტაპისრივად გამოსწორდება. ჩვენი კინოთეატრები ხომ პირველი კლასის კინოთეატრების რიცხვში შედის.“ კი, მაგრამ, უავე რამდენიმე წელია, რაც ანიმაციები ქართულად დუბლირებული გადის და ქართული თარგმანის თავისებურებების თუ ტექნიკური გაუმართაობის პრობლემები არც მაშინ აკლდა კინოთეატრს. დარწმუნებული ვარ, აქ თქვენც გაგახსნედიათ „ვარდისფერი“ ტელევიზია, სადაც ხარისხზე კი არა, გადავცემების რაოდენობაზე გელაპარაკებიან და საერთოდ... ვაცადოთ, ბატონებო! ვაცადოთ!

## პროგლემა №2

### მაგალითად, პერის პრცესი

კინოთეატრის ნარმომადგენლებიდან ვერავინ გამცა კონკრეტული პასუხი იმაზე, არის თუ არა საავტორო უფლებების დარღვევა, როდესაც ფილმის გმირებს შეუცვლი სახელებს, და მთლიანად გადააკეთებ დალოგს. ანუ, როგორც თავად ეძახიან – ადაპტაციის შემდეგ, სრულიად სახეცვლილ ფილმს მიზეზნებ ეკრანზე. რა თქმა უნდა, ამის უფლება არავის აქვს. მოუხედავად იმისა, რომ ფილმის ყველა მწარმოებელ კომპანიას თავისი კონტრაქტი აქვს დისტრიბუტორ კომპანიებთან, რამდენიმე პუნქტი ყველგან უცვლელია. მაგალითად ის, თუ რამდენჯერ აქვს „მყიდველს“ თუ „დამქრავებელს“ ფილმის ეკრანზე გაშვების უფლება, და ის, რომ თარგმანის დროს არ უნდა დაირღვეს დედანის შინარჩო. როდესაც ფილმი ითარგმნება სხვა ენაზე, დუბლირებული მასალა იგზავნება ფილმის მწარმოებელ კომპანიაში, ამ უკანასკნელმა კი უნდა დაგიდასტუროს თარგმანის სიზუსტე. უცხოურ კინოკომპანიების ნარმომადგენლებთან პირად საუბრებში ყველამ დამიდასტურა ის, რაც ისედაც ნათელი იყო – ეს კანონდარღვევა. უფრო გასაგებ ენაზე რომ ვთქვთ, ის, რაც აქ ხდება, ერთი დიდი პრამიტიული თვითშემოქმედება. ამ პრალებაზე ლაკონური პასუხი გაისმა, – არსებულ პროდუქტს ბაზრის მოთხოვნებს ვარგებთო. აქვე ისიც დაამატეს, რომ „სამმოს“ შემოქმედება არ შეწყდება და დროდადრო თავიანთ არსებობას ახალ-ახალი პროექტებით შეგვახსნებენ. დევის თქმით, ეს არის ის, რაც დღეს სჭირდება ქართულ ბაზარს და რომ მე ვარ სუბიექტური, როდესაც არ მომწონს „პური მშივა ქალხო“ ან „სოკი დამისხი“; რომ ეს ჩემი პრობლემაა და რომ მათ შეუძლიათ მონაცემებით, ანუ მაყურებლის რაოდენობით მელაპარაკონ. ესეც შენ საბაზრო მოთხოვნა!

მოუხედავად იმისა, რომ ბევრი მისხსეს კინოთეატრის სხვადასხვა რგოლის ნარმომადგენლებმა, თუ რა არის ადაპტაცია და რომ ასეთი პრეცედენტი მომხდარა, მაგალითად ისევ მოსკოვში, კონკრეტულ პასუხებს უფლებების დარღვევაზე – კი ან არა, მაინც ვერ ველირსე.

როგორც ჩანს, ყველას თავისი აღქმა აქვს უფლებებზე და ადაპტაციაზე. აი, მაგალითად – ბანგლადეშელებს. იქ ხომ პოლივუდის ფილმებს არ უშვებენ კინოში, – ბევრი უზრდელობა არისო. მაგრამ, თუ მაინც გაუშვებენ, მაშინ თავად ჭრიან უზრდელურ სცენებს ფილმიდან და ხელახლა ამონტაჟებენ. ესეც შენ – ადაპტაციის ახალი ფორმა!

რა თქმა უნდა, ისევე, როგორც ბევრი თქვენგანი, მეც დიდი სიხარულით შეცხვდებოდი ამ სიახლეს, რომ არა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები, რომლების მოგვარება, დარწმუნებული ვარ, შეიძლება, ოლონდ თუ საქმეს პროფესიონალები მოკიდებულ ხელს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, დღეს კინოში წასკლასას უნდა გაითვალისწინო, რომ თუ:


1. მიდიხართ და წახულობთ ფილმს ქართული გახმოვანებით, მაშინ, სანამ ფილმი დაინტერესო, თვალები მაგრად უნდა დახუჭოთ და ჩაიფიქროთ, რომ არ გაიგოთ ის ნაცონბი ხმები, რომელიც მთელს თქვენს სხვულში უსიამოვნო ურუანტელის მომგვრელი იქნება. თუ ტანში არ დაგიარათ, ესე იგი ვადარჩით. გილოცავთ. თუმცა ხმის ანევა-დაწევისგან გამოწვეულ შფოთვებს რომ ვერ გადარჩებით, მაგდენს უნდა ხვდებოდეთ.

2. მიდიხართ და ფილმს უყურებთ ორიგინალში, რომელმაც, შესაძლოა, სრულ სიჩქარეში ჩაიაროს და დარბაზში მსხდომი 400 კაციდან არც არავის კომენტარი არ გაიგოთ, რაც, დამეთანხმებით, უჩვეულოა, მაგრამ ძალიან რეალური. ეს ყველაფერი, იმ მარტივი მიზეზის გამო ხდება, რომ ორიგინალში ტექსტით დატეტიტული ფილმის ყურება ძალიან ძნელია ქვეყნისთვის, სადაც ბავშვებს, სულ ცოტა ხნის წინ, მამები ყურებით აწევისას მოსკოვს დაახახებდნენ ხოლმე.

3. შეიძლება წახვიდეთ და ფილმი ნახოთ ინგლისური ან ქართული სუბტიტრებით. თუმცა, მეეჭვება შეძლოთ, რადგან სუბტიტრები – ეს მხოლოდ ახლო მომავლის გეგმებია.

### დაგოლობის, განცხოვის შესაქმნელად:

არა, იმაზე არავინ დავობს, რომ ქართულ გახმოვანებაში „go away“ ზოგჯერ „ნახვამდის, მაგრად“ ნიშანას და სექსის დროს, კაცის წამოძახილი „I'm coming“, თურმე ნუ იტყვი და, „მოვდივარ, მოვდივარ“ ყოფილა – ეს ხომ ვიცოდით, ასეთები ხშირად ხდება ხოლმე. მაგრამ, გამიხარდა, როდესაც ჩრდილოელი მეზობლებიც „გამოვიჭირე“ – მარტო ჩვენ არ ვყოფილვართ ასეთ დღეში–თქო. რაღაც ფილმს ვუყურებდი. მგონი, რუსულ ტელეარხზე გადიოდა. მართალი გითხრათ, არც სათაური მასონებს და არც რეჟისორი, მაგრამ... მოკლედ, ერთი ასეთი კადრი იყო:



ჩაბნელებული ქუჩა. კოკისპირულად წვიმს. მანქანა ტროტუართან ჩერდება და იქიდან ქალი და მამაკაცი გადმოდინა. ქალი სასწრაფოდ იღებს ჩანთიდან სახლის გასაღებს, გალონტური მამაკაცი კი თავის პიჯაკს გადააფარებს ქალს, – არ დასველდეთ, – და უივილ-ხივილით გარბიან სახლისა. ამ დროს კი რუსი გამხმოვანებული ხმამალი გაიძინა, ასეთი მშენებელი კი უნდა დაგიდასტუროს თარგმანის სიზუსტე. უცხოურ კინოკომპანიების წარმომადგენლებთან პირად საუბრებში ყველამ დამიდასტურა ის, რაც ისედაც ნათელი იყო – ეს კანონდარღვევა. უფრო გასაგებ ენაზე რომ ვთქვთ, ის, რაც აქ ხდება, ერთი დიდი პრამიტიული თვითშემოქმედება. ამ პრალებაზე ლაკონური პასუხი გაისმა, – არსებულ პროდუქტს ბაზრის მოთხოვნებს ვარგებთო. აქვე ისიც დაამატეს, რომ „სამმოს“ შემოქმედება არ შეწყდება და დროდადრო თავიანთ არსებობას ახალ-ახალი პროექტებით შეგვახსნებენ. დევის თქმით, ეს არის ის, რაც დღეს სჭირდება ქართულ ბაზარს და რომ მე ვარ სუბიექტური, როდესაც არ მომწონს „პური მშივა ქალხო“ ან „სოკი დამისხი“; რომ ეს ჩემი პრობლემაა და რომ მათ შეუძლიათ მონაცემებით, ანუ მაყურებლის რაოდენობით მელაპარაკონ!



## ქალაუფლების დისკურსი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესის შემთხვევაში

ავტორი: ნინო გაერშილი

ფოტო: ლევან ხერხევალიძე

საუბარი, რომელსაც ქვემოთ წაიკითხავთ, უკვე ჩაწერილი გვერდნადა, როცა პარასკევ საღამოს, 16 იანვარს საქართველოს პირველი არხის ეთერით მოულოდნელი რამ ვნახეთ: საქართველოს კათოლიკე და სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესის ზენოლით, შეიძლება პროექტი „დიდი ათეული“ დაიხუროს. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საპატრიიარქოს არ მოსწონდა წმინდანებზე საჯაროდ მსჯელობა და წმინდანების შეჯიბრი, მათ ოფიციალურ საიტზეც დაიდო. მაშინ ჩავთვალე, რომ განცხადება არა გადაცემის დახურვის მცდელობა, არამედ, ეკლესის აზრი გახლდათ, რისი გამოიტანის უფლებაც საქართველოში, არა მარტო ეკლესის, არამედ ჩვენ ყველას გვაქვს. სამწუხაოდ, თურმე, მცდელოდი. მიუხედავად იმისა, რომ სულ საუბრობდნენ რაღაც მითიურ ზარებზე და ვიციდი, საპატრიიარქო ზენოლას ახორციელებდა ტელევიზიებსა და კულტურის მოღვაწებზე, ამგარი რამ საქართველოში, რომელიც ფორმალურად ჯერ კიდევ დემოკრატიული და სეკულარული სახელმწიფოა, მაინც წარმოუდგენელი მეგონა.

კითხვა, რა უფრო მნიშვნელოვანია, კანონი საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ, თუ ეკლესის მორჩილება და პატრიიარქის სიყვარული, უურნალისტმა დავით პაიჭაძემ დასვა, რომელიც მთელი გადაცემის მანძილზე ამაռო ცდილობდა პროექტისა და უურნალისტის ღირსების გადარჩენას. სა-

ზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ ცოდნის ჩადენა არ უნდათ, და ერთხმად აღიარეს – პატრიიარქს უფრო ემორჩილებიან და კანონს კიდევ, თუ საპატრიიარქოდან „სთხოვენ“ და „აკურთხებენ“, რა ქნან და, ვერ იცავენ.

ფაქტია, რომ საბჭომ ვერ მოახერხა ტელევიზია და ის მოსახლეობა დაუცვა, ვინც საზოგადოებრივ მაუწყებელს ვაფინანსებთ. რისი მაქნისია „მყაცრი განცხადებები“ პოსტ ფაქტუმ?


ორი წლის წინ „ჯეობარიდან“ ერთ-ერთი მონაწილე, პაკო ტაბატაძე საკუთარი სექსუალური ორიენტაციის ღიად გამოხატვის გამო გააგდეს. მაშინ საჯაროდ არ უთქვამთ, მაგრამ პრესაში მაინც დაიწერა, რომ პაკო ტაბატაძეს სწორედ საპატრიიარქოდან განხორციელებული ზარის შემდეგ დაატოვებინეს პროექტი. არც მე და არც ჩემ კოლეგა უურნალისტებს მის დასაცავად არაფერი გაგვიერეთებია; დარწმუნებული ვარ, ვერც ვერაფერს გავხდებოდით – უბრალო მოქალაქეს კი არა, საპატრიიარქომ თუ გადაწყვიტა, წმინდანსაც ეკრავინ დაიკავს ჩვენში.

შარშან პანტომიმის თეატრს საპატრიიარქომ სპექტაკლის დადგმა აუკრძალა, რადგან წმინდა გიორგის ეხებოდა – „კალგოტკიანი“ წმინდანი წარმოუდგენელია. მაშინ ამირან შალიკაშვილმა ბევრი ესვენა და ემუდარა საპატრიიარქოს, – არ აცვია წმინდა გიორგის ჩემ სპექტაკლში „კალგოტკა“, ქიტონი

მოსაცსო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა – დასურულ ჩვენებაზე, რომელიც სპეციალურად მოეწყო, საპატრიიარქოს წარმომადგენლებმა მოსვლა არ ისურვეს. 16 იანვარს საზოგადოებრივის ეთერში საპატრიიარქოს პოზიციებს რეჟისორი ქეთი დოლიძე იცავდა, რომელიც, როგორც ამ გადაცემიდან გაირკვა, საპატრიიარქოს ხშირად სტუმრობს. ქალბატონმა ქეთიმ თქვა, რომ მის თეატრში, წმინდანების კი არა, მთლად მოციქულების შესახებ მიდის სპექტაკლი. ანუ ის, რაც ეკრძალება პეტრეს, დასაშვებია პავლესთვის. აქაც ორმაგი (თუ ათმაგი) სტანდარტებია, ისევე, როგორც ყველაგან.

ორიოდ სიტყვით იმასაც მოვყვები, რაც ამ დისკუსიის ჩაწერამდე გადამხდა. როცა დისკუსიას ვამზადებდი, რადგან ეკლესიას შეეხებოდა, თბილისის ერთ-ერთი ეკლესის წინამდღარს დავუკავშირდი და მისგან თანხმობაც მივიღე. მაგრამ სწორედ ჩაწერის დილას დამირეკა და მითხრა, რომ თურმე გაარკვია, ამგვარ საჯარო დისკუსიაში მონაწილეობას საპატრიიარქოს ნებართვა (მათ ენაზე – კურთხევა) სტირდებოდა, და რატომძაც მე მთხოვა, მომეპოვებინა ეს ნებართვა-კურთხევა. ბევრი რეკვისა და ლამის მუქარის შემდეგ კურთხევა მივიღე, მაგრამ ჩემთვის სრულიად მოულოდნელად გადაწყვიტეს, რომ დისკუსიაში საპატრიიარქოს მხრიდან მონაწილეობას არა სამღვდელო პირი, არამედ უურნალისტი ზურაბ აბაშიძე

„დღეს ეკლესიას უნდა, ის უფლებები აღიღინოს, რაც ფინანსურ ხანაში ჰქონდა, სურს, ფინანსური გახდეს. ის ხომ აბსურდია. კონკრეტული პრეზენტაცია ენერგია, რომ ეკლესია დაზარალდა 200 წლის მანძილზე. მაგრამ მაშინ ხომ მთელი ეკრანი ხალხი დაზარალდა. დღეს ეკლესია ხალხისგან განახო გადგა. ვინ უნდა აუნაზღაუროს ერთება, იმავე ხალხა, ვინც თვითონაც დაზარალდა?“ ზურაბ კიკენაძე



და იურისტი მაია ცაცანაშვილი მიიღებდნენ, რომლებიც დისკუსიაზე ისე მოხვდნენ, კარგად არც იცოდნენ, სად და რატომ მოდიოდნენ, რისთვისაც მათ საჯაროდ მინდა მოვუბოდიშო. ასე შედგა ჩვენი დისკუსია, რომელიც დღეს რომ გამართულიყო, ჩემი კითხვები ბევრად უფრო კრიტიკული იქნებოდა (ალბათ, დისკუსიაც სხვანაირად წარიმართებოდა), რადგან თვალნათლივ დავინახე ის, რისი დაჯერებაც აქამდე არ მინდოდა – ეკლესია ტოტალიტარულ იდეოლოგიურ მანქანად იქცა, რომელიც თუ არ შევაჩერეთ და მოვთოვეთ, ჩვენს მყიფე და შეუმდგარ დემოკრატიას ისე გადაულის და გადათელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადს – ერთ მშენებელ დილასაც გავიღვიძებთ და პირდაპირ მართლმადიდებლურ ირანში ამოვყოფთ თაგეს.

**დისკუსიაში მონაწილეობენ:** საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთში, უურნალისტი ზურაბ აბაშიძე, მამა ზაზა თევზაძე, პროფესორი ზურაბ კიკენაძე, რელიგიათმცოდნე ბექა მინდიაშვილი, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი ნუგზარ პაპუშვილი, იურისტი მაია ცაცანაშვილი და პოლიტიკოსი ფიქრია ჩიხრაძე.

სანამ აქ მოვიდოდი, საეკლესიო პრესას გადახვედე და საინტერესო ტენდენციას გადავაწყდი: საპატრიარქოს უურნალებში ხშირია რუსეთის მართლმადიდებლობაზე აპელირება, ხშირია ფრაზები, – ამერიკელები მასონები არიან; საუბარია რალაც მითიურ ჩიპებზე და ა. შ. გასაგებია, რომ ეკლესიაშიც არსებობს ე.ნ. ყვითელი, ძალიან დაბალი ხარისხის პრესა, თუმცა, როგორც ჩანს, ეს ტენდენცია საკ-

მაოდ ძლიერია. შეიძლება თუ არა, ეკლესია განვიხილოთ, როგორც რუსეთის გარკვეული, თუნდაც იდეოლოგიური დასაყრდენი საქართველოში? რამდენადაა რეალობასთან ახლოს ჩემი ვარაუდი?

**მამა ზაზა** - დღეს საქართველოს პოლიტიკური ვექტორი მკვეთრადაა გადახრილი დასავლეთისევენ. ბუნებრივია, რუსეთი ცდილობს, გამოიყენოს საეკლესიო მართული – ერთმორნმუნეობის თემა; რა მოჰყვა ამ ერთმორნმუნეობას და რამდენად იყო ერთმორნმუნეობა ის პოლიტიკური მართლმადიდებლობა, რომელიც საქართველოში რუსეთიდან შემოვიდა და რა შედეგებით დამთავრდა საქართველოსთვისაც და მართლმადიდებლობისთვისაც, ეს ყველასთვის ცხადია. მართლმადიდებლობა ჭეშმარიტი რწმენაა და არა პოლიტიკური ძალაუფლება.

**მაგრამ მართლმადიდებლობა უფრო და უფრო ემსგავსება პოლიტიკურ ძალაუფლებას. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ ტელევიზითაც გვაჩვენეს, როგორ ირჩევენ პატრიარქეს რუსეთში.**

**მამა ზაზა** - რუსეთის იერარქები თანამშრომლობდნენ სპეცსამსახურებთან. ეს ალიარქული ფაქტია. შეიძლება ითქვას, რომ რუსული პოლიტიკური ინტერესები ეკლესიასთან მიმმოლია, რაც ძალიან დიდი შეცდომაა იერარქების და პოლიტიკოსების მხრიდან. ეს არავისთვის არ არის კარგი. ამის საფრთხე ჩვენთანაც არსებობს და რაც უფრო კარგად დავინახავთ და შევაფასებთ, მით უკეთესი.


**ბექა მინდიაშვილი** - ალბათ შეიძლება რუსულ გავლენებზე საუბარი, და არა მხოლოდ იმის მიხედვით, რაც საეკლესიო უურნალგაზეთებში იძებებება. შეიძლება სტრუქტურულ გავლენებზეც ვისაუბროთ – არსებობს გარკვეული კანონზომიერებები იმ ეკლესიებში, რომლებიც, შეიძლება ითქვას, რომ რუსული ეკლესიის გავლენას განიცდიან.

**მიგაჩნიათ, რომ ქართული ეკლესია რუსული ეკლესიის გავლენას განიცდის?**

**ბექა მინდიაშვილი** - საქართველოს ეკლესია არ მონაწილეობს ეკუმენურ დიალოგში. მან 1997 წელს დატოვა ევროპის ეკლესიათა კონფერენცია და მსოფლიო საეკლესიო საბჭო და ეს ნაბიჯი, გარკვეულწილად, იმიტომ გადადგა, რომ პირველად რუსეთის ეკლესიამ დააყენა ამ ორგანიზაციებიდან გამოსვლის საკითხი, შემდეგ მას სერბეთის ეკლესია აპყვა. იმავე წელს ბულგარეთის და საქართველოს ეკლესიებმა დატოვეს მსოფლიო საეკლესიო საბჭო; თან ეს სწორედ ის წელი იყო, როცა საქართველომ ღიად განაცხადა თავისი დასავლეური ორიენტაციის შესახებ. მეორე – ყველა მართლმადიდებლური ეკლესია, რუსეთის, სერბეთის, იურუსალიმისა და საქართველოს გარდა, შობას 25 დეკემბერს აღნიშნავს.

ალსაბიშნავია მაამ ზაზას მიერ ნახსენები სპეცსამსახურებიც. ჩვენთან საჯაროდ არასდროს უთქვამთ, რამდენად იყო დაკავშირებული საქართველოს ეკლესია კომუნისტურ ხელისუფლებასთან, რა ანგარიშ-ვალდებულებები არსებობდა იმ დროს ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის. რუსეთში სტალინის პიროვნებისადმი რელიგიური სიმპათია

„სამთხეაროდ, ჩვენი ეკლესიის თანამედროვე რეალობა აცლენილია სახარებისეულ ლირებულებებს. ის, რა ლირებულებებითაც ცხოვრობს ეკლესია, წინააღმდეგობაშია ლემოქრატიულ და ლიბერალურ ლირებულებებთან, ასევე – სახარებისეულ მოძღვრებასთან, რომელსაც აღამიანის თავისუფლების პატივისცემა უდევს საფუძვლად.“ ბექა მიდინაშვილი



არსებობს, ბოლო დროს მისი ხატებიც კი იხატება. ამგვარი განწყობა საქართველოს ეკლესიის მაღალ იერარქებსაც კი აქვთ, განსაკუთრებით მათ, ვინც საბჭოთა პერიოდიდან მოღვაწეობს ეკლესიაში, და ეს ქადაგებებშიც მომისმენია. ეს სამწუხარო რეალობაა. და კიდევ ერთი – როცა ვსაუბრობთ ორიენტაციის არჩევანზე, დასავლეთი, ლიბერალური დემოკრატია რელიგიათა თავისუფლებას და რელიგიური გაერთიანებების თანასწორუფლებიანობას გულისხმობს, რუსეთს კი პირიქით – სწორედ მართლმადიდებლობის დომინანტური როლი მიაჩნია აუცილებლად საკუთარ სახელმწიფოშიც და სხვა მართლმადიდებლურ სახელმწიფოებშიც.

ის, რომ რუსეთთან სამშვიდობო მისია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა იკისრა, ერთი მხრივ, დადებითი მოვლენაა, მაგრამ რა კონტექსტი განაპირობებს ქართული მართლმადიდებლობის მიმართ იმდენად დიდ წლობას, რომ რუსეთის ეკლესია უარს ამბობს აფხაზეთისა და ოსეთის საეკლესიო დამოუკიდებლობის აღიარებაზე?

**ფიქრია ჩიხრაძე** - რუსეთი, ამ შემთხვევაში, თავისი პოლიტიკური შეცდომების ტირაურებას აღარ ფიქრობს. რუსული ეკლესიისთვის მომგებიანია, თქვას, – ეს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაა. მეორე მხრივ კი, რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას ამ აღიარებით თავად შეექმნებოდა დიდი პრობლემები.

რაც შეეხება ზოგად კონტექსტს, ბექას კატეგორიულად გავემიჯნებოდი ახსნის თვალსაზრით, და ვიტყოდი, რომ ეკლესიას აქვს დიდი ავტორიტეტი და დიდი წლობა საქართველოს მოსახლეობაში; ეს სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევებით დასტურდება, მაგრამ ამავე დროს გავიხსნოთ, რომ საქართველოს მოსახლეობის 76%-მა

მხარი საქართველოს ნატო-ში განევრიანებას დაუჭირა. აგვისტოს ომის შემდგომ ეს პროცენტი ოდნავაკა დაწეული და არა რუსეთის ფაქტორის გამო, არამედ იმიტომ, რომ ხელისუფლება ხალხს უჩნდა ილუზიას, თითქოს ჩვენს კონფლიქტში ვინმე ფიზიკურად ჩაერეოდა. ეკლესიას რომ ჰქონოდა მცდელობა, თავისი გავლენა და ავტორიტეტი ანტიდასავლური განწყობის გალვიზებისათვის გამოყენებინა, მერწმუნეთ, ამას ნამდვილად მოახერხებდა. დღევანდელ ხელისუფლებაშიც კი, რომელიც პროდასავლურად აცახდებს თავს, არიან ისეთი იდიოზური ფიგურები, რომელთა იქ ყოფნა, სწორედ რუსეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ასოლუტურად გაუგებარია. საქართველოს სახელმწიფომ არ გადაწყვიტა, რომ პოლიტიკური პროცესების ლუსტრაცია მოხდინა, და როცა პოლიტიკური ლუსტრაცია არ მომხდარა, ნამდვილად შეცდომა იქნება, საფრთხეების ძიება ერთმორწმუნე ეკლესიებს შორის ურთიერთობაში დავინწყოთ. ჩვენი პატრიარქი მხოლოდ რუსეთში არ არის პოპულარული, მას უზარმაზარი ავტორიტეტი აქვს მთელ ქრისტიანულ სამყაროში და ძალიან მძიმე იქნებოდა რუსეთის ეკლესიისათვის, საქართველოს პატრიარქის როდი და პატივისცემა რომ არ ჰქონდეთ.

**იქნებ ლუსტრაცია სწორედ იმიტომ არ მოხდა საქართველოში,** რომ შეიძლებოდა ეკლესიას შეხებოდა? ვადების რევოლუციის ნინ ჩვენ ხელისუფლებას აუცილებლად მიაჩნდა ლუსტრაციის პროცესი, მაგრამ შემდეგ რატომლაც ეს პროცესი ადგილიდან არ დაძრულა.

**ბექა მინდიაშვილი** - რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა 90-იან წლებში განაცხადა, რომ თანამშრომლობდა სპეციალისაბურებთან, ბოლიში მოიხადა ერის ნინაშე და თქვა, რომ ბევრი ადამიანის და-

ცვა ვერ შეძლო, რადგან კომუნისტური ხელისუფლებისგან ძალიან დიდი წნევი იყო, და მან უარი თქვა პატრიარქობაზე. შემდეგ რუმინებმა მორნმუნებმა სთხოვეს, რომ თავის პოსტზე დარჩენილიყო. პოლონებშიც უნდა აერჩიათ კარდინალი, და როცა კანდიდატი სპეციალისაბურებთან დაკავშირებული აღმოჩნდა, ამას იმდენად დიდი რეზონანსი ჰქონდა, რომ კანდიდატურა უმალვე მოიხსნა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემაა, მაგრამ საქართველოში შეკითხვის დონეზეც კი არ დასმულა. არავის არ შეუსწავლია, არქივები აღარ არსებობს ან დაუურულია. არადა, ლუსტრაცია ძალიან მნიშვნელოვანია რელიგიური და პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

**ნუგზარ პაპუაშვილი** - 1995 წელს, საეკლესიო კრების დროს დაისვა ეს საკითხი. ამ საუბრის ჩანაწერი მოსმენილი მაქს. გამოვიდა ერთი სასულიერო პირი და აღიარა, რომ თანამშრომლობდა უშიშროების სამსახურთან და ასე დაასაბუთა: დიახ, ვთანამშრომლობდით, როდესაც თქვენ სახლებში თბილად ისხედით, ჩვენ ეკლესიაში დავდიოდთ და ამ დროს ეკლესია გადავარჩინეთო. პატრიარქმაც აღიარა, – უშიშროებასთან ბევრი სასულიერო პირი თანამშრომლობდა, თუმცა ეს თანამშრომლობა ოფიციალურ მხარეს არ გასცილებია; როდესაც საზღვარგარეთ გავდიოდთ, იქ გასვლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო, დაგვეფიქსირებინა ჩვენი თავი იფიციალურ თანამშრომლადო.

რაც შეეხება კითხვას, რომელიც ნინომ დასვა, ვიტყვი, რომ ერთია ქვეყნის პროდასავლური კურსი და მეორეა ქვეყნის მოსახლეობის და, თუნდაც, პოლიტიკური ელიტის ცნობიერება. კარგად ვიცნობ ვითარებას რუსეთშიც და საქართველოშიც და ამ ორქვეყანაში მდგრადი არარეოლი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს. თუმცა, რუსეთში

მეტად გაისმის ხმა იმის შესახებ, რომ ეკლესია და სახელმწიფო ერთმანეთისგან გამოჯული უნდა იყოს. წარმოიდგინეთ, ჩვენთან მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა რომ შეიმუშავოს დადგენილება და დაგმოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ასეთი მჭიდრო თანამშრომლობა. შარშანინ რუსეთში ასე მოხდა. ჩვენთან, პირიქით, ყველა პოლიტიკური პარტია, რომელიც დემოკრატიულობაზე დებს თავს, ისეთ განცხადებებს აკეთებს, რომლებიც სწორედ დემოკრატიულ ღირებულებებს ენინალმდეგება. არ მეგულება საქართველოში პოლიტიკური პარტია, რომელიც ამ სფეროში დემოკრატიულ პოზიციას გამოამჟღავნებდა.

#### ფიქრია ჩიხრაძე - ვერ დაგეთანხმებით...

**ნუგზარ პაპუაშვილი** - არ მიგაჩინათ საპატრიარქოსა და სახელმწიფოს შორის დადებული კონკორდატი საქართველოს დემოკრატიზაციის გზაზე დამაბრკოლებელ ფაქტორად? როგორ ფიქრობთ, როცა ანალოგიური ხელშეკრულება სხვა კონფესიებთან არ იდება, ნიშნავს თუ არა ეს დანარჩენი ეკლესიების წევრთა დისკრიმინაციას და მოქალაქეთა დახარისხებას?

**ფიქრია ჩიხრაძე** - მე თავად ვმონანილეობდი ამ შეთანხმების ტექსტის შექმნაში, და მერწმუნეთ, მაშინაც იყენენ ჯგუფები, რომლებიც მოითხოვდნენ საქართველოში მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას. დაიდო კონსტიტუციური შეთანხმება. სამწუხაროდ, ჩვენმა კონსტიტუციამ იმდენი ცვლილება განიცადა, რომ უკვე ძნელი სათქმელია, რომელი კონსტიტუციის ფარგლებში დაიდო ეს ხელშეკრულება. ის, რომ გარკვეული სამართლებრივი სფერო იყო შესაქმნელი და მოსამზადებელი საბჭოთა პერიოდის შემდგომ, როდესაც საქართველოს ეკლესიამ დიდი რბევა განიცადა, ცაბდია. მაშინ, ზოგადად, ქართულმა სახელმწიფომ და ხალხმა განიცადა რბევა, მაგრამ ეკლესია ამ რეზიმის განსაკუთრებული მსხვერპლი იყო. ჩვენ რეაბილიტირებულთა შესახებაც შევიმუშავეთ კანონი და ისინი კომპენსაციასაც იღებდნენ. თუმცა, ვთვლი, რომ ეს არ არის საკმარისი, და სახელმწიფოს ამ ადამიანების წინაშე პევრად მეტი მართებდა.

**ნუგზარ პაპუაშვილი** - რეჟიმის მსხვერპლი იყო კათოლიკური ეკლესიაც, ისლამიც მუსლიმთა თემიც, და ყველა...

**ფიქრია ჩიხრაძე** - დიახ, შეიძლება მათ მიმართაც უნდა გადაიდგას გარკვეული ნაბიჯე-

ბი, მაგრამ ვერაფრით ვერ გავიგებ იმ ადამიანებისას, ვინც აცხადებს, რომ ეს შეთანხმება სხვების დისკრიმინაციას გულისხმობს. მაგალითად, როდესაც საქართველოში სახელმწიფო ენად გამოცხადებულია ქართული ენა, ვიღაც შეიძლება შეზღუდული და დისკრიმინირებული იყოს, ან როცა საქართველოს სკოლებში უნდა ისწავლებოდეს საქართველოს ისტორია და მშობლიური ლიტერატურა, შეიძლება ეს ვინმეს არ მოსწონდეს.

**ნუგზარ პაპუაშვილი** - ენა სახელმწიფო-ბრივი საკითხია, რწმენა კი – პიროვნული.

**ზურაბ აბაშიძე** - სრულიად ვიზიარებ ფიქრისა პათოსს. რუსული მართლმადიდებელი ეკლესია ისტორიულად ემსახურებოდა ხელისუფლებას. საქართველოში ეს ასე არ ყოფილა. ჩემი გამოცდილება მოსკოვში მუშაობისას ასეთი იყო – საგარეო საქმეთა სამინისტროში რომ მივიღოდი და მერე საღამოს შევხვდებოდი რუსეთის საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების წარმომადგენელს, რასაც სამინისტროში მეტყოდნენ, პუნქტ-პუნქტად ჩამოთვლიდნენ საპატრიარქოშიც. საქართველოში პირიქითაა – სახელმწიფო სტრუქტურებსა და საპატრიარქოს შორის ნაკლები კომუნიკაცია. მაგალითად, დელეგაციების გაცვლა იყო, პატრიარქი წავიდა რუსეთში, საგარეო საქმეთა მინისტრი საპატრიარქოში მისი ვიზიტის შემდეგ მივიდა. ეკლესიას და სახელმწიფოს შორის რაიმე შეთანხმებულად რომ ხდებოდეს, ამას ნამდვილად ვერ ვხედავ.

**მაგრამ ეკლესის გავლენაზე მიუთითებს, თუნდაც, ჰელოუინის დღესასწაულის დარბევა, მამა ტარიელის მიერ თამაშევების საულავის ქვების ხელყოფა და ა. შ. ამ ფაქტებზე ტელემედიაში სიუჟეტები მომზადდა, მაგრამ მედიამულობელებმა დაბლოკეს. როგორც ვიცით, არც ისინი დასჯილან, ვინც ჰელოუინის დღესასწაულზე სრულიად უდანაშაულო ადამიანებს სცენეს და დაარბიეს. არ ვიცი რა მექანიზმებით, მაგრამ ეკლესია გარკვეულ ცენტურას ახორციელებს.**

**ზურაბ აბაშიძე** - ცენტურის რა მექანიზმი აქვს ეკლესიას, ნამდვილად არ ვიცი. ვიცი, რომ რაღაც უსმაგავსობა ხდება ნორაშენის ეკლესიასთან დაკავშირებით. ვხედავ, რომ თვითონაც შეწუხულებები არიან, რაღაც ფუსფუსია, მაგრამ რატომ არ გაშუქდა ეს ფაქტი პრესით, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით.

**ბექა მინდიაშვილი** - დისკრიმინაციის თაბეზე მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა. დისკრიმინაციულ გარემოზე ნამდვილად შევიდლია

ვისაუბროთ, ვინაიდან ის პრივილეგიები და უპირატესობები, რომლებიც მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს, არ აქვთ სხვა დენომინაციებს. როდესაც საუბარია იმაზე, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს ქონება, ქონება ასევე უნდა დაუბრუნდეს სომებთა ეკლესიას, კათოლიკურ ეკლესიას, მუსლიმებს. მათ კი დიდი პრობლემები ექმნებათ.

**არსებობს ფაქტები, რომ ისინი ვერ იბრუნებენ ქონებას?**

**ზექა მინდიაშვილი** - რა თქმა უნდა. ამ ტერმინს არ ვხმარობ ხოლმე, მაგრამ ეგრეთ წოდებული ტრადიციული რელიგიები, კათოლიკური ეკლესია, იუდაური თემი, მუსლიმები, სომებთა ეკლესია, ბატქისტური და ლუთერული ეკლესია სამართლებრივ სივრცეში არ არსებობს და ვერ ურთიერთობენ სახელმწიფოსთან. მათ სტატუსის პრობლემა აქვთ.

**ეს ალბათ უფრო სახელმწიფოს პრობლემაა და არა ეკლესიის...**

**ბექა მინდიაშვილი** - პრობლემა იმის გამოა, რომ სახელმწიფოს ძალიან დიდი წინააღმდეგობა ხვდება მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან. ბათუმში კათოლიკური ეკლესია დღეს მართლმადიდებლების საკუთრებაა, ასევე სომხურ ეკლესიას აქვს სურვილი, საკუთარი 5 ეკლესია დაიბრუნოს. ნაბიჯი არ გადადგმულა ამ მხრივ. აქ საპატრიარქოს პოზიცია თამაშობს დიდ როლს და ამ კუთხით შეიძლება საუბარი დისკრიმინაციაზე. ეს სამწუხარო რეალობაა. ის ურთიერთობები, რომელიც არსებობს საპატრიარქოსა და სახელმწიფოს თავისუფლებად მოქმედების საშუალებას. ვინც უნდა იყოს დღეს ხელისუფლებაში, ეკლესიისგან დამოუკიდებლად ასეთ საკითხებში ვერ იმოქმედებს.

**ერთი მექანიზმის შესახებ გეტყვით:** ისეთი უწყინარი გადაცემაც კი, როგორიცაა „დიდი ათეული“, თურმე მიულებელია საპატრიარქოსთვის, რადგან იქ წმინდანებზე უნდა იმსჯელონ. ჩვენი ისტორია, ცნობილი სიტყვების პერიოდაზი რომ გავაკეთოთ, წმინდანების ისტორია. რა უნდა ვწენათ? ამ შემთხვევაში, რას ქადაგებს საპატრიარქო – საჯაროდ აღარცისტორიკულება საუბარი? როგორც ჩანს, როდესაც ამგვარ განცხადებებს კითხულობენ, რაღაც შინაგანი ცენტრის მინდანებათ ადამიანებს.

>>> ბაგრძელება გვ. 104

# ახალი ნისაბი ახალი მსოფლიოსთვის



ფოტო იმაულის სამართლის ვაჭირებობის, 2008

**დღევანდელობის პროგლობის სცენარის ნაციონალურ საზღვრებს.  
მსოფლიო გონივრული მართვა სფირლება, რომელიც ასევე არ ცნობს ბარიერებს.**

**მ**უ გსურთ, იცოდეთ, როგორ გამოიყურება პოსტ-ამერიკული მსოფლიო, უბრალოდ გაიხსენეთ ნოებრის დიდი ოცეულის სამიტი, რომელიც ვაშინგტონში გაიმართა. პირველ რიგში, ყურადღები იყო თვით ღონისძიება. აქამდე ყველა ფინანსურ კრიზისს საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ანდა დიდი შვიდიანი (უფრო მოგვიანებით დიდი რვიანი) მართავდა. მაგრამ ამჯერად მაგარი ბიჭები მიხვდნენ, რომ პრობლემებს მარტო ვერ დაუხვდებოდნენ და საჭირო იყო საქმეში მსოფლიოს ყველაზე მზარდი ბაზრების ჩართვა. ეფექტური საბასუხო დარტყმისთვის, ურთიერთგადაჯაჭვულ გლობალურ სისტემაში, აუცილებელი იყო მსოფლიოს წამყვანი მოთამაშების ჩარევა. ნაღდი ფული რომ არ გამოლეოდათ, ჩინეთიცა და საუდის არაპეტიც მიიპატიუეს. რაც შეეხება ლეგიტიმურობას, ძველი დასავლური კლუბები, რომლებიც წარსულის არქაულ რელიკვიებს ჰგვანან, ლეგიტიმურობას მარტონი ვეღარ უზრუნველყოფნა.

თუმცა, ცხადია, ყველაფერი არ შეცვლილა. დიდი ოცეულის სამიტი ძველებურად კვლავაც ვაშინგტონში გაიმართა, ხოლო პრეზიდენტმა ჯონჯ ბეშმა უდიდესი როლი შეასრულა განრიგის შემუშავებაში. ამერიკას მჭიდრო კავშირები აქვს მნიშვნელოვან ქვეყნებთან, როგორებიცაა ჩინეთი, იაპონია, საუდის არაპეტი; ასევე ინარჩუნებს ძველ მეკავშირეებს – ბრიტანეთს, საფრანგეთსა და გერმანიას. ამ აწყობილი ურთიერთობებიდან გამომდინარე კი, ნოებრის სამიტზე გაჩნდა პოტენცია – ამ ახალ, გაცილებით უფრო დიდ და წარმომადგენლობით სახელმწიფოთ დაჯგუფებას რეალურად მოეხდინა სტრატეგიათა კოორდინირება, რაც კრიზისის მოგვარების დასაწყებად იყო საჭირო.

ასე რომ, ჩვენს წინაშეა მართლაც ახალი მსოფლიო, მაგრამ არა აუცილებლად ისეთი, რომელშიც ამერიკას თავისი როლი და მისია დაკარგული აქვს, და არც ისეთი, რომელშიც ურთობლივი ძალისხმევა და ქმედება შეუძლებელია.

როცა ისტორიკოსები კრიზისის შეფასებას დაიწყებენ, ალბათ დაასკვინიან, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი წარმატება იყო. ცოტა უცნაურია, ასეთი რამის თქმა იმ მოვლენებზე, რასაც პანიკა, კრე-

დიტის შეზღუდვა, პროგრესის შენელება და საფონდო ბირჟის მორღვევა მოჰყევა. მაგრამ გთხოვთ, გაითვალისწინოთ ის წინაპირობა, რომელიც ამგვარ რეალობას წინ უძლოდა. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიო პოლიტიკური სტაბილურობით ტკბებოდა, იყო დაბალი ინფლაცია და გლობალური ეკონომიკის მასობრივი ზრდა, რომელშიც დაახლოებით 3 მილიარდი ადამიანი მონაწილეობდა. პლანეტის სხვადასხვა კუთხეში სახელმწიფოები გაუგონარი სისწავით ვითარდებოდნენ – 124 სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკა 2006-07 წლებში 4 ან კიდევ უფრო მეტი პროცენტით განვითარდა. ომებმა, სამოქალაქო კონფლიქტებმა და ტერორიზმა ისე საუძღვიანად ვერ არია სიტუაცია, როგორც ამას ათწლეულების, ანდა, სხვა საზომი რომ გამოვიყენოთ, საუკუნეების განმავლობაში ახერხებდა.

ამ ყველაფერმა კი პრობლემათა ახალი სერია წარმოშვა. რაც უფრო მეტაც ძლიერდებოდა და ვითარდებოდა ზოგიერთი ქვეყნა, მით უფრო ნაციონალისტური და აგრესიული ხდებოდა ის სხვების მიმართ. ის, რაც მოვიმეოთ, რაღაც დოზით სწორედ ნავთობში გადახდილი საფასურია: მოლონიერებული ირანი, ვენესუელა და ხელახლა ფეხზე დამდგარი რუსეთი, ასევე – ისლამური ჯიაზადი. უზარმაზარი ფულით ფრთაშესმულმა ვაპაბისტურმა იდეამ უკვე ყველა მუსლიმური ქვეყნის რწმენაში შეაღწია და ამ რელიგიის ყველგან მკვაბე ჟლერადობა შესძინა, რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდები კი ახალი იდეებით გამოკვება.

წინსვლად და ინფლაციის დაბალმა მარცვებელმა ეკონომიკაში ორი ანგარიშგასაწევი ძალა შეა: პირველი გაბლდათ ათფი კრედიტი, მეორე კი კაპიტალს ახალი უზარმაზარი საბაზოების გაჩინა. მოგების ზედნადები განვითარებადი ეკონომიკის მქონე აზიურ ქვეყნებში (შემდეგ კი შეა აღმოსავლეთის ნაგთობმწარმოებელ ქვეყნებში) დღემდე არნახული ოდენობით დაბაზდდა. დაუმატეთ იაფი კრედიტისა და უზღვავი კაპიტალის ამ ორ ძალას ორი ძველი და კარგად ნაცნობი თვისების – სიხარისისა და სიბრივების ძალა და მალე მიხვდებით, როგორ და რატომ მოიშალა შემდეგ ყველაფერი.

გარევეულნილად პრობლემაა ისიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და რამდენიმე სხვა დასავლური სახელმწიფო ზედმეტ პროდუქტს

მოთხმარდნენ - გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე თავად ანარმობებდნენ, და-ნაკლისს კი სესხით ივსებდნენ. მაგრამ თუ ამერიკამ ყველაფერი გადახარ-ჯა, აზიამ პირიქით - შემოინახა და დაზოგა. შემდეგ ეს დაზოგილი თანხა - დაახლოებით 10 ტრილიონი დოლარი - ხომ უნდა წასულიყო სადღაც და, ამიტომაც თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში ამ თანხის ძირითადი ნაწილი ისევ ამერიკაში ბრუნდებოდა, რადგან, რაღაც გაგებით, მართებუ-ლად ითვლებოდა, რომ შტატები გახლლავთ ყველაზე უსაფრთხო და, აქედან გამომდინარე, საუკეთესო ადგილი ინვესტიციებისთვის. ფულის დინების ამ ტენდენციამ წარმოშვა იოლი კრედიტი და სხვა უამრავი საპნის ბუშტი ტექ-ნილოგიურ პროდუქტში, ობლიგაციებსა და უძრავი ქონების ბაზარზე.

რაც უნდა უიმედოდ გამოიყენებოდეს რეალობა, მიმდინარე ფრნანსური კრიზისი მანც დასრულდება. არ ვიცი – როდის და როგორ, მაგრამ მთავრობის სტრატეგიების კომპინაცია ბოლოს და ბოლოს გაამართლებს. რატომ ვამბობ ამას? იმიტომ, რომ მთავრობები გაცილებით უფრო ძლიერი არიან, ვიდრე ბაზრები. მთავრობას შეუძლია, დახუროს ბაზარი, სახელმწიფო ქონებად აქციოს ფირმა, დაწეროს ახალი კანონი. ვაშინგტონი კი, ჩამოთვლილ უფლებამოსილებათა გარდა, კიდევ ერთ უნიკალურ ძალას ფლობს: მას შეუძლია ფულის მოჭრა.

სამთავრობო ჩარეცების საშუალებით კრიზისი კაპიტალისტურ სისტემაში წინაათა დაძლევულა. ალბათ თითოეული თანამედროვე საზოგადოებისთვის მიუღებელი იქნებოდა ისეთი უკუსვლა, რაც მე-19 საუკუნეში ლამის რუტი-ნად იქცა – ეპოქაში, როცა მთავრობა ნაკლებად ეროვნა ბაზრის საქმეებში. რეცესიის საშუალო ხანგრძლივობა 1854-1919 წლებში 22 თვე იყო. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში კი რეცესია საშუალოდ რვა თვეს გრძელდებოდა. 1854-1999 წლებში ამერიკაში ეკონომიკური და ინდუსტრიული აქტივობა შემცირებას განიცდიდა ყოველ

49 თვეში ერთხელ. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში კი შემცირება ყოველ 100 თვეში ერთხელ ხდებოდა. მსგავს ცვლილებებს უმრავმა ფაქტორმა შეუწყო ხელი, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც ვაშინგტონის ფისკალური და ფულადი პოლიტიკა. ფიანსური ინდუსტრია, რომელიც მიმდინარე კრიზისის შეუგულში დგას, მნიშვნელოვანი ორგანიზმია, თუ მთოად ზოგადობის ურა. რაოდან ის აპ-

ხლავთ ეკონომიკის მართვა-გებელი სასიცოცხლო არტერია. ამიტომაც ის განსაკუთრებული სიფრთხილით კონტროლს საჭიროებს. ბოლო 30 წლის განმავლობაში მომზღვარ ყველა ფინანსურ კრიზისში (და ასეთი ათი მაინც იყო) მთავრობას ნდობისა და რწმენის აღსაღენად პროცესებში ჩარევა მოუხდა. და უნდა ითქვას, რომ ჩარევა თითოეული ინციდენტის დროს წარმატებული აღმოჩნდა.

მთავრობის ახლანდელი ჩარევა ნიშანას თუ არა იმას, რომ ვუპრუნდებით სოციალიზმს ანდა ძველ, შერეული ტიპის ეკონომიკას? დაახლოებით 35 წლის ნინათ უმეტეს ქვეყანაში მთავრობები თავიანთი ეროვნული ვალუტის ფასს აკონტროლობდნენ. ისინი ფლობდნენ ფოლადის საწარმოებს, აფტოსამშენებლო ქარხნებს, სატელეფონო კომპანიებსა და ბანკებს. ისინი საზღვრავდნენ ავიამგზავრობის ფასს, ადგენდნენ სატელეფონო ზარის, აქციების საკომისიოებისა და ცემენტის ლირებულებას. ინდუსტრიულ მსოფლიოში ტარიფები გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე დღესაა. ნეტა მართლა თუ ფიქრობს ვინმე, რომ ჩვენ სწორედ ამ ეპოქას ვუპრუნდებით? ნეტა მართლა თუ სჯერა ვიმებს, რომ მთავრობა გაცილებით უკეთ განკარგავს ეკონომიკას, ვიდრე ამას რამდენიმე ათწლეულის ნინ ახერხებდა? აღნათ კვლავაც აღდგება ძველი რეგულაცია. მაგრამ რეგულაცია არ უდრის სკარაფიტში.

კაპიტალიზმი ახლა უკვე გლობალური ფენომენია. მას აძლიერებს და აფართოებს კომპანიები, მთავრობები და ინდივიდები მთელს მსოფლიოში. თუ ვირრ ძალაში გამოიყენოთ ასეთი სისტემის სამართლებრივი უზრუნველყოფა, ასეთი მიზანი მიაღწის.

ლინიონ და მეტად განვითარდნენ, ისინი აუცილებლად გამოიყენებენ თავი-სუფალი ბაზრებისა და თავისუფალი ვაჭრობის უპირატესობას ახალ საფე-სურებზე ასასვლელად. მთავრობებმა იმიტომ კი არ გადაწყვიტეს თავიანთი ბაზრების ლიბერალიზმა, რომ სავაჭრო პალატის ხელმძღვანელმა ჰენრი პოლსონმა, ანდა მისმა წინამორბედმა რობერტ რუბინმა ბრძანეს ასე; ისინი ასე იმიტომ მოიქცენ, რომ დაინახეს ის სიკეთები, რაც ამ მიმართულებით სკოლას მოჰყვებოდა (და შესაბამისად, გაანალიზეს ის საფასურიც, რაც ამ არჩევანზე უარის თქმა დაუჯდებოდათ). ეს პროცესი კვლავაც იქნება ეპი-ზოდური და არასრულყოფილი, გააჩნია პოლიტიკური ზეროლის ხარისხს. მაგრამ ვარაუდობ, რომ მომდევნო 20 წლის განმავლობაში განვითარების ტემპის გასაზრდელად ქვეყნების უმრავლესობა საკუთარი ბაზრების გა-თავისუფლებას შეეცდება (ცხადია, ეს იქნება კარგად გაკონტროლებული პროცესი), იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფო მფლობელობაში გადაიტანოს ქვეყნის ეკონომიკის ნაწილი. წარსულის ეკონომიკური კრიზისების ისტო-რია ცხადყოვს, რომ პრობლემების პასუხად, სახელმწიფოებმა გაცილებით უფრო აგრძესიული ეკონომიკური რეფორმები გაატარეს, მეტი ნდობა რომ მოეპოვებინათ თავიანთი სისტემების მიმართ, მეტი ახალი კაპიტალი რომ მოეზიდათ და განვითარების გზას ხელახლა დადგომოდნენ.

ნარსულის მსგავსი მაგალითები კი იმაზე მიანიშნება, რომ მთავრობისა და ბაზრის შესახებ მიმდინარე დებატები თითოდან გამოწვევილია. ყველა სერიოზული მოაზროვნე ხვდება, რომ ჩვენ ირკვე მათგანი გვჭირდება. უფრო მნიშვნელოვნის, ვპოვოთ მით დაბალისების გზა, რათა საბოლოო ჯამში მივაღწიოთ განვითარებას, ინვეციას, სტაბილურობასა და სოციალურ თანასწორობას. როგორ უნდა იმუშაოს მთავრობამ ისე, რომ მისი მმართველობა ეფექტური იყოს საზოგადოების დიდი ნაწილისთვის,

დღევანდილობის ყველაზე დიდი პრობლემა კავიტაციურის  
პრიზისი არაა. ეს გახდავთ გლობალურიაციის პრიზისი. ახალი  
მსოფლიო ცისრიგი, რომელიც ცილ-ცილა იქველავს ზზას, არსალას  
არ წავა. აღარასღროს დაუზრუნველოთ სისტემას, რომელსაც  
ჩატარებული ატლანტიკის რაზეც მცირება განსაზღვრავდება.

მომავალი თაობისა და საზოგადოების კეთილდღეობისთვის?

დღევანდელობის ყველაზე დიდი პროტელემა კაპიტალიზმის კრიზის  
არაა. ეს გახდავთ გლობალიზაციის კრიზისი. ახალი მსოფლიო წესრიგი,  
რომელიც ნელ-ნელა იყვალავს გზას, არსადაც არ წავა. აღარასდროს და-  
ცურნულდებოთ სისტემას, რომელსაც ჩრდილოეთ ატლანტიკის რამდენიმე  
ქვეყანა განსაზღვრავდა. ფაქტორები, რომლებიც გლობალური ეკონომიკის  
განვითარებას განსაზღვრავს, ფართო სტრუქტურული ცვლილებებია, რომ-  
ლებიც, უკეთ რამდენიმე ათწლეულია, ეფექტურად მიმდინრეობს. ცვლი-  
ლებათა ეს ტენდენციები მდგრადია, ფესვგადგმულია და ამიტომაც ერთი  
ფინანსური კრიზისი, ანდა რეცესია ვერაფერს დაკლებს. ის გაუძლებს  
სირთულეებს და თან ბიძგს მისცემს ძალთა ახალ გადაჯგუფებას დასავ-  
ლოები და კულტურული კუნტრუბისან საჭიროდ შორს.

ახლა საკითხავია — მშგავსი ცვლილებები მოუტანს თუ არა მეტ სტაბილურობას მსოფლიოს?

არსებობს კაცობრიობისთვის ერთი კარგად ნაცნობი სანუხარი: გარდა-  
მავალი პერიოდები სიტუაციას მსოფლიოში ყოველთვის ურევს. დაწყებუ-  
ლი თუკიდიდებან, რომელმაც დაასკვნა, რომ სპარტადან ათენში ძალაუ-  
ფლების ცენტრის გადატანამ გამოიწვია პელოპონესის ომი, სწავლულები  
მსგავს გარდამავალ ფაზებს დიდი შიშითა და სიფროთილით ელოდებიან.  
თუმცა, თუ სწორად ნარვმართავთ მოვლენებს, სხვების აღზევება საჭიროა  
კიდეც იყოს დესტაბილიზაციის მომტანი. ამერიკა ისეთ მდგომარეობაში  
არა, რომ სწავლულ ძირი დონის აუ მის წარადგენას ართ უნიკალუ-

## ანალიზი

ლი ქვეყანა ესწრაფვოდეს. ჩინეთის ეკონომიკა კვლავაც ამერიკული ეკონომიკის მხოლოდ ერთ მეხუთედს შეადგენს, მისი სამხედრო სტრუქტურა კი კიდევ უფრო მცირება; თანაც, ყველა ძლიერ და მნიშვნელოვან სახელმწიფოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან საერთო იდეალები და ფუნდამენტური ინტერესები აკავშირებს. მთავარ საფრთხედ კვლავაც ის რჩება, რომ ვაშინგტონი თავის ძალაუფლებას გადაჭარბებს, რაც სხვა ქვეყნებს აიძულებს, მდგომარეობის დაბალნება თვითონ დაინტენსივი გლობალური სტაბილურობისთვის ამერიკული პოლიტიკური და სამხედრო ძალაუფლების სწორი მენეჯმენტი კვლავაც უმთავრეს მისას წარმოადგენს. შტატებმა უნდა შემოგვთავაზოს წესები, ინსტიტუციები და სამსახურები, რომლებიც გლობალური პრობლემების მოგვარებაში წამყვან როლს შეასრულებენ.

თუმცა, ისიც ცხადია, რომ ერთობლივი, შეთანხმებული მოქმედება მსოფლიოში დღეს გაცილებით უფრო რთულად მისაღწევია. ეკონომიკური და სოციალური აქტივისტობა გლობალური მოვლენა კია, მაგრამ პოლიტიკური ძალაუფლებაა ღოვანური ცნება. ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემები ხმირად სცდება სახელმწიფოთა საზღვრებს მაშინ, როცა პრობლემების გასაღება ეროვნულ მთავრობებს უპყრიათ ხელთ. ისინა კი, თავის მხრივ, ეჭვიანად ყარაულობენ თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობას. ვიდრე ამ ძირითად პრობლემას არ გადაეჭრით, კიდევ უამრავი სხვა-დასხვა სახის კრიზისის წინაშე აღმოვჩნდებით. პასუხი კი გამოწვევებზე სპონტანური, უშედეგო და არაფრის მომტანი იქნება. შესაბამისად, მოვა დრო, როცა მსგავსი პასუხების გამო, სახელმწიფოები მოვლენებს ვიწრო ნაციონალისტური ხედეთ მიუდგებიან, რითაც კიდევ უფრო გააღვივებენ არასტაბილურობას მსოფლიოში, საფრთხეს შეუქმნან მშვიდობასა და კე-თილდღეობას.

მობაზე. მართალია, ეს საკითხი საერთაშორისო დღის წესრიგში ჯერ არ დამდგარა, მაგრამ მგონი, ცვლილება მალე ამ მიმართულებითაც მოხდება.

ზოგჯერ შანსი კრიზისშივე ჩნდება ხოლმე. გასულ შემოდგომაზე რამ-დენიმე დასავლურმა მთავრობამ ფინანსურ კრიზისს თავიდან იმით უპასუხა, რომ გადაწყვეტის, მას დამოუკიდებლად გამკლავებოდნენ. როგორც ჩანს, მათ არად ჩააგდეს გლობალიზაციის ფაქტორი მაშინ, როცა არაფრია უფრო გლობალური, ვიდრე კაპიტალი. ფული საზღვრებს უპრობლემოდ კვეთს და არ ცნობს შლაგბაზებებს, ამიტომაც საჭიროებს საერთაშორისო სტრატეგიის კონკრეტულიას. როგორც ჩანს, ეს ფაქტორი სახელმწიფოთა ლიდერებმა დაგვიანებით გაითვალისწინეს და შედეგად, ვაშინგტონში გამართეს დიდი ოცეულის სამიტი, რაც პირველი გონივრული ნაბიჯი იყო პრობლემის აღმოსავალურებლად. თუმცა, იმისთვის, რომ კრიზისს სერიოზულად შეუუტიოთ, ეს ერთი ღონისძიება უფრო სისტემური მიდგომით უნდა შევცვალოთ. მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი საჭიროებს გარდაქმნას და უფრო გულუხვ დაფინანსებას იმისთვის, რომ მსგავს გლობალურ პანიკას მომავალში უფრო ეფექტურად გაუსწორდეს.

უკვე კარგად დაზუსტებულ სტანდარტი ითქვას, სპორტის ერთგვარ სახელმადაც კი იქცა ტენდენცია, რომ მსგავსი პრობლემების დროს ამერიკა არაეფექტურ ლიდერობაში დაგვადანშაულოთ. სიმართლის მარცვალი მსგავს სენტრულიციაში მართლაც დევს და მე გულწრფელად ვიმეოვონებ, რომ პრეზიდენტი ობამა გაცილებით უფრო ჩართული იქნება პრობლემების მოგვარებაში, ვიდრე მისი წინამორბედი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ პასუხისმგებლობას არამხოლოდ ვაშინგტონი უნდა გრძნობდეს. პრობლემა ასევე ეხება პარიზსა და მოსკოვს, პეკინსა და დელის. ევროპული მთავრობები ყოველთვის ცდილობდნენ, ძალაუფლება საერთაშორისო სავალუტო

ფონდისთვის და სხვა ინსტიტუციებისთვის დაემთოთ. გაერო სულ უფრო არაეფექტური, არაადეკატური და უუნარი ხდება და ვერ ახერხებს, სტრუქტურულად მოერგოს და გასწოდეს ახლად გაძლიერებულ სახელმწიფოებს. ზოგიერთი განვთარებადი ბაზრის მქონე სახელმწიფო საკუთარ დამოუკიდებლობას ისეთივე რუდუნებით იცავს, როგორც თვით ამერიკის შეერთებული შტატები და ზოგჯერ კიდევ უფრო მეტადაც. თუმცა, საკითხავია, არსებობს კი სხვა ალტერნატივა?

ვფიქრობ, ვიდრე არ ვიპოვით გლობალური თანამშრომლობისთვის საჭირო გზებს,

სამისოდ კი წესებსა და ინსტიტუციებს სათანადოდ არ შევცვლით და არ გავავრცელებთ, მსოფლიო უფრო სერიოზული კრიზისის წინაშე აღმოჩენდება, მთავრობების პასუხი კი სულ უფრო მეტად სპონტანური, ნაჩერევი, შეზღუდული და დაგვიანებული იქნება. მეორე მხრივ კი, თუკი მოვახერხებთ, დავდგეთ ერთად და ვიშრომოთ საერთო-საკაცობრიო პრობლემების გადასაჭრებად, ნარმოიდგინეთ, რომ შევძლებთ კიდევ, ყველასთვის შევქმნათ არნახული შესაძლებლობები. ნარმოიდგინეთ, რაიქნებოდა, რომ შეგვექმნა ახალი წესები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა გლობალიზაციისა და განვითარების ეს შეუქცევადი პროცესი საზოგადოების თითოეულ ფენამდე მიგვეტანა, აგვემაღლებინა ცხოველებისა და ჯანმრთელობის სტანდარტები ლარიბითა და უღარიშესთა შორისაც კი; მიგვეცა საშუალება სულ უფრო მეტი ადამიანისთვის, განვითარებინათ საკუთარი ნიჭი და უნარ-ჩვევება...

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ბევრმა მთავრობამ და ბევრმა ადამიანმა ინდივიდუალურად მოახდინა სასწაულები. ახლა დროა, თითოეულმა მათგანმა საკუთარი შემოქმედებითობა და პოტენციალი თანამშრომლობის ახალი ფორმების დაგეგმვას მოახმაროს. 21-ე საუკუნის ყველაზე გრანდიოზული პროექტი უნდა იყოს ახალი არქიტექტურა – სისტემა, რომელიც დედამინაზე განვითარებისა და მშვიდობის გარანტი გახდება.

**ვიღი არ ვიკოვით გლობალური თანამშრომლობისთვის  
საჭირო გზებს, საამისოდ კი წესებსა და ინსტიტუციების  
არ შევცვლით და არ გავარცელებთ, მსოფლიო უფრო  
სერიოზული კრიზისის წინაშე აღმოჩენილი აღმოჩენილი გამოწვევების  
პასუხი კი სულ უფრო გამოცდილი გადამდებარების მიზანისა და დელის.**

მეტი თვალსაჩინოებისთვის წარმოვიდგინოთ რომელიმე სერიოზული პრობლემა, რომელიც, სავარაუდოდ, რმდენობი ქვეყანას ჩაითრევს და მოედება; თუმცა – ტერორიზმი, ფინანსური ვორუსი, ინფექციური დააგადებები, ენერგია, უსაფრთხოება. თითოეული ეს გამოწვევა სახელმწიფოთა მხრიდან გაცილებით უფრო კოორდინირებულ შეტევას საჭიროებს, ხოლო რიგ შემთხვევებში არა მხოლოდ შეტევას, არამედ მთელი რიგი ინსტიტუციების შექმნას, რომლებიც დასახული საპასუხო შეტევის განხორციელებას ითვევენ. მაგალითად, რამეთ სახის ინფექცია. ცხადია, ეპიდემია საზღვრებს უმაღ გადაკვეთს. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ჩვენგანს გვექნება მიზეზიცა და სტიმულიც, შეძლებისდაგვარად გამოვიყევლით ვირუსის სასიათო, იზოლაციაში მოვაქციონ ვირუსით ვირუსით დასწრება და საერთო ძალისხმევა არ დავიშუროთ მათ განსაუკრანად. ასეთ შემთხვევაში, იდეალური ვარიანტი იქნებოდა ის, რომ პირველი საქმეში მსოფლიო ჯან-დაცულების რამდენიმე შეძლებისთვის შეადგენ უდავოდ აუცილებელია.

მეც და კიდევ რამდენიმე სხვა ადამიანი, უკვე დიდი ხანია, ესაუბრობთ პრობლემასა და მისი გადაჭრის ერთ-ერთ გზას შესრულ შეუსაბა-



# **SYNDICATE**

**104.3 FM**

**[WWW.RADIOSYNDICATE.GE](http://WWW.RADIOSYNDICATE.GE)**





## რატომ ფამილიურ ისრაელმა ლაზაში მო

ავტორი: ერის მაკარიშვილი  
ინტერვიურილა თარგმნა დავით გაგუანიამ  
ორიგინალი დაბეჭდი გაზით „ობზერვერში“, 4 ქანოები, 2009

## ისრაელის ფურვების ოთხი 8-დან 14-მდეამდე ბიჭის სიცოცხლე შეიძირა,

ისინი ქუჩაში ფეხურთს თამაშობდნენ. მიიასარ აპუ-ხოთიერი და მისი ოთხი შვილი –

ერთიან ხუთ წლამდე ასაკის ბავშვები, დაიღუსავენ საკუთარ სახლში საუზისას, როდესაც მათ სახლს ფურვი დაეცა.

ეს არის ომი ორ ფრონტზე. რამდენიმე თვის წინ, როდესაც ისრაელში ღაზას მიმართ უკამაყოფილების ახალი ტალღა გორდებოდა, მათ აღიარეს, რომ ჰამასისა და „ტერორის ინფრასტრუქტურის“ განადგურება, რაც პოლიციის განყოფილებებს, კერძო სახლებსა და მეჩეთებსაც გულისხმობს, მათი პირდაპირი მოვალეობა იყო.

ისრაელს ისიც კარგად ესმოდა, რომ პარალელურად, დანარჩენი მსოფლიო იმაში უნდა დაერქმნებინა, რომ მისი ქმედებები სამართლიანი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მორგები პალესტინელი ქალებისა და ბავშვების გვამებით გაივსო; ასევე უნდა დაემტკიცებინა, რომ ეს ქმედებები არა ოკუპაციად, არამედ დასავლური სამყაროს მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლად და ირანთან კონფრონტაციად აღქმულიყო.

2006 წელს, ლიბანში კრახით დასრულებული სამხედრო ინტერვენციის შემდეგ, რაც ისრაელისთვის არა მხოლოდ სამხედრო, არამედ პოლიტიკურ და დაპლომატიურ კატასტროფად იქცა, ოფიციალური იერუსალიმი თვეების მანძილზე ცდილობდა, საფუძველი მოემზადებინა ღაზაზე თავდასხმისთვის – უცხოურ აღმინისტრაციებსა თუ დიპლომატებთან უხმაურო, მაგრამ ენერგიული ურთიერთობით, განსაკუთრებით კი ეკროპა და არაბული სამხედრო მოემზადებისთვის – უცხოურ აღმინისტრაციებსა თუ დიპლომატებთან უხმაურო, მაგრამ ენერგიული ურთიერთობით, განსაკუთრებით კი ეკროპა და არაბული სამყაროს ნაწილში.

გარკვეულწილად, წარმატებით იმუშავა სპეციალურად შექმნილმა საინფორმაციო დირექტორატმა, რომელსაც შედიაზე ზეგავლენა უნდა მოეხდინა. ხოლო როდესაც

შეტევა დაიწყო, დიპლომატების, ლობისტთა ჯგუფების, ბლოგერების და ისრაელის სხვა მხარდამჭერების არმიამ დიდი ხმაური ატეხა სხვადასხვა ქვეყანაში; აქტიურად ავრცელებდნენ წინასწარ შემუშავებულ რამდენიმე ძირითად გზავნილს, რომლებიც ისრაელის მსხვერპლად წარმოდგენას ისახავდა მიზნად, მიუხედავად იმისა, რომ დაბომბვების შედეგად 430-ზე მეტი პალესტინელი დაიღუპა და ამათგან, სულ მცირე, ერთი მესამედი სამოქალაქო პირი ან პოლიციელი იყო.

ისრაელმა ღაზას სასატიკი სიმძლავრით შეუტია – საშუალოდ, 20 წუთში ერთხელ ხორციელდებოდა საპარაკო დარტყმები. თუმცა, ამის მიუხედავად, ჰამასი კვლავაც განაგრძობს საპასუხო ქმედებებს, რასაც შეტევის დაწყებიდან დღემდე 4 ისრაელელის დაღუპვა მოჰყვა, ჰამასის ჭურვები კი ებრაული სახელმწიფოს ისეთ სიღრმეში იჭრება, როგორც არასოდეს; ათიათასობით ადამიანი გარბის სახლებიდან. გასულ ღამეს ისრაელმა კიდევ უფრო გააძლიერა შეტევა, მისი ჯარები ნიაღვარივით მიასკდნენ ღაზას საზღვარს, პარალელურად კი მიმდინარეობდა დიპლომატიური ოპერაცია, რომ იმ უდანაშაულო ადამიანთა დაღუპვა გაემართლებინათ, რაც უთუოდ მოჰყვებოდა შეტევას.

დენ გილერმანი (რამდენიმე თვის წინ გაერო-ში ისრაელის ელჩი) საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოიხმო, რომ მას დიპლომატიური და PR-კამპანიებისათვის ეხელმდღვანელა. მისი თქმით, დიპლომატიური

და პოლიტიკური საფუძველი უკვე თვეების მანძილზე მზადდებოდა.

„ეს ყველაფერი დიდი ხნით ადრე იგეგმებოდა. მე ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა მომიწვია სამუშაოდ, რომ ისრაელის მცდელობების კოორდინირება მომებდინა. თუმცა, ამ ურთულესი მექანიზმის ყველა ნაწილი თავადაც არასოდეს მინახავს – იქნება ეს საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, პრემიერ-მინისტრის აპარატი, პოლიცია თუ არმია – ყველანი ძალიან კოორდინირებულად მუშაობენ, რომ ეფექტურად გაავრცელონ მთავარი გზავნილი.“

იერუსალიმში, ლონდონში, ბრიტანელსა და ნიუ-იორკში გამართულ ბრიფინგებზე ძირითადი გზავნილები რამდენჯერმე გაიმეორეს: ისრაელს სხვა გზა არ ჰქონდა, ის იძულებული გახდა, პასუხი გაეცა ჰამასის სარაკეტო შეტევებისთვის; მისი შეტევა ღაზაზე მხოლოდ „ტერორის ინფრასტრუქტურისკენა“ მიმართული და სამიზნებს ძირითადად წარმოადგენენ ჰამასის მებრძოლები; სამოქალაქო პირები დაიღუპებიან, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჰამასი თავის მებრძოლებსა და შეიარაღებას ქარხნებში, ჩვეულებრივ მოქალაქეებს შორის მაღავს.

ამ ყველაფერს ფეხდაფეხს მოსდევს სტრატეგია, რომელიც დისუსიებიდან სიტყვა „ოკუპაციის“ ამოქაბას ემსახურება. „ღაზა 2005 წელს გათავისუფლდა, როდესაც ებრაელმა მოსახლეობამ და არმიამ დატოვეს მისი ტერიტორია,“ – აცხადებენ ისრაელის წარმომადგენლები. ამასობაში მას შეეძლო



აყვავებულიყო და გამხდარიყო მომავალი პალესტინური სახელმწიფოს საფუძველი, მაგრამ მოსახლეობამ კონფლიქტი არჩია.

ისრაელმა ჰამასი, ირანთან და ჰეზბოლასთან ერთად, ისლამისტურ-ფუნდამენტალისტური ბოროტების ღერძის ნაწილად წარმოაჩინა. ჰამასის ქმედებებს, ისრაელის თქმით, არაფერო აქვს საერთო დასავლეთ სანაპიროს გაგრძელებულ ოკუპაციასთან, ღაზას ბლოკადასთან ან იმ ფაქტთან, რომ ისრაელი ჯარისკაცები, ღაზადან ჯარების გამოყვანის შემდეგაც მრავალ პალესტინელს ხოცავნ. „ისრაელი თავისუფალი სამყაროს ნაწილია და ებრძევის ექსტრემიზმსა და ტერორიზმს. ჰამასი კი – არა,“ – განაცხადა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა და კადიმას პარტიის ლიდერმა, ციპი ლივნიმ საფრანგეთში ვიზიტისას; მისი ვიზიტი დოკლომატიური შეტევის ნაწილი იყო.

ლივინმ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშისული ტერორიზმთან ომის რიტორიკაც კი გამოიყენა, – „ჩვენთან ან ჩვენს წინააღმდეგ. ეს არის მომენტი, როდესაც თითოეულმა ადამიანმა, რეგიონსა თუ მთელს მსოფლიოში, ერთ-ერთი მხარე უნდა აირჩიოს, – განაცხადა მინისტრმა, – ისრაელმა თავისი მხარე დაარსების დღიდანვე აირჩია; ებრაელმა ხალხმა თავისი მხარე მრავალ ათასწლევანი არსებობის მანძილზე აირჩია; და მშეიძლიასათვის ლოცვა არის ის ხმა, რომელიც სინაგოგებში ისმის.“

ეს გზავნილი მისაღები აღმოჩნდა შედარებით დამთმობი არაბული სახელმწიფოების მთავრობებისთვის, მაგალითად, ეგვიპტისა და იორდანიისათვის, რომელიც ჰამასისადმი მტრულად არიან განწყობილი.

„მუსულმანური და არაბული სამყაროს დიდი ნაწილი ხვდება, რომ ჰამასი მათთვის უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე ისრაელისთვის, – განაცხადა გილერმანმა, – ჩვენ

ამის დადასტურება მრავალგზის გვინახავს, მაგალითად, ეგვიპტის პრეზიდენტის მუბარაქის საჯარო განცხადებებში და თავად პალესტინის პრეზიდენტის მაჰმედ აბასის თუ არაბული სამყაროს სხვა წარმომადგენლების განცხადებებში. ეს სრულიად უპრეცედენტო რამა.“

მართლაც, ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა პაჰედ აბულ გეითმა განაცხადა, რომ მისმა მთავრობამ ზუსტად იცოდა, რაც მოხდებოდა: „ბოლო სამი თვის განმავლობაში სრულიად ცხადად ჩანდა იმის ნიშნები, რომ ისრაელი ჰამასზე თავდასხმას აპირებდა ღაზაში. მათ ღამის ცას და დედამიწას მოსდეს ეს ამბავი. სამწუხაროდ, ჰამასმა თავისუფე ხელით, ოქროს ლანგრით მიართვა ისრაელს ამის შესაძლებლობა.“

ასევე მნიშვნელოვანი იყო ის, რაც არ თქმულა. სულ რამდენიმე თვის წინ ლივნი ჰამასის განადგურების შესახებ ლაპარაკობდა, თუმცა დანარჩენი მსოფლიოსათვის ეს ღაზაზე თავდასხმის გასამართლებლად მიუღებელი მიზეზი იქნებოდა. ამჟამად კი საუბარია ღაზას მთავრობის იძულებაზე, დაეთანხმოს ცეცხლის შეწყვეტას. შიგადაშიგ თუ წამოსცდება ვინმეს „მივიწყებული“ მესიჯი. ღაზაზე შეტევის დაწყებიდან რამდენიმე დღეში გაერო-ში ისრაელის ელჩმა გაპრიელა შალევმა განაცხადა, – იქამდე გავაგრძელებთ შეტევას, სანამ ჰამასი მთლიანად არ განადგურდებაო. ამის პასუხად აღმფოთებულმა ჩინოვნიკებმა იერუსალიმიდან გააფრთხილეს შალევი, – მსგავსი განცხადებებით დიპლომატიურ შეტევას ძირს უთხრიო.

შეტევის დაწყებიდან პირველი რამდენიმე საათის მანძილზე ისრაელი მთელ მსოფლიოს ერთსა და იმავე სათემელს უმეორებდა. საერთაშორისო ტელემედია ხშირად ციტირებდა ლივნისა და შრომის დაცვის მნისტრის, ეპუდ ბარაკის სიტყვებს. მთავრობის მიერ

შექმნილი საინფორმაციო დირექტორატი ცდილობდა, უცხოური მედიის ყურადღება მთლიანად გადაეტანა გასული 8 წლის მანძილზე ღაზადან ისრაელის მიმართულებით ნასროლ 8 500 ჭურვზე და ამის შედეგად დაღუპულ 20 სამოქალაქო პირზე და ნაკლებად გაემახვილებინა ღაზას სადამსჯელო ბლოკადაზე ან თუნდაც 1700 პალესტინელზე, რომლებიც ისრაელის სამხედრო შეტევების დროს დაიხოცნენ, მას შემდეგ, რაც სამი წლის წინ ისრაელელმა მოსახლეებმა ღაზა დატოვეს.

მოხდა ისეთი ლობისტი ჯგუფების მობილიზება, როგორებიცაა, მაგალითად „ისრაელთან კომუნიკაციისა და კვლევის ბრიტანული ცენტრი“ (ბიკომი) ლონდონში და „ისრაელის პროექტი“ ამერიკაში. ისინი აწყობდნენ ბრიფინგებს, საკონფერენციო ზარებსა და ინტერიუსებს. ისრაელის სამხედროები ვიდეო მასალებს ათავსებდნენ ინტერნეტში, იუთუბზე. ისრაელელმა დიპლომატებმა ორსაათიანი „სახალხო“ პრესკონფერენციაც კი გამართეს ნიუ-იორკში, რომელსაც ათასობით ადამიანი დაესწრო. ამავდროულად, ისრაელმა უცხოელ უურნალისტებს აუკრძალა, მისი სტრატეგიის მოწმენი გამხდარიყვნენ.

ლივნიმ განაცხადა, რომ ისრაელის თავდასხმა ჰამედინებულებისთვის სასარგებლო იქნება, რადგან მათ ჰამასის მარტინულებისგან გაათავისუფლებს. „მას სურს, დამარტინუნოს, რომ ამ ველაფერს ჩემს სასიკეთოდ აკეთებენ, – ეხმაურება ლივნის განცხადებას დაინაბუტუ, პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის იურიდიული კონსულტანტი, და 2005 წელს ისრაელის ღაზაზე დაკავშირებული მოლაპარაკებების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, – რამდენიმე ისრაელელი მეგობარი იმავეს მიმეორებს: უნდა გიხარდოთ, ჰამასს რომ ვანადგურებთ, ისინი თქვენთვისაც დიდ პრობლემას წარმოადგენონ. მე კი არ მჭირდება, ლივნიმ მიკარნახოს, ვინ არის ჩემთვის კარგი და ვინ – ცუდი, და არა მგონია, სისხლისლერა ვინ-მესთვის კარგი იყოს.“

როდესაც სისხლისლერა დაიწყო, ისრაელი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ 400-ზე მეტი დაღუპულიდან სრული უმრავლესობა ჰამასის მებრძოლი იყო და განადგურებული შენობები – ტერორის ინფრასტრუქტურა. თუმცა, დაღუპულთა დაახლოებით ერთი მესამედი პოლიციელი იყო. მიუხედავდ იმისა, რომ პოლიციას ღაზაში ჰამასი უდგას სათავეში, ბუტის თქმით, ისრაელი ტყუილად წარმოაჩენს მას ტერორისტულ ორგანიზაციად.

„პოლიციის ძალები ძირითადად გამოიყენება შიდა წესრიგისა და კანონიერების დასაცავად, ტრეფიკისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ. ისინი არ არიან მეომრები. ისრაელს სურს, გაანადგუროს ყვე-



REUTERS

## ანალიზი

ლა, ვინც ჰამასთან ასოცირდება, მაგრამ სად გადის ზღვარი? არის თუ არა ლეგიტიმური სამიზნე ადამიანი, რომელიც სამოქალაქო სამსახურში მუშაობს? არის თუ არა ლეგიტიმური სამიზნე ის, ვინც ჰამასს მისცა ხმა „არჩევნებში?“ – კითხულობს დიანა ბუტუ.

ამასობაში, სანამ ისრაელი ჰამასს აპრალებს მოსახლეობის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებას, ვინაიდან, მათი თქმით, ჰამასი ტერორისტულ ინფრასტრუქტურას საცხოვრებელ რაიონებში მაღავს, ისრაელის ჭურვების სამიზნედ პოლიციის განყოფილებები და სხვა საჯარო დაწესებულებების შენობები იქცევა, რომელთა სხვაგან განლაგება წარმოუდგენელია.

ისრაელის მტკიცებით, ჰამასმა დაარღვავა ივნისის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომლის გაგრძელებისთვისაც იერუსალიმი მზად იყო. „ისრაელს თავად სურს, ძალადობას პირველმა მოუღოს ბოლო. ჩვენ არ გვინდოდა ძალადობა. უბრალოდ, სხვა არჩევანი არ გვქონდა. ჰამასმა ზავი დაარღვია,“ – განაცხადა ლივნიმ.

თუმცა, სხვები ამტკიცებენ, რომ ზავი საფრთხის ქვეშ ჯერ კიდევ ნოემბერში დადგა, როდესაც დაზაში რეიდის დროს ისრაელმა სამხედროებმა ჰამასის ექვსი შეიარაღებული წარმომადგენელი მოკლეს. პალესტინელები აღნიშნავენ, რომ ეს მოხდა ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნების დღეს და დანარჩენმა მსოფლიომ უბრალოდ ვერ მიაქცია ყურადღება ამ ფაქტს. ჰამასმა ისრაელს ასრალის უფლების შეინარჩული 18 ნელზე ნაკლები ასაკისაა. 2007 წლის ივნისიდან 2008 წლის ივნისამდე ისრაელის შეტევების შედეგად დაიღუპა 68 პალესტინელი ბავშვი და მოზარდი, კიდევ ორ ათეულადმდე – დასავლეთ სანაპიროზე.

რაში ისრაელის ორი შეტევისას კიდევ ექვსი პალესტინელი დაიღუპა.

„ისინი ღაზას სამხედრო ძალებით გამუდმებით უტევდნენ, ზღვიდან და საპარო სივრციდან, და ეს ხდებოდა სამშვიდობო შეთანხმების არსებობის მანძილზე,“ – განაცხადა ბუტუ. შეტევებთან ერთად პალესტინელების ხოცაც არ შეჩერებულა. თითების სამი წლის მანძილზე, იმ დროიდან მოყოლებული, რაც ხელისუფლებაში ჰამასი მოვიდა, ღაზაზე უკანასკნელ თავდასხმამდე, ისრაელის სამხედრო ძალებმა დაახლოებით 1300 ადამიანი დახოცეს ღაზაში და დასავლეთ სანაპიროზე. ამათგან მნიშვნელოვანი ნაწილი ჰამასის აქტივისტი იყო; ამას გარდა, ასობით პალესტინელი თავად პალესტინელებმა დახოცეს ჰამასსა და ფატას შორი გაჩადებული ბრძოლების დროს. ყველა ამ პროცესის შედეგად პალესტინში დალუბული სამოქალაქო პირების რაოდენობა შემაშფოთებლად მაღალი იყო.

ადამიანის უფლებათა პალესტინური ცენტრის განცხადებით, ყოველი მეოთხე მსხვერპლი 18 ნელზე ნაკლები ასაკისაა. 2007 წლის ივნისიდან 2008 წლის ივნისამდე ისრაელის შეტევების შედეგად დაიღუპა 68 პალესტინელი ბავშვი და მოზარდი, კიდევ ორ ათეულადმდე – დასავლეთ სანაპიროზე.

თებერვალში ისრაელის ჭურვებმა ოთხი 8-დან 14-წლამდე ბიჭის სიცოცხლე შეიწირა, ისინი ქალაქ ჯაბალიაში, ქუჩაში ფეხბურთს თამაშობდნენ. აპრილში მეიასარ აბუ-მეთიქი და მისი ოთხი შვილი – ერთიდან ხუთ წლა-

მდე ასაკის ბავშვები, დაიღუპნენ საკუთარ სახლში საუზმისას, როდესაც მათ სახლს ჭურვი დაეცა. ზავის დროსაც კი ისრაელმა ღაზაში 22 ადამიანი მოკლა, მათ შორის – ორი ბავშვი და ერთი ქალი.

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების კოლაფსის მთავარი მიზეზი ალბათ იყო განსხვავიბული მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რისთვის უნდა მიეღწიათ. ისრაელი ზავს აღიქვამდა ორმხრივი სიმშვიდის გარანტიად; ჰამასი კი ისრაელისგან ღაზისათვის ბლოკადის მოხსნას ელოდა. ისრაელის მტკიცებით კი, ბლოკადა იყო თავდაცვითი პასუხი ჰამასის სარაკეტო შეტევებზე.


თუმცა, ისრაელს არ მოუხსნა ალყა, რომელიც ღაზას ეკონომიკას ანადგურებდა, ინვეზდა საკვების, საწვავისა და მედიკამენტების უმწვავეს დეფიციტს. ღაზას მაცხოვრებლები მიხვდნენ, რომ ბლოკადა არა იმდენად სარაკეტო შეტევების პასუხი იყო, არამედ ამით ისრაელი მათ ჰამასისთვის არჩევნებში გამოცხადებული მხარდაჭერის გამო სჯიდა. ისრაელის განცხადებებში უმთავრესი გზავნილი იყო ის, რომ მათ სამი წლის წინ გამოიყვანეს ღაზადან სამხედრო ძალები და ებრაელი მოსახლეობა, რითაც ღაზას საშუალება მიეცა, აყვავებულიყო. „მათ იმედი ჩაუსახეთ, ჩვენი ჯარები და მოსახლეობა გამოვიყვანეთ, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ღაზა პალესტინელთა სახელმწიფოს საწყისი გამდარიყო, ჰამასმა ექსტრემისტული ისლამური მმართველობა დაამყარა,“ - განაცხადა ლივნიმ. ისრაელის ოფიციალური პირები ამტკიცებენ, რომ ჰამასსაც და მათაც, ვინც ჰამასი აირჩია, ებრაელთა სიძულვილი და განადგურების სურვილი უფრო ამოძრავებდათ, ვიდრე ქვეყნის აღმშენებლობა.

>>> გაგრძელება გვ. 107

ადამიანის უფლებათა პალესტინური ცენტრის  
განცხადებით, ყოველი მეოთხე მსხვერპლი

**18 წელზე ნაკლები ასაკისაა.**





05/05/2008

## ՀԵՂՋԻՆԻ ՀՈ



# საკუთარ ნაზუზში

ავტორი: სალომე პიქალებულიშვილი

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

არჩევანი იყო ასეთი – ან 10 ათასი დოლარი ოჯახზე ან ახლად აშენებული კოტეჯი. ზოგიერთი დევნილი დღესაც თბილისში იზამთრებს დაპირებული თანხის მოლოდინში, ზოგმაც კი უკვე გააკეთა არჩევანი და ახალი თუ დროებითი ცხოვრების დასაწყებად წეროვანის, შავშების თუ სხვაგან მდებარე კოტეჯებში მოხვდა.

მომცრო ზომის კოტეჯი ორი საძინებლისგან, საერთო ოთახისგან, პატარა სამზარეულოსა და საპირფარეშოსგან შედგება. თუმცა ეს უკანასკნელი ყველა კოტეჯის ფუფუნება ნამდვილად არ არის. შესახლებულ ოჯახებს დახვდათ: 2 საწოლი, კარადა, სამზარეულოს-თვის აუცილებელი ნივთები, სკამები, მაცივარი, ტელევიზორი, გაზის გამატბობელი. მართალია, წეროვანში, შავშებსა და კარალეთთან გაშენებულ დასახლებებში გარეგნულად ერთნაირი საცხოვრებელი სახლებია, მაგრამ პირობები ყველგან სხვადასხვაა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, რაც უფრო შორს, მით უარესი.





### ცეროვანი

ძალიან ციოდა. სუსხიანი ქარი უბერავდა და თოვლის ნამქერს ისე ატრიალებდა ჰაერში, რომ თვალდასუქლი თუ გაივლიდი სიმეტრიულად ჩანიკინიკებულ პატარა კოტეჯებთან. ასევე სიმეტრიულად აღმართულ დენის ბოძებს შორის გაბმული გრძელი თოკების დანახვაც მხოლოდ ზედ გაფენილი, ისტერიულად მოქანავე ფერად-ფერადი ტანსაცმლის გამო მოგახერხე. ერთ „ნივას“ თუ არ ჩავთვლით, რომელმაც მოყინულ გზაზე სულ „უკანალის ქიცინ-ქიცინით“ ჩამიარა, ასე მეგონა, ჩემს გარდა, აქ არც ერთი ცოცხალი არსება არ იყო. ზოგი კოტეჯი ჯერ კადევ ცარიელი იყო, ზოგს ფანჯრებზე ნაჭრები ეყიდა, საიდანლაც ვიღაც მიყურებდა, მაგრამ მისი მიმართულებით წავედი თუ არა, ფარდა გადაინა და გაუჩინარდა. მივხვდი, რომ ეს ის დრო აღარ იყო, როდესაც უურნალისტის დანახვაზე თავად გამორიყოდნენ, წრეს შემოგარტყამდნენ და ათას გასაჭრზე გიყვებოდნენ. არა, სიცივე აქ არავერ შუაშია. თითქოს ყველა შეიყუუა, თავის პატარა ნაჭუჭები იპოვეს, შიგნით მოკალათინენ და ჩაიკეტნენ.

6 ნლის მარიამი ცოტა სასაცილო და გამოიყერებოდა. პატარა ტუჩები წილად ჰქონდა შეღებილი და თავზე უამრავი წერილი და ჯოხებივით გაფშევილი ნაწილი ეკეთა. ჩემს დანახვაზე ღუ-

ღულა ჯემპრის სახელოთი ტუჩები მოიწმინდა, თმები შებლიდან გადაინია და წინ ჩამომიჯდა. მარიამის და მისი 15 ნლის დის – ხატიას მშობლები თბილისში იყვნენ წასულები, კოტეჯის გვერდით ჩადგმული, მოცუცქნული ჯისურისთვის სავაჭრო პროდუქტის საყიდლად: კანჯეტების, სიგარეტის, ორცხობილების, წვენების, ბანქოს... ამ ყველაფერის შეძენა საახალწლოდ, სულზე დარიგებული 200 ლარით გადაწყვეტის... „მეც მივეცი ჩემი ფული დედა,“ – მეუბნება მარიამი და მაგიდაზე, ნათესავების ნაჩუქარ სათამაშოებს მილაგებს. ამ კოტეჯში 30 დეკემბერს გადმოვიდნენ. როგორც მითხრეს, – ახალ წელს ცოტა მოწყენილები შევხვდით და მეკვლეს არ ველოდებოდით, რომ უცებ მეზობელი გვესტუმრაო. ეს ოჯახიც და წეროვანის ძირითადი დასახლებაც ახალგორიდან არიან. როგორც ხატიამ მითხრა, – უმეტესობა ახალგორში, თავის სახლებში ადის ხოლმე და ამიტომ, არც ფოტოს გადაგაღებენებენ და დიდად არც ლაპარაკს მოინდომებენ, რომ მერე იქ რაიმე პრობლემა არ შეექმნათო. „თქვენი უურნალი ხომ არაპოლიტიკერია? მაშინ კი, მეითხეთ რაც გინდათ.“ როგორც ხატიამ ამისნა, მიუხედავად იმისა, რომ „გიფსოკარდინის“ კედლები ზოგან გაიბზარა, ხოლო აბაზანაში ბანაობის შემდეგ უცნაურად „იბერება“ ხოლმე,

დიდი „პატივისცემა“ ის, რომ მათ ურიგდებათ „მალაკო“, „პესოკი“, ფქვილი, ბურდულეული და ათასი რამ, რაც სატიროა საოჯახო ინვენტარის-თვის. ხატია სკოლაში ჯერჯერობით ვერ დადის, რადგან არ არის გარკვეული, იქნება თუ არა მცხეთის სკოლაში ბაგშების სატარებლად გამოყოფილი ტრანსპორტი. ამიტომ მთელ დღეებს თავის პატარა დასთან ერთად ატარებს – უყურებენ ტელევიზიონს, ტუჩებს იღებავნ და, როგორც ყველა აქაური ქალი, საშუალო ზომის კოტეჯის დაღაგებითაა მთელი დღე დაკავებული.

ამბობენ, წეროვანში დასახლებულ დევნილებს იქვე სკოლას, ბაგა-ბაღს და მედუნებს უშენებენ. რაც მთავარია, თუ მზე კარგად ანათებს, მაშინ დასახლების შესასვლელში აუცილებლად მოგჭრის თვალს შეშის შენობა, რომლის შენებლობა, ჰა და ჰა, დამთავრდება. ამ შენობაში პოლიცია განთავსდება. ცოტა ქვევით შეამიანი მწვანე ფერის კოტეჯებია – „ეგვინ? მნიდ გორის ხალხია,“ – მითხრა ხატიამ გამოშვიდობებისას.

როდესაც მე-5 რიგის მე-12 სახლს – ანუ ჩემს პატარა მასპინძლებს გამოვცდი, შორიდან მომეს-მა ვიღაცის ხმა, გოგოებს გასძახა, – რა უნდოდა, საიდან იყორ... მართალია, ახალგორის დევნილები თავისუფლად ახერხებენ სახლებში ასვლას, მაგრამ თუ რაიმე ნივთის გამოტანა გინდა, მაშინ



წამოსალები ნივთების ჩამონათვალით გამგეობა-ში სპეციალურ წერილს წერ. „რომც მინდოდეს, იქ ვერ დაბრუნდები, რადგან მოუხედავად იმისა, რომ კარგად იციან შენი გვარი, თუ ვინმე შეგხვდა და გყითხა, – რსი ხარ? უნდა უპასუხო – ჰო. თუ გყითხა, – რუსი ხარ? – ისევ უნდა უპასუხო – ჰო. თუ გყითხავენ, – სად მიდიხარ, ახალგორს ვერ ეტყვი, უნდა უპასუხო – ლენინგრადში.“ მარინა წეროვანში ხეტიალისას ჩემი მეორე მასპნძელი იყო, რომელმაც დიდი პაუზის შემდეგ, მაგრამ მაინც შემიპატიუჟა ბინაში. „იქ დაბრუნდება არ არის უსაფრთხო, ერთი თვის წინ სკოლის დარაჯი აფეთქდა ნაღმზე. შიშია ქალაქში, პანიკა. რუსებით და ოსებით არის სავსე. აქ კი... საახალწლოდ კი დაგვირიგეს ფული, მაგრამ მეტი რა იქნება, არ ვიცით. ამბობენ, – ყველას დაგასაქმებთო; აქვე აშენებენ რაღაც დაწესებულებებს და... მჯერა თუ არა? თუ ასეთ მოკლე ხანძი ამხელა დასახლების გაშენებია შეძლება, მართალია, მხოლოდ გარეგნულად გამართაულის, მაგრამ მაინც, მაშინ შეიძლება... თუმცა გვაქვს სხვა გზა? დლევან-დელი დლით ვცხოვრობთ. არ ვიცით, რა იქნება ხვალ და ამიტომ, ყველაფერს ვიჯერებთ.“ მიუხედავად იმისა, რომ გაზის და დენის მრიცველები ელვის სისწრაფით ტრიალებს, მათ ეს პრობლემა ჯერჯერობით არ აწუხებთ, რადგან მთავრობა

6 თვის ხარჯების ანაზღაურებას დაპირდა. კი, მაგრამ – მერე? – ვკითხე მარინას, რომელსაც ისევე, როგორც ყველა დევნილს, არანაირი საკუთარი შემოსავალი არ გააჩნია; „რა ვიცი, გვიპასუხეს - მერე ხომ სახლებში დაბრუნდებითო“. კი, მაგრამ, მაშინ სველი ბლოკით, ნაუცბათევად ვისვეისლა შენდება სკოლა, ბაგა-ბალი?!

### შავშები

იმის გამო, რომ დასახლებების გაშენების არც ერთ ადგილზე ერთი ხეც კი არ ჭაჭანებს, დღის ნებისმიერ მონაკვეთში ყველგან საშინალად ქრის ქარი. მართალია, წეროვანში დასახლებული დეპნილები ჰიგიენის პრობლემას გაზიერებული წყლით აგვარებენ, მაგრამ, შავშევლ დევნილებთან შედარებით, არაფერი აქვთ სათქმელი. იმის გამო, რომ აქ კანალიზაციის და წყლის მიღების გაყვანა ვერ მოხერხდა, ხის საპირფარეშობი გარეთ არის მწყობრად ჩამწკრივებული, ხოლო წყალზე წასვლა დღეში რამდენჯერმე უხდებათ. გარეთ გამოსულს აქა-იქ აუცილებლად შეგხვდება დიდი ონკანები. ერთ-ერთ კოტეჯთან ათიოდე ადამიანი რიგში იდგა და ფანჯრიდან მიწოდებულ მძიმე ჩანთებს საკუთარი სახლებისენ მიარბენინდა. ახალგაზრდა ქალი 3 წლის ბავშვთან ერთად კარტოფილით დატვირ-

თულ ყუთს მიათრევდა. გამოლაპარაკება ვცადე, მაგრამ უარით გამომისტუმრა, – არ მაქვს უერნალისტის თავიო. კიდევ ერთხელ დაგრიმუნდი – აშენად არასასურველი სტუმარი ვარ.

– შეიძლება მოგეხმაროთ? – გავძახე შეუა ხნის ქალბატონს და თან დავაყოლე, – უურნალისტი-ვარ-თქო“. კოტეჯში შესვლისთანავე მეცა ნესტის სუსტი სუნი. ისევე, როგორც ამ კოტეჯების უმეტესობაში, ჭერიდან და კედლებიდან აქც წვეთავს, მაგრამ „აი, კატიას სახლი უნდა ნახო, სულ ჩამონგრეულია, კედელს ხელს რომ მოკიდებ, წყალი გამოდის“. კატიას სახლის სანახავად ვერ წავედი, ქალი აქ არ არის და კაცი არ შეგიშვებს, დაიღალა ამდენი „სტუმარით“. ნინო, უკვე რამდენიმე კვირაა, რაც აქ ცხოვრობს. დიდი დაკვირვება არ სჭირდება, წეროვანთან შედარებით, ეს კოტეჯები გაცილებით უხარისხოდა აშენებული. თუმცა ნინოსთვის, რომელიც თავს ორ ქალიშვილთან ერთად თბილისი, 85-ე ბაგა-ბალის შენობაში ცხოვრიბდა და გამგის „გულთბილ“ სიტყვებს ისმენდა, – „ნეტავ როდის წაეთრევით აქედან თქვე სოფლელო ქაჯებორ“, – ამ კოტეჯში ყოფნა დიდი ბედნიერებაა. ტელევიზორი მუყაოს ყუთისგან გაკეთებულ მაგიდზე უდევს და მთავრობისგან დარიგებულ 4 ჭიქას და 4 თეფშს წამდაუწუმ რეცხავს. მისი ქალიშვილე-



ბი გაზის გამათბობელთან ატუზულები დგანან – დაბალი ძაბვის გამო, ოთახები კარგად ვერ თბება. დენიც ხშირად ითაშება, – ხალხი ბევრ რამეს აერთებს და ელექტროგაყვანილობა ვერ უძლებსო. სანამ ნინო ჰუმანიტარული დახმარებისას მიღებულ პროდუქტს ახარისხებდა, მიყვებოდა, რომ დარიგებული 200 ლარით გოგონებს უყიდა ჩექმები, რადგან მართალია, ერთო-ორჯერ მეორადი ტანსაცმელი მოიტანეს, მაგრამ ჩექმა მათ შორის, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა. მიყვებოდა, რომ ფულის ალებისთანავე იყიდა ლორის ფარში და ხორცის წვნიანი მოამზადა; რომ ადრე სახლში ბევრი ნიგონ ჰქონდათ, უმეტესობა – რომანები, და გოგონებს მათ კითხვაში გაჰყავდათ დრო. ახლა კი ან კოტეჯი უნდა ალაგონ ან ტელევიზორს მიაჩერდენ, რადგან სხვა საქმეს, ძალიანაც რომ მონიდომო, ვერ იპოვი. ანუხებს ის, რომ წნევანს მედიკამენტები სჭრდება. მართალია, იმ დღეს რაღაც წამლები მოუტანიათ, მაგრამ მისთვის საჭირო ვერაფერი უნახავს. ნინომ მეორედ გამოიარა დევნილობა და, როგორც მითხრა, – თუ ძალით არ გამაგდეს, იმ რეგიონში (ცხინვალთან ახლოს, სოფელ ფრისიდან იყო) აღარასდომ დაგბრუნდებით. „რა მენატრება? რა ვიცი... ჩემი თბილი ლოგინი.“

### კარალეთი

მანქანიდნ გადმოვედი და მოყინულ გზაზე ხელის ცეცებით გავიარე. ერთი კოტეჯის კართან მოხუცი ქალი იდგა და რაღაცას მიშტერებოდა. კოტეჯებს შორის დიდი სატვირთო ბანქენა იყო ჩამომდგარი, რომლის საბარგულში უამრავი ნიჩაბი ეყარა. მანქანის გარშემო კაცები ირეოდნენ და რაღაცას ხმაბალა გაიძახოდნენ. ზოგი უკე სახლისკენ მიდიოდა და ინტერესით ათვალიერებდა ახალ ნივთს, ზოგი გამოცვლას ითხოვდა, მოკლედ, დიდი ამბავი იყო ატესილი. კოტეჯში შევედი. უკრნალისტის გაგინებაზე ხნიერმა ქალში სასწრაფოდ შემიყვანა საპირფარეშოში, დამანახა ლამის ძირამდე ჩამოვარდნილი დაკიდული ჭერის ნარჩენები, მერე კი სამზარეულოში – ცალსაკიდზე მოქანავე, კარადის მოფანფალებული კარებები და უჯრები. საგრძნობლად ციოდა. გამოსულისას მეითხა, – „ახლა, რომ წახელ და ამას დაწერ, მერე ხომ მოვლენ და გამიქეთებენ?“

სექტემბრიდან მოყოლებული ალარც მახსოვე უკვე მერამდენედ ჩავუარე რესტორან „ვენეციას“ – იქვეა, გორის გასასვლელში, სანამ კარალეთში შეხვალ. ამ სოფლიდან დაწყებული ერგნეთის ჩათვლით, ყველგან, სადაც კი ოსებმა სახლები გადაწვეს, პატარა, 24 კვადრატული მეტრის სი-

დიდის ერთოთახიანი კოტეჯებია ჩადგმული. პირველ რიგში ქეთინოსთან მივედი. მას შემდეგ, რაც ქეთინოს ოსებმა სახლი გადაუწვეს, ყოველ დღე ალაგებდა ეზოს, რომ დასახმარებლად ჩამოსულ კომისიას განსაკუთრებით მოხვედროდა თვალში მისი მონდომება და, ვინ იცის, იქნებ სახლიც აეშენებინათ. ყოველ შემთხვევაში, ამის სჯეროდა. ჭიშკარი არავინ გამოილ. „სახლში არ გარონ,“ – მითხრა ტელეფონით. თუმცა ღობებიდან მანც მოვახერხე ისევ იმ დამწვარი სახლის და მის ეზოში ჩადგმული პატარა კოტეჯის დანახვა. ეს კოტეჯები არასამთავრობო თრგანიზაციამ ააშენა, ოჯახები სამუდამოდ რომ არ გადასვენილყვნენ სოფლებიდან და ლამის გასათვი ადგილი მანც ჰქონდათ. როგორც ვიცი, თითოეულის მშენებლობა 5 ათასი დოლარი დაჯდა. მაგრამ მათი უმრავლესობა ცარიელია, რადგან სწრაფ ტემპში აშენებულს იგივე პრობლემა აქვს, რაც კოტეჯების 90%-ს – ჭერიდან და კედლებიდან ჩამოსული წყალი. სანამ შიგნიდან არ გამრება კედლები, იქ შესვლა და ცხოვრება შეუძლებელია. ამიტომ ხალხი ისევ მეზობელ-ახლობლებთან ან გორის ბაგა-ბაღის შენობებში ცხოვრობს, სადაც ჯერ კიდევ შეხვდები სანოლებზე, ერთმანეთის გვერდიგვერდ ჩამომსხდარ დევნილებს. გარდა ამ დახ-



მარებისა, მთავრობამ თითოეულ დაზარალებულ ოჯახს (აქ ისევ ამ რეგიონზე მაქს საუბარი), სახლის ალსადგენად 15 ათასი დოლარი გამოუყო. ამიტომ, გზაზე გავლისას აუცილებლად შეამჩნევ, რომ გადამწვარი სახლების პირველი სართულები ნელ-ნელა კეთდება, ილესება, რაღაცას ემსგავსება. თუმცა იგივეს ვერ ვიტყვი ერგონეზე, რომელიც ამ მხარეში ყველაზე მეტად დაზარალდა. დასახლება ახლა თოტქმის ცარიელია. გადაბუგული სახლების ნარჩენებს თოვლის სქელი ფენა ადევს, სამარისებური სიჩრუმე კი კიდევ უფრო გამძიმებს. ერთი ოჯახი ვნახე, რომლის დასახლისი შენუხებული მიამდინდა, – სახლის ალსადგენად გამოყოფილი თანხა ჩვენ არ მოგვცეს – აღარ გეკუთვნით; რადგან ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, თავად დაუწყიათ ალდგენითი სამუშაოები. მართალია, ამას მთლად ალდგენითაც ვერ დაარქმევ, ფანჯრის ჩარჩობა ჩამული, ისიც შეშების გარეშე, მაგრამ თანხის მიცემაზე უარის სათქმელად ეს საკმარისი აღმოჩნდა.

კასრაძებთან მივედო. ეს ოჯახი არასდროს დამავიწყდება. გერონტი და ნიკოლოზი პირველად რამდენიმე თვის წინ ვნახე. მათთან სტუმრობა ეზოში ლამაზად გაკრეჭილი ბუქებით, მამა-შვილის ოსებზე ხუმრობებით და ჩა-

მონგრეული ჭერიდან გამოვარდნილი მტკვრიანი კატით დამამახსოვრდა. გერონტი ჩადგმულ კოტეჯში ცოლთან ერთად დამხვდა. ცისფერი გაბერილი ქურთუკით „ლეჟან-კაზე“ იყო ჩამომჯდარი. შეშის ღუმელზე საჭმელი თუხთუხებდა. კუთხეში კარტოფილის და ფევილის ტომარა იდო. რამდენიმე ვერცხლისფერი ვედრო, ორი ცალი სკამი და კართან, კედელთან აყუდებული მე ვიდექი. სხვაგან ვერც დავდგებოდა, ადგილი აღარ იყო. სოვლებში დახმარება ოქტომბრის მერე აღარ ამოუტანიათ. დაპირებული სამი კუბომეტრი შეშის ნაცვლად, ერთი ღურიგეს და ზუსტად იმ ერთის ნარჩენები იწვოდა ახლა შეშის ღუმელში. აღებული თანხით სახლის გაკეთება ჯერ არ დაუწყია, რადგან ეშინია, სულ არანაირი დახმარება რომ აღარ იყოს, მაშინ რა ეშველება? რითო უნდა კვებოს დიდი ოჯახი? რაღაცას მაინც მივახლაფორთებ, მაგრამ ჯერჯერობია აქ ვარ შეეულები, - მიპასუხა და ჩვეულებისამებრ გემრიელად გამილიმა. გერონტი ახალ წელს ცოლთან კოტეჯში შეხვდა. იმ ღამით გაგებული სროლის ხმა, რომელიც ახალ წელს დაუკავშირა, მეორე და მესამე დღესაც გაგრძელებულა. საერთოდ, ამ ბოლო დროს რუსების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან ძალიან ხშირად ისმის

სროლის ხმებით. „რა ვიცი აბა, ჩემი ცოლი კი მეუბნება, – ადამიანს თუ ჭკუა აქვს, აქ არ უნდა დარჩეს და ამ ფულით სადმე უნდა წავიდესო, – მაგრამ... ახლა რაღა დროს ჩემი სხვაგან წასვლაა. ცოტა საშიში მაინც არის, ჰოდა იმ დღეს მანქანა ეზოში დაქოქილი მყაფდა, სროლის ხმები ხშირად ისმის და ვიფიქრე, რა იცი, რა მოხდება... გაგებ წინასწარ რამეს თუ...“

ვუსმენდი გერონტის ცოლს, რომელიც რუსული აქცენტით მიყვებოდა გორის ბაგა-ბალებში ჩარჩენილ თავის სამ შვილზე, შვილიშვილებზე, დროდადრო კი ტაფაზე მოსათუშად დაყრილ ხახვს ურევდა. ცოტა ხანს კიდევ ვიდექი და სულ მთლად რომ არ დაგვლამებოდა, – ჩვენი წასვლის დროა-თქო, – ამოველულლულე. ოჯახის უფროს-მა მანქანამდე გაგვაცილა. გერონტის, ჩვენს გარდა, რომელილაც ტელევიზიდან ჩამოსული უურნალისტების ამაღლულ დაჲჰემოდ უკან. როგორც ეტყობა, ცნობილი კაცია ერგნეთში; ცნობილი და მგონი ერთადერთი, რომელიც წესტის სუნით გაჲლენთილ კოტეჯში ცხოვრიბს. უცებ ის სქელი კატა გამახსენდა, აგვისტოს მერე სულ დამტვერილი რომ დარბოდა. მოვიკითხე, – სად არის ის... სექლი... მტკრიანი-თქო და... დაკარგულაო, – მხრები აიჩეჩა გერონტიმ.

# მარში საქართველოზე ზელმატი ხომ არ მოიდომა მიხეილ სააკაშვილია?

ავტორი: უნდებლ სტივენსონი

ფოტო: თომას ლორჩაკი

პირველად დაიგენდა შურალ „ნიუ იორკერში“. 15 დეკემბერი, 2008

ესროლი თარგმანი პირველად გამოქვეყნდა [foreignpressge.blogspot.com](http://foreignpressge.blogspot.com)-ზე  
ცისტის რედაქტორი: თამარ ბაბუაძე

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გვიან დამემდე მუშაობს. აგვისტოში სამხრეთ ოსეთში რუსეთთან წარმოებული ხუთდღიანი ომის მიმდინარეობისას და მას შემდეგაც ის მთელ დღებს დასავლელი მაღალჩინოსნების – კონფოლიზა რაისის, დიკ ჩეინის, ჯო ბაიდენის, ნიკოლა სარკოზის, ანგელა მერკელის მიღებაში ატარებდა, ღამეებს კი – უცხოელ უურნალისტებთან შეხვედრებში. ხშირად გარიურაჟადე განელილი საუბრების დროს სააკაშვილი მონდომებით ცდილობდა, უცხოელი უურნალისტები საქართველოს მხარეს გადაებირებინა.

როდესაც მასთან შესახვედრად ახალ, კერ კიდევ მშენებარე კანცელარიის შენობაში მივედი, მითხოვს, რომ „დაახლოებით შუალამის შემდეგ“ მიმიღებდნენ. მანამდე სააკაშვილის მრჩეველი დენიელ კუნინი მელოდა. კუნინი 35 წელს გადაცილებული ამერიკელია, რომლის ხელფასსაც ბოლო დრომდე აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო იხდიდა. ის ქერაა, ბიჭური იერით, მხიარული, მაგრამ ახლა თვალები აქვს ჩასისხლიანებული. „ვშიშობ, ცოტა ხანს მოცდა მოგინევთ,“ - მეუბნება კუნინი.

სააკაშვილის კაბინეტი ქართული მართლმადიდებლური ხატებითაა დაახუნდლული. წიგნის თაროებზე სტალინისა და კენედის ოჯახის ბიოგრაფიები აწყვია. გვერდით მაგიდაზე 1939-40 წლის ზამთრის ომის ისტორია დევს, რომლის დროსაც საოცრად მცირერიცხოვანმა ფინურმა არმიამ საბჭოთა კავშირს ფინეთის ანექსიის გეგმა ჩაუშალა. სააკაშვილი ოთახში დამის 2 საათის შემ-

დეგ ბრუნდება, მუქი კოსტუმი აცვია, ჰალატური მოშვებული აქვს. ის 40 წლისაა. 36 წლის იყო, როდესაც პრეზიდენტი გახდა მას შემდეგ, რაც საზოგადოებას ვარდების რევოლუციის ახალგაზრდა ქარიზმატულ და დემოკრატ გმირად მოევლინა; გმირად, რომელიც საქართველოს პოსტისაბჭოთა ლიდერს ყვავილით ხელში დაუპირისპირდა. მას ყველა მიშას ეძახის. თითქმის ექვსი ფუტის სიმაღლის იქნება, მოუქნელად მოძრაობს, სულ ცქმუტავს და მოუსვენრობს, რაც მის მოძრაობებს კიდევ უფრო უხერხელ იერს ანიჭებს. „წყნარად დიდხანს ვერ ჩერდება, – მითხრა ერთმა ქართველმა უურნალსტმა, – ჩვენთან ეს ბევრს ართობს და ზოგი ხუმრობით ნიძლავსაც დებს, რამდენ ხანს გაძლებს მიშა გაუნძრევლად – 10 წელს, თუ 12 წელს.“


„AFP-ს სტატია გამოუქვეყნებია, რომ კუნდი რაისი ხუთშაბათს საგანგებო ზომებზე განცხადებას გააკეთებს“, – ეუბნება სააკაშვილი კუნინს. სააკაშვილმა თავისი ქვეყნის უსაფრთხოება შეერთებულ შტატებთან ახლო ურთიერთობებს დააფუძნა და იმდოვნებდა, რომ ბუშის ადმინისტრაცია რუსეთის წინააღმდეგ ზომებს მიიღებდა იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა საკუთარი ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე შემოიყვანა.

„კი, ვიცი, – პასუხობს კუნინი, – თუმცა, არ ვიცი, რა ზომებს გულისხმობენ.“

„დაბომბვას აპირებენ! ალიასეიდან!“ – პასუხობს სააკაშვილი ღიმილით (ორი კვირით ადრე გუბერნატორი სარა პეილინი ჯონ მაკეინმა ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად



„ვისაც სააკაშვილი და პუტინი ერთად უნახავს,  
ყველა ამბობს, რომ გარემო სიძულვილით იმუხტიება,  
– მითხვა რიჩარდ ჰოლანდუკა, ყოფილია ელჩა  
გაეროში, – პატარა კაცი დიდი ქვეყნილან, პატარა  
ქვეყნის დიდი კაცის პირის პირი“



წარადგინა). „ან ხარირმებს დაუშენენ!“ მერე ერთ ბოთლ ქართულ ღვინოს, საფერავს ითხოვს და მეუბნება, რომ იმედი აქვს, სტატიას ნეკროლოგად არ გადავაქცევ. როგორც ამბობენ, აგვისტოში რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, ვლადიმირ პუტინმა საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის უთხრა, – დიდი სიამოვნებით ვნახავდი ყველებით დაკადებულ სააკაშვილს (რაზეც სააკაშვილმა ასე უბასუხა: „მაგ სიგრძე თოქს ვერ იშოვისო“).

სააკაშვილისა და პუტინის მტრობამ ზაფხულის ომს ზედმეტად პირადული ელფერი შესძინა. „ვისაც სააკაშვილი და პუტინი ერთად უნახავს, ყველა ამბობს, რომ გარემო სიძულვილით იმუტება, – მითხვა რიჩარდ ჰოლბრუქმა, ყოფილმა ელჩმა გაეროში, – პატარა კაცი დიდი ქვეყნიდან, პატარა ქვეყნის დიდი კაცის პირისპირ“ (პუტინი დაახლოებით ხუთი ფუტის სიმაღლისაა და ამბობენ, რომ განსაკუთრებით გაღიზიანდა, როდესაც თბილისში შერქმეული მეტსახელი ლილი-პუტინი გაიგო). „როდესაც პირველად

აირჩიეს პრეზიდენტად, – პყვება სააკაშვილი, – პუტინი საკმაოდ თავაზიანი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში სულ უფრო ცინიკური და აგრესიული გახდა. 2006 წელს კი, როცა ვნახე, უკვე იმპერატორივით იქცეოდა.“ სააკაშვილის თქმით, პუტინი არას-დროს სცემდა პატივს საქართველოს სუვერენიტეტს. „და არა მარტო საქართველოსას, – დასძინა სააკაშვილმა, – ის ყოველთვის ამბობდა, რომ უკრაინა რეალურად ქვეყანა არც არის.“

რუსების „ქედმაღლობა ნავთობის ფასების ზრდასა და ამერიკის ერაყული პრობლემების კვალდაკვალ მატულობდა,“ – მეუბნება სააკაშვილი. მაგრამ რაც უფრო მეტს ლაპარაკობს სააკაშვილი რუსების თავკერძაზნეზე, ორმხრივი წყენა მით უფრო ცხადი ხდება. „რუსეთში ისეთი განცდა აქვთ, – ამბობს მაშა ლიბანი, მოსკოვის კარნეგი ცენტრიდან, რომ – საქართველო, ეს პატარა ქვეყანა, ოთხ ნახევარი მილიონი მოსახლეობით და სუსტი ეკონომიკით, რუსეთის პრო-

ვოცირებას ქედმაღლურად ბედავს, რადგან ზურგს „დიდი ბიჭი“ – ამერიკის შეერთებული შტატები უმაგრებს. ამით შეგულიანებული საქართველოს ლიდერი უტიფრად ლაპარაკას ამიტომაც ბედავს“. ლიპშანის თქმით, ზაფხულის ომი აღიქვეს, როგორც „დაპირისპირება ამერიკასთან, რომელიც რუსეთის გამარჯვებით დასრულდა, რადგან ამერიკამ თავისი კლიენტისა და მეგობრის დასახმარებლად ვერაფერი მოიმოქმედა“.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი საქართველოს მუდმივად ემუქრებოდა, ბევრი უცხოელი ექსპერტი მიიჩნევს, რომ სააკაშვილი ზედმეტად პროვოკაციულად იქცეოდა. 7 აგვისტოს, საქართველოს პოლიციასა და ოს სეპარატისტთა შორის კვირების მანძილზე მიმდინარე შეტაკებების შემდეგ მან ცხინვალზე მიიტანა შეტევა. ოსი სეპარატისტები რეგიონის დიდ ნაწილს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აკონტროლებენ (სამხრეთ ოსთი, რომელიც საქართველოს ჩრდილოეთით მდებარეობს და რუსეთს ესაზღვრება, საუკუ-



ნეების განმავლობაში საქართველოს ნაწილი იყო, მაგრამ ოსები სხვა ეთნიკურ ჯგუფს განეკუთვნებიან და საკუთარი ენა აქვთ). სააკაშვილი ამბობს, რომ სიტუაცია აუტანელი გხძდა, ხოლო სადაზვერვო სამსახურების ცნობით, რუსეთის შემოსვლა რეგიონში უკვე დაიწყო ან მალე დაიწყებოდა. ის აცხადებს, რომ არჩევანი აღარ დარჩა და ცხინვალისთვის უნდა შეტია – ან უნდა ეპრძოლა, ან დანებებოდა. რუსები ამ ვერსიას სერიოზულად არ მიიჩნევენ და ამტკიცებენ, რომ საქართველო აგრესორივით მოქმედებდა, საფრთხეს უქმნიდა რუსეთის მოქალაქეებს ცხინვალში და იქ დისლოცირებულ რუს სამშვიდობო ძალებს. ასეა თუ ისე, რუსებმა მყისიერი და გადამწყვეტი რეაგირება მოახდინეს, საპარამ შეტევა დაიწყეს და საქართველოში ტანკების კოლონები გაგზავნეს. ტანკები თბილისიდან მხოლოდ ოცი მილის დაშორებით შეჩერდნენ.

ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ სააკაშვილმა აგვისტოსა და სექტემბერში პროპაგანდისტული ომი მოიგო – დასავ-

ლურმა მედიამ და პოლიტიკოსებმა რუსეთის აგრესია და ძალის არაპროპორციული გამოყენება დაგმეს. მაგრამ ბოლო კვირებში დასავლელი დამკვირვებლები (და ბევრი ქართველი პოლიტიკოსიც) სააკაშვილის მონათხრობს უფრო სკეპტიკურად ეკიდებიან. ნოემბრის ბოლოს მისმა ერთ-ერთმა ყოფილმა მეგობარმა, ეროსი კინმარიშვილმა, რომელიც ხანმოკლე დროით მოსკოვში საქართველოს ელჩიდ მსახურობდა, საპარამენტო მოსმენებზე განაცხადა, რომ, მისი აზრით, სააკაშვილი აფხაზეთში შესაჭრელად კარგა ხნით ადრე ემზადებოდა. საპარლამენტო მოსმენამდე კინმარიშვილმა ჩემთან საუბრისას დაიჩვლა, რომ ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს ცხოვრობს ტყვეობაში, რომელშიც საქართველო სააკაშვილმა მოაქცია: „კავკასიის ისრაელში ცხოვრება არ მინდა, – ამბობდა კინმარიშვილი, – ამას მიჩნევნია, კავკასიის ირალანდიაში ვცხოვრობდე. მათ ჯერ კიდევ აქვთ პრობლემები ჩრდილოეთში, მაგრამ არავის ეშინაა.“

სააკაშვილი ეროსის კრიტიკას არ იზიარებს. (“ეროსისთვის ყოველთვის ფული იყო მინშვნელოვანი,” – მითხვა სააკაშვილმა), ხოლო მისმა მთავრობამ კინმარიშვილის ბრალდებები საერთოდ უარყო. ამის მიუხედავად, ისინიც კი, ვინც ფიქრობენ, რომ რუსეთმა უბრალოდ მდგომარეობა გამოიყენა შეტევის განსახორციელებლად, სააკაშვილის მიერ ცხინვალზე შეტევის გადაწყვეტილებას განიხილავენ, როგორც პროვოკაციულ ნაბიჯს იმ ფონზე, რომ არავითარი სარეზისტრო გეგმა არ არსებობდა. ისინი ახლა სავამენ კითხვას: კი, მაგრამ რაზე ფიქრობდა?

სააკაშვილი მასშტაბურად აზროვნებს, მაგრამ თან დაფანტულიც ჩანს. როდესაც ზაფხულის ომზე ლაპარაკებს, ერთი თემი-დან სხვაზე ხტება. უმცირესობების მიმართ გატარებულ საბჭოთა პერიოდის პოლიტიკაზე ჰქონდა და უცებ გენერლებსა და პრეზიდენტებზე შეთხზულ ანეკდოტებს მიაყოლებს, სატელეფონო მოსმენებს იხსენებს და უცებ „ვაშინგტონ პოსტის“ ციტატა მოჰყავს.



ჩვენი ერთ-ერთი საუბრის დროსაც ასე იყო: მან ჯერ თუში ქალების სილამაზე აღმინება („ყველა ქერაა“), მერე ცხინვალის გეგმარებაში გამარკვია („სულ სამი ქუჩა აქვთ: მოსკოვის, ლენინისა და სტალინის ქუჩები“), ბოლოს კი ქართველურ ტომებსაც გადასწვდა („ჩემი წინაპრები წარმოშობით ორი კუთხიდან არიან – სამხრეთ ოსთიდან, სადაც ნახევრად ველური და ზოგჯერ ალბათ იმპულსური ხალხიც ცხოვრობს, მაგრამ მე ასევე მეგრული სისხლიც მაქვს, მეგრელებს კი კომპრომისი უყვართ“).

„ტყვიამფრქვევით ლაპარაკობს,“ – ამბობს მისი ერთი თანაშემწე. ერთმა დასავლელმა კი, რომელიც სააკაშვილთან მჭიდროდ თანამშრომლობდა, მითხრა: „სააკაშვილთან საუბარს რომ მორჩები, უნდა წამოწვე, დაისვენო, ან დალიო.“

დილის სამი საათია, კუნინი ამთქნარებს, სააკაშვილი გადახედვას და ეკითხება, – დღეს ერთი კარგი ამბავი მაინც რატომ არ მომიტანეო. კუნინი პასუხობს, რომ მაკეინისა და ობამას მაჩვენებლები ერთმანეთს

დაუახლოვდა. მაკეინი სააკაშვილს პირველად 1990-იანებში, ვაშინგტონში შეხვდა და მას შემდეგ მხურვალედ უჭერს მხარს. საქართველოშიც რამდენჯერმეა სტუმრად ნამყოფა.

„დაგვპირდა, რომ თუ არჩევნებს მოიგებს, პირველი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში ექნება,“ – მითხრა სააკაშვილმა. მე კი შევთავაზე, მაშინ ალბათ აეროპორტისკენ მიმავალი ჯორჯ ბუშის ქუჩისთვის სახელის გადარქმევა მოგიწევთ-მეთქი. სააკაშვილმა პასუხად გაიცინა და მითხრა: „არა, ცხინვალს შევუცვლით სახელს და „ახალ მაკეინს“ ან რამე მაგდაგვარს დავარქმევთ“.

დიდი ენთუზიაზმის, ენანცლიანობისა და სიბრძის წყალიბით, სააკაშვილმა ამერიკულ პოლიტიკოსებს შორის მხარდამჭერები და მეგობრები მალე გაიჩინა. ეს ასე ბუნებრივად და იოლად არც ერთ პოსტსაბჭოთა ლიდერს არ გამოსვლია (კუნინი, რომლის დედა ვერ-მონტის შტატის ყოფილი გუბერნატორია, ამბობს: „ის ტიპური დასავლელი პოლიტიკოსია“). ახალი ადმინისტრაციის ვიცე-პრეზი-

დენტიც, ჯო ბაიდენიც მისი მხარდამჭერია და აგვისტოში საქართველოშიც იყო ჩამოსული. სააკაშვილმა თავისი შინაგანი ძალით მართლა მოახერხა, საქართველოს სტატუსი იმ დონეზე აეყვანა, რომელიც ამ პატარა ქვეყანას არც კი შეესატყვისებოდა. ერთმა დასავლელმა პოლიტიკოსმა, რომელიც რამდენიმე წლის წინ საქართველოში მუშაობდა, მითხრა, რომ მას აფიქრებს სააკაშვილის ბობოქარი ხასიათი, მაგრამ ამავე დროს ხვდება მისი ხიბლის მიზეზაც: „ის იმედის ნაპერნეალია, რომელიც კავკასიაში დავინახეთ; ლიდერი, რომელიც დასავლელი დემოკრატიისა და საბაზრო რეფორმების გზას ადგას და უზადო ინგლისურით ლაპარაკობს“. საქართველო გახდა პატარა კუნძული, საიდანაც კარგი ამბები მოდიოდა, განსაკუთრებით კი იმ ჭაბის ფონზე, რაც ავლანეთსა და ერაყში სუფევდა. დიპლომატმა ესეც დასძინა: „ჩვენ სააკაშვილში სწორედ იმას ვხედავდით, რისი დანახვაც გვინდოდა“.

საქართველო კავკასიის სამხრეთ ფერდობზე, კასპიისა და შავ ზღვას შორის



### „შევისამურავევივით

ლაპარაკობს,“ – ამბობს მისი  
ერთი თანამემთვე. ერთმა  
დასავლელმა კი, რომელიც  
საკაშვილთან მშილროდ  
თანამშრომლობდა, მითხა:  
„საკაშვილთან საუბარს რომ  
მორჩები, უდეა წამონა,  
დაისვენო, ან დალიო“.



მდებარეობს, უძველეს აბრეშუმის გზაზე, რომლის მნიშვნელობაც ახლა, ნანილობრივ, სავთობსადენების წყალობით აღდგა. საუკუნეების განმავლობაში ეს ქვეყანა წარმოადგენდა მტრულად განწყობილი იმპერიების ბრძოლის ველს. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში კი საქართველო რუსეთის იმპერიას იმ იმედით მიუჰროდა, რომ ის სპარსელთა თავდასხმებისგან დაცვას პპირდებოდა. მაგრამ ქართველები რუსეთის იმპერიის ფარგლებშიც კი ბეჭითად იცავდნენ თავიანთ ეროვნულ იდენტობას: მართლმადიდებლობასა და ენას, რომელიც არც თურქულია, არც სლავური, და არც ინდოევროპული და რომელიც განსხვავებული და დახვენილი მოაზრულობის მქონე ანბანით ინერება.

1991 წელს, კომუნისტური ბლოკის დაშლის შემდეგ საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ მყისიერად ჩაეფლო სამოქალაქო და სეპარატისტულ ომებში – შავი ზღვის სანაპირო ზოლში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. 1992 წელს არაფორმალური სამხედრო შენაერთების ტრიუმვი-

რატმა ძალაუფლება და ლიდერობა შესთავაზია ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ყოფილ პირველ მდივანსა და მიხეილ გორბაჩოვის დროს საბჭოთა კავშირის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს. ქართული ჯარები აფხაზეთში დამარცხდნენ, შედეგად მეოთხედი მილიონი ეთნიკური ქართველი დევნილად იქცა. სამხრეთ ოსეთიდანაც ათობით ათასი გამოიყცა. ეს ანგლავი გაყინული კონფლიქტების ზონებად ჩამოყალიბდა, საკუთარი არალიარებული სეპარატისტული მთავრობებითა და რუსებით, ქართველებითა და ოსებით დაკომპლექტებული სამშვიდობო ძალებით, რომელთაც მონიტორინგს რამდენიმე ევროპელი სამხედრო მეთვალყურე უწევდა.

შევარდნაძე პრეზიდენტად 1995 წელს აირჩიეს, რამაც ქვეყანას სტაბილურობა მოუტანა, მაგრამ 2000 წლისთვის, როდესაც შევარდნაძე მეორე ვადით არჩეული პრეზიდენტი გახდა, საქართველო უკვე ჩაფლული იყო ეკონომიკური სტაგნაციისა და ენდემური კორუფციის სანაში. ზამთარში თბილის

ელექტროენერგია ხშირად ოთხი საათითაც კი არ მიეწოდებოდა, სახელმწიფო მოხელეების ხელფასი თვეში 35 დოლარის ეკვივალენტის უდრიდა. პოლიცია ავტომანქანებს აჩერებდა და ხშირად მობოძიშებით, მაგრამ მაინც ითხოვდა ქრთამად ორ დოლარს.

2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები რეალურად შევარდნაძის მმართველობის რეფერენცუმად იქცა. ქართველებმა ლიად გამოხატეს არსებული მდგომარეობით უკმაყოფილება. დამოუკიდებელმა ეგზიტპოლებმა აჩვენა, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც სათავეში მაშინ დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე, მიხეილ საკაშვილი ედგა, პირველ ადგილზე გავიდა და ხმების 26% მოიპოვა. სამთავრობო პარტიამ მეორე ადგილი ხმების 19 პროცენტით დაიკავა, ხოლო დანარჩენი ხმები სხვა პატარა პარტიებს შორის განაიღდა. ოფიციალური შედეგების თანახმად კი, შევარდნაძის პარტიას უმნიშვნელო, მაგრამ მაინც უპირატესობა ჰქონდა. საკაშვილი და სხვა ოპოზიციურად განწყობილი



პოლიტიკოსები თბილისში დემონსტრაციებს ჩაუდგნენ სათავეში. ეს აქციები კარგად ორგანიზებული, ხისტი, მაგრამ მშვიდობიანი პროტესტის მაგალითად იქცა (უკრაინული ნარინჯისფერი რევოლუცია ერთი წლის შემდეგ მოხდა). სამკერიოანი საპროტესტო პროცესის პიკზე, როდესაც შევარდნაძემ მოლაპარაკებებზე და ახალი არჩევნების დაწიმვნაზე უარი განაცხადა, სააკაშვილი და სხვა დემონსტრაციები პარლამენტში შეიქრნენ და შევარდნაძეს სიტყვა გააწყვეტინეს. სააკაშვილმა, რომლსაც ხელში ვარდი ეჭირა, შეჰყვირა „გადადექი ახლავე!“. შევარდნაძე დაცვამ სასწავლო გაიყვანა (ის მეორე დღეს გადადგა), ხოლო სააკაშვილმა შევარდნაძის დატოვებული ჭიქა აიღო და ჩაი დალია. ის პრეზიდენტად 2004 წელს, ხმათა 96%-ით აირჩიეს.

პირველ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებიდან ექვსი თვის თავზე სააკაშვილმა Financial Times-თან ინტერვიუში განაცხადა: „ხალხი მართვის ჩემს სტილს ჯონ კენედის სტილს ადარებს, მაგრამ პირადად მე გაც-

ილებით მეტ სიახლოეს ვგრძნობ ათათურქთან, ან ბენ-გურიონთან, ანდა შარლ დე ბოლთან – ადამიანებთან, რომლებმაც ნაციონალური სახელმწიფოები შექმნეს“.

სააკაშვილი 1967 წელს, თბილისში დაიბადა. ის სამი წლის იყო, როდესაც მშობლები გაიყრნენ. მიშა სახლში ერთადერთი ბავშვი იყო და თბილისის ერთ-ერთ ახალ უბანში, ფართო გზატკეცილზე მდებარე სახლში იზრდებოდა. შინ ხუთი უფროსი ჰყავდა: დედა – უნივერსიტეტში ისტორიის პედაგოგი, ბებია და ბაბუა და დიდი ბებია და ბაბუა. როდესაც რამდენიმე წინ დედამისს ვესტუმრე, ზუსტად იმ პატარა სასტუმრო ითახში შემიპატიუეს კენკრის კრემიან ნამცხვარსა და ჩაიზე, რომელშიც სააკაშვილი იმზდებოდა. დედამ მითხრა, რომ ბავშვობაში მიშას „ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდნენ და მის აღზრდაში ოჯახის თითოეული წევრი მონაწილეობდა“. ეს გახდათ პროფესიონალების ოჯახი, თუმცა კი, საბჭოთა ელიტას არ მიეკუთვნებოდნენ. „მას-სოეს ბაბუაჩემს სამსახურში, ერთ-ერთ ინსტიტუტში, რომელშიც ლექციებს კითხულობ-

და, სპეციალური კუპონი მისცეს, – მიყვება სააკაშვილი, – წელიწადში ერთხელ შეგვეძლო, წავსულიყვათ და აგველო ორი ფინური ძეხვი, ხუთი თუ ექვსი ქილა ლატვიური შპროტი, ფინური შოკოლადი და ხანდახან, თუ ბედი გაგვიღმებდა, წითელი ხიზილალა. ძალიან დამამცირებელი განცდა იყო - სადღაც კომუნისტური პარტიის შტაბის სარდაფში უშველებელ რიგში დოგმა. და ჩვენც ვიდექით ერთად, პროფესორები და კომუნისტური პარტიის მაღალჩინოსნების მძლოლები“. მას სამყაროს აბსოლუტურად ცხადი აღქმა ჩამოუყალიბდა. „მე, ისევე, როგორც მთელი ჩემი თაობა, იმ განცდით ვიზრდებოდი, რომ დასავლეთი აბსოლუტური სამოთხეა, ხოლო ჩვენ აბსოლუტურ ჯოჯიხებიში ვცხოვრობთ. ასეთი იყო ჩემი თაობის იდენტობა“.

სააკაშვილს საბჭოთა კავშირიდან წასვლა უნდობა. ის აღფრთვანებული იყო დასავლელი პოლიტიკოსებით: „რეიგანი და ტეტჩერი მიყვარდა“ - და საბჭოთა არმიაში სამსახურის შემდეგ კიევის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში საერთაშორისო სამარ-



„ამინიკელებთან შეგიძლია არ  
ითავაზო, იყო ის, ვინც ხარ და ისინიც  
ბუნებრივად მიგილებინ. მათგან  
არასდროს გამიზია, რომ ჩემზე ეთქვათ,  
— ფიჭხია, ადლა კალაუფლებისოცვარეო.  
ევროპელებისგან კი ასეთი შეფასებები  
ბევრჯერ მსეინია.“



თლის შესწავლა გადაწყვიტა. ის კიევში იყო  
მაშინაც, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა.  
სწავლის დამთავრების შემდეგ სააკამპილი  
ერთხანს საქართველოს მთავრობაში ადამი-  
ანის უფლებების განხრით მუშაობდა. იმავე  
პერიოდში ცოლად შეირთო სანდრა რულო-  
ვსი, ჰოლანდიელი იურისტი, რომელსაც სამი  
თვით ადრე სტრასბურგში ადამიანის უფლე-  
ბების შემსწავლელ საზაფხულო კურსებზე  
შეხვდა. სააკამპილმა მითხრა, რომ სანდრას  
სომალიში სურდა ჰუმანიტარული მისიონ  
ნასვლა: „მე ვუთხარი, საქართველოც ისე მძ-  
იმე დღეშია, როგორც სომალი, ერთი განსხ-  
ვავებით, აქ რაღაცის იმედი კიდევ დარჩა“.  
თუმცა, მაინც, ახალგაზრდა, დიდი გაქანე-  
ბის მქონე ამბიციურ იურისტს 1990-იანების  
დასაწყისის საქართველო ბევრს ვერაფერს  
სთავაზობდა და 1993 წელსაც სააკამპილი  
სასწავლო სტიპენდიით კოლუმბის უნივერ-  
სიტეტის იურიდიულ სკოლაში განათლების  
მისაღებად გაემგზავრა.

>>> გაგრძელება გვ. 108



თქვენს ოპოზიციაში გადასვლასთან დაკავშირებით, უზარმაზარი მოლოდინი გაჩნდა. როგორ ფიქრობთ, არსებობს ამისათვის რაციონალური მიზეზები, თუ მხოლოდ ჩვენთვის ჩვეული ემოციური აღტკინებაა ამ მოლოდინის საფუძველი?

საქართველოში უნდა დამთავრდეს მესიების მოლოდინი და იმის მოლოდინიც, რომ ერთი ადამიანი იმაზე მეტს შეცვლის, რაც მას ხელვნიფება. წებისმიერი ერთი ადამიანი, ვინც უნდა იყოს ის, სხვა კომპეტენტური ადამიანებისა და ინსტიტუტების გარეშე, ვერაფერს შეცვლის.

ჩემს იმიჯს რაც შეეხება, დარწმუნებით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ საგანგებოდ ამაზე არ მიზრუნია. პირიქით, ჩემი საქმიანობიდან გამომდნარე, ძალიან მცირე დოზით მიწევდა მედიასთან ურთიერთობა. თუმცა, თუკი საზოგადოებაში ეს მოლოდინი არსებობს, ეს კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს. მაგრამ ვიმეორებ, არ შეიძლება ერთმა ადამიანმა გარდამტები ცვლილება შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში.

#### მაგრამ, შეგიძლიათ რაციონალურად ახსნათ ეს მოლოდინი?

ჩემი აზრით, ყველასთვის ცხადია, რომ ქვეყნის მართვის ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. უნდა მოხდეს ისეთი ცვლილება, რომელიც ქვეყანაში ინსტიტუტების მშენებლობას დაიწყებს, შექმნის სტაბილურობის გარანტიებს და არამხოლოდ პიარზე ორიენტირებული ლაპარაკით შემოიფარგლება. აღარაფერს ვიტყვი იმზე, ეკონომიკურ სიტუაციაზე, სოციალური ფონიც ძალიან დამძიმდა და კიდევ უფრო დამძიმდება. გასული ნოემბრის შემდეგ ბევრმა პრობლემამ მოიყარა უცემა – თავი – დემოკრატიული რეფორმების შეჩერება, მედია... მოაზროვნე ნაწილს ეს, დიდი ხანია, შეგნებული ჰქონდა, მაგრამ მედიის ასეთი შეზღუდვის პირობებში, დროინდება იმისთვის საჭირო, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ჩამოყალიბდეს. ამიტომ ვამბობ, რომ სწრაფად მაინც არ მოხდება ეს ცვლილება. ცვლილებას რეალური ხალხის ნების გამოვლინება სჭირდება.

თუმცა თპოზიციური პოლიტიკური პარტიები არ ითმენენ, ცდილობენ ქვეყნის პოლიტიკური ტემპერატურის ანევას და პროცესების დაჩქარებას. როგორ ფიქრობთ, თქვენ ამ პოლიტიკურ რიტმს უნდა აპყვეთ, თუ პირი-

ქით – თქვენი საქმიანობა საკუთარ ტემპერატურის უნდა მოარგოთ?

15 წელია, სახელმწიფო სამსახურში ვარ და გარკვეული საკუთარი რიტმი გამოვიმუშავე, მაგრამ ამავე დროს ორწელობად-ნახევარია, ნამოსული ვარ ქვეყნიდან... ამიტომაც, ჩემი დაბრუნების შემდეგ, პირველი პერიოდი ძალიან აქტიურ შეხვედრებს დაეთმობა არა მარტო პოლიტიკურ სპექტრთან, არამედ საზოგადოების წარმომადგენლებთან.

ჩემი მთავარი ამოცანა არ არის ნებისმიერი მიზნით ხელისუფლებაში მოსვლა. თუ არ სთავაზობ საზოგადოებას რაღაც აღტერნატიულს, გამოსავალს შექმნილი ვითარებიდან, ხელისუფლებაში მოსვლას აზრი არ აქვს.

ძალიან სწორია, როდესაც ოპოზიციური სპექტრი პირველ რიგში საარჩევნო ფონის შექმნის პირობებს აყენებს და საარჩევნო კოდექსის შეცვლას ითხოვს. მედიაც ხელმისაწვდომი უნდა გახდეს თანაბარწილად ყველასთვის.

თბილისში დაბრუნების შემდეგ, რა იქნება თქვენი პირველი პოლიტიკური ნაბიჯები?

გადაწყვეტილი მაქვს, ძალიან ახლო, პირდაპირ კონტაქტში ვიყო საზოგადოების ყველა ფენასთან, მეცნიერების, კულტურის, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, ყველა ასაკის ადამიანებთან... რეგიონებში ვაპირებ აქტიურ შეხვედრებს მოსახლეობასთან, რომ გავიგო, რა პრიორიტეტები აქვთ. რამდენადაც მესმის, არსებობს დაუცველობის ძალიან დიდი განცდა, განსაკუთრებით რუსეთის სამხედრო აგრესის მერე. კონფლიქტურ რეგიონებში რუსეთის ძალების ეს თავგასული არსებობაც უქმნის საზოგადოებას საფრთხეს. ამიტომაც, ბევრი მიმართულებით არის ფიქრი საჭირო, მათ შორის იმაზეც, თუ უსაფრთხოების რა მექანიზმები უნდა ჩაიდოს კონფლიქტურ რეგიონებში, რომ ისევ არ მოხდეს კონფლიქტის ესკალაცია; როგორი ეკონომიკური სტრატეგიით უნდა დაუპირისპირდე ომის შემდეგ ინვესტიციების შემცირებას და საინვესტიციო გარემოს გართულებას; როგორ უნდა შეამცირო გლობალური კრიზისის ზეგავლენა ქვეყანაზე, რომ არ მოხდეს სოციალურად დაუცველი ფენების ისეთ მდგომარეობაში ჩაყენება, როცა სოციალური აფეთქება, პრაქტიკულად, გარდაუვალი ხდება. ეს ის საკითხებია, რომელთა გადაჭრას ერთი ადამიანი ან ადამიანების მცირე ჯგუფი ვერ განვდება.





## „საქართველოში უდა დამთავრდას მესიგის მოძრობის“

ავტორი: შორენა გავარდაშვილი  
ფოტო: სემ ბარზის

## ინტერვიუ

„არსებობს სფეროები, სადაც შეიძლება  
რუსთან საერთო ინტერესების გამოქვებას  
კავკასიური სტაბილურობის, და არა  
მარტო ეკონომიკური თანამშრომლობის  
კუთხითაც. ახლა ჩვენ ამოსანაა, რომ  
საქართველოს იმიჯის ზრაცხლირება  
მოხდეს ძალიან სწრაფად – რომ არ ვართ  
განხეთებილების მიზანი ამორიკასა და  
რუსთას შორის; რომ ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ  
ხილი და თანამშრომლობის სფერო ამ ორ  
სუარსახელმწიფოს შორის.“



ამიტომ მაქეს ძალიან სერიოზული კონსულტაციები კომპეტენტურ ხალხთან.

**პარტიის შექმნაზე ფიქრობთ, და ამ ფორმატით აპირებთ მუშაობას?**

უფრო – მოძრაობის ჩამოყალიბებაზე. მაგრამ ეს ყველა ფერი, ჩემი ნაბიჯები, იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად სწრაფად შევძლებ ახლანდელი ვითარების აღქმას და არსებულ პოლიტიკურ სპექტრში თანამოაზრების პოვნას.

თბილიში ყოფნისას კონსულტაციები დავიწყე, თუმცა მთით გაგრძელება დისტანციაზე უფრო რთული გახდა. ვვარაუდობ, რომ თანამოაზრების გუნდის შერჩევა ძალიან მოკლე პერიოდში გახდება შესაძლებელი, თუმცა ეს იმაზეც არის დამოკიდებული, რამდენად მისაღებია ჩემი ხედვა, ჩემი ტემპი ცვლილებებთან დაკავშირებით მათთვის.

**ანუ, თქვენ უფრო გრძელვადიან პოლიტიკურ მარათონზე გაქვთ გათვლილი თქვენი საქმიანობა და არ არის საუბარი ვადამდელ არჩევნებზე?**

ჩემი აზრით, ადრეული არჩევნები ჩასატარებელია. თუ რეალურად არ შეიცვალა ქვეყნის მართვის სტილი, ვერ ვხედავ შანსს, რომ კონსტიტუციური ციკლის დასრულებამდე შესაძლებელი იქნება კონფლიქტური სიტუაციების თავიდან აცილება. მაგრამ აქვე მინდა

ვთქვა, რომ მარტო ერთი პარტიის, ან პარტიათა ჯგუფის, ან გაერთიანებების ნებით, ეს არ მოხდება. ეს უნდა მოხდეს საზოგადოების ერთიანი ნებით. ამის სხვადასხვა ფორმები არსებობს – მათ შორის, კონსტიტუციის 74-ე მუხლის ამოქმედებაც შეიძლება, რომელიც რეფერენდუმის გზით ხალხის ნების გამოვლინებას ითვალისწინებს. ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ამ დროს ხელისუფლებასაც. ესკალაციის თავიდან აცილების ძირითად ბერკეტები სწორედ ხელისუფლებას აქვს. პრეზიდენტი ძალიან დიდი პრობლემის წინაშე დასაცავის დაპირებების და ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. გასსოფთ, სულ რაღაც ერთი წლის წინ, საპრეზიდენტო კამპანიისას ის ყველა დევნილს დაპირდა, – შემდეგ ზამთარს სახლში გაატარებოთ. ეს, ჩემი აზრით, ძალიან უპასუხისმგებლობა განცხადება იყო. მოკლედ, ვითარება მართლაც მძიმეა და სრულ სოლიდარობას ვუცხადებ იმ პოლიტკურ ძალებს, რომლებიც თვლიან, რომ გამოსავალი თავისუფალი, ვადამდელი არჩევნების ჩატარებაა. ამისთვის პირველი ტაქტიკური ამოცანა საარჩევნო ფონის შექმნაა.

**როგორი ამოცანაა. თითქოს პირი არ უჩანს, რომ ხელისუფლება პოზიციების დათმობას აპირებდეს.**

გეთანხმებით. ამიტომ ყველაზე დიდი ბერკეტი იქნება ხალხის ნება. ხალხის ნება თუ გა-

მოვლინდება, მის იგორირებას ხელისუფალი ველარ შეძლებს, თუ არ უნდა, რომ იზოლაციაში მოიქციოს თავი. ამ ხელისუფლებისადმი ნდობა არამარტო ქვეყნის შიგნით, ქვეყნის გარეთაც ძალიან შერყეულია, რამაც შეიძლება იმოქმედოს ჩვენს პარტნიორულ ურთიერთობებზე ევროპასთანაც და რეგიონშიც. თუმცა, როგორ განვითარდება მოვლენები, ამის პროგნოზირება დღეს ძნელია.

**როგორ გადაწყვიტეთ სახელმწიფო სამსახურიდან ნასვლა?**

გადაწყვეტილება ერთი წლის წინ მივიღე, ვთვლიდი, რომ ინსტიტუტების და კანონმდებლობის მორგება პირვენებებზე ძალიან სავალალო შედეგებით დამთავრდებოდა. მიმართდა, რომ საჭირო იყო სასამართლო ხელისუფლების გაძლიერება, რომ დაბალანსებულიყო სამართლდამცავი სტრუქტურები. ჩემი შეფასებით, მოსახლეობის ნდობის დაცემა პირველ რიგში იმით იყო განპირებული, რომ სამართლს ვერ პოულობდა სასამართლოებში. ყველაზე ხშირად ამაზე სწორედ პრეზიდენტს ვესაუბრებოდი. არანაირი შეხება არ მქონდა ეკონომიკურ რეფორმებთან, თუმცა თავიდან ხელისუფლებამ და ეკონომიკურმა გუნდმა საქმაოდ დამაჯერებლად დაიწყეს ბიზნესის წარმოების გამარტივება. ეს იყო ძალიან დიდი ნაბიჯები და არც ერთმა ძალამ არ უნდა დაუკარგოს ხე-



ლისუფლებას ის, რაც გააკეთა. თუმცა, მე-ორე მხრივ, არსებულ ბიზნესებზე ზენოლა გაძლიერდა.

ამას დამტხვა მოლაპარაკებები სეპარატისტულ რეჟიმებთან და ის ფილიოსოფია, რომლითაც მე მივუდექი კონფლიქტების გადაწყვეტას, პრაქტიკულად გაუზიარებელი დარჩა პრეზიდენტის მიერ. ვგულისხმობ მაისში აფხაზურ მხარესთან შეთანხმებულ დოკუმენტს დევნილების დაბრუნების და ცეცხლის არგანახლების შესახებ. პრეზიდენტსაც პეტრი თავისი არგუმენტები ამის საწინააღმდეგოდ, მაგრამ ვთვლიდი, რომ ეს ხელმოწერა შედორდა საქართველოს ინტერესებში და მნიშვნელოვანნილად შექმნიდა ფონს, რომელიც ხელს შეუშლიდა სამხედრო ესკადაციას, როგორ აფხაზეთში, ისე სამხრეთ ოსეთში. საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ ჩემსა და პრეზიდენტს შორის ისეთი ფუნდამენტური აზრთა სხვადასხვაობა იყო, რომ მე უნდა ნავსულიყავი სახელმწიფო სამსახურიდან და მიმეცა მისთვის შანსი, იმ ადამიანებთან გაეგრძელებინა მუშაობა, ვისაც ამ საქმეს ანდობდა. სექტემბრის ბოლოს ვისაუბრეთ და ავუხსენი, რომ ნა-სვლის გადაწყვეტილება მიღებული მქონდა და ვცდილობდი, სწორი დრო შემერჩია. დაგელოდე უშიშროების საბჭოში გაერო-ს მანდატზე მოლაპარაკებების დასრულებას; ასევე, მინდოდა დავლოდებოდი ნატო-სთან ჩენი ინტეგრაციის პროცესზე გადაწყვე-

ტილებას. გადაწყვეტილების ფორმალიზება უკვე დეკემბერში მოხდა.

**რა განსხვავება იყო თქვენს ხედვებს შორის? არსებობდა მშვიდობიანი რესურსი, რომელიც ხელისუფლებამ არ გამოიყენა?**

არსებობდა მშვიდობიანი რესურსი, რომელიც, პირველ რიგში, პირდაპირი კონტაქტებით უნდა განვითაროს ციფრულებინა და, მათ შორის, აი, ამ შეთანხმებაზე ხელმოწერით. უნდა შეგვევმნა ნდობის ის მინიმალური ხარისხი, რომელიც შემდეგ უკვე რეალურს გახდიდა საუბარს დევნილების დაბრუნების პროცესშიც და თანაცხოვრების პირობებზეც, სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმებზეც. მაგრამ ვთვლიდი, რომ ეს გრძელვადიანი პროცესი იყო. ეს იყო ჩემი ერთ-ერთი საქართველოს პრეზიდენტისგან განსხვავებული მიდგომა.

მოლაპარაკებების მიმდინარეობის დროსაც ხშირად იყო შემთხვევები, როცა გარკვეული შეთანხმებული პოზიციებიდან უკან დახვევა მისევდა, რის გამოც, მე, როგორც ამ მოლაპარაკებათა წარმმართველი, ხშირად უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩინილებარ. მიუხედავად იმისა, რომ არგუმენტები ორივე მხარეს არსებობდა, მიმაჩნდა, რომ ჩემი პოზიცია უფრო რეალისტური და პრაგმატული იყო.

რუსებთან ურთიერთობის თვალსაზრი-სითაც, ვფიქრობდი, რომ უნდა შეგვექმნა

ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობების წარმართვის ბევრად უფრო თანმიმდევრული სტრატეგია, და ყოველთვის ვთვლიდი (ეს მომლაპარაკებლის სენია), რომ ხმამაღლი რიტორიკა, განსაკუთრებით სამხედრო რიტორიკა, ძალიან უშლიდა ხელს მოლაპარაკების პროცესს.

მაისისთვის კონფლიქტის ესკალაციამ უკვე ფართო მასშტაბებს მიაღწია, რუსეთის მხრიდან იყო პროგრეაციების მთელი წევება. ვითვალისწინებდი, რომ პრეზიდენტს შეიძლებოდა პეტრი იმაზე მეტი ინფორმაცია, ვიდრე მე მქონდა და ამ ინფორმაციით ხელმძღვანელობდა გადაწყვეტილებების მიღების დროს. თუმცა, სამხედრო აგრესის წინაშე ქვეყანაც ძალიან მოუმზადებელი აღმოჩნდა და პრეზიდენტიც. როცა განვაცხადე, რომ პასუხისმგებლობა ეკისრება პრეზიდენტს, ვიგულისხმე, რომ მას რუსეთის სამხედრო აგრესის შესაძლო შედეგები უნდა გაეთვალა...

**შესაძლებელი იყო ამის გათვლა?**

ასოლუტურად – შესაძლებელი, და მე დღესაც მჯერა, რომ ამის თავიდან აცილება შეიძლებოდა. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმაზე, რომ ეს იყო რუსეთის აგრესის უკერენული საქართველოს წინააღმდეგ.

**რით ახსნით პრეზიდენტის გადაწყვეტილებას?**

## ინტერვიუ

„ყველგან, სადაც მიმუშავია, არასოდეს შემიზულია ჩემი ხელქვეითობი იმის მიხედვით,  
კირალი ერთგულების რა ხარისხს ვგრძნობლი მათში. პროფესიონალებს შენ გულში  
შეიძლება მოსწოდე, შეიძლება – არა. ზოგთან პიროვნეული შეუთავსებლობა გააქვს.  
ყოველთვის ვცდილობი, ასეთი ხალხი შემინარჩუნებინა და მათი მეშვეობით გადამეწვიტა  
დასახული ამოსახი. ყოველთვის ამართლებს ეს გზა, ყოველთვის.“

ვერ გამოვდგები შემფასებლად, იმიტომ, რომ მის გვერდით არ ვიყავი თბილისში, როცა მან ეს გადაწყვეტილება მიიღო. არაგულწრფელი იქნება ჩემი მხრიდან ვიმსჯელო, რა ფორმატით და რა ფორმით იქნა მიღებული გადაწყვეტილება, ეპასუხათ ოსი სეპარატისტების მიერ განხორციელებულ დაბომბვაზე. მე, ალბათ ისევე, როგორც სახელმწიფო მოხელეების და ელჩების უმრავლესობა, საქმის კურსში არ ვიყავი. აქედან გამომდინარე, ობიექტურად ვერ შევაფასებ, რა ხდებოდა გადაწყვეტილების მიღების დროს.

**გასულ 5 წელს რომ გადავხედოთ, სად დაუშვა ხელისუფლებამ, თქვენი აზრით, ყველაზე დიდი შეცდომები? რას გააკეთებდით სხვანაორად?**

ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მიმართულება სწორია. საქართველოს მომავალი და უსაფრთხოება დაცული იქნება მაშინ, როცა ჩვენ რეალურად გავხდებით ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის ნაწილი. ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი ამოცანა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, პირველ რიგში, კავკასიელები ვართ და ევროპასთან უსაფრთხოების მექანიზმებზე შეთანხმებას ვერ მიაღწევ, თუ რეგიონული უსაფრთხოება არ გაქვს გააზრებული. ჩემი აზრით, რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობა უნდა ყოფილიყო ამოსავალი წერტილი. უნდა გაგვეთვალა, ტაქტიკურად როგორ უნდა აგვენტი ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავმხდარიყვათ დაპირისპირების მიზეზი რუსეთსა და დასავლეთს შორის. მნიშვნელოვანი იყო ჩვენი გათვლებიც, რომ ნატო-სთან ინტეგრაციის პროცესები უფრო დინამიური ყოფილიყო. ამ გადმოსახედიდან მგონია, რომ ეს პროცესი შეიძლებოდა იმ რიტორიკის გარეშე უფრო დინამიური ყოფილიყო, რომელიც რეალურად გახდა რუ-

სეთის მხრიდან ადეკვატური აგრესიულობის მიზეზი. ანუ, ჩვენ უნდა დაგრჩით ევროატლანტიკური უსაფრთხოებისაკენ მიმავალი სახელმწიფო, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეზობლად გვყავს ბირთვული რუსეთი, რომელთან დაპირისპირება სწორედ ამ მიზნის მისაღწევად იქნება კონტრპროდუქტიული.

**არის ეს ორი ამოცანა თავსებადი?**

პატარა ქვეყნის და ჩვენანირი ქვეყნის ამოცანა, რომ ეს მოახერხოს. ყოველ შემთხვევაში, მთელი საგარეო პოლიტიკური რესურსი უნდა იყოს მიმართული აქეთევენ. ერთ მაგალითს გეტყვით – რუსეთს, ამერიკასა და საქართველოს შორის თანამშრომლობა შედგა და ეს იყო კონტრტერორისტული თანამშრომლობა პანეისის ხეობაში 2001-2002 წლებში. არსებობს სფეროები, სადაც შეიძლება რუსეთთან საერთო ინტერესების გამოძებნა კავკასიური სტაბილურობის, და არა მარტო ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხითაც. ახლა ჩვენი ამოცანაა, რომ საქართველოს იმიჯის ტრანსფორმირება მოხდეს ძალიან სწრაფად – რომ არ ვართ განხეთქილების მიზეზი ამერიკასა და რუსეთს შორის; რომ ჩვენ შეგვიძლია ვიყით ხიდი და თანამშრომლობის სფერო ამორ სუპერსახელმწიფოს შორის. კავკასია ძალიან მნიშვნელოვანია და რუსული აგრესის შემდეგ ეს კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა დასავლეთისთვის. მაგრამ დასავლეთისათვის რუსეთთან ურთიერთობაც ასევე სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. ჩვენი საგარეო პოლიტიკის დიდი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს აი, იმ ოქროს შუალედის მოძებნაზე, რაც არის საერთო ინტერესები. აგვისტოს მოვლენების მერე, ბევრად უფრო გართულდა ასეთი ინტერესების მოძებნა რუსეთთან. პრაქტიკულად, მათ შექმნეს რეალობა, საიდანაც უკან დახვა მათთვის სისუსტის გამოვლინების ტოლფასი იქნება, რაც უდიდესი შეცდომაა მათი მხრი-

დან. მაგრამ ამ პირობებშიც უნდა შევინარჩუნოთ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის არალიარების პოლიტიკია საერთაშორისო თანამეობრობის მხრიდან, და მოვახერხოთ გავაჩინოთ პირდაპირი დიალოგის შესაძლებლობა აფხაზურ მხარესთან. დარწმუნებული ვარ, წლების შემდეგ ჩვენს შორის შედგება ისეთი დიალოგი, რომელიც შეგვაძლებინებს ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში თანაცხოვრების ფორმებზე მოლაპარაკებების გამართვას. ამ ეტაპზე აუცილებელია საერთაშორისო მექანიზმების ჩართვა, რომ კონფლიქტი აღარ განმეორდეს; იმიტომ, რომ ნდობა იმდენად დაბალია ქართულ-ოსურ და აფხაზურ მხარეებს შორის, ახლა რეალურად რაიმე მნიშვნელოვან მოლაპარაკებაზე ნასვლა არარეალისტურია.

რაც შეეხება რუსეთს, მომავალში რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის შესაძლებლობები გაჩინდება. მე ასეთ შესაძლებლობად მესახება ახალი ადმინისტრაცია ვაშინგტონში. რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები ახალ ეტაპზე გადადის და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რუსეთ-ამერიკის სტრატეგიული ძალობრივის ნაწილად დავრჩეთ.

**როგორია ამერიკის ახალი ადმინისტრაცია და როგორი იქნება ამერიკის შემდგომი ურთიერთობა საქართველოსთან?**

ამერიკის ახალ ადმინისტრაციას არ ჩამოუყალიბებია, კონკრეტულად რომელი ჯგუფი იმუშავებს საქართველოზე და რეგიონზე. დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკა-საქართველოს სტრატეგიული მოკავშირეობა გამყარდება და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ეს არ იქნება დამოკიდებული პერსონალიებსა და პიროვნულ ურთიერთობებზე. ამის ერთ-ერთი მაგალითი, ძალიან მნიშვნელოვანი, ხელმოწერილი ქარტიაა.

>>> გაბრძელება გვ. 113




# ლილიან როსის საუბარი პლიზ ისთვულთან

საუბარი ჩაიწერა კახა თოლორდავამ  
თარგმნა თამარ ბაბუაძემ  
ზექსის რედაქტორი: კახა თოლორდავა  
„ნიუ იორკის“ ფესტივალი, რეზომერი, 2008

**რ**ოდესაც მხარჭეჭიანი დაცვით გარშემორტყმული სამოცდაჩვიდმეტი წლის ქლინთ ის-თვუდი ამერიკის რეჟისორთა გილდიის შენობიდან გამოვიდა „ნიუ იორკერის“ მკითხველებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ, შესასვლელთან შეკრებილი „ფანების“ რიგებში წარმოუდგენელი ჩოჩქოლი ატყვა. ზუსტად ისეთი, ფილმებში რომ გვინახავს. „ქლინთ! ქლინთ! Make my day! – ღრიალებდნენ ქალები და კაცები მის ყველაზე ცნობილ ფრაზას ფილმიდან „პინქური ჰარი.“ ისთვუდმა ისე გაიარა მისივე დაცვის მიერ რის ვაივაგლახით გაჭრილი ვიწრო ცოცხალი კორიდორი, რომ სახიდან ღია მოუცილებია. მას ათი-ათასობით ასეთი კორიდორი აქვს გავლილ-გარშენილი და როგორც ყველა მისი რანგის „სელებრითიმ“, მანაც კარგად იცის, რომ ასეთ კორიდორში თუნდაც ერთი წამით შეჩერებაც კი შეიძლება საბედინერო ალმოჩნდეს. ამ გაწევ-გამოიწვაში ისე მოხდა, რომ ხალხში გავეჭედე, იქიდან გამოსვლა ვეღარ მოვახერხე და იმ ნაკადმა ისთვუდის ლიმუზინთან ძალიან ახლიოს მიმაგდო. ისე ახლოს, რომ სანამ ისთვუდი მანქანის მიმართულებით მოძრაობდა, ჩემგან რამდენიმე მეტოში მდგარი უზარმაზარი საყურიანი ზანგი მისი დაცვიდან სერიოზულად ანერვიულდა. ვინაიდან იმ ჩოჩქოლში მისთვის შეუძლებელი ალმოჩნდა ჩემთან ახლოს მოსვლა, თვალით მანიშნა მაქაურობას მოცილდიო. „სად ტრაქში წვიდე-მეთქი“ – გავუბრაზდი თვალებითვე და, ჩემივე „სიტყვების“ გასამართლებლად, განწირული მზერა მიმოვატარე გარშემო. მიხვდა, რომ მართალი ვიყავი და თავი დამანება, თუმცა თვალს მანც არ მაცილებდა. მაღლა აწეული ფოტოაპარატების ტყეში გახლართული ისთვუდი კი მიახლოვდებოდა. ჩემი ფოტოაპარატი მოვიმარჯვე, „შოკოლადისთვის“ ექსკლუზიური ფოტოს გადასაღებად, თუმცა, როგორც წესი, ასე არ ვიქცევი ხოლმე. ამასობაში კი ისთვუდი კორიდორს გამოცდა და იმ საყურიანი ზანგის გულის გასახეთქად ლამის პირისპირ შევეჩერეთ ერთმანეთს. მე ბოლოვერ გავიფაფხურე უკანდასახევი გზის გასაკაფად. იმდენი მოვახერხე, რომ უკანა კარის შესასვლელი გავანთავისუფლე. მერე კი ჩეგნი მზერა გადაიკეთა... მანქანაში ჩაჯდომამდე ისთვუდმა გაკვირვებით შემომხედა. მე დამაშავედ გავუღიმე და ფოტოაპარატი მოვიმარჯვე... სწორედ იმ დროს, როდესაც გადასაღებ ღილაკს თითო დავაჭირე, უკნიდან ვიღაცამ ხელი გამკრა. ისთვუდი მანქანაში შეაგდეს და სულ რაღაც ორიოდე წმში ლიმუზინი უკვე ქუჩის ბოლოში იყო. მე ფოტოაპარატის მონიტორს დავხედე. მონიტორზე ვიღაცა ქალის გადლვებილი მომლიმარე სახე ჩანდა... იმავე დღეს, როდესაც ლამის ნიუ-იორკში დავეხეტებოდი, ჩემი ყურადღება რომელი-დაც ოტელთან შეკრებილმა ბრბომ მიიქცია. ნიუ-იორკში ეს ჩვეულებრივი ამბავია. ეს იმას ნიშანეს, რომ შეიბაში ვიღაც „სელებრითია“, გარეთ კი მას თაყვანისმცემლები ელოდებიან. ჩემი იქ ყოფნისას ასე ელოდებოდნენ მადონას, ითან პოუქს, და ვიღაც უცნობ მსახიობ გოგონას. მოკლედ business as usual... ვინაიდან ბრბოს ტროტუარი გადაკეტილი პქონდა, შეჩერება მომინია. მინდოდა მეკითხა თუ ვის ელოდებოდნენ, მაგრამ გადავიტიქე, ტროტუარიდან სავალ ნაწილზე გადავედი და იქვე მდგარ ლიმუზინს ავუქციე გვერდი. სწორედ ამ დროს ატყვა ღრიალი და უბედურება. მარჯვნივ გავიხედე და შიშისგან კინაღამ ჩავიკეცე. ცოცხალ კორიდორში საყურიანი ზანგის უკან ქლინთ ისთვუდი დავინახე. ისნი და დაცვის დანარჩენი წევრები ლამის სირბილით მორბოდნენ მანქანისკენ. „ქლინთ! ქლინთ! Make my day!“ – ყვიროდნენ კაცები და ქალები. არც კი მიფიქრია ფოტოაპარატის ამოღება...

კახა თოლორდავა



„არ ვისი, რა შეიძლება მივიჩნიო გარდამზე  
მომახტად. უბრალოდ, არასდროს ვჩერდები.  
სხვადასხვა თამით ვიცხორესდები და თუ  
საკუთარ თავს არ გავიმორჩი, ყველანაირი  
ახალი ცდა და ექსპერიმენტი ჩამოვის  
მისასალმაზალია.“



**„ნიუ იორკერი“:** შეიძლება ითქვას, რომ ძალიან გაგვიმართლა, რადგანაც დღეს ჩვენი სტუმრები ლეგენდარული მსახიობი, და ლეგენდარული ავტორი იქნებიან. ლილიან როსი ჟურნალში მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე მოვიდა. ის ჩვენი ავტორების იმ იშვიათ რიცხვს განეკუთვნება, ვისაც „ნიუ იორკერის“ ოთხივე რედაქტორთან უმუშავია. ქალბატონი ლილიან როსი, მიუხედავად მისი ასაკისა, დღემდე ერთ-ერთი ყველაზე ენერგიული და ნაყოფიერი მწერალია. ხშირად ხდება, რომ სანამ ჩვენ იმაზე ვფიქრობთ, ესა თუ ის მასალა როგორ გავაშუქოთ, ლილიანს იმ მასალაზე სტატია უკვე დაწერილი აქვს და დილაბით, სამსახურში მისვლისთანავე ელ-ფოსტაში მხვდება ხოლმე. მერე კი, როდესაც მას ვურეკავ კომპლიმენტის სათქმელად, ლილიანს უკვე ახალი სტატია აქვს დაწყებული. მაშ ასე, გთხოვთ მიესალმოთ, ქალბატონი ლილიან როსი.

**ლილიან როსი:** ბატონ ისთვუდს მალე მოვიხმობთ სცენაზე, მაგრამ მანამდე მინდა, რამდენიმე სიტყვა ვთქვა მასზე. ქლინთ ისთვუდს უყვარს ცხოველები და სახლში თუ ესტუმრებით, იქ ბინადარი ცხოველებიდან რამდენიმე აუცილებლად შეგეგებდათ ზღურბლზე. მის სახლში ცხოვრობს ზედმინევნით ნერვიული ღორი, წამდაუწემ ავეჯს რომ ეჯახება ხოლმე, პატარა ვირთხები, რომელებსაც ისთვუდი საწოვარათი კვებავს, თუთიყუში, რომელიც გაუჩერებლად გაპკივის: „მე შენ მიყვარხარ,“ და ვინ მოთვლის კიდევ ვინ... ამის გარდა, მის სანახავად მეზობელი სახლიდან ერთა ქათამიც დაიარება ხოლმე.

ბატონები და ქალბატონები, ქლინთ ის-თვუდი!



კამრი ფილმის „GRAN TORINO“



კალი ფილმიდან „კარგი, ცუდი, ბოროტი“

**ქლინონ ისთვუდა:** ეს ქათმის ამბავი ნეტა  
არ მოგეყოლათ... ეს ხალხი იფიქრებს, რომ  
ვიღაც მანიაკი ვარ...

**ლილიან როსი:** რამდენიმე წლის წინ თქვენზე დანერილ სტატიას ასეთი სათაური დავარქვი – „ჩვეულებრივი“. ეს თქვენივე ფრაზაა, რომელიც იმ პერიოდში იხმარეთ, სკორსეზეს „ბლუზის ისტორიის“ ერთ-ერთ სერიაზე რომ მუშაობდით. თქვენ თქვით: „მინდა ყველაფერი შეუფერადებლად დავაფიქსირო, ისე, როგორც სინამდვილეშია, უბრალოდ, ჩვეულებრივად.“ თქვენი ფილმები ერთი შეხედვით მარტივ მაგრამ უნივერსალურ თემებზეა აგებული, – დანაშაულსა და სინანულზე, სიყვარულსა და დაკარგვის ტკივილზე, უმანკოებასა და დალატზე. თუ არ ვცდები, 1995 წელს თქვენ გადაიღეთ Bridges of Madison County, რომელიც, ჩემი აზრით, კინოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი სასიყვარულო ისტორია; იქ თქვენ თამაშობთ ფოტოგრაფის როლს, რომელიც მერილ სტრიპის გმირს შემთხვევით შეხვდება და მათ ერთმანეთი უყვარდებათ. რამდენად გარდამტეხი აღმოჩნდა თქვენს კარიერაში ეს ფილმი? ვგულისხმობ იმას, რომ ამ ფილმის დასრულების შემდეგ თქვენ ერთმანეთზე რთულ თემებს შეჭიდეთ. თუნდაც თქვენი ბოლო ფილმი ავიღოთ, რომელიც, ჩემი აზრით, დღევანდელობის უმწვავეს პრობლემას ეხება. მოკლედ, ჩემი კითხვა ასეთია: ყო თუ არა ისეთი მომენტი თქვენს ცხოვრებაში, როდესაც მიხვდით, რომ ახალი გამოწვევის წინაშე იდექტირ?

**ქლინით ისთვუდო:** არა, ალბათ არა... საერთოდ საკმაოდ ძნელია ასეთ გადამწყვეტ მომენტებზე საუბარი. ახლა, როდესაც თქვენს მიერ შერჩეულ ეპიზოდებს ვუყურებდი ჩემი ძველი ფილმებიდან, ერთადერთი რასაც

ფილმის მიზანი ისაა, რომ თურმე რამდენი თე-  
თრი პიგმენტი შემპარვია თმაში... როგორ  
გაფართოვებულვარ! რაც შეეხება Bridges  
of Madison County-ს, ეს ფილმი ლიტერა-  
ტურულ წყაროს ეყრდნობა, სადაც ისტო-  
რია მთავარი გმირის პირითაა მოყოლილი.  
ესაა ფოტოგრაფი კაცი, რომელიც ამერიკის  
დასავლეთ შტატებში მოგზაურობს. ჩვენმა  
სცენარისტმა რიჩარდ ლაგრავინესმა კი ამ-  
ბის თხრობა სცენარში ქალს დაკისრა და,  
ჩემი აზრით, ფილმი უფრო საინტერესოც  
გახდა... თქვენ შეკითხვას რომ დავუბრუნ-  
დეთ, არც კი ვიცი, რა შეიძლება მივიჩნიო  
გარდამტეს მომენტად ჩემს ცხოვრებაში.  
უბრალოდ, ვცდილობ ერთ ადგილზე არ გა-  
ვიყინო, არ გავმეორდე, სხვადასხვა თემებს  
შევეჭიდო... ექსპერიმენტი ჩემთვის ძალიან  
მნიშვნელოვანია. ერთხელ მკითხეს, – აპირებ-  
თუ არა ფილმ Dirty Harry-ს გაგრძელებასო.  
იცით, ჩემთვის პოლიციელი ჰარის ისტორია  
უკვე გავლილი ეტაპია. ვითამაშე და მორჩა,  
სხვა პერსონაჟებზე გადავერთე; ანდა, რაღა  
უნდა შემემატებინა ამ პერსონაჟისთვის?  
რითა საინტერესო პერსიაზე გასული პო-  
ლიციელი რომელიც სიბერეშიც „მაგნუმს“  
დაატარებს? დეპრესიაში ჩამაგდეთ ამ თქვე-  
ნი შეკითხვით! არა, გარდამტეს მომენტე-  
ბის შესახებ ვერაფერს გეტყვით, უბრალოდ,  
წინსვლას განვაგრძობ, ესაა და ეს. მუშაობა  
ჩემთვის სიამოვნებაა და მთავარი სწორედ  
ისაა, რომ ეს გრძნობა არ დავკარგო.

„ନୀୟ ଓରକ୍ତେରି“: ଶ୍ଵେଦେବି ରାଜାଙ୍କ ଦରଦାନ୍ତେବୁ,  
ମାଘରାଥ ଅଳ୍ଲା, ରନ୍ଧେସାଙ୍କ ତକ୍ଷେଣ ଯୁଦ୍ଧକ୍ଷେତ୍ରରେ  
ନାନ୍ୟକ୍ଷେତ୍ରରେ ପୂର୍ବରେ ଦେଖିଲା, ଗାମିନ୍ଦରଙ୍ଗରେ  
ଦା, ରନ୍ଧ ରାଜାଙ୍କ ଏତୁପଥେ ତକ୍ଷେଣତ୍ଵରେ ମାରିଲା  
ଫାଫୁଗା ଯିବୁ ମନ୍ତ୍ରରେ, ରନ୍ଧେସାଙ୍କ ତାତ୍ପର୍ଯ୍ୟାନି, ସା-  
ଶିଶି ତ୍ରୈରସରନାଶ୍ରେଦ୍ଧିଲାଗାନ୍ ତାତ୍ପରୀ ଫାଲନ୍ତେବା ମନ-  
ଗିନ୍ଦାତ. ରନ୍ଧୋରଙ୍କ କ୍ଷମି ହେ ମାନାବେରନ୍ତେ, ତକ୍ଷେଣ  
ଯୁଦ୍ଧକ୍ଷେତ୍ରରେ ସାନ୍ତିଗ୍ରହିତ ହୁଲି ତ୍ରୈରସରନାଶ୍ରେଦ୍ଧି

გაჩნდენ. შეიძლება თქვენთვის როული იყოს ამის ახსნა, მაგრამ მეტვენება, რომ ამ შემთხვევაში ინტერესების ცვლასთან გვაქვს საქმე...

**ქლინონ ისთვეული:** შეიძლება მართალი ბრძანებით, თუმცა შეიარაღებული და საიში გმირების როლები, ვფიქრობ, საინტერესო გამოცდილება იყო ჩემთვის. სიამოვნებასაც მანიქებდა. მერე კი, რაღაც ეტაპზე, დაახლოებით 70-იანი წლებიდან, კამერის უკან გადავინაცვლე. სამწუხაროდ, ხშირად ხდება ხოლმე, რომ როგორც კი ამას ვამბობ, რამდენიმე დღეში ტელეფონი რეკავს და ვიღაც-ვიღაცები მართლაც რომ დიდებულ როლებს მთავაზობენ. „მისტიკური მდინარის“ შემდეგ გადაჭრით ვთქვი, მორჩა, კამერის უკან დგომა მომწონს, ეს ჩემი ადგილია, პოდა, აღარსად წავალ, აქვე დავრჩები-მეტქი, მაგრამ შემდეგ გამოჩნდა როლი ჩემსავე ფილმში Million Dollar Baby და ამ როლზე მუშაობა ძალიან სასიამოვნო აღმოჩნდა. მერე კი მოკლე ტაიმ-აუტი ავიღე ფილმით Changeling, და ამ ფილმის დასრულების შემდეგ ჩემმა ბოლო, ჯერ კიდევ ბოლომდე დაუმონტაჟებელმა Gran Torino-მ ისევ „შემაგდო“ მსახიობის ტყავში. აა, სწორედ ეს ცვლილებები მომწონს ჩემს პროფესიაში! დიდი უცნაური კაცია Gran Torino-ს მთავარი გმირი! პირნავარდნილი რასისატი, რომელიც წარსულით ცხოვრობს და აზრზეც კი არაა თუ რა შეიცვალა მსოფლიოში. მერე კი, რა-ლაც ეტაპზე, ის ინანიგბს.

**ლილიან როსი:** რა მადენად როტული აღმოჩნდა  
და თქვენთვის *Changeling*-ი და ის თემატიკა,  
რაც ამ ფილმშია? ფილმში ხომ გაცილებით  
უფრო ღრმა შრებია, ვიდრე, მარტივად რომ  
ვთქვათ, ქალის თვალით დანახული ამბავი?  
ამ ფილმში ქალის როლი და ადგილობრივი საზო-



კალი ფილმიდან CHANGELING™

გადოებაში სულ სხვაგვარია, არა? ზუსტად ისეთი, როგორიც 1928 წელს იყო.

**ქლინთი ისთვუდი:** გეთანხმებით და მეც სწორედ ამან „დამქოქა“. გასული საუკუნის ორმოციან წლებში, როდესაც ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, ჩემი საყვარელი ფილმები სწორედ ის იყო, სადაც სრულყოფილი ქალი პერსონაჟები იყვნენ. ასეთ ფილმებს დღეს ლამის ფემინისტურ კინოს უნდღებენ, მაშინ კი ყველაფერ ამას უფრო ღრმა დატვირთვა ჰქონდა. ამიტომაც, ინგრიდ ბერგმანს და ბეთ დევისს არასდროს აკლ-დათ დიდებული როლები. შემდეგ კი, დადგა დრო, როდესაც ეს ტენდენცია შეიცვალა და ამის შემდეგ იშვიათად თუ ნახავდით ფილმს სრულყოფილი ქალი პერსონაჟით. Changeling-ი ძალიან ტრაგიკულ ისტორიას მოგვითხრობს. სიუჟეტი მართლაც რომ შემაძრნუნებელია! შეიძლება ითქვას, რომ ის ზრდასრულ მაყურებელზე გათვლილი პორორის ქანრის ფილმია იმ საშინელი დამოკიდებულების გამო, რაც ფილმის მთავარმა პერსონაჟმა ქალმა იმდროინდელი ლოს ანუელესის პოლიციის დეპარტამენტისა და პოლიტიკური ესტებლიშენტის გამო გადაიტანა. მიუხედავად იმისა, რომ

იმ ეპოქის ქალები საერთოდ არანაირი მხარდაჭერით არ სარგებლობდნენ, ფილმის მთავარმა გმირმა, ერთი თანამოაზრის დახმარებით, ბოლომდე იბრძოლა სისტემის წინააღმდეგ. ჩემთვის ამ ისტორიაში ყველაზე ნიშანდობლივია პარალელები დღევანდელობასთან, ვგულისხმობ ბავშვების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებებს. ჩემი აზრით, ეს ყველაზე დიდი დანაშაულია, რომელიც ყველაზე მკაფრ სასკელს იმსახურებს.

**ლილიან როსი:** მაგრამ აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ მსახიობების შესანიშნავი თამაშიც. მათი ყურება უდიდეს სიამოვნებას განიჭებს. თქვენ შესანიშნავად გააცოცხლეთ 1928 წლის რეალობა. ასე ხელშესახებად აღდგენილი ისტორია მართლაც არაჩვეულებრივი სანახობაა.

**ქლინთი ისთვუდი:** გეთანხმებით, Changeling-ში შესანიშნავი მსახიობების მთელი გუნდი თამაშობს. მთავარი გმირის როლი ზედამოჭრილი აღმოჩნდა ანჯელინა ჯოლისთვის, რომლის ნიჭაც უსაზღვროდ დიდ პატივს ვცემდი ყოველთვის. თუმცა, მას ხშირად უშლის ხოლმე ხელს საკუთა-

რივე გარეგნობა. ის ულამაზესი ქალია და ხშირად მაყურებლისთვისაც მისი სილამაზე ფარავს ხოლმე ყველაფერ დანარჩენს.... არადა, ის უდავოდ ნიჭიერი მსახიობია! როცა ამ ფილმს ნახავთ, თავად დარწმუნდებით ამაში. მიხვდებით, რომ თუ მის ნიჭს სათანა-დოდ არ აღიარებდით, ეს პიარ კამპანიების უარყოფითი ფაქტორის ბრალი იყო და სხვა არაფერი. კარგი როლები ჰქონდათ მაიქლ ქელისა და ჯეფრი დონოვანსაც; ბავშვებმაც დიდებულად გაართვეს თავი ყველაფერს...

**„ნიუ იორკერი“:** როდესაც Mystic River-ის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე სცენას იღებდით (როდესაც შონ პენის პერსონაჟი თავისი ქალიშვილის დალუპვის ამბავს იგებს), მახსოვს, ლილიანს უთხარით, რომ ეს სცენა სულ სხვაგვარად წარმოგედგინათ, მაგრამ შონ პენმა თავისებური მიღებომა შემოგთავაზათ, რამაც საბოლოო ჯამში ეპიზოდს მართლაც განსაკუთრებული ეფექტი შესძინა. საინტე-რესოა, როგორი იყო თქვენი თავდაპირველი ჩანაფიქრი?

**ქლინთი ისთვუდი:** აქ საქმე სხვა რამეშია. მე თითქმის ასევე წარმომედგინა ყველაფე-რი, უბრალოდ, არ ვიცოდი, როგორ გადამე-



კადრი ფილმიდან „თერიტორი ისუგაბაშიდან“



კადრი ფილმიდან „MILLION DOLLAR BABY“

ღო ეპიზოდი ისე, რომ შონ პენი პოლიციელების ზედახორაში არ დასახიჩრებულიყო. ამიტომაც დეტალურად გავიარეთ მთელი ეპიზოდი. ერთად მოვიარეთ გადასაღები მოედნის ყოველი კუთხე-კუნჭული, ავუსენი, როგორ იმოძრავებდნენ კამერები, რას მოიმოქმედებდნენ ბიჭები, რომლებიც პოლიციელების როლებს ასრულებდნენ. ბოლოს შევთანხმდით, რომ რეპეტიცია არ გვჭირდებოდა. ამ ეპიზოდზე ბევრი ფირის დახარჯვა არ შეგვეძლო. ამიტომ მალე გადავიდეთ ყველაფერი. გადასაღებ მოედანზე ყოფნისას, მე, როგორც წესი, ყველაფერს ვაფიქსირებ ხოლმე. ჩემს მოედანზე კამერები სულ ჩართულია, ყველაფერს ვიღებ, მომწონს თითოეული ნიუანსის ფირზე აღბეჭდვა, თუნდაც ეს სამუშაო პროცესი იყოს. კამერა მაშინაც კი მუშაობს, როცა მსახიობები რეპეტიციებს გადიან. ხშირად, ამ მასალებიდან ამოღებული დეტალები ეპიზოდებს უფრო რეალურს ხდის. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ამ კონკრეტული სცენის გადაღებისას ეს საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

**ლილიან როსი:** თქვენმა მეგობარმა, ერთმა არაჩეულებრივმა კაცმა, რომელიც ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა, მითხრა, – ქლინითი ყველა ნესის დარღვევით იღებს კინოსო. ხომ ვერ მეტყვით, რას გულისხმობდა ის?

**ქლინითი ისტორია:** ვფიქრობ, გულისხმობდა იმას, რომ ბევრი რეჟისორი ცდილობს, ფილმის გადაღების პროცესი რაღაც მისტიკურ პროცესად წარმოაჩინოს. არადა, მისტიკური ამაში არაფერია. შენ რეალობა უნდა გადაიტანო ფირზე და ამისთვის გჭირდება მხოლოდ კარგად დისციპლინირებული გადამღები ჯგუფი. ყველა მზადყოფნაში უნდა

იყოს! მათ იციან, რომ თითო სცენაზე კილო-მეტრობით ფირს ვერ დავხარჯავ და ვერც ათობით რეპეტიციას გავივლი. ჩვენ რეალობა უნდა „შევაკავოთ“ და ეს ძალადუტანებლად უნდა მოხდეს. აი, ამ ფილოსოფიით ვხელმძღვანელობ ფილმის გადაღების პროცესში. ასეთი მიდგომა „ძველებისგან“ ვისწავლე, იმ ეპოქის ადამიანებისგან, რომლებიც მართლა ჯადოსნურ კინოს აკეთებდნენ...

**ლილიან როსი:** დავუბრუნდეთ თქვენი კარიერის დასაწყისს და იმ დროს, როდესაც მონაწილეობა მიიღეთ ვესტერნის უარის ტელესერიალში „ნედლი ტყავი“. რამდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის თქვენს კარიერაში? მოგცათ თუ არა მან ისეთი რამ, რასაც დღემდე შეგნებულად იყენებთ ხოლმე?

**ქლინითი ისტორია:** Rawhide – ჩემთვის ეს, პირველ რიგში, სამსახური იყო. ეს იყო სტანდილური, ანაზღაურებადი სამუშაო, რაც ჩემს ინდუსტრიაში საყაზოდ იშვიათია. მოგეხსენებათ, რომ სამუშაოს პოვნის პროცესი მსახიობისთვის თევზაობასავითაა, ხან გაქვს როლი, ხან კი არა. იმ დროს უმუშევარი ვიყვავი, ამიტომაც დავთანხმდი. გადაღებები რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდებოდა და მსახიობის პროფესიის შესახებ შეძლებისდაგვარად ბევრი რამ ვისავლე. სერიალზე იმ დროის შესანიშნავი რეჟისორები მუშაობდნენ, ნამდვილი პროფესიონალები.

მათგან ვინც მომწონდა, ვსწავლობდი, ხოლო ვინც არა, ვფიქრობდი თუ როგორ მოვიქცეოდი მათ ადგილზე რომ აღმოვჩენილიყავი. ასე რომ, ეს მართლაც ძალიან სასარგებლო, ცოცხალი გამოცდილება იყო, რომელიც 5 წელიწადს ვაგრძელდა. მერე კი იტალიაში წავედი, სერჯიო ლეონესთან სამუშაოდ. აი, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოცდილება!

წახვიდე საზღვარგარეთ და იმუშაო რეჟისორთან, რომელიც ინგლისურად საერთოდ ვერ ლაპარაკობს... მე მისი არ მესმოდა, მას კი ჩემი... მოკლედ, თუ ცოდნის მისაღებად მზად ხარ, სწავლის პროცესი შეიძლება მთელი ცხოვრება გაგრძელდეს.

**„ნიუ იორკერი“:** ლეონზე რას იტყოდით?

**ქლინითი ისტორია:** მის გადასაღებ მოედანზე ყველაფერი სხვანაირად ხდებოდა. მუშაობ რაღაც პერიოდის განმავლობაში, შემდეგ სადილის დრო მოდის და ისვენებ, თუმცა ეს დასვენება რამდენიმე საათით იწელება, მერე კი ყველას სძინავს ორი საათი... გადაღებების პირველ დღეს სადილზე რამდენიმე ჭიქა ღვინო დავლივ და გადამლები ჯგუფის წევრების სახელები ველარ გავიხსენე. მაშინ ვთქვი, – მორჩა, ხვალ ასე აღარ მოვიქცევი, მირჩევია, გადასაღებ მოედანზე დავრჩე, რაღაცებს დავაკვირდე და გვიან ვისადილო, ვიდრე ასე გაგრძელდეს-მეტქი. სხვაგარად რომ მოექცეულიყავი, უბრალოდ გავლოთ-დებოდი! სერჯიოსთან მუშაობა კი ძალიან სასიამოვნო იყო. საოცარი იუმორი ჰქონდა და მიუხედავად იმისა, რომ მაშინ იტალიური არ ვიცოდი, მეც კი ვხვდებოდი ამას. უზღვავი ფანტაზიის მქონე ადამიანი იყო, ბავშვივით მდიდარი წარმოსახვა ჰქონდა და ეს მის ფილმებშიც ჩანს.

**ლილიან როსი:** ის შტრიხები შემთხვევით აღმოაჩინეთ, მოგვიანებით თქვენი პერსონაჟის, „ბლონდის“ განმაზღვრელ მახასიათებელ ნიშნებად რომ იქცა? – ვგულისხმობ მოჭუტულ თვალებს, პირში გაჩრიოლ მომცროზომის სიგარას...

>>> ბაგრძელება გვ. 115

- 
- შენ ლმერთი ხარ? – ჰვითხეს მათ ბუდას.
  - არა, – უპასუხა მან.
  - აბა, ანგელოზი?
  - არა.
  - წმინდანი?
  - არა.
  - მაშ, ვინ ხარ შენ?
  - გამოლვისებული, – უპასუხა ბუდამ.

## ტულკუ

ავტორი: ნინო ჯაფარიშვილი  
ღოთვი: ლავით მესხი





ძოგჩენ რანაკ დზა პატრულ რინპოჩე ტულეუდ ბავშვობაში აღიარეს. ტულეუს ტიბეტში იმ ლამებს უნოდებენ, რომელთაც წინა ცხოვრებაში შეეძლოთ ნირვანაში გადასულიყვნენ, თუმცა, სხვა ცოცხალი არსებების მიმართ თანაგრძნობის და სიყვარულის გამო, მათ ადამიანად ხელახალი დაბადება საკუთარი ნებით აირჩიეს.

„ყველა ხელახლა იბადება, ყველა რეინკარნაციაა, მაგრამ ტიბეტელი ბუდისტები აღ-

მოაჩენენ ხოლმე ძალიან, ძალიან სპეციფიკურ რეინკარნაციებს. ამ გასხვოსნებულმა არსებებმა წინა ცხოვრებაში გონების ჭეშ-მარიტი ბუნების რეალიზება შეძლეს. ამ მომენტში შენ შეგიძლია შეწყვიტო ხელახალი დაბადება, შეწყვიტო რეინკარნაციის პროცესი ან შეგიძლია გააგრძელო ცოცხალი არსებების სწავლება და დახმარება. ასეთ განსაკუთრებულ რეინკარნაციებს ტიბეტელები ტულეუს ვეძახით. ვინც რეინკარნა-

ციად მიაჩნიათ, იმ პიროვნებასთან მიაქვთ მისი წინა ცხოვრებიდან რამე ნივთები, მაგალითად – სათვალე, ჯამები და სხვა საგნების გვერდით აწყობენ. ტულეუმ საკუთარი უნდა ამოიცნოს. ის, რაც შენია, უნდა იცნო, ხომ ასეა?“ – მშვიდად მეკითხება პატრულ რინპოჩე.

მეოთხე და დღევანდელი პატრულ რინპოჩე ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტიბეტელი ლამის, პირველი პატრულ რინპოჩეს რეინკარნაციად



„ბულიზმი ეს ძალიან ტოლერაციული სისტემაა, რომელიც ანვითარებს სიბრძნეს. და რაც უფრო ბრძენი ხდები, მით ლია ხდება შენი გონიას; არ რჩები ცალმხრივი და შეზღუდული, მზად ხარ, მიმღო ყველაფერი.“

ბნეს, რატომ ამომიცნეს, რატომ დამარქეს მასწავლებელი?

პატრულ რინპოჩე მთელ ტიბეტში უდიდესი ოსტატი იყო. მას ძალიან ბევრი მიმდევარი ჰყავდა, ბევრს უყვარდა და ისიც ყველას ეხმარებოდა; ასწავლიდა, როგორ გაყოლოდნენ ბუდას გზას და გამხდარიყვნენ თავისუფლები. ჩემი საქმეც მხოლოდ ეს არის – მისი მიმდევარი ვიყო, მისი სწავლება გავაგრძელო.

პირველ პატრულ რინპოჩეს თავისი 500 წინა ცხოვრება ახსოვდა. როცა გონების სრულ რეალიზებას აღნევ, მაშინ ყოვლის-მცოდნე ხდები. ასეთი იყო ბუდა. და ასეთი რეინჯარნაციებიც, როგორც წესი, ბუდები არიან, გესმის?

პირველი პატრულ რინპოჩე მე-19 საუკუნის ტიბეტში, ქამის პროვინციაში დაიბადა. ის ძოგჩენის სკოლის უდიდესი მასწავლებელი და ძალიან ექსცენტრიული ბერი იყო.

როგორც წესი, ბუდისტი ბერები მირთმეტულ ძღვენს მოწაფებს და მათხოვერებს ურიგებდნენ, ან მონასტრებისა და ბიბლიოთეკების მშენებლობას ახმარდნენ. პატრულ რინპოჩე კი ყველაფერს ყრიდა. მან მთელი ცხოვრება როგორც უპოვარმა ისე გაატარა, გამოქვაბულიდან გამოქვაბულში ხეტიალში. ერთი ჩვევა ჰქონდა: ნებისმიერ საჩუქარს, რაგინდ ძეირფასიც უნდა ყოფილიყო, იქნებოდა ეს ფული, ოქრო თუ სხვა რამ, ის უბრალოდ ზურგს უკან მოისროდა ხოლმე. როდესაც კელია ძღვენით ივსებოდა და თავისუფალი სივრცე აღარ რჩებოდა, პატრულ რინპოჩე იქნებოდას ტოვებდა და სხვა განმარტოებულ ადგილას გადადიოდა. ხალხი მიტოვებულ ძღვენს „ბებერი პატრულის საგანძურს ეძახდა“. ბერის ავტორიტეტის გამო, განძის ხელის ხლებას თავიდან ვერავინ ბედავდა. თუმცა, დროთა განმავლობაში „ბებერი პატრულის საგანძურიც“ გაიქცერდა. როდესაც ეს ამბავი დიდი ჯამიანგ ჰქენცე ვანგმოს ყურამდე მივიდა, მან გაბრაზებულმა თქვა: „ამ შტერმა პატრულმა არ იცის, როგორ გამოიყენოს ძღვენი. იმის მაგივრად, რომ თავისი ღვანილი ქველმოქმედებით გაამდიდროს, განძს ქურდებს უგდებს ხელში, ნამდვილი სულელია!“ ამ ამბის შემდეგ პატრულ რინპოჩემ კიდევ უფრო ექსცენტრიული გადაწყვეტილება მიი-

ღო. მირთმეტული ძღვენი მან უზარმაზარი ქვის კედლის მშენებლობას დაახარჯა. თითოეულ ქვაზე ერთადერთი მანტრა იყო ამოტვიფრული – „ომ მან პედმე ჰუმ“.

პატრულ რინპოჩეს მეოთხე რეინჯარნაციას მე თბილიში შევხვდი. რამდენიმე წელია, მას აյ მოსახულეთა პატარა ჯგუფი ჰყავს, რომლებთანაც რამდენიმე დღით ჩამოსვლას წელინადში ერთხელ მაინც ახერხებს.

– რინპოჩე, რატომ იფიქრეთ, რომ საქართველოში ჩამოსვლა კარგი იდეა იქნებოდა. როგორ მოხვდით აქ?

„არაფერი დამიგეგმია, შემთხვევით აღმოვჩნდი. თუმცა ჩემი გრძნობებიდან გამომდინარე, შეიძლება რაღაც კარმული კავშირი მქონდეს საქართველოსთან. როცა აქ ვარ, ყოველთვის ძალიან ბენდიერად ვგრძნობთავს – როგორც საკუთარ სახლში, საკუთარ ოვახში. ამიტომ აქ პატარა მიწა ვიყიდე და ცენტრიც დავაარსე,“ – მეუბნება რინპოჩე.

პატრულ რინპოჩეც, პირველი პატრულის მსგავსად, ტიბეტში, ქამის პროვინციაში დაიბადა. ამბიბენ, რომ ბავშვობაში კითხვა არ უსწავლია – მამამ ერთხელ ალფავიტი და ასოების კომბინაცია აჩვენა და ეს საქართვის აღმოჩნდა. მას სკოლაში არასდროს უვლია, ჩვეულებრივი სოფლელი ბიჭივით თოთხმეტ წლისმდე ოვახთან ერთად ცხოვრობდა, შემდეგ კი ძოგჩენის მონასტერში წავიდა. სადაც გაღობა, წმინდა ცეკვები, მუსიკა, ხატები, მანდალების შექმნა და მანტრების კითხვა სრულყოფილად შეისწავლა. („კულტურისთვის ხელოვნება მიზანია, ბუდიზმისთვის კი მხოლოდ საჭალება. ხელოვნება ბუდიზმს სიბრძნის ასპექტში ჩამორჩება,“ – ეს ფრაზა პატრულ რინპოჩეს ერთ-ერთ საიტზე წავიკითხე და ახლა გამასხვნდა, როდესაც დავფიქრდი, რატომ ასწავლიან ბუდისტ ბერებს ხელოვნებას.)

ექვსი წლის შემდეგ პატრულ რინპოჩე ძოგჩენის შერი სინგხის უნივერსიტეტში გადავიდა, სადაც მას ბუდას სწავლება უდიდესმა ტიბეტელმა სულიერმა მოღვაწეებმა გადასცეს. დედის სიკვდილის შემდეგ ის ერთი წლით იმ გამოქვაბულში გამოიკეტა, სადაც პირველმა პატრულ რინპოჩემ თავისი ცნობილი წიგნი „ჩემი სარულყოფილი მასწავლებლის სიტყვები“ დაწერა.

არის აღიარებული. როდესაც ვეკითხები, ახსოვს თუ არა მას, როგორ მიაგნეს, ღიმილით მიასუსტობს: „შენ ბევრი არაფერი იცი ამის შესახებ, არც სხვებია, ხომ ასეა? ყველაფერი არც მე ვიცი, თუმცა ტყუილი იქნება, რომ ვთქვა, საერთოდ არაფერი მახსოვს და არაფერი ვიცი-მეტები. ამიტომ, მოდი, საკითხი ასე დავსვათ: ვთქვათ, ვიმეორებ, ვთქვათ, მე ვარ პატრულ რინპოჩეს რეინჯარნაცია. რა მე-ვალება, რა არის ჩემი საქმე? რატომ მომძე-

## ისტორია

30 წლისამ კი ტიბეტი დატოვა და პილი-გრიმი გახდა, ჯერ ინდოეთში ჩავიდა, შემდეგ კი, ისევ შემთხვევის წყალობით, ევროპაში აღმოჩნდა. თავისი მონაფების თხოვნით, ის უკვე ათ წელზე მეტია, რაც იქ ცხოვრობს. „მე თავშესაფარი ბელგიაში ვითხოვე, ასე რომ, ახლა ბელგიელი ვარ, – ხმამაღლა იცინის ტიბეტელი ბერი და ამატებს, – ახლა კი შეიძლება ქართველიც გაგხდე.“ პატრიულ რინპოჩეს მთელ მსოფლიოში – თხუთმეტამდე დჰარმა ცენტრი და ასობით მოსწავლე ჰყავს. თავისი ძვირფასი დროის უმეტეს ნაწილს ის ქვეყნიდან ქვეყანაში ფრენასა და ცოდნის გადაცემას ანდომებს. ის იმ ათასობით ტიბეტელ სულიერ ლიდერს შორის აღმოჩნდა, რომლებმაც ჩინეთის ოკუპაციის შემდეგ სამშობლო დატოვეს.

– რინპოჩე, თუ შეიძლება ტიბეტის ოკუპაციის დადებით მხარედ ჩაითვალოს ის, რომ, თქვენი და სხვა ლამების წყალობით, ბუდიზმი უფრო ხელმისაწვდომი გახდა მთელი მსოფლიოსთვის, საქართველოს ჩათვლით?

„რაღაც თვალსაზრისით – კი, თუმცა ძალიან ძნელია, ჩვენი სამყარო კარგის საშუალებით შეცვალო. ეს სამყარო ყოველივე ცუდის ძალიან დიდ ზეგავლენას განიცდის. გამარჯვებული ყოველთვის ცუდი გამოდის, კარგი კი – ნაგებული. ეს ჩვენი ბუნებაა, ეს რეალობაა. აი, ვთქვათ, ლამაზი სახლის აშენებას სჭირდება ბევრი ფული, ბევრი მასალა და ბევრი დრო, მის დანგრევას კი ერთი წამი. თვალის ერთ დახამხამებაში შეგიძლია ყველაფერი მტკვარდ აქციო.“

პატრიულ რინპოჩე მიხსნის, რომ ბუდიზმი არ არის სოციალური მოვლენა. ეს სრულყოფილების ინდივიდუალური ძებნაა. ბუდისტი მას საკუთარ თავში ექცებს. ის მარტო მიდის წინ თავის სულიერ გზაზე. რა თქმა უნდა, ბუდიზმის იდეები ზეგავლენას ახდენს მათზე, ვინც მას მისყვება, მაგრამ თავისათვად ის არანაირ სოციალურ მიზნებს არ ისახავს, არ ისწრაფვის, შექმნას გავლენის ჯგუფი და საზოგადოების მოწყობის წესებს არავის ახვევს თავს.

ნელოვანი რამაა. როდესაც გონება ბედნიერია, იქ მატერია მნიშვნელობას კარგავს. როდესაც გონება იტანჯება, მთელი ამ ქვეყნის სიმდიდრეც რომ გქონდეს, ბედნიერი ვერ გახდება. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია იმის განალიზება, თუ როგორ მუშაობს გონება. ჩვენ გვჭირდება მეცნიერული მეთოდები იმისათვის, რომ ვმართოთ გონება, დავამშვიდოთ და გახსადოთ უფრო სტაბილური, ვაკონტროლოთ საკუთარი ემოციები.

ჩვენ, ბუდისტები, ზოგიერთ ადამიანს, ზოგიერთ მასწავლებელს ვეძახით ოსტატს. მაინც რატომ ვხმარობთ ტერმინს – „ოსტატი“? იმიტომ, რომ ისინი საკუთარ გონებას განკარგავენ. ისინი უდიდესი ოსტატები არიან საკუთარი თავის და ალემის მართვაში. თუკი ჩვენ ვისწავლით საკუთარი გონების მართვას, უმაღლესი არსებები გავხდებით, უმაღლესი სიბრძნით და რეალიზაციის უნარით. ბუდიზმში ჩვენ ასეთ არსებებს გასხვისნებულებს უწოდებთ, არსებებს, რომელთაც ბუდას გონების რეალიზება მოახერხეს.“

– შეგიძლიათ უფრო დეტალურად ახსნათ, რას ეძახით ბუდისტები ბუდას გონებას?

„ბუდას გონება ეს არის გონების ჭეშმარიტი ბუნება, ორიგინალური გონება, ბაზისური გონება, თუ გნებავთ.

მოდით, განვიხილოთ წყლის მაგალითზე. წყალი შეიძლება იყოს ჭუჭყანი და შეიძლება იყოს სუფთა. რატომ? იმიტომ, რომ წყალს აქვს ბუნება. ეს ბუნება არც ჭუჭყან წყალს ეკუთვნის და არც სუფთა წყალს. რომ არა ეს ბუნება, წყლის რაღაც ნაწილი მხოლოდ ჭუჭყანია იქნებოდა და ვერასდროს შევძლებდით მის გაწმენდას, წყლის მეორე ნაწილი კი იქნებოდა მუდმივად სუფთა და ვერასდროს შევძლებდით მის დაბინძურებას.

ზუსტად ასევე აქვს ბუნება ყველაფერს, ყველა ფერისებას. თავისი ბუნება აქვს გონებასაც. გონების ჭეშმარიტ ბუნებას სწორედ რომ ბუდას გონებას ვეძახით. ეს შენი პირადი პოტენციალია, შენი გონების ხარისხი.

მაგალითად, როცა ბრაზობ, ეს დაბინძურებული გონებაა. მაგრამ ასეთი სახით გონება არ არის მუდმივი, უცვლელი. იგივე შეიძლება ვთქვათ ბედნიერ გონებაზეც. ბედნიერი გონება სუფთა გონებაა, თუმცა არც ეს მდგომარეობაა მუდმივი და უცვლელი. მაგრამ გონებას აქვს უნარი, იყოს ამ ორივე მდგომარეობაში, გამოავლინოს ეს ორი მდგომარეობა, ამის მიზეზი კი გონების ჭეშმარიტი ბუნებაა. ბუდისტები ამას ჭეშმარიტ ბუნებას ვარქმევთ. ეს არის წყარო ორივე მდგომარეობისა.

„ჩვენ ძალიან ძლიერდეთ ვართ მიკაზვულები საკუთარ სხეულს. პატარა პრობლემა და, მაშინ ვინაიდეთ ვართ მიკაზვულები საკუთარ სხეულს. თუ ეს მოთხოვთ მიკაზვულები საკუთარ სხეულს, მაგრამ არ არის და ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს ცოდნა ტიბეტში არასდროს გაქრება.  
თუმცა ისიც მართალია, რომ ეს ცოდნა ახლა უფრო მეტად აღწევს დასავლეთამდე და, შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთისთვის ბუდას სწავლება უფრო და უფრო ჩვეულებრივი ხდება. მე მხოლოდ ერთ-ერთი ვარ მათ შორის, ვინც ასწავლის. ერთი ქვეყნიდან მეორეში ვმოგზაურობ, შეიძლება კარმული კავშირებიც კი მქონდეს იმ ადამიანებთან, რომლებიც მოულოდნებულად, სრულიად შემთხვევით ჩემი ოჯახის წევრები ხდებიან. ერთად ვსწავლობთ, ერთმანეთს ცოდნას ვუზიარებთ, განვითარებაში ვეხმარებით, ბედნიერებას განვიცდით.“


– როგორ ფიქრობთ, სულ უფრო დიდი დაზღუდულება ბუდიზმით ცვლის თუ არა სამყაროს უკეთესობისკენ?

„სინამდვილეში ბუდიზმი ეს არის მცდარი აღქმისგან გამოღვიძებული არსებების აზრები და განზრახვები, რომლებიც ორ უდიდეს პრინციპამდე შეიძლება დავიყვანოთ: სიბრძნე და თანაგრძნობა.

ბუდიზმი ეს ძალიან ტოლერანტული სისტემაა, რომელიც ანვითარებს სიბრძნეს. და რაც უფრო ბრძენი ხდები, მით ლია ხდება შენი გონებაც; არ რჩები ცალმხრივი და შეზღუდული, მზად ხარ, მითლო ყველაფერი. დღეს არა მარტო ბუდისტები, არამედ მეცნიერებიც მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ ბუდიზმი არ არის რელიგია. ბუდიზმი ეს არის მეცნიერება გონების შესახებ.

ბუდას სწავლება გონებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, იკვლევს მოვლენათა, საგნებისა და ცოცხალ არსებათა ჭეშმარიტ ბუნებას, გონების ჭეშმარიტ ბუნებას. რაუფრო მნიშვნელოვანია მატერია თუ გონება? რომელს მოაქვს ბედნიერება? რომელი უფრო ღილებულია?

ბუდისტებისთვის გონება ყველაზე მნიშვ-



# ჯამუშის ცემორება

ინტერვიუ მირა მამარდაშვილთან

ესაუგა ან შევალია

თარგმანი ლიკა პარავანაშვილია

ინტერვიუ პირველად დაიბეჭდა ურნალში "Искусство Кино" 1991

ეს ინტერვიუ მერაბ მამარდაშვილმა გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე მისცა ფრანგ ურნალისტს ან შევალიეს. იგი გულის შეტევით გარდაიცვალა, როცა მოსკოვიდან თბილისში მოემზავრებოდა. ეს დიდი ქართველი ფილოსოფოსის ბოლო ინტერვიუა... 90-იანი წლების სტუდენტები მის არც ერთ ლექციას არ ვაცდენდით. ეს ალბათ უფრო ინტუიციით ხდებოდა, ახალგაზრდა ადამიანის ინტუიციით, რომელიც ჭეშმარიტებას მთელი გულით ესწრაფვის. და მაინც, ჩვენ ყველამ, უფროსებმაც და ახალგაზრდებმაც, ის შეცდომა დავუშვით, რაზეც მერაბ მამარდაშვილი გვაფრთხილებდა. იქნებ არც ახლა იყოს გვიან...

**უ**ნგერვიუ 1990 წლის 20 აგვისტოს მშაფოთვარე თბილისში, საარჩევნო კანონის მიღებით და დღეში მის ბინაში შედგა. ეზოში სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა და ისეთი ხმაური იყო, იძულებული გავხდით, რამდენჯერმე შეგვენყვიტა საუბარი.

**ან შევალიე:** გვიამბეთ ახლა სად ასწავლით, რა თემებზე კითხულობთ ლექციებს ან უფრო ფართოდ – რას იკვლევთ ამჟამად?

**მერაბ მამარდაშვილი:** მოსკოვში, როგორც ამბობენ ხოლმე, „გასტროლებზე“ მივდივარ, რადგან თბილისში ვცხოვრობ და ვმუშაობ. იქ მეგობრებისა და იმ ადამიანებისა მიწვევით მივემზავრები, ვისაც ჩემი ნაშრომები ანთერესებს, მაგალითად – კინემატოგრაფიის ინსტიტუტსა და ფილოსოფიის ინსტიტუტში. თბილისში ვკითხულობ ლექციებს თეატრალურ ინსტიტუტში და სახელმწიფო უნივერსიტეტში. თემები სიტუაციურად ჩნდება. ამას ნინათ მე მათ შევთავაზე ლექციების კურსი მარსელ პრუსტზე. რომანი „დაკარგული დროის ძიება“ ქართულად ნათარგმნი არ არის, ამიტომ ლექციების კურსს, „ცნობიერების გზათა ტოპოლოგია“, რუსულ ენაზე ვკითხულობდი, რაც ბევრს არ მოსწონდა. საინტერესოა, როცა ადამიანთა გზები იკვეთება ან აზრების თანხევდრა ხდება, როცა მათი ბედისწერის განსაზღვრაც კი შესაძლებელია. პრუსტი, ჩემი აზრით, ჭეშმარიტი მნერალია. მის შემოქმედებაში ასახული სულის სიღრმე-

თა წვდომის არეალი და აზროვნების სივრცე არაჩვეულებრივი მასალაა ცნობიერების თეორიის შესასწავლად.

მთელი სიცოცხლე ცნობიერების პრობლემას მივუძღვენი. დღეს ჩემი პროფესიული ინტერესი იმ საპედისწერო თემებს ემთხვევა, რაც ადამიანებს აღელვებთ. ამიტომ უფრო ხშირად მწვევენ რუსეთში, სადაც სულიერებაზე, სულზე, შინაგან ცხოვრებასა თუ შინაგან თავისუფლებაზე საუბარს აღმერთებენ. ოცნლიანი პაუზის შემდეგ მე ისევ ყურადღების ცენტრში ვარ.

**ან შევალიე:** ნუთუ ქართველები ნაკლებად ინტერესდებიან ამ საკითხებით?

**მერაბ მამარდაშვილი:** დიახ – გაცილებით. ქართველებს პერნიათ, იქნებ ცდებიან, რომ თანდაცილი სულიერება ახასიათებთ, და ამიტომ არ იტანჯებიან ტიპური რუსული ავადმყოფობით, როდესაც ყრუდ გამუდმებით გტკივა სული. თუ ტკივილი არსებობს, ესე იგი სული ცოცხლობს. ქართველები მოვლენებს და საგნებს სხვაგვარად უყურებენ. ისინი სამხრეთელები არიან, მხარულები და სიცოცხლის მოყვარულები, bon vivant. შესაძლოა, ახლა ყველაფერი შეიცვალოს, მაგრამ ისტორიულად ეს განსხვავდება რუსული ტკივილისგან, რომელიც პატივისცემის ლირსია, მაგრამ მაინც თავის თავზეა შეყვარებული. არ მინდა შთაბეჭდილება შეგექმნათ, თითქოს ყველა ქართველი არის bon vivant, არც ასე მარტივადა საქმე.

**ან შევალიე:** როგორ განსაზღვრავდით თქვენს ფილოსოფიურ კრედის?

**მერაბ მამარდაშვილი:** არსებობს განზოგადებული განსაზღვრა, რომელიც ერთდროულად ხსნის ყველაფერს და არაფერს. მე მეტაფიზიკოსი ვარ. წარსულში ჩემი მოღვაწეობის სფეროს მეტაფიზიკა ერქვა. იგი მოიცავს ყოფას, ცნობიერებას, შეცნობას, ონტოლოგიას და ასე შემდეგ. ჩემი ფილოსოფიის და კვლევის ძირითადი საგანი, არსებითად, კლასიკური და კარტეზიანული ხედვაა, ანუ თანამედროვეობის ფილოსოფია – cogito.

**ან შევალიე:** ასე რატომ აინტერესებთ დღეს რუსებს ცნობიერების პრობლემები?

**მერაბ მამარდაშვილი:** ეს მხოლოდ რუსებს არ ეხებათ. სიტუაცია მეტისმეტად ზოგადია – მე პოსტტოტალიტარულს ვუწოდებდი. მაგრამ რუსებს ერთი სპეციფიკური ნიუანსიც ახასიათებთ, რაც ძეველ რუსულ ტრადიციასთანაა დაკავშირებული, რომელიც ქრისტიანობის ისტორიული ინტერპრეტაციიდან მომდინარეობს. რუსულ მართლმადიდებლობას ახასიათებს თავისებური დათრგუნულობა და ნაღველი. ეს სულის ემბრიონული მდგომარეობა, სულის ჩაგრულობა, რომელსაც მოსწონს ასე ყოფნა. ისტორიულად, რუსული კულტურა მუდამ გაურბოდა ფორმებს, ამ თვალსაზრისით იგი ქაოსთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ყოფიერებასთან.



## ინტერვიუ

ეს ძალიან საინტერესოა, რადგან ყოველთვის არსებობს მეტაფიზიკური ასპექტები, რომელთა საფუძველიც ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის ან სოციალური ყოფის სიღრმეშია და რეალურად შეესატყვისება პირველად, მთავარ არჩევანს, რომელსაც თითოეული ადამიანი აკეთებს. ინდივიდი მეტაფიზიკურ არჩევანს ისე აკეთებს, რომ მხოლოდ მისი ემპირიული ქცევაა შესამჩნევი. სხვათა შორის, პოლიტიკასა და სოციოლოგიაში ასეთი არჩევანი ყურადღების მიღმა რჩება, იქ ზედაპირული რაციონალური სქემები მუშაობს, სადაც მიზანი და მისი მიღწევის გზები უფრო ფასულია. არსებოთად, საფუძველში, მხოლოდ თავისუფალი ნება დევს, რომელიც არჩევანს აკეთებს თავისუფლებასა და მონობას შორის, რადგან მონობაც არჩევანია. თავისუფლებით სარებლობაც ადამიანური ფენომენია. თუ ადამიანი მონაა, ეს მისი არჩევანია – არა შეგნებული და რაციონალური, არამედ თითქოს სუფრასთან მჯდომმა გადაწყვიტა, იყოს მონა და არა თავისუფალი ადამიანი.

**ან შევალიე:** ახლა ევოლუცია ხდება? კეთდება არჩევანი მონობასა და თავისუფლებას შორის?

**მერაბ მამარდაშვილი:** დიახ. ესაა ბრძოლის არსი. ახლა ამ სპეციფიკურ რუსულ ნიადაგს ვემშვიდობებით და შეგვიძლია პრობლემა რუსული ფაქტორის გარეშე განვიხილოთ. ვაცნობიერებთ ამას თუ არა, ბრძოლა მაინც გრძელდება. საბჭოთა სივრცე, რომელზეც რუსი ერი დომინირებს, და ეს სივრცე ბევრად მეტს მოიცავს ვიდრე ნაციის ცნებაა, ცდილობს გათავისუფლებას ამ სიტყვის ევროპული გაგებით, როგორც ის განმარტებულია აშშ-ს კონსტიტუციაში ან საფრანგეთის ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში. ამ ბრძოლას არავითარი კავშირი არ აქვს ნაციონალიზმთან, მაგრამ შესაძლოა, ეროვნულ მოძრაობაში პპოვოს გამოხატულება.

ჩვენ ახლა ვსაუბრობთ მოქალაქეების რეალურ თავისუფლებაზე, ადამიანის უფლებებზე, თავისუფალ საზოგადოებაზე, რომელიც თავის თავს განაგებს, ვსაუბრობთ ბურჟუაზიამდელ პრივილეგიათა გაუქმებაზე. სიტყვა „ბურჟუა“ სულ სხვა მნიშვნელობით გამოიყენება, „კაპიტა-

„საქმე ისახ, რომ არავის არავის გაეგება ლა არს ერთმანეთის ესოთ. ჩვენ პოსტიტონისალიტიკული მდგრადილება და არა შევალიერი საფუძველია. აქ სერიოზული კრიზისები არ იგულისხმება. ნუ ვიაზოვნებთ მხოლოდ თანამედროვე ხატებით, ნუ ნარმოვიდგენთ ნიუ-იორქს ან მეხიკოს მრავალმილიონიანი მოსახლეობით და ურბანიზაციის პრობლემატიკით. ფლორენციაც ქალაქი იყო, ქალაქის ცივილიზაცია, აი, ეს არის ევროპა?

**ან შევალიე:** როგორ ფიქრობთ, შეძლებს საბჭოთა კავშირი ამ გზით წასვლას?

**მერაბ მამარდაშვილი:** საქართველოს და რუსეთის პრობლემაც ესაა, ჩაებან ამ საერთო ბრძოლაში, რომელიც ევროპაში ბობოქრობს. თავად ევროპა ამ ბრძოლის შედეგია. შეიძლება ითქვას, რომ XIV საუკუნიდან თეოკრატიული ილუზიების და სახელმწიფოების ხანა დასრულდა, მეტაფიზიკური ანუ ფილოსოფიური თვალთახედვით, ტოტალიტარული საზოგადოება და სახელმწიფო უკვე რეგრესს ნიშნავს და საზოგადოებას ცივილიზაციაშიამდელ ბურჟუაზიამდელ მდგრამარეობაში აპრონებს. კორპორატივიზმი, პრივილეგიები, საზოგადოებრივი ფენები ძალაუფლებას იბრუნებენ, ჯერ ერთი, იქიდან ცოცხალი ვერ გამოაღწევთ, მეორე – მოგიწევთ იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ სტრუქტურების აბლაბუდაში გამომწყვდეულხართ, მიუხედავად იმისა, თუ როგორ გესმით თქვენი ადგილი სამყაროში ან იმ ამოცანის არსი, რომლის შესრულებაც დაგისახავთ. ეს ყველაფერი კი აბსურდამდე მიდის. თქვენ განასახიერებთ კლასიკურ მდგრამარეობას, რომელშიც ექსპერიმენტულად რეალიზდება სულიერი ცხოვრების დიადი კანონი, რომელიც მოციქულმა პავლემ ჩამოაყალიბა. გახსოვთ, მან გაიმეორა სოკრატეს მიერ ნარმოთქმული აზრი: „მსურს ერთი და ვაკეთებ მეორეს. მსურს სიკეთე და ჩავდივარ პოროტებას“. ეს სიტუაცია ადამიანური ყოფის ერთი ეპიზოდია. წარ-



მოიდგინეთ, რომ მთელი ცხოვრება შედგება იმგვარი ეპიზოდებისგან როგორიც ახლა ხდება. მე ახლა აპსტრაქტულად აღვწერე ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ბრძოლა.

მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო  
ფილოსოფიურ მეთოდზე და გარწმუნებთ,  
რომ ფილოსოფიის აბსტრაქტული ფორმუ-  
ლირება ბევრად უფრო ახლოს არს რეა-  
ლობასთან, ვიდრე თავად რეალობაა. რატომ  
არ მაძლევთ უფლებას, გავაკეთო ჩემი საქ-  
მე ისე, როგორც მე მესმის? შესაძლოა, ისე  
მოხდეს, რომ იმ ადგილასაც კი ვერ აღმო-  
ვჩნდე, სადაც ამ საქმის კეთება შემიძლია?  
იქნებ ეს ადგილი უკვე დაკავებულია სხვა  
ადამიანის მიერ, რომელიც ამ საქმისთვის  
შეუფერობელია?

დემოკრატია – შრომის თავისი უფლებაა და  
არა შრომის აუცილებლობა, როგორც სო-  
ციალისტურ და კომუნისტურ უტოპიებისა  
ფორმულირებული. შრომის თავისი უფლება,  
ნიშნავს საქმის გაკეთებას ისე, როგორც  
თქვენ ეს გესმით. ამიტომ აქ შრომის ად-  
გილი არ არის. სოციალური მიმა ის, როგორც  
ფენომენი, მოსპო, შემოქმედების შედეგის  
დონეზე გაანადგურა. შეხედეთ ეზოს, სა-  
დაც უაზროდ მოძრაობს მანქანა. იგი მუდ-  
მივად ერთი და იგივე ოპერაციას აკეთებს.  
ამტკრევენ ასფალტს, რაღაც სამუშაოს ას-  
რულებენ, ისევ ასფალტს აგებენ, ორი თვის  
შემდეგ ისევ ამტკრევენ. ეს ნგრევა აისახება  
ან შედეგზე ან შრომის ნაყოფიერებაზე, მუ-  
შაობის სურვილზე, შრომის დისციპლინაზე.  
ბოლოს კი მოიდის სიონაზა.

შრომის განადგურება სოციალიზმისთვის  
დამახასიათებელი ნიშანია. სოციალიზმი  
შრომის მტერია. სოციალიზმი სიღარიბეა,  
რადგან მხოლოდ შრომას მოაქეს სიმდი-  
დრე. შრომა განადგურებულია, ამიტომ  
ვართ ღარიბები. თუ არსებობს სურვილი,  
რომ ამ სავალალო მდგომარეობიდან გამო-  
ვიდეთ, არა აგიტაციის მეშვეობით, არამედ  
თავისუფალი შრომის ალდგენის გზით.... თა-  
ვისუფალი შრომა – ეს არის სამოქალაქო  
საზოგადოება.

**ან შევალიე:** სამოქალაქო საზოგადოების დაბადება ნიშნავს თუ არა კადრების წერტილი?

**მერაბ მამარდაშვილი:** ეს დაუშვებელია. როცა ვიყენებთ ტერმინს „წმინდა“, 1917 წლის ბოლშევიკების გზას ვადგებით. მათ ჩათვალეს, რომ იციან სად, ვინ და როგორ უნდა გაანაწილონ. ეს განაწილების იგი-ვე ეთიკაა და არა წარმოება. დაუშვეათ მე ვიცი, რა უნდა გავაკეთო. ვნიშნავ X და Y-ს რაიმე პოსტებზე, და ყველაფერი მოძრაობაში მოთხოვთ.

მოიყენა კადრების დანიშვნის ეს მეთოდი და  
სახეზეა ამ ავანტიურის მეტაფიზიკური და  
სულიერი აპსურდულობა, რომელიც ფენო-  
მენს, რომელსაც ადამიანი ჰქვია, სრულიად  
ეწინააღმდეგება.

ეს საკითხი ბავშვობიდან მაინტერესებ-და. ვეჭვობდი, რომ არსებობს ყოფიერების ონტოლოგიური და არა ეკონომიკური, პო-ლიტიკური ან იურიდიული კანონები. ყო-ფიერების განსაზღვრული ნაწილი სრულიად გარდაუვალია, მას ვერსად წაუხვალ.

რასაც ირგვლივ ვხედავთ – ჩვენს ჭუჭყან-  
სახლებში, ცარიელ მაღაზიებსა და ადამიან-  
თა სახეებზეც კი, რომლებიც ცხოველურად  
იყრიჭებიან – ძალადობა, სადიზმი, უკანო-  
ნობა ათწლეულების განმავლობაში გრო-  
ვდებოდა და გამოსავალს ვერ პოულობდა,  
რადგან სახელმწიფოს მონოპოლია ძალადო-  
ბაზე იყო დაფუძნებული. ახლა, როცა მონო-  
პოლია დანგრეული და ნეიტრალიზებულია,  
ადამიანის „მეს“ მთელი სიბინძურე ბნელი  
კუნძულებიდან დაიძრა. თუ სამოცდაათი  
წელი გეძინა, არა მართალის უმანქო ძილით,  
როცა განმენდილი იღვიძებ, შეიძლება სა-  
ხეშეცვლილმაც გაიღვიძო, იქნებ რომელიმე  
მწერადაც გადაიქცე, როგორც ეს კაფეკას  
ერთ პერსონაჟს დაემართა. აი, რა ხდება  
მოსკოვშიც და თბილისშიც.

მოხსნა თანამდებობიდან ერთნი და დანიშნო სხვები, ეს პასუხი არ არის. საიდან მოვლენ სხვები? იქნებ მარსზე მოვიდიოთ ისინი? იქნებ ძილში ეს ადამიანები მართლაც მწერებად გადაიქცენებ? რამდენი ცვლილება მოხდა ადამიანში საბჭოთა პერიოდში? საბჭოთა ადამიანი – უხილავი დეგრადაციის და დეფორმაციის პროცესურია. ძალიან ძნელია ამ ჯაჭვის განყვეტა. იქნებ პროცესი შეუქცევადიც აღმოჩნდეს? ამ კატეგორიებით უნდა ვიაზროვნოთ, თუ გვსურს, იმედის წვეთი მაინც დაიბადოს. სხვა შემთხვევაში, არაფერი გამოვა.

**ან შევალი:** თქვენ ოდესლაც ინფანტი-  
ლიზმზე ლაპარაკობდით, რომელიც მხო-  
ლოდ ახალგაზრდებისთვის არ არის დამახა-  
სიათებელი. უკავშირდება ეს მოვლენა იმას,  
რაზევა ახლა გასაძრობოთ?

**მ. მამარდაშვილი:** ეს ერთი და იგივეა. როცა რეგრესზე ვლაპარაკობ, ბავშვობას-თან დაბრუნებას ვგულიხმობ. ეს ტრაგე-დია. სწორედ ესაა იმის ღრმა აზრი, რაც ახლა ხდება. უკვე ვისაუბრეთ რუსების ტრადიციულ უარყოფით დამოკიდებულებაზე ფორმის და წესრიგის მიმართ. როცა ამ კატეგორიებს უნდობლობას უცხადებენ, იქმნება თეორია, რომ ადამიანი უზარმაზარი შინაგანი სიმითრის მთლიანობა. მისვალის

ერთი ფორმა არასაკმარისია, და რომ მის ტალანტს ნებისმიერი ფორმის მიღება შეუძლია. ერთი რესი მწერალი ამბობდა, რომ ესანელთან ესპანელი ხარ და ფრანგთან – ნამდვილი ფრანგი.

ამასთან დაკავშირებით ერთი ანეკდოტი მაგნონდება. დავუშვათ, ეს ამბავი საფრანგეთში ხდება. ერთხელ დედოფალმა სამეფო კარზე სახელგანთქმული კომედიანტი მიიწვია და მაშინდელი ცნობილი პერსონაჟების განსახიერება სთხოვა. მსახიობმა ითამაშა დონ კარლოსი, ჰამლეტი, თეატრალური რეპერტუარის დიდი საყვარელები განსახიერა. ბოლოს აღტაცებულმა დედოფალმა სთხოვა მას, საკუთარი თავი წარედგინა. კომედიანტმა დედოფლის წინაშე მუხლი მოიყარა და თქვა: „თქვენო უდიდებულესობავ, მაპატიეთ, პირად ცხოვრებაში – იმპოტენტი ვარ“. უნდა ვკითხოთ რუსს, თუ ის უფრო მეტად ესპანელია, ვიდრე ესპანელი და უფრო ფრანგი, ვიდრე თავად ფრანგი, მაშინ ვინ არის ის სინამდვილეში?

გონებრივი თვალსაზრისით, ბავშვი სულიერების ნაყოფია. მისი ემპრიონული მდგომარეობა კი – ის არჩევანია, რომლისკენაც ტრადიციული რუსული კულტურა მიიღუდების, თუმცა XX საუკუნეში სხვაც ბევრი იყო. აღნიშნული ტენდენცია ერთადერთი არის, მაგრამ მუდმივად ემპრიონული მდგომარეობისკენ მიისწრაფილი და დაკავლი ხარ.

მოდით, ეს მეტაფორა საბჭოთა სახელმწიფოს მოვარგოთ. საბჭოთა „მოქალაქე“ სახელმწიფოსთან მიმართებაში სწორედ რომ ემბრიონს წააგავდა. მას სურდა, რომ როგორც ჩანასახს, ისე შემოკვროდა საშვილოსნო. დედა კი ოქნებ ბოროტიც აღმოჩენილყო. ადამიანი – ბაგშეი კი მონას წააგახს, რომელიც სულ თავს იმართლებს. ის სულ გაიძახის, – „არა, მე დამნაშავე არა ვარ“. ჩანასახის ამ იდოოტური მოთქმა-გოდებით კვდებოდნენ ბოლშევიკები კრნ-ს ციხებში. ასეთი მსხვილპლი იწვავს თანამდებობას?

ლრმა მეტაფიზიკური აზრით თავის გამოხატულებას სოციალურ და ემპირიულ ზეაპარტენიულ ჰქონებას. თქვენ ხედავთ კავშირს სახელმწიფოსა და ხალხს შორის, როცა პირველი ეხმარება მეორეს, ის კი ამ დახმარებას იღებს? რისთვის დგას ეს დაუსრულებელი რიგები? როცა ისინი ითხოვენ ბინებს, პურს... ისინი თავიანთი „უფლებებისთვის“ იბრძვან, ოღონდ აյ არ ვსაუბრობთ ადამიანის უფლებებზე ევროპული გაგებით. ეს ჩანასახის „უფლებებია“, რომელსაც დახმარება სტრუქტურება და არა უფლება.

ასეთია მდგომარეობა. ახლა პარლამენტს აქმნით. თუ ჩვენი აზროვნების სტილი არ

## II. მიზანი

შეიცვლება, სულ ასე ვიძახებთ: „მე უფლება მაქვს, ეს უსამართლობაა“.

**ა6 შევალი:** როგორ ფიქრობთ, მიიყვანს ეროვნული აღორძინება ხალხს მომწიფებულ მდგომარეობაში?

**მ. მამარდაშვილი:** დიახ, თუ აზრი გონიერა დაიპყრობს; თორემ შეიძლება ეროვნული თავისუფლებისკენ ისწოდებოდე ისე, რომ ამ აზრით არ იყო გამსჭვალული. შეიძლება ამ მიმართულებით იარო, იმოქმედო ისე, რომ ეროვნული თავისუფლების მიზანი შინაგანად გინათებდეს გზას. ამისათვის მხოლოდ შენ კი არ უნდა ილაპარაკო, სხვასაც უნდა დაუთმო სიტყვა, დროდადრო შეჩერდე, გააზრებისთვის მოიტოვო სივრცე და დრო. აუცილებელია, ადამიანმა თავს მისცეს იმის შანსი, რომ მიხვდეს და ჩაწვდეს რაღაცას. თუ სულ ვმოქმედებ, არ ვჩერდები, ვიმეორებ უკვე ასჯერ ნათქვამს, რაიმეს გაგების არავთარი შანსი არ გამარჩია.

ჩემთვის ეროვნული ამოცანების გადაჭრა ნიშნავს, შექმნა თავისუფალი და აყვავებული საქართველო, ძლიერი – არა იმპერიალისტური ან მილიტარისტული აზრით. თავისუფალი განვითარება ხდება იქ, სადაც ცხოვრობენ და სუნთქვენ ზოგადსაკაცობრიო ტრაგიზმით (ამ სიტყვის მეტაფიზიკური გაებით), უგუნური კინკლაობების გარეშე; სადაც არ შეჩერდებიან იმ კარის წინ, რომლის იქით, შესაძლოა, ტრაგიზმის განცდა დახვდეთ, რაც ადამიანის ცხოვრებას ბუნებრივად ახასიათებს. უნდა შეგეძლოს ღირსებით მიიღო ადამიანური ტრაგედია. ეს ტრაგედია რომ გადაიტანო, ადამიანი უნდა იყო, ჩვენ კი, საბჭოთა ადამიანები, ჯერ ასეთები არ ვართ. მიმარჩია, რომ ქმნის პროცესი საქართველოში სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს. ჩემთვის ეროვნული განთავისუფლება ფორმა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების დაბადებამდე მიგვიყვანს. არ მგონია, ჩემი თანამემამულეები სამოქალაქო საზოგადოების და კერძოდ საზოგადოების შენების აუცილებლობას აცნობიერებდნენ. საზოგადოების ფენომენი აზრის თავისუფლებაშია. საზოგადოება და სახელმწიფო სხვადასხვა რამაც. საზოგადოება დამოუკიდებელ ადამიანთა ჯგუფია, რომელთა ინტერესები კრისტალიზდება და სადაც პოლიტიკური მრავალპარტიულობა რეალურად არსებობს.

ჩვენთან არის მრავალპარტიულობა, მაგრამ არ არის მრავალპარტიული სინამდვილე. მოსახლეობის რომელი ჯგუფის ინტერესებს გამოხატავს, მაგალითად, ნაციონალ-დემოკრატიული პარტია? საჭიროა

სინამდვილის სტრუქტურირება. საზოგადოება სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი უნდა იყოს, სახელმწიფო კი საზოგადოებრივი სამსახურის ორგანიზმი. ჩვენთან ეს არ არის, რადგან არ არის საზოგადოება. არც სახელმწიფოა ამ სიტყვის კლასიკური გაებით. სახელმწიფომ ჩაყლაპა საზოგადოება, რადგან ეს, სახელმწიფო კი არა, მისი აჩრდილია.

სიტყვათა შეთანხმებამ, რაც მხოლოდ მეტაფორა გვევონა და არა ცნება, სწორ ახსნამდე მიგვიყვანა. როცა ვამბობ „აჩრდილი“, კიდევ ერთ ნაბიჯს ვდგამ მეტაფორის შემდგომი განვითარებისკენ. მოჩვენების, მოლანდების წარმოდგენა სისხლს, ზომბებს, ვამპირს უკავშირდება. თუ ჩვენი სახელმწიფო აჩრდილია, წინ ბევრი მსხვერპლი გველის, ბევრად მეტი, ვიდრე ანტიუმანურ, რაციონალურ სახელმწიფომ შეიძლება იყოს. აქ ჩემი პროფესიული ინტერესების ცენტრში ვხვდებით, რომლის საგანს ცნობიერების შესწავლა წარმოადგენს.

**ა6 შევალი:** როგორ ახსნით იმას, რომ ქართული თეთიშემეცნება ასეთი მრავალფეროვანი და ურთიერთგამომრიცხავი ფორმებით გამოვლინდა? საიდან ამდენი ერთმანეთზე გამძვინვარებული და განცალკევებული პარტია, ასოციაციები და ა.შ.?

**მ. მამარდაშვილი:** საქმე ისაა, რომ არავის არაფერი გაეგება და არც ერთმანეთის ესმით. ჩვენ პოსტტოტალიტარული მდგომარეობიდან გამოვდივართ. გარედან არსებული ჯაჭვები განყდა, ამიტომ შინაგანმა ბორკილებმა და დეფორმაციამ იჩინა თავი, სამოქალაქო და პოლიტიკური აზრი ჩაახშეს, ასი წელია, აქ პოლიტიკით არავინ ყოფილა დაკავებული.

როცა სახელმწიფო ვახსენე, რომელმაც საზოგადოება შთანთქა, ვიგულისახმე, რომ საბჭოთა სახელმწიფო არ იყო პოლიტიკური ფენომენი. ასევე იყო კომუნისტური პარტიაც. ეს უფრო საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმა გახლდათ, ცხოვრების წესი. სახელმწიფო სულ სხვა რამაც. სახელმწიფო ხელისუფლების გარეშე არ არსებობს. სად არის საბჭოთა კავშირში ხელისუფლება? ამ აზრამდე ფილოსოფიური ანალიზით მივედი. მე ტრადიციებმა გამზარდეს და საბჭოთა საზოგადოების პირში არ ვარ. ვისაც საბჭოთა ხელისუფლებასთან რაიმე კავშირი აქვს, მას ეს არ ესმის. მე ვხედავ, რომ ეს არის ხელისუფლება ხელისუფლების გარეშე. მართვა შეამავლების გზით ხორციელდება. ეს ინდივიდები არიან, რომლებიც საკუთარ თავს მართავენ, მაგრამ მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. იგივე ხდება, როცა ერთმა-

ნეთს ებლაუჭებიან, სიძულვილში იქნება ეს თუ სიყვარულში. სწორედ ეს სიყვარულ-სიძულვილი აერთიანებს ამ ხალხს რიგებში, იქ არის სოლიდარობის გრძნობაც, გაუცხოებაც და სიძულვილიც. ეს მთელი სამყაროა, რომელიც დახურულ ჭურჭელში მოთავსებულ მორიელს წააგავს.

ბოლო დროს ოდნავი პროგრესი შეინიშნება. პოლიტიკურ არენაზე სტრუქტურათა მონესრიგების პროცესი მიმდინარეობს. ეს წინგადადგმული ნაბიჯია, იმის მიუხედავად, თუ რას ვფიქრობ მე ელცინზე და მის პოლიტიკურ პროგრამაზე. წინააღმდეგიც რომ ვიყო, ამას არ აქვს მნიშვნელობა. პირველად რუსეთში პოლიტიკურ არენაზე სტრუქტურათა მონესრიგება ხდება, გამოჩნდა ახალი ფორმები, რომლებმაც საგანთა ამორფულობა გადევნება. არ ღირს წინ აღუდვე იმას, რაც არ არის. სად არის სახელმწიფო, სად არის პარტია? პროცესი დაიწყო. მე არ ვიღებ ელცინის პროგრამას, მაგრამ მისი ქმედების შედეგად გარკვეული წესრიგი შეიმჩნევა. ის, რაც ფარულად არსებობდა, ახლა ცხადი გახდა და ეს პოლიტიკური ცხოვრების წანილია.

პოზიციურად მიმარჩია ყველა პროცესი, რომელიც საქართველოში სტრუქტურათა მონესრიგებას განაპირობებს. როგორ ვიწყებ მე მუშაობას? ვამზადებ ჩემს საწერ მაგიდას, ვაწყობ ნივთებს, დღიურებს, დოკუმენტებს, საბეჭდ მანქანას ან პერსონალურ კომპიუტერს. წინ სამუშაო მელის. ეს არ წინავს იმას, რომ აუცილებლად ვიმუშავებ, მაგრამ სივრცის სტრუქტურიზაცია აუცილებელია. როგორ გამოვალთ ამ მდგომარეობიდან? ვიცხოვოთ და ვნახოთ. ყველას უნდა მიეცეს საშუალება, გამოთქვას აზრი ისე, რომ არ ჩაახშოს სხვისი ხმა ყვირილით, მუქარით ან ეროვნული ინტერესების ღალატის ბრალდებით. უპირველეს ყოვლისა კი, შეაჩროს. მე რადიკალური ნაციონალისტების უფლებებზე ვსაუბრობ.

**ა6 შევალი:** ანუ?

**მ. მამარდაშვილი:** მემარჯვენე ნაციონალისტები არიან გამსახურდიას დაჯევუფების წევრები. სახიფათო ის კი არ არის, რომ ეს დაჯევუფება არსებობს, ის უნდა არსებობდეს, სტრუქტურიზაციის ჩემი პრინციპებიდან გამომდინარე, მაგრამ სტრუქტურა ისეთი უნდა იყოს, რომ მათ უფლება არ ერთვის გამოვალპარტიულობას და აღმართობას. მაგრამ არ არის სახელმწიფო საზოგადოების გარეშე. მართვა შეამავლების გზით ხორციელდება. ეს ინდივიდები არიან, რომლებიც საკუთარ თავს მართავენ, მაგრამ მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. იგივე ხდება, როცა ერთმა-

ქტრი ჯერ არ არსებობს, მხოლოდ ცალკეული პიროვნები ჩანან, რომლებიც ხელის ცეცებით მიიკვლევნ გზას. დღეს ვხედავთ არა პარტიას, არამედ პიროვნებებს. საჭიროა ყველა პარტია გამოხატავდეს რომელიმე სოციალური ან ეკონომიკური ჯგუფის ინტერესებს, რომლებიც ერთმანეთისგან ინტერესებით და სტატუსით განსხვავებული არიან.

**ან შევალიე:** როგორ ფიქრობთ, ბოლო დღეების მოვლენები ამ პროცესის ერთი ეტაპია?

**მ. მამარძაშვილი:** იმედი ვიქონიოთ, რომ ასეა. წინ უნდა აღვუდგეთ ფარისეველთა მცდელობას, შეაჩერონ ეს პროცესი. ჩვენ ახლა მოძრაობაში ვიმყოფებით და ეს უნდა გაგრძელდეს. ზუსტად არ ვიცი, საით მივდივართ, მიმართულებას ვიმედოვნებ გზაში გავარკვევთ. მაგრამ არ უნდა შეგვაჩერონ და გვითხრან, რომ „საქართველომ უნდა დაიცვას ქართული სისხლის სინმინდე“. ნუ ვიჩერებთ, ეს მხოლოდ მონიფულ ადამიანებს ესმით. სამწუხაროდ, კულტურული და პოლიტიკურად მომზადებული ადამიანი ირგვლივ ცოტაა. არ მინდა გამოვიყენო სიტყვა „ინტელიგენცია“, რომელსაც ვერ ვიტან, განსაკუთრებით იმ თვითტკებობის ინტონაციით, რომლითაც მას წარმოთქვამენ ხოლმე. განსაკუთრებული აღტაცებით ამ სიტყვას რუსულად წარმოთქვამენ. იგი ევროპულ ენებში არ არსებობს, ჩვენთან კი ლამის სექსუალური, ეროტიკული სიამოვნება ახლავს თან. მძულს ეს თვითტკებობის გრძნობა.. მე კომპეტენტურ, მოზრდილ ადამიანებზე მოგაასენებთ. ისინი ცოტანი არიან, რადგან მათი ენერგია სხვა მიმართულებით წარმართეს, თვითგადარჩენის ინსტინქტამდე დაიყვანეს. რასაკვირველია, ქართული ლირსება ცოცხლობს. ჩვენ არ გვსურდა, მიგველო ეს ნეგური, ღატაკური ყოფა, რომლითაც რუსები კმაყოფილები იყვნენ. მათვის ის მისალები ალმოჩნდა, ჩვენთვის, ქართველებისთვის კი – არა.

მაგრამ, საბოლოო ჯამში, თითოეული ცდილობს, გადარჩეს დამოუკიდებლად, რადგან ნავში მარტოა თავის ახლობლებთან და ნათესავებთან ერთად. მარტოა, ვის გარეშე?

„თავისუფალი განვითარიბა ხდება იქ, სადაც სხოვრობები და სულიერი იტალიაში საზოგადოებრივი სივრცე. XIX - XX საუკუნეებში იტალიაში საზოგადოების დაცემის ტენდენცია დაიწყო, დაირღვა საზოგადოებრივი კავშირები და გაბატონდა პრინციპი „ყველა საკუთარი თავისთვის დამახასიათებელი მომხიბვლელობით ხდებოდა. ჩვენთანაც ასეა – ასეთივე მიმზიდველობით დაცურავს ყველა თავისი ნავით და გაურბის, არაფრად აგდებს საზოგადოებრივ ინტერესს.“

შეხედეთ თბილისურ სახლებს, ტროტუარებს, საზოგადოებრივ გარემოს – ჭუჭყაინი ჭიშკრები, გაცვეთილი სახლები, ვირთხები და ჩამონგრეული კედლები; ასეთია იგი გარედან. სამაგიეროდ, შიგნით ნახავთ კეთილმოწყობილ სახლებს, ავეჯით და ნივთებით გადატვირთულს, მაღალხარისხიან აპარატურას. ეს ატმოსფერო ქართველის საკუთარი თავის მიმართ პატივისცემას ასახავს, რაც არ გააჩნიათ რუსებს. ის, რაც ჩემს გარშემოა, საკუთარი თავის მიმართ ჩემს დამოკიდებულებაზე მეტყველებს, მაგიდაზე ვაფენთ სუფრას და არა გაზეთს. რუსებს შეუძლიათ თევზი გაზეთის ნახევზე შეჭამონ. ნორმალური ქართველი ამას არ გააკეთებს. ნაჭუჭის შიდა მხარე ქართველის საკუთარი თავის მიმართ პატივისცემას, მისი ღირსების გრძნობას ასახავს. ნაჭუჭის მიღმა – ასფალტი და ქუჩებია, ანუ საზოგადოებრივი სივრცე, სამოქალაქო სივრცე, რაც საპირისპიროზე მეტყველებს. ეს არის ფიზიკური სახე იმ სოციალური და სულიერი ფენომენისა, თურა დამოკიდებულება აქვს ქართველს res publica-ს მიმართ.



>>> გაგრძელება გვ. 119



## ეიჯელონი

ალექსი გაზავარიანი – „შემოქმედი და დრო“

ავტორი: ლავით ბუხრიძეცი

**გ**ასული ცლის ნომები, როცა ომისა და ეკონომიკური კრიზისის გამოძახილი ჯერ მხოლოდ „ლეარისიული უვარისისასავით“ ზღვარდა, თბილისის სახელმიწოდო კონსერვაციონისაში ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, ალექსი მაჭავარიანის საიუბილეო კონცერტის გაიმართა. 95 ცლის თარიღის აღნიშვნა თითქოს უცნაურია, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში, ეს იყო შესველი უსამართლოდ დავიცყვაბულ მუსიკასთან და კომპოზიტორთან, რომელსაც ალბათ ყველაზე მისამ შეიძლება უცნობო შესკასთან და რუსთაველთან დამაგრგებაზე; უფრო ზუსტად, მათი მასშტაბით მთაგონებელი.

ხუთწლიანი დისტანცია 2013 წელთან, ანუ დავიწყებული კომპოზიტორის ასი წლის იუბილესთან, სინამდვილეში არის ამ მნიშვნელოვან თარიღთან მიახლოება. ამდენად კონცერტები, რომლებიც კონსერვაციონის დიდ საკონცერტო დარბაზში უღერდა, შეიძლება აღმოჩენის სიხარულს ან დიდი ხნით დავიწყებულ, სასიამოვნო გახსენებას შევადაროთ. პირველად შესრულდა დიდი სიმფონიური სიუიტა ბალეტიდან „ჭირვეულის მორჯულება“; აგრეთვე რომანსები „ცისა ფერს“, „ტყემ მოისხა ფოთოლი“ და გურამიშვილის ლექსზე შექმნილი შესანიშნავი ლირიკული ჰიმნი „სხივო, მზეთა მზის სახეო“, და რასაკვირველია, ფრაგმენტები გენიალური ბალეტიდან „ოტელო“...

თითქმის არ არსებობდა პრემია ან წოდება საბჭოთა სახელმიწოდებო „კოორდინატთა სისტემაში“, რომელიც არ გაემტებინოთ კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანისათვის: საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიის ლაურეატი, მრავალი ორდენის კავალერი. და მაინც, განსაკუთრებულია 1974 წელს, მილანის „ლა სკალასთან“ არსებული გალერეა „ბრანდეზეს“ პრემია, რომელიც ფილმ-ბალეტ „ოტელოს“ მუსიკისათვის მიერიქა კომპოზიტორს.

დიდი წარმატებისა და აღიარების ფონზე ძალიან უცნაურია, რომ დაახლოებით ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში მისი ადრეული თუ გვიანი ნაწარმოებები თითქმის არ სრულდებოდა. იქნება ეს მძღვრი, ეპიკური სიმფონიები (40-50-იან წლებში დაწერილი პირველი და მეორე სიმფონია და სიმფონიური პირველი „ხორუმი“ და „მუმლი მუხასა „ფორმალიზმის“ ბრალდებით ლამის აკრძალული

იყო), შესანიშნავი ბალეტები („ოტელო“, „ვეფხისტყაოსანი“, „ფიროსმანი“, „ჭირვეულის მორჯულება“), საოპერო ქმნილებები („მამა და შვილი“, „ჰამლეტი“, „მედეა“), ღირიკული რომანსები, ინსტრუმენტული კონცერტები, თუ მუსიკა კინოფილმებისა და სპექტა-ლებისთვის (განსაკუთრებით პოპულარული იყო მუსიკა ფილმისთვის „ორი კვეანის საიდუმლოება“).

იქნება არის გარევეული ირონია ან დრამატული სიმბოლიკა გორში, მუსიკოსის ოვა-ხში დაბადებული კომპოზიტორის ბედსა და საბჭოთა დიდი ბელადის აღმასვლა-დაცემა-ში? ან იქნება საერთოდ არსებობს ამგვარი

აღზევებისა და დავიწყების უხილავი, მაგრამ სასტიკი პარალელობის ნიშნები?! ნებისმიერ შემთხვევაში, ეს კითხვები ფორმალური ნიშნების გამო მაინც ჩნდება.

დღეს განსაკუთრებით უცნაურად მოჩანს „ოტელოსა“ და „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავ-შირებული ქადაგებულები და ისტორიები, რომელსაც მკითხველი მაღე გაცნობა წიგნში „შემოქმედი და დრო“. ამ წიგნზე მუშაობა უკვე დასრულებულია და, კომპოზიტორის შვილის, ვახტანგ მაჭავარიანის თქმით, ორსამ თვეში გამოიცემა, მანანა კორძაიას ძალისხმევითა და რედაქტორობით.

### „ოტელოსა“ და „ვეფხისტყაოსნის“ იმპულსი

ბალეტი „ოტელო“, რომელიც 1957 წელს დაიდგა და რომელიც დღესაც აბოდებთ ვახტანგ ჭაბუკარის თაყვანისმცემლებს, ალექსი მაჭავარიანის მუსიკის წყალობით ისტორიაში შევიდა, როგორც ყველაზე საინტერესო შექსპირული ბალეტი. ჭაბუკარის გამაოგნებელი ქარეოგრაფიული ენერგია და ცეცხლოვანი ცეკვის გამონათება; პლუს სოლომონ ვირსალაძის ფერადოვანი სამყარო და დაუვიწყარი კოსტიუმები, ოდისეი დიმიტრიადის თავშეკავებული დირიჟორობა, დღესაც ჩვენი მუსიკალური მითოლოგიისა და სამაცყის საგანია.

„ძალიან მომენტი ბალეტი „ოტელო“. ბრწყინვალე მუსიკა, ბრწყინვალე წარმოდგენა. ეს ვახტანგ ჭაბუკარის, სოლიკო ვირსალაძისა და, განსაკუთრებით, ალექსი მაჭავარიანის დიდი წარმატებაა... და ისევ მუსიკაზე მინდა ვთქვა, რომელიც საოცრად შთამბეჭდავი, ელვარე და ენერგიულია,“ – წერდა 1958 წელს, ალფრედოვანებული დიმიტრი შოთარიშვილი შოთარიშვილის გამართული წარმოდგენის

„ქალიან მოხვევე ბალეტი „ოტელო“.  
ბრწყინვალე მუსიკა, ბრწყინვალე წარმოდგენა. ეს ვახტანგ ჭაბუკარის, სოლიკო ვირსალაძისა და, განსაკუთრებით, ალექსი მაჭავარიანის დიდი წარმატებაა... და ისევ მუსიკაზე მინდა ვთქვა, რომელიც საოცრად შთამბეჭდავი, ელვარე და ენერგიულია,“ – წერდა 1958 წელს, მოსკოვში გამართული წარმოდგენის

## ისტორია

შემდეგ აღფრთოვანებული დიმიტრი შოსტაკოვიჩი.

„ვეჯზისტყაოსნის“ მუსიკას ბევრი რამ აქვს საერთო ვაგნერის „ტრისტან და იზოლდას-თან“. მსმენელი მხურვალედ შეხვდა ალექსი მაჭავარიანის შესანიშნავ მუსიკას“.

„ნიუ-იორკ თაიმსი“, 1986 წელი.

„მაჭავარიანის „ოტელოს“ მუსიკა არის კაცობრიობის გრძნობათა და ვნებათაღელვის კალეიდოსკოპი. გამოხატავს ექსპრესიას და დინამიკას, ნათელია და აღსავსეა პოეზია; ამავე დროს გამოიჩინება ფერების ბრნყინვა-ლებით“.

„ზუდონიჩე ცაიტუნგი“, 1990 წელი

„ალექსი მაჭავარიანის მეორე სიმფონიაზე შესანიშნავმა ფრანგმა ქორეოგრაფმა ჟოზეფ რუსილომ შექმნა ბალეტი „მეფე უნდა მოკვ-დეს“. მასში ექზისტენციური და ესთეტიკუ-რი პრობლემები ისეა გადაჯაჭვული, ხოლო ულამაზესი მუსიკის მიხედვით დადგმული სპექტაკლი ისეთი გრანდიოზული სილამაზი-საა, რომ ანტიკური ძეგლები და ტრაგედიები გახსენდებათ“.

„ლა მარსელიეზა“, 1979 წელი

ამგვარი შეფასებებით სავსეა მსოფლიო პრესა. როცა ლეგენდარული ქორეოგრა-ფი და მოცეკვავე სერუ ლიფარი პარიზში, „ოტელოს“ წარმოდგენას დაესწრო, აღიარა, რომ „მსგავსი ტემპერამენტისა და ენერგიისაა“.

მუსიკა იშვიათად მოუსმენია“. ხოლო მუსი-კადურ და საბალეტო წრეებში აღიარებულ-მა მკაცრმა კრიტიკოსმა, ანა კისელგოფმა, რომელიც, სამი ათეული წელია, „ნიუ-იორკ თაიმსის“ ქორეოგრაფიის განყოფილების მიმომხილველია, ასეთი რამ განაცხადა: „მე ვნახე, როგორ დაფრინავდა ეს ხორციელი ვწებებით სავსე მავრი (იგულისხმება ვახ-ტანგ ჭაბუკიანი – დ. ბ.) და მივხვდი, რომ საქართველო უდიდესი საცეკვაო სტიქიისა და მუსიკალური კულტურის ქვეყანაა“.

„შემოქმედი და დრო“ – ნიზნის ფრანგენტიპი და კომენტარიპი  
„დაპირებები. აი, ახლა შევალთ კომუნიზმში... დაპირებები. მხოლოდ და მხოლოდ დაპირებე-ბი.

აცე, ვირო... ამ გაზაფხულზე გასხივოსნდე-ბით.

ნუ გეშინიათ, სულ მალე მწვანე იონჯა მოვა. გასხივოსნდებით...

სად არის შენი მეობა, ადამიანო, სად არის შენი სიტყვის ძალა?“

ცხადია, ცნობილი კომპოზიტორი ამგვარი „თეთრი ლექსით“ დაპირებულ კომუნიზმს ვერ მოესწრო. ის კი არა, სიცოცხლის ბო-ლის მისი თაობის მრავალ გამოჩენილ ხელო-ვანს „მწვანე იონჯაც“ სანატრელი გაუხდა. ადამიანის „გასხივოსნების“ გულუბრყვილო-ბოეტური თეორია კი საბაზრო ეკონომიკისა და ველური კაპიტალიზმის კანონებმა ასო-

ცმანეთიან, მაგრამ უფრო ჰუმანურ სოცია-ლიზმთან ერთად იმსხვერპლა.

კომპოზიტორი და სამყარო, ხელოვანი და დრო – ამ საბედისწერო რითმას ასახავს დიდი მწერალი თომას მანი თითქმის ყველა ნოველასა და რომანში. ალექსი მაჭავარიანის „შემოქმედი და დროც“ თითქოს ადრიან ლე-ვერურისა და გუსტავ ფონ აშენბახის ქარ-თველი კოლეგის გვიანდელი გამოძახილია:

„პირველი შემთხვევაა, რომ ასეთი სიმძიმე მანევს გულზე მოსკოვში ჩამოსვლის შემდეგ. ობიექტური მიზეზის გარდა, რაც გარკვეულ პოლიტიკურ დაძაბულობაში გამოიხატება, ამინდიც უწყობს ხელს ჩემს მძიმე განწყო-ბას. მთელი დღეა, გადაულებლად წვიმს. მე გარკვეული საქმები მაქვს მოსაგვარებელი ლონდონში გამგზავრების წინ.“

ისე, მაინც ბედნიერი ვარ. ვატომ მოსკოვში 120 მუსიკოსისაგან შესანიშნავი ორკესტრი ჩამოაყალიბა, რომელმაც პირველი კონცერ-ტი ლენინგრადში (პეტერბურგში) გამართა და მართლაც დიდი წარმატებით. ახლა ეს ორკეს-ტრი სრული შემადგენლობით, სამხატვრო ხელმძღვანელთან – ვახტანგ მაჭავარიანთან ერთად, მიწვეულია ლონდონის „როიალ ალ-ბერტ ჰოლში“. უმშვენიერეს და უდიდეს დარ-ბაზში, რომელიც 5000-ზე მეტ მაყურებელსა თუ მსმენელს იტევს. ლონდონის ყველა ცენ-ტრალურ გაზეთსა და ჟურნალში განთავ-სებულია რეკლამა ამ კონცერტის თაობაზე. პროგრამა სოლიდურია და საემაოდ რთული: პოლ დუკას „ჯადოქრის მონაფე“, რახმანინო-



ვის მესამე საფორტეპიანო კონცერტი და მეორე განყოფებაში დიმიტრი შოთა კონცერტის გრანდიოზული მეათე სიმფონია.“

სხვათა შორის, არც ალექსი მაჭავარიანის შვილს, დირიჟორ ვახტანგ მაჭავარიანს ჰქონია იოლი გზა ხელოვნებაში: მუსიკალური განათლება ჯერ ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში მიიღო, ხოლო შემდეგ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. საფორტეპიანო განათლებას დირიჟორობა არჩია და მოგვიანებით სადირიჟორო ფაკულტეტი და-ამთავრა ოდისეი დიმიტრიადის ხელმძღვანელობით. სწავლა განაგრძო მოსკოვში გენადი როშდესტვენსკისთან, ხოლო სტაუირება ვე-

„დაკირებები. აი, ახლა  
შევალთ კომენიზმში...  
დაკირებები. მხოლოდ და  
მხოლოდ დაკირებები.  
ასე, ვირ... ამ  
გაზაფხულზე  
გასივრსელებით.  
ეს გაშინება, სულ მალა  
მცვალე იმაჯა. მოვა.  
გასივრსელებით...  
სად არის შენი მიობა,  
ალამიანო.  
სად არის შენი სიტყვის  
ძალა?“

ნის სამუსიკო აკადემიაში, სახელოვან კარლ ისტერრაი ცერთან, მისი თქმით, მიშვნელუვანი პროფესიული ეტაპი აღმოჩნდა. მუშაობა და სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრში.

1990 წელს დაარსა „მოსკოვის საფეტივალო ორკესტრი“, რომელიც ნიჭიერი მუსიკოსებით იყო დაკომპლექტებული. მოგვიანებით 1996 წელს ევგენი მიქელაძეს სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი ხდება. დიდი ხნის განმავლობაში ორკესტრს არ ჰქონდა საკუთარი დარბაზი, რის გამოც, ხან იპერის სარეპეტიციო დარბაზს იყო შეფარებული, ხან თბილისის რეინიგზის კულტურის სახლს. ორკესტრმა მრავალი საინტერესო კონცერტი და საღამო გამართა. ამჟამად ვახტანგ მაჭავარიანი გერმანიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

„თითქმის ერთი თვე დავყავი ლენინგრადში, ამ ბრწყინვალე ქალაქში. დავესწარი „ვეფეხისტყაოსანის“ გენერალურ რეპეტიციას და ოთხ პრემიერას. საოცრად კარგ ხასიათზე ვარ, მაგრამ ყოველ დიდ სიხარულს მოსდევს დიდი წუხილი. ასეა ცხოვრება. დიდი ხნის სიხარული არავის შერჩენია, ხოლო თუ წუხილი ჩაგაცივდა, ძნელად მოგშორდება... თუ არ გამოიჩინ დიდ სიმტკიცესა და წებისყოფას. ახლა სწორედ ასეთი სევდა დამეუჯლა. იქნები მიმომ, რომ ბალეტი თბილისში არ დაიდგა. არ ვიცი. დისონანსი ისევ თბილისიდან წამოვიდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კულტურის დარგში, გურამ ენუქიძე, „ვეფეხისტყაოსანის“ დადგმასთან დაკავშირებით მისალოც ტელეგრამას უგზავნის მხოლოდ დამდგმელ ქორეოგრაფს – ოლეგ ვინაგრადოვს, თითქოს მე, როგორც ცოცხალი ავტორი ამ ზემისა, არ ვარსებობდე. კულტუ-

რის სამინისტროს ხომ საერთოდ არ მოუხდება რეაგირება ამ ფაქტზე. განა უცნაური არ არის ეს ყოველივე? განა ჩემი „ვეფეხისტყაოსანის“ გამარჯვება კირვის (ამჟამად მარინის – დ.პ.) საპარერო თეატრის სცენაზე არ ნიშნავს ჩემი ერთი კულტურის გამარჯვებას?“

კულტურასთან მეტ-ნაკლებად დაახლოებულთათვისაც კი ცნობილია, რომ 70-იანი წლებიდან მოყოლებული ცენტრალური კომიტეტის ახალი მდივანი ედუარდ შევარდნაძე თავისი კულტურული შლეიფით (კულტურის სამინისტრო, ოპერისა და ბალეტის თეატრი, სახელმწიფო კონსერვატორია), რბილად რომ ვთქვთ, არასოდეს სწყალობდა მსოფლიოში აღიარებულ კომპოზიტორს ალექსი მაჭავარიანს. ამბობენ, რომ ეს „ოტელის“ წარმატებას და ჭაბუკინის დევნადისკრედიტაციას უკავშირდება, რომელსაც კომპოზიტორი იზიარებდა. ასეა თუ ისე, მისი მუსიკა, ფაქტურივად, ორი ათეული წელი არ სრულდებოდა!

არადა, ის არის კომპოზიტორი, რომლის ბალეტი „ოტელი“ ოცზე მეტ ქვეყანაში დაიდგა, ხოლო ჭაბუკინის სახელი მოტელმა მსოფლიომ შეიტყო; კომპოზიტორი, რომლის მეორე სავიოლონი კონცერტს ლამის ყველა სახელოვანი მუსიკოსი უკრავდა – ლეგენდარული იეპუდი მენუხინით დაწყებული, იმხანად სრულიად ახალგაზრდა ლიანა ისაკაძით დამთავრებული; კომპოზიტორი, რომელმაც ბალეტ „ვეფეხისტყაოსანით“ ავთენტური, თვითმყოფადი, მაგრამ პოეზიასთან დაახლოებული ხატი შექმნა; კომპოზიტორი, რომლის შექსპირული სამყარო („ოტელი“, „პამლეტი“, „ჭირვეულის მორჯულება“) მართლაც უნიკალურია და ასე დავიწყებულია საკუთარ სამშობლოში.

იქნება, როცა ასი წლის იუბილეს უფრო მეტად მიგუახლოვდებით, მაშინ უფრო ვისწავლოთ საკუთარი დიდი შემოქმედების დაფასება? და კიდევ ერთი, ფინალური ფრაგმენტი ალექსი მაჭავარიანის წიგნიდან „შემოქმედი და დრო“:

„როდესაც მივფრინავ საქართველოს ცაზე, ყოველთვის ვოცხებობ ამინდმა შესაძლებლობა მომცეს, კიდევ ერთხელ გადავხედო ზემოდან კავკასიონს. ლენინგრადიდან რომ მოვფრინავდი, მაშინაც სასოებით გავცემოდი კავკასიონის თოვლით და ყინულით გადავერცხლილ მწვერვალებს. იმ კლდეებს, რომელზეც ამირანი-პრომეთე მიაჯაჭვეს ღმერთებმა; იმ ხავერდოვან, ლივლივა შავი ზღვის სანაპიროს, სადაც იაზონმა ოქროს საწმისთან ერთად გაიტაცა აიეტის ასული მედეა. ეს თემები მოსვენებას არ მაძლევს!“

„ასეთი და ამავე ასაკისასაცავისანი.“



გალატი „ოტელი“



## ჩაკატილი საზოგადოება და მისი დარაჯები

ავტორი: გიორგი მაისურაძე

საზოგადოების ჩაკეტილობა, განსხვავებით მისი ღიაობისაგან, ისეთი მდგომარეობაა, როდესაც საზოგადოება არათუ არ ვერ ვითარდება, არამედ იგი მაქსიმალურად ენინა-აღმდეგება ყოველ სიახლეს, რომელსაც მასში გარკვეული ცვლილებების შეტანა შეეძლებოდა. თუმცავი, ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს ჩაკეტილი საზოგადოება არ იცვლებოდეს. მისი ცვალებადობა მიმართულია არა სიახლისაკენ, არამედ სიძეველის გაცოცხლებისა და გატოტალურებისაკენ, რასაც, საბოლოო ჯამში, საზოგადოება თვითიზოლაციისაკენ მიჰყავს, აუცხოებს სამყაროსა და ეპოქისაგან და მას ანაქრონულს ხდის. დროსთან შეუსაბამობა კი ჩაკეტილ საზოგადოებაში წარმოშობს კონფლიქტებს გარე სამყაროსთანაც და თავად საზოგადოების წიაღშიც, რაც დროთა განმავლობაში არა მხოლოდ არაადეკვატური რეაქციებით, არამედ ერთგვარი კოლექტიური პარანოიათაც ვლინდება ყოველივე ახლის, უცნობისა თუ უცხოს მიმართ.

ჩაკეტილ საზოგადოებას ჰყავს თავისი „დარაჯები“ – იდეოლოგიური კასტა, რომელიც მუქარით, დაშინებით, წამეჭებლობითა თუ მანიპულაციით ცდილობს, წინ აღუდეს სიახლეებს და არ დაუშვას საზოგადოების გახსნა, რაც, პირველ რიგში, მათი ძალაუფლების დაკარგვას მოასწავებს. ამისათვის ისინი მაქ-სიმალურად ცდილობენ, სრულ აბსურდამდე მიიყვანონ საკუთარი წარმოდგენები, რომლებიც მათ ერთადერთ და უეჭველ ჭეშმარიტებად მიაჩინათ, და ხშირად ძალადობის მეშვეობითაც კი თავს მოახვიონ იგი საზოგადოებას. XVI-XVII საუკუნეებში ასეთ მოვლენას ევროპულმა განმანათლებლობამ იბსკურანტიზმი, ანუ სიბნელის მიმდევრობა (ლათ. *Obscura* – „ბნელი“) უნდა. ობსკურანტები იყვნენ ადამიანები, რომლებიც რაციონალურ, დოგმატიკისგან თავისუფალ და მეცნიერულ აზროვნებას კიდევ უფრო გაბუნდოვნებულ და გაბასურდულებულ რელიგიურ დოგმებსა და მითებს უპირისპირებდნენ და საღი და ნათელი აზრების წინააღმდეგ ილაქებდნენ. მოგვიანებით ობსკურანტიზმი ტოტალიტარული რეჟიმების მთავარ იდეოლოგიურ ინსტრუმენტად იქცა, რომელიც ყოველგვარი კრიტიკული და თავისუფალი აზროვნების ჩასახშობად გამოიყენებოდა. თანამედროვე, „პოსტროტალიტარულ“ ხანაში ობსკურანტიზმის გამოვლინებებია სხვადასხვა სახის

ფუნდამენტალიზმები, რომლებიც ფსიქიური თუ ფიზიკური ძალადობით ეპრძვიან დემოკრატიას და მისი არსებობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს – ლაიციზმს, ანუ სახელმწიფოსა და რელიგიური ინსტიტუციების გამიჯვნას. ამ მიმდინარეობის ყველაზე ცნობილი მაგალითია ტერორისტული ორგანიზაცია ალ-ეაიდა, რომელიც უკვე თავის სახელნოდებაშივე აცხადებს საკუთარ მიზნებს (არა ალ-ყაიდა – „ყაიდაზე დგომა“), სადაც ყაიდის, წეს-ჩვეულების დაცვა იგულისხმება. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა მთელი მსოფლიო ისლამურ ფუნდამენტალიზმსა და მის საფრთხეზე აალაპარაკა, რამაც ყურადღება მოადუნა ფუნდამენტალიზმის იმ ფორმებზე, რომლებიც სხვა რელიგიებიდან, კერძოდ კი ქრისტიანობიდან მომდინარეობს. ეს, პირველ რიგში, პოსტაბჭოთა სივრცეში გაჩენილ მართლმადიდებლურ ფუნდამენტალიზმს ეხსეა, რომელიც უკანსკნელი ოცნებლის მანძილზე სულ უფრო მეტად ექსტრემალურ და, ამასთანავე, კურიოზულ სახესაც იღებს რუსეთსა და საქართველოში, რომლის „იდეალი“ არა ქრისტიანული უნივერსალიზმი ან „მოყვასის სიყვარულის“ იდეა, არამედ სტალინური ყაიდის ტოტალიტარიზმი და არათავისუფალი აზროვნება.

### „სწორი აზრის ძონა“


მართლმადიდებლობა ბერძნული სიტყვის *orthodoxein*-ის ქართული თარგმანია და სიტყვასიტყვით „სწორი აზრის ქონას“ ნიშანებს. „სწორ აზრზე“, ჭეშმარიტებაზე მონოპოლიის პრეტენზია ყველა რელიგიას აქვს, რაც შუა საუკუნეებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო და არსებულ სამყაროს ნესრიგს გამოხატავდა. „ახალი დროება“ კი, რომელიც განმანათლებლობითა და სეკულარიზაციით ანუ საკრალური სააზროვნო და ყოფითი პრინციპების „გამინიურებით“ დაიწყო და მან, ჭეშმარიტებაზე მონოპოლიის ნაცვლად, აზრთა სხვადასხვაობა, მათი მშვიდობიანი თანარსებობა და დიალოგი დამკვიდრა. ეს კი თანამედროვე დასავლური ტიპის დემოკრატიული საზოგადოების არსებობის საფუძველია, სადაც ადამიანი თავად ირჩევს საკუთარი აზროვნებისა თუ პრინციპების ერთი ნიმუში არ გააჩინა და იგი ძიულებულია, ჭეშმარიტებათა უსასრულო სიმრავლეში საკუთარი აჩრევანი გააკეთოს, იპოვოს ან თავად შექმნას ის, რაც მის სულიერ თუ ინტელექტუალურ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებდა.

რელიგიური განწყობის მომძლავრება კი, რომელიც ბოლო დროს მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი პოსტროტალიტარულ სივრცეში შეიმჩნევა, სულიერი კულტურის

მიერ ჭეშმარიტებაზე კვლავაც სააგტორო უფლების დატაცება დღეს უკვე ფუნდამენტალიზმია, რომლის გამარჯვებაც მხოლოდ ტოტალიტარული რეჟიმების მეშვეობითადა შესაძლებელი. მისი ბოლო ყველაზე წარმატებული ნიმუში ირანის ისლამური რევოლუციაა, რომლის შედეგადაც ამ ქვეყნის ყველა სახელმწიფო დაწესებულებაცა და ყოფითი სფეროც სასულიერო პირების მიერ კონტროლდება.

თუმცავი ტოტალიტარიზმი არამხოლოდ სახელმწიფოს ძალოვან სტრუქტურებსა და რეპრესიებზეა დამყარებული. მისი უმნიშვნელოვანესი საფუძველი თავად მოქალაქეების მხრიდან არჩევანის თავისუფლებაზე, პასუხისმგებლობაზე უარის თქმა და მისი რომელიმე ავტორიტეტული ინსტანციისთვის მინდობაა, რომელსაც მერე ისინი უსიტყვოდ და უკრიტიკოდ ემორჩილებიან, რადგანაც, მათი რემენით, ამ ინსტანციამ იცის, რა არის „სწორი აზრი“, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ის ზებუნებრივი ძალების სახელით ლაპარაკობს. ეკლესია მზა პასუხებს იძლევა და „მართალი“ ცხოვრების ნორმებს ანგარიშს, რომლისადმი მორჩილებაც ადამიანებს გარეულ გონებრივ „კომფორტს“ უქმნის, განსხვავებით თავისუფალი აზროვნებისაგან, რომელიც არჩევანის თავისუფლებას გულისმობს, რაც უსასრულო სულიერ შრომასა და ძალისხმილებასთანაა დაკავშირებული. შემთხვევითი არაა, რომ „მწვალებლობის“ აღმნიშვნელი ქრისტიანული ტერმინი „ერესი“ (ბერძნ. ჰაირესის) „არჩევანს“, „ამორჩევას“ ნიშანას. „მწვალებლები“ ყოვლისმცოდნე ინსტანციის ავტორიტეტს არ აღიარებენ ან მათ მზა პასუხები და რეცეპტები არ აკმაყოფილებთ და დაწესებული ნორმებისა თუ დოგმებისაგან დამოუკიდებულ ცხოვრებასა და აზროვნებას ცდილობენ. თუ საზოგადოება თავისუფალია, თავისუფალია იმის ფასად, რომ მას აპსოლუტური ჭეშმარიტების ერთი ნიმუში არ გააჩინა და იგი ძიულებულია, ჭეშმარიტებათა უსასრულო სიმრავლეში საკუთარი აჩრევანი გააკეთოს, იპოვოს ან თავად შექმნას ის, რაც მის სულიერ თუ ინტელექტუალურ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებდა.

რელიგიური განწყობის მომძლავრება კი, რომელიც ბოლო დროს მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი პოსტროტალიტარულ სივრცეში შეიმჩნევა, სულიერი კულტურის




კრიზისა და, საზოგადოდ, სულიერების ვაკუუმზე მიუთითებს, როდესაც ადამიანები უამრავ როტულ და მწვავე პრობლემაზე კულტურიდან ვეღარ იღებენ პასუხს. ასეთ დროს ეკლესია ხშირად ფსიქიკურ კრიზისში მყოფ ადამიანებს სულიერების ფასტ-ფუდით ამარავებს, მორჩილებითა და რიტუალის დაცვით როტული პრობლემების მოგვარებას ჰპირდება. როდესაც მარქსი ან ნიცშე-რელიგიას ნარკოტიკს უწოდებდნენ, ასეთი შედარებით ისნი რელიგიის ტკივილგამაყუჩებელ და გამაბრუებელ ეფექტს უსვამდნენ ხაზს, რისი მეშვეობითაც მხოლოდ სინამდვილეზე და ტკივილებზე დროებით თვალის დახუჭვაა შესაძლებელი. ასეთი სუროგატები კი არათუ პრობლემას ვერ აგვარებენ, არამედ მათ საზოგადოება გარე სამყარო-სადმი გაუცხოებასა და შიდა რეალობასთან კონფლიქტებამდე მიჰყავს, რისი პირველი ნიშანიცაა რელიგიურ გარემოებში აგრესისა და ფუნდამენტალიზმის ზრდა. ფუნდამენტალიზმი კი მაშინ ჩნდება, როდესაც რელიგია მთლიანად პოლიტიკურ შინაარსს იქნებს და იდეოლოგიებს ჩაენაცვლება და შემდეგ აგრესიული ფორმით ინცეპს საკუთარი ერთადერთი და უეჭველი ჭეშმარიტების საზოგადოებისათვის თავზე მოხვევას. თუ უკანასკნელი ოცი წლის საქართველოში მიმდინარე პროცესებს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მართლმადიდებლობამ პოლიტიკური იდეოლოგიების ადგილი დაიკავა, მათ ჩაენაცვლა და სრულიად გეგმაზომიერად კონტრსეკულარიზაციის შესრულება დაიწყო, რომელიც თანდათანობით სრულიად ფუნდამენტალისტურ სახეს იდებს და ქართული საზოგადოების პოლიტიკური და ინტელექტუალური განვითარების მთავარ შემფერხებელ ფაქტორად გადაიქცევა.

### „საქართველო გაბრძოცება!“ ან კოლიტიკური მართლმადიდებლობა

საკმაოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, რომლის ერთ-ერთი პირველი ავტორიც ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი რუსი ფილოსოფიის ნიკოლაი ბერდიავია, საბჭოთა კომუნისტური იდეოლოგია არა მარქსიზმიდან, არამედ მართლმადიდებლობიდან აღმოცენდა. გერმანელი ფილოსოფოსის ოსვალდ შპენგლერის აზრით კი, რუსეთში კომუნისტების გამარჯვება ჯერ კიდევ პეტრე I-ის მიერ დაწყებულ რუსეთის გაევროპულების მცდელობაზე ტრადიციული რუსული მართლმადიდებლობის რევანში იყო. სტალინის პირველი მართლმადიდებლობის სამშობლოს – ბიზანტიის იმპერიატორის ტიპის აბსოლუტისტური ხელისუფლება აღდგა. იმპერატორი კი მართლმადიდებლურ პოლიტიკურ თეოლოგიაში ქრისტეს თანაარსად და, ამდენად, უმაღლეს რელიგიურ ავტორიტეტად აღიქმებოდა. შესაბამისად, მართლმადიდებლობას ბიზანტიაშიც და მის „სამართალმეცვიდრე“ რუსეთშიც ხელისუფლების მთავარი იდეოლოგიური ფუნქცია ჰქონდა. ოქტომბრის რევოლუციისა და 20-იანი წლების მოდერნისტული ექსპერიმენტების შემდეგ საბჭოთა კავშირში სტალინმა გაიმარჯვა, რომელმაც ევროპიდან შემოსული სეკულარიზაცია შეაჩერა და მის მიერ შემოტანილი განმანათლებლური თუ ლიბერალური იდეები საბოლოოდ ალაგმა და მთელი ახალი საბჭოთა იმპერია თავის მართლმადიდებლურ-მესანისტურ ფესვებთან დააბრუნა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეკლესიას კომპარტია ჩაენაცვლა, სამებას – ცოცხალი თუ უკვდავი ბელადები. ძირითადი პრინციპი კი უკვლელი დარჩა: არსებობს ერთადერთი „სწორი აზრი“ და მისი განმსაზღვრელი

ერთადერთი ინსტანცია (ეკლესია/პარტია), ხოლო გინც მას არ იზიარებს და თავისუფალ ან კრიტიკულ აზროვნებას ცდილობს, როგორც ერეტიკოსი თუ „ხალხის მტერი“, განადგურებას საჭიროებს. 1937 წლის რეპრესიები ბევრი საბჭოთა მოქალაქისათვის განკითხვის უამად აღიქმებოდა, რომელსაც კომუნიზმის საპირო „ათასწლოვანი სამუქოს“ აშენება უნდა მოჰყოლოდა. შემთხვევითი ფაქტი არაა მართლმადიდებლური ეკლესიის ლოიალობა სტალინის მიმართ: განსხვავებით ლენინისაგან, ეკლესიას სტალინი არასდროს აღუქვამს „სატანად“ ან „ანტიერისტედ“ და უკვე 30-იანი წლების ბოლოდან მის სახელზე ლოცულობდა. ამისი მიზეზი კი არა მხოლოდ შიშია, არამედ უფრო მეტად ის, რომ თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილ მოსწავლეში ეკლესია, თუმცა სახელშეცვლილ, მაგრამ მაინც ბიზანტიურ-მართლმადიდებლური იმპერიის ამაღლობინებელს ხედავს (ამდენად, სრულიად ლოგიკური იქნებოდა ოდესე სტალინის წმინდანად შერაცხვა!).

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, საბჭოთა კავშირის რდვევის პროცესში მართლმადიდებლური ეკლესია იმის დაბრუნებას შეუდგა, რაც მას არა მხოლოდ საბჭოთა იდეოლოგიამ, არამედ ჯერ კიდევ ევროპიდან შემოსულმა სეკულარიზაციამ ნაართვა. ასეთი წარმოდგენა მხოლოდ ზედაპირულ სიმართლეს ასახავს, რომელშიც ნაკლები ყურადღება ექცევა ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს, რომელიც პოსტსაბჭოთა ხანში მართლმადიდებლური ეკლესიის მომძღვრების გადამწყვეტი ფაქტორია: მართლმადიდებლობა ენაცვლება საბჭოთა იდეოლოგიას, ინახავს და რეანიმირებს სტალინისტურ სააზროვნო და მსოფლმხედველობით პრინციპებს. თუკი ადრე საბჭოთა



**მართლების დოკუმენტის კოლექტური იღობობის  
აღილი და გავა და სრულიად გაგრაზომისად  
კონტრასტულარიზაციის შესრულება დაინურ,  
რომელიც კართული საზოგადოების კოლექტური  
და ინტენსიული გავითარების მთავარ  
შემთხვევას ფაქტორსად გადაისცვა.**

იდეოლოგიური აპარატი იცავდა მოქალაქეებსა და დასაცავური და ლიბერალური იდეებისაგან, დღეს ამ ფუნქციას ძირითადად მართლმადიდებელი ეკლესია და მასთან არსებული სრულიად ფუნდამენტალისტური შინაარსის საზოგადოებრივი ორგანიზაციები ასრულებენ, რომელიც სტალინური ყაიდის ტოტალიტარული ცნობიერების მთავარ ბასტიონს წარმოადგენს. ასეთი ზეგავლენის მოპოვება კი ეკლესიამ არა მხოლოდ იდეოლოგიური ვაკანსის დაკავებით, არამედ ახალი იდეოლოგიური ჰიბრიდის შექმნით შეძლო. ეს ჰიბრიდი კი ნაციონალიზმის საკრალიზაციითა და საკრალურის ნაციონალიზაციითაა მიღებული. ეკლესიამ სეკულარულ სამყაროს ეროვნულობის იდეა წაართვა და მთელი „მინიერი“ სფეროების დაუფლებას შეუდგა.

საქართველოში კონტრსეკულარიზაციის დასაწყისის თარიღი 1987 წელია, როდესაც ეკლესიამ საქართველოში სეკულარიზაციის პირველი ავტორი, საეკლესიო ენის საერთო შეცვლის მთავარი ინიციატორი ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხა. ამით სეკულარიზმი, როგორც ეროვნული იდენტობის საფუძველი, საეკლესიო მფლობელობაში გადავიდა, ილია ჭავჭავაძე კი ახალი ქართული პოლიტიკური მართლმადიდებლობის პირველი იდეოლოგიურ სიმბოლოდ იქცა. კონტექსტიდან ამოგლეჯილი ილია ჭავჭავაძის სიტყვები – „ენა, მამული, სარწმუნოება“ მთავარ საბჭოთა ლოზუნგს – „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“-ს ჩაენაცვლა. ასეთი სინთეზით კი თავად მართლმადიდებლობამ დაწყო ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგიურ ბაზისად ჩამოყალიბება, რომელშიც, ერთი მხრივ, საერთო პიროვნებებისა და ღირებულებების გასაკრალურება, მეორე მხრივ, ზენაციონალური და უნივერსალური

ქრისტიანული სიმბოლიკის ნაციონალიზაცია და მისი გაქართულება მიმდინარეობს. ეროვნული მოძრაობის ეთნოცენტრიზმს ერწყმის მართლმადიდებლობის, როგორც ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელის ფაქტორი, რაც უკვე არა მხოლოდ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურად არაქართველებს რიყავს საქართველოსგან, არამედ ყველა ქართველ არამართლმადიდებელსაც. ასეთი ჰიბრიდის პირველი პოლიტიკური ძალის დემონსტრაცია იყო 1990 წლის 28 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ბრძანება: „სახელითა მამისა და ძისათა და სულისათა ვბრძანებ: დღეიდან ყოველი ქართველი ადამიანის მკვლელი, მიუხედავად მსხვერპლის (მოკლულის) დანაშაულისა ან უდანაშაულობისა, გამოცხადეს ქართველი ერის მტრად-მკვლელის სახელი და გვარი შეტანილ იქნას საპატრიარქოს სპეციალურ წიგნში და გადაეცეს თაობიდან თაობას, როგორც სამარცხვინო და დასაგმობი. საგანგებო ბრძანება ესე მიღებულია, რათა საქართველოში იქნას თავიდან აცილებული უმძიმესი ცოდვა და დანაშაული ღვთისა და ერის წინაშე – **ძმათა კვლა**“ (ხაზგასმები სტატიის ავტორისაა). ასეთი შინაარსის ბრძანების მართლმადიდებლურობაზე მსჯელობა თეოლოგებს მივანდოთ. ყურადღებას კი მხოლოდ ორ მომენტზე გავამახვილებ: პირველია ქართველი ერის როგორც ძმათა, ანუ სისხლით მონათესავე თვისტომთა ერთობის განსაზღვრება, დაფუძნებული ნათესაობის ელემენტარულ სტრუქტურაზე, რომელიც გვაროვნული თემისა განსხვავდება, ხოლო თანამედროვე ტერმინოლოგით ეთნოცენტრიზმი ენდება. მეორეა თავად ტერმინი „ერის მტრი“, რომელიც სტალინისეული „ხალხის მტრის“

პარაფრაზაა და ეროვნული მოძრაობის ლიდერთა ლექსიკონშიც მათი სტალინისტური აზროვნების პროდუქტად გაჩნდა. ამ ბრძანების მნიშვნელოვანება კი ისაა, რომ პატრიარქი არა მხოლოდ ქართველი ერისა და მისი მტრის განსაზღვრებას იძლევა, არამედ საერო ხელისუფლების უფლებამოსილების იურიდიულ ფორმას – „ბრძანებას“ გამოსცემს და ამით საკრალურ და საერო სფეროებს აღრევს. თუმცავი ასეთი აღრევა უფრო უკეთ გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მთელი ახალი ქართული „ეროვნული იდეა“ ამ სფეროების აღრევითა და სინთეზითაა მიღებული.

გარდა მე-12 საუკუნის მიწურულს გაჩენილი საქართველოს ლვთისმშობლისადმი ნილხვედრობის იდეისა, რომელიც გვიანსაბჭოთა ხანაში ქართულ მესიანიზმად იქნა გაგებული ახალი ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგების (აკავი ბაქრაძე, ზვიად გამსახურდია) მიერ, ეკლესის შემთხვევა ახალი ჰიბრიდული სიბოლო: „ზეციური საქართველო“. ეს კი იოანეს „გამოცხადების“ 21-22 თავებში აღწერილი სრულიად ზენაციონალური „ზეციური იერუსალიმის“, რომელიც აპოკალიფსის შემდეგ მიწაზე უნდა აშენდეს, გაქართულებული და, ქრისტიანული მსოფლმხედველობის პრინციპებიდან გამომდინარე, ერთობ გაულებარულებული ვარიანტია. 1989 წლის აღდგომის დამეს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ს ეკლესიის ისტორიაში უანალოგიო ნაციონალისტური ლიტურგიული ფორმულა შემოაქვს: „ქრისტე აღსდგა, ქრისტე აღსდგა, საქართველო აღსდგა!“, რომლის მეშვეობითაც ქრისტეს სხეულის საქართველოსთან გაიგვება ხდება.

>>> გაგრძელება გვ. 123



კალი ფილმიდან „ჩათო და კოჩი“

## „ვებებით სავსეს, ვიგონებ წარსულს“...

ავტორი: ლანა ლოლოვარიძე

მივიღე მოწვევა, ვყოფილიყავი თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე, რასაც სიამოვნებით დავთანხმდი, რადგანაც ეს ნიშნავდა გარკვეული დროით კინოს სამყაროში დაბრუნებას. და იყო კიდევ ერთი მიზეზი: ყველა სერიოზული კულტურული მოვლენა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როცა ქვეყანას უჭირს, უჭირს სულიერად და მატერიალურად, როცა საზოგადოებას მეურნალობა და ნუგები სჭირდება, და შენ კი იცი, რომ დიდი გადასახედიდან მხოლოდ ხელოვნებას ხელუიფება ადამიანთა საერთო ტკივილის შემსუბუქება. და აი, რამდენიმე დღე, დილიდან საღამომდე ჩავიძირე კინოში – ფილმების ყურება, საუბრები კინოზე, შესვედრები ქართველ და უცხოელ კინემატოგრაფისტებთან, უიურის წევრების გაცნობა, ერთად გატარებული საათები, საერთო სადილები და საღამოები, და ისევ – ფილმები, ისევ – მათი ანალიზი, გაუთავებელი ბჭობა კინოენის სიახლეებზე. ანუ ხდება ყველაფერი ის, რაც არაერთხელ განმიცდია მსოფლიოს სხვადასხვა კინოფესტივალზე და რაც დროებით მაინც აშოშმინებს ჩემს მუდმივ და გაუნელებელ ნოსტალგიას ამ საოცარი მოვლენის მიმართ, რომელსაც კინო ჰქვია. სასიამოვნოა ის, რომ თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი უკვე არსებობს, როგორც ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილი, რომ მან შეძლო თავისი ტრა-

დიციის დამკვიდრება და ჰყავს საეუთარი მაყურებელი. ეს კი მისი შემქმნელის – გაგა ჩხეიძის და მასთან ერთად ნინო ანჯაფარიძის უტყუარი დამსახურება.

წლევანდელი კინოფესტივალი ახალგაზრდა რეჟისორების ნამუშევრებს ეძღვნებოდა, მათ პირველ და მეორე ფილმებს. უიურის შესვედრების მთავარი თემა იყო თანამედროვე ევროპული კინოს ტრადიციებზე საუბარი. ჩემთვის გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი:

- 1) საყოველთაო გლობალიზაციის პირობებში ნათლად იჩენს თავს ამ მოვლენის საპირისპირო ტენდენცია – მეტი ყურადღება ქვეყნის და პიროვნების თვითმყოფადობის მიმართ. „საერთო სოფელი“, ანუ გლობალიზაციის შედეგად ერთ სოფლად ქცეული პლანეტა და ამ ფონზე – ახალგაზრდების განსაკუთრებული ინტერესი ყოველი კონკრეტული სოფლისა თუ ქალაქის, ოჯახის, მშობლებისა და შვილების ურთიერთობის მიმართ. თუმცა ეს ტენდენცია ახალი არ არის, ის მუდამ არსებობდა ხელოვნებაში: მაგალითისთვის ფოლკნერიც კმარა, რომელიც მთელი სიცოცხლე თავის მშობლიურ სოფელზე (რომელსაც გამოგონილი სახელი „იოკნაპატოფა“ დაარქვა) და მის მაცხოვრებელებზე წერდა, ანუ იმაზე, რაც იცოდა ყველაფერზე უკეთ და სწორედ ამით გახდა მისი რომანები ასე საინტერესო ყვე-

ლასათვის და ასე დატვირთული ზოგადსაკაცობრიო იდეებით. ასევე დანიის პრინცის, ჰამლეტის კერძო ხვედრი და მისი ძირეული პრობლემის – „ყოფნა-არყოფნის“ – უნივერსალურობა.

2) ფილმების მოქმედების არე – ეპოქა ბერლინის კედლის დანგრევის მერე. ამ დროისათვის დამხსასიათებელი ქაოსი, ნგრევა, შენების ნაცვლად, აბსურდული სიტუაციები; გადაულახავი დაპირისპირებები საზოგადოებაში, სიცოცხლის გაუფასურება, უაზრო სიკვდილი. ყველაფერი ის, რაც ასე ტრაგიკულად დაატყდა თავს ჩვენს ქვეყანასაც.

3) განსაკუთრებული აქცენტი ნაციონალიზმის ფენომენზე. ნაციონალიზმის იდეა, ასეთი აუცილებელი, როცა ის საკუთარი ქვეყნის სიყვარულს და სხვების პატივისცემას ნიშნავს და ასეთი საშიში, როცა ექსტრემიზმა და სხვების უარყოფაში გადადის და ამით თავის თავს ანადგურებს. რამდენი უბედურება დაატყდა თავს ჩვენს ქვეყანას ამ მოვლენასთან დაკაცმირებული გრძებების აღზევების გამო!

ჩვენმა პატარა საერთაშორისო ჟურნიმ დიდი ენთუზიაზმით და ცხოველი კამათების შედეგად მოსოვებული ერთსულოვნებით იმუშავა. ვფიქრობ, რომ ვერცხლის და ოქროს პრომეთე ფესტივალის საუკეთესო ფილმებს მივანიჭეთ.

ამ ფესტივალზე ნამდვილი სიხარულიც განვიცადე, ის მიშა კალატოზიშვილის კონკურს გარეთ ნაჩვენები „ველური ველის“ ნახვას მოჰყვა. ძლიერი, მძაფრი რეჟისურა, რომელშიც შეთავსებულია სიადავე, სიმკაცრე და სინაზე, სინაზე, რომელიც ნამდვილად ღრმა და გულში ჩამწვდომი ხდება მაშინ, როცა მისი გარემო ასეთი მკაცრია და შეუბრალებელი. მიხარია, რომ ფილმის ავტორია მიშა, ჩემი ახლობლების – ტიტოს და ჯინას – შეილი, დედაჩემის ახლობლების – რაისა მიქაძის და მიშა კალატოზივის შვილიშვილი. ვსხედვართ გოგი მესხიშვილის და მაკას მშვენიერ სახლში, რომელსაც ხელოვნების სავანეც შეიძლება დაარქვა, შევეცევეთი მაკას მიერ მომზადებულ უგამრიელს კერძებს, დევი ხერხნაშვილი გაუთავებლად ყვება ხან სასაცილო და ხან სამწუხარო ამბებს. მიშა დიდ და კეთილ დათვეს მაგონებს, ის უფრო ჩუმად არის, მხოლოდ თვალები უციმდებებს ეშმაკურად. ვუყურებ მიშას და თვალინი სულ სხვა სურათი მიდგება: მისი მესამე თუ მეოთხე წელი, წვიმიანი შემოდგომა, ცივი და მშიერი თბილისი, მე კი გულამოგლევით მივრბივარ ზემელისკენ, მელიქ აზარიანცის სახლში, გუგასთან. გუგა ჩემი მეგობარია და დღეს მოხდა საოცრება – 7 თუ 8 წლის მერე გადასახლებიდან დაბრუნდა გუგას დედა! ის და დედაჩემი ახალგაზრდობიდან მეგობრები იყვნენ, მერე შემთხვევით ერთად მოხვდნენ „პოტმაში“, ქალთა ცოტილ საკონკრეტოაციო ბანაკში, იქიდან დედა უკიდურეს ჩრდილოეთში, ჯერ აუშენებელ ვორკუტაში გადაისროლეს, რაისა კი დაბრუნდა... იმ გაუგებარი და შემაძრნუნებელი სამყაროდან დაბრუნდებული პირველი დედა! მივრბივარ და ლელევისგან სულ ყელში მებჯინება... არ ვიცი, რას ველოდი, მაგრამ ნამდვილად არა იმას, რაც დამხვდა: ფანჯარასთან იდგა თხელი, სულ ახალგაზრდა და ძალიან, ძალიან ლამაზი ქალი! ერთდროულად ტანჯული და მომღიმარე სახით! შემომხედა დაკვირვებული მზერით და მაშინვე მითხა:

### მომარვენა, რომ ეს ასეთ შირგამოვლილი

**ელი სულ მარტო იყო აპ, თავის ქვეყანაში,**

**თავის სახლში. გუგა მარტო რთაზე ახასახახს**

**ელაკარაკებოდა, პატარა ჯინა იქვე კუთხეში**

**თავამოგებული და ნაცნობები, იდგა ამ სიტუაციისათვის დამახასიათებელი ურიანმული... მე კი ბავშვური მაქსიმალიზმით სულ სხვა რაღაც მინდოდა, ზუსტად არ ვიცოდი – რა, ალბათ, უფრო აშკარად გამოსახული, დიდი დიდი ს ი ხ ა რ უ ლ ი!**

და არა ყოველდღიურობა! მაშინ არ ვიცოდი, რომ სიხარულსაც სხვადასხვა ფერი აქვს და ის შეიძლება ჩვეულებრივობით შეიმოსოს, ან ჩაიმაღლოს ჩვეულებრივობაში. რამდენიმე წლის მერე იგივე გადამხდა მე თვითონ, როცა დაბრუნდა დედა და იმ პირველ დღეს ჩემი მთავარი გრძნობა იყო ის, რომ არაფერს არ ვერცნობდი, რაც მთავარია, არავითარ სიხარულს!

მიშას მამის მამაც, ცნობილი მიშა კალატოზივი, დედას ახალგაზრდობის მეგობარი იყო. მათ ერთად გადაიღეს პირველი ფილმი – „18 – 28“. და როცა ასპირანტურის დამთავრებს

მერე ვგიეში გადავწყვიტე სწავლის გაგრძელება (გადაწყვეტილება, რომელიც ანგრევდა ჩემს უკვე აწყობილ პროფესიულ ცხოვრებას – ლექციების კითხვისა და წიგნების გამოცემის ჩათვლით – და მთელ ჩემს მომავალს ეჭვეშე აყენებდა), დედა ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც მიხვდა ჩემი არჩევანის სერიოზულობას და ბერი ყოფილის მერე სწორედ კალატოზოს მისწერა წერილი დახმარების თხოვნით. ასე შევხვდი ბატონ მიშას, მის სახლში კუტუზოვის პროსპექტზე. ვისხედით დიდ, ძველებურ სავარდლებში, ვსვამდით ჩაის, ვლაპარაკობდით, მე კი გარედან ვხედავდი ამ შეხვედრის არსს: დიდი ბატონი, რომელიც ოდნავ შეფარული ირონით ზემოდან დასცექების რაღაც გაუგებარი სულვილებით შეპყრიბილ სასაცილო გოგოს. დღესაც ყურმი ჩამესმის მისი ხავერდოვანი ხმით ნათქვამი: არ მესმის, როგორ შეიძლება, გონიერმა ადამიანმა თავი დაანებოს უიტმენის და თაგორის თარგმნას და წიგნების წერას და გადაეშვას ისეთ აუწყობელ და აბსურდულ სამყაროში, როგორიც კინოა. მით უმეტეს, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში ამ კინოს გადაღების საშუალებაც არ არსებობს! ყველაზე მეტი რასაც შეიძლება მიაღწიოთ, ეს იქნება სამ წელიწადში ერთხელ რომელიმე სულელი ტიპის ასისტენტად მუშაობა! – მე ნამოებური და პროტესტის ნიშნად თავანეული კარისკენ გავქანდი, ბატონმა მიშამ გაბრაზებული შეძახილით გამაჩერა... მერე დაუ-

## კარიზული ჩანაწერები

რეკა გერასიმოვს, რომელსაც სახელოსნო პქონდა ვგიკში, მე ამაყად და ხაზგასმული გულგრილობით ვუსმენდი მის საუბარს. უხერხული დუმილი ჩამოვარდა. და უცებ გავიგონე სიტყვები: „თქვენ ვერ ნარმოიდგენთ, რამდენს ნიშნავდა ნუცა ჩემს ცხოვრებაში!“ – თქვა და დიდი ხნით გაჩუმდა. მე გვერდიდნ გახტედე, და მის თვალებში დავინახე... ზუსტად არ ვიცი – რა, იქნებ სევდა, იქნებ სინაული, ან იქნებ უბრალოდ დაფიქრება... და მაშინვე ვიფიქრე, რომ ეს დიდი ბატონი მარტო ნიკილისტი და სკეპტიკოსი არ არის, არამედ რაღაც სხვაც... მას მერე მე ვგიყიც დავამთავრე, ფილმებსაც ვიღებდი და ბატონ მიშასთან ხშირად დავდიოდ კიდეც, ვისხედით ხოლმე მის დიდ, კომფორტულ სალონში, ვსვამდით ჩაის და ვსუბრობდით. და ერთხელ მან ისიც მითხრა, რომ რაღაცით დედაჩემს ვგავდით...

ფესტივალმა კიდევ ერთი სიხარული გვაჩუქა: ახალგაზრდა გერმანის ძალიან ძლიერი ფილმი „ქალალდის ჯარისკაცი“ და სრულიად განსაკუთრებული მერაბ ნინიძე. მერაბი ყოველთვის მომწონდა, როგორც მსახიობი, მან ჩემ „ორომტრიალშიც“ ითამაშა და დამაკვერებელი და საინტერესო სახეც შექმნა. მერაბი მაშინაც, ადრეულ ახალგაზრდობაშიც გამოიჩინდა პროფესიისადმი დამოკიდებულებით, სიღრმით, შეთავაზებული როლის წვდომის უნარით და იშვიათი ფოტოგრაფურობით. მაგრამ იმან, რაც ამ ფილმში ვნახეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და, ჩემი აზრით, მხოლოდ ერთი დახასიათების ლირსია: ეკრანზე ცოცხლობს, მოქმედებს, იტანჯება, სასონაკვეთილებაში ვარდება და უბრალოდ არსებობს საოცარი ძალის პერსონაჟი, შექმნილი დიდი მსახიობის მიერ! დიახ, მე არ მეშინია ამ სიტყვის ხმარების: ასეთი სიძლიერის და ექსპრესიის სახე მხოლოდ ლოურენს ოლივის დონის მსახიობმა შეიძლება შექმნას. მერაბი უკვე ამაღლდა ამ დონემდე. და მე მიხარია, რომ ამგვარი ტრაგიზმის შემქმნელი ის პატარა ბიჭია, რომელიც ახლაც თითქმის შეუმჩნევლად არსებობს ჩევნს გვერდით და, როცა მოგმართავს, მორცხვად და თავმდაბლად იღიმება.

ხოლო ალექსე გერმანთან შეხვედრამ ჩემში წარსულის კიდევ ერთი ფურცელი გააცოცხლა. 1961 წელია. მე დავასრულე ჩემი პირველი ფილმის „ერთი ცის ქვეშ“ გადაღება და შევიტანე განცხადება საფრანგეთში წასასვლელად, კინემატოგრაფიისტთა ჯგუფთან ერთად. საშინალი ვლელავდი, არ ვიცოდი, გამაშვებდნენ თუ არა. ვისაც არ უცხოვრია იმ აბსურდულ საბჭოთა სინამდვილეში, მან არ იცის, რას ნიშნავდა იმ დროს საზღვარგარეთ გამვება. და აი, წასვლამდე ორი დღით ადრე გავიგე, რომ უარი მითხრეს, რაც ნიშნავდა, რომ სამუდამოდ „ნევიზდნო“ ვხდებოდი. მაშინ კიდევ ერთხელ დამეუფლა ბავშვობაში არაერთხელ განცდილი უუფლებობის დამთრგუნველი გრძნობა... მაგრამ იმჯერად იღბალი ჩემქენ შემობრუნდა, ალბათ იმიტომ, რომ დრო უკვე მაინც შეცვლილი იყო და ბოლოს დაბოლოს მაღალჩინოსნების ჩარევის შედეგად მე აღმოგჩნდი პარიზის შუაგულში, კაბუცინების ბულვარზე, პატარა მყუდრო სასტუმროში. პარიზში მოხვედრა თავისთავად ბედნიერებას მგვრიდა, მაგრამ მთავარი მიზანი მაინც ჩემი ორი დეიდის ნახვა იყო. ეს ორი დეიდა, ორი ინგილო ქალი, რომელთაც მთელი სიცოცხლე საფრანგეთში გაატარეს და იმის გამო, რომ ვერ დათმეს საქართველოს მოქალაქეობა, სამუდამოდ „აპატრიდებად“, ანუ უსამშობლებად დარჩნენ. როგორ მენახა, შეუმჩნევლად ჩემი დეიდები? ემიგრანტებთან შეხვედრა ხომ სულ უბრალოდ აკრძალული და დაუშვებელი იყო საბჭოთა კანონებით. ჩემი აფორიაქება გავანდე ალექსე გერმანს, ჯგუფის ყველაზე ხნიერ წევრს, ცონბილ მნერალს და ფარულ დისიდენტს, რომელმაც მაშინვე ასეთი გეგმა შეიმუშავა: კიდევ ერთ მწერალთან, ალექსანდრ გალიჩთან ერთად მათ გერმანების ოთახში შეიტყუეს ჯგუფის ადრევე გაშიფრული „კაბეგეშნიკი“ და მთელი საღამო მასთან ერთად სვამდნენ არაყს. მე კი ამასობაში ვნახე ჩემი დეიდები, რომლებიც კონსპირატიულად მელოდებოდნენ სასტუმროს სადარბაზოსთან

ბაგრატის – ჩემი დეიდის, ბოკას ქმრის „კამიონში“ (იოგურტის და-სარიგებლად განკუთვნილ ერთი ბერნ ავტობუსში), კამიონი გაქანდა ქეთოს პატარა ბინისკენ ლეკურბის ქუჩაზე, იქ ყველამ ერთად – ქეთომ, ბოკამ, ბაგრატმა, ვანიჩეამ – ბევრი ვიტირეთ და ვიცინეთ, მერე ისევ ყველამ ერთად გამომაქანეს სასტუმროსკენ, სადაც მე სასწავლოდ გამოვეწყე საშინაოდ და გულუბრყვილი და მოწყვენილი სახით კარზე მიუუკაუნე გერმანებს... მერე არყის სმით და ცნობილ მწერლებთან ურთიერთობით გაპედნიერებული „კაგაბეშნიკიც“ გავისტუმრეთ, რომლის წასვლაც გერმანმა ხელების ერთმანეთზე რა-მდენჯერმე შემოკვრით აღნიშნა, – ესეც ასეო, – და კიდევ დიდხანს ვისხედით ერთად, კამაყოფილნი ჩატარებული აქციით და კეტ-ს გაცურებით და შემთვრალი და გათამამებული გალიჩი მღეროდა თავის დისიდენტურ და გახმაურებულ სიმღერებს:

უხდეთ, უხდეთ, უხდეთ ძრუა.

Одни в никуда, а другие в князья.

კიდევ ერთი სასიმოვნო მოულოდნელობა ქართული კინოს სამყაროში: ახალგაზრდა პროდიუსერმა აჩიკო გელოვანმა წამოინტყო უმნიშვნელოვანენს საქმე – ძევლი ქართული ფილმების აღდგენა! პირველი აღდგენილი ფილმი „ქეთო და კოტეა“, ვახტანგ ტაბლიაშვილის შედევრი, ასე უცნაურად ამოვარდნილი იმდროინდელი კინოს კონტექსტიდან. განახლებული გამოსასულება კი მართლაც აღმაფრთოვანებელია... და აი, მერაბ კორიაშვილის მიერ ამ ფილმის ნაწყვეტბზე დაყრდნობით გადაღებული სურათი „სიხარულის სახლი“. სცენარის ავტორია აკა მორჩილაძე, პროდიუსერი – იგივე აჩიკო გელოვანი, მთხრობელი – რამაზ ჩხიფავაძე. მერაბმა შექმნა ძალიან თავისებური ფილმი, დოკუმენტურობისა და მხატვრულობის ნარევი, დინამიური და ნოსტალგიით გამსჭვალული ყარაბეგილის დროინდელი თბილისის განუმეორებული ატმოსფერო, თვალნარმტაცი ნაწყვეტები „ქეთო და კოტედან“, აკა მორჩილაძის მშვენიერი ტექსტი და მისი წარმომტებული – ასაკის შედეგად დაბრძენებული და მაინც ახალგაზრდულად შემართული, მარადიული ნიჭირებით გამორჩეული რამაზ ჩხიფავაძე. ეკრანზე და მასთან ერთად დარბაზშიც წამდვილი სიხარული სუფევს, ამგვარ დადებით ემოციებს მონატრებული მაყურებელი აპლოდისმენტებს არ იშურებს. და აქვე თავს ჩემს კიდევ ერთი უაღრესად სასიხარული ტენდენცია: პროდიუსერმა სამახსოვრო საჩუქრებით და დარბაზიში და კოტებით დაასაჩუქრა „ქეთო და კოტეს“ მონანილე, დღეს ცოცხალი მსახიობები; შეუჩინებელი ამგვარ ყურადღებას, ისინი მოკრძალებულად ამოვიდნენ სცენაზე, ზოგი მათგანი ფილმში საქანელაზე ქანაბდა და მერაბმა შეატარებისათვის ასახსოვრო საჩუქრებია: პროდიუსერმა სამახსოვრო საჩუქრებით და დარბაზიშიც წამდვილი წლის წინ. ეს ისეთი შესანიშნავი განცდაა – მონანილე გაბადე ადამიანის ღვანილის დაფასებისა, რაც, სამწუხაროდ, ასეთი იშვიათობა ჩევნს სინამდვილეში! და ყველაზე გასახრელი კი ის არის, რომ ამ კეთილშობილ ტენდენციას ამკვიდრებს სულ ახალგაზრდა და თითქოს არა თბილისელი კაცი! მაგრამ აჩიკო ხომ ნანა ანჯაფარიძის და ვიკა გელოვანის შვილია. ისინი კი, მოსკოვში ცხოვრების მიუხედავად, ნამდვილი თბილისელი და სულ უბრალოდ ერთობით დაასაჩუქრა ჩემი დეიდები, რომელთანაც ერთად ვმუშაობდი მრავალი წლის წინ. ეს ისეთი შესანიშნავი განცდაა – მონანილე გაბადე ადამიანის ღვანილის დაფასებისა, რაც, სამწუხაროდ, ასეთი იშვიათობა ჩევნს სინამდვილეში! და ყველაზე გასახრელი კი ის არის, რომ ამ კეთილშობილ ტენდენციას თბილისში ამკვიდრებს სულ ახალგაზრდა და თითქოს არა თბილისელი კაცი! მაგრამ ნანა ანჯაფარიძის და ვიკა გელოვანის შვილია. ისინი კი, მოსკოვში ცხოვრების მიუხედავად, ნამდვილი თბილისელი და სულ უბრალოდ ერთობით დაასაჩუქრა ჩემი დეიდები? ემიგრანტებთან შეხვედრა ხომ სულ უბრალოდ აკრძალული და დაუშვებელი იყო საბჭოთა კანონებით. ჩემი აფორიაქება გავანდე ალექსე გერმანს, ჯგუფის ყველაზე ხნიერ წევრს, ცონბილ მნერალს და ფარულ დისიდენტს, რომელმაც მაშინვე ასეთი გეგმა შეიმუშავა: კიდევ ერთ მწერალთან, ალექსანდრ გალიჩთან ერთად მათ გერმანების ოთახში შეიტყუეს ჯგუფის ადრევე გაშიფრული „კაბეგეშნიკი“ და მთელი საღამო მასთან ერთად სვამდნენ არაყს. მე კი ამასობაში ვნახე ჩემი დეიდები, რომლებიც კონსპირატიულად მელოდებოდნენ სასტუმროს სადარბაზოსთან

ადამიანი ცხოვრებს ერთდროულად აწმყოში და წარსულში, დღეს და გუშინ. ხანდახან „გუშინ“ უფრო ცოცხალია, ვიდრე „დღეს“, უფრო დატვირთული მოვლენათა მრავალფეროვნებით, გრძნიბათა სიმძაფრით, სიგურითაც კი.

ვნებებით სავსეს, ვიგონებ წარსულს,  
სიუხვეს ფერთა ...

ასე ამბობს ვერლენი. და მასთან ერთად მეც ხშირად ვიგონებ წარსულს, სავსეს ვნებებით და ფერთა სიუხვით. უფრო ზუსტად, რაღაც წუთებით ვცხოვრობ წარსულში და ვგრძნობ, როგორ მდიდრდება იმ გარდასული ვნებებით ეს ხშირად ერთფეროვანი დევანდელობა – ის ვნებები ხომ ისედაც არსებობენ შენში და მხოლოდ შენს ძალისხმევას ელიან, რომ გაცოცხლდნენ და ამოტივტივდნენ. და მე მინდა ასეთი რჩევა მიუცე ჩემი ასაკის ადამიანს: ხანდახან შეეცადე, მოსწყდე ყოველდღიურობას, გადაეშვა წარსულში, თუნდაც ის ტრაგიული იყოს, დანერო იმის შესახებ, რამაც დალი დააჩნია შენს ცხოვრებას, და თვალნათლივ დაინახავ, როგორ ღრმავდება და ფაქიზდება შენი კავშირი შენსავე ეპოქასთან და ქვეყანასთან. ეს კი შენც გჭირდება და ქვეყანასაც, ვინაიდან ამ ცალკეული განცდებისა და ფიქრების დაფიქსირებით იქმნება ეპოქის საერთო სახე.

78 წლის ასაკში კიბოთი გარდაიცვალა ჰაროლდ პინტერი. „ამ გარდაცვალების შედეგად დაისადგურა დიდმა სიჩუმემ. დადუმდა სინდისი, სინდისი ადამიანისა, რომელიც იბრძოდა ლიტერატურის, ძირითადად თეატრის ფრონტზე, მაგრამ ამავე დროს ჩართული იყო სამყაროს სკოლაში, რომლის გადახვევებსაც ამხელდა დიდი სიმტკიცით“, – წერს „ლე მონდი“. „მიუხედავად ტანჯვისა, რომელიც იყითხებოდა მის მშვენიერ სახეზე, ის იყო ისეთივე ელეგანტური, იუმორით სავსე და გალანტური. ის ნამდვილი არისტოკრატი იყო, საუკეთესო საუკეთესოთა შორის“.

როცა ეკითხებოდნენ, რატომ დაინტერესების წერა, პასუხობდა ჩინური ანდაზით: „ადამიანები ადიან მთაზე იმიტომ, რომ ისინი აქვე არიან“, რაც ნიშნავდა, „კარისკაცის“ ავტორი წერდა თეატრისთვის იმიტომ, რომ თეატრი აქვე იყო.

ბერტოლდ ბრეხტისა და სამუელ ბეკეტის გვერდით პინტერი დარჩება, როგორც მე-20 საუკუნის უდიდესი დრამატურგი. მან თქვა ახალი სიტყვა თეატრალურ ენაში, რომელსაც თვითონ ასე ახასიათებდა: „ის, რაც ჩვენ გვესმის, მინიშნებაა იმაზე, რაც არ გვესმის“. მისი აზრით, ჩვენთვის დამახასიათებელია არა არაკომუნიკალურობა, არამედ ზედმეტი კომუნიკალურობა. „ჩვენ ვურთიერთობთ მაშინაც, როცა ვდუმვართ, ვინაიდან დუმილი არის აგრესია ადამიანისა ადამიანის მიმართ. მის განთქმულ დუმილებში, თუ მათ ყურს მიუგდებთ, გვიგონებთ ტყუილს“, – ასე ამბობს რეჟისორი კლოდ რეჟი.

ნობელის პრემიის მიღებისას პინტერი ამბობდა: „სიმართლე თეატრ-

ში ყოველთვის მიუწვდომელია. მის ძიებაში არის რაღაც იძულებითი. ცალკეული სიმართლები ეპრძეიან ერთმანეთს, ასახავენ ერთმანეთს, ბრძანი არიან ერთმანეთის მიმართ. მაგრამ მოქალაქე ვალდებულია, გაარჩიოს სიმართლე ტყუილისაგან. როცა სარკეში ვიხედებით, გვგონია, რომ ანარეკვლი ზუსტია. მაგრამ გაინძერით ერთი მილიმეტრით და გამოსახულება შეიცვლება. ფაქტობრივად, ჩვენ ვხედავთ ანარეკლების უსასრულო გამას. მწერალმა ხანდახან უნდა დაამსხვრიოს სარკე, რადგანაც სიმართლე გვიყურებს თვალებში სარკის მეორე მხრიდან. მე მჯერა, რომ მიუხედავად ყველა არსებული წინააღმდეგობისა, იყო ინტელექტუალურად დამიუკიდებელი და გქონდეს, როგორც მოქალაქეს, მტკიცე, სტოკური და შეუცვლელი გადაწყვეტილება, დაინახო ნამდვილი სიმართლე ჩვენი ცხოვრებისა და ჩვენი საზოგადოებისა, არის ჩვენი საბედისწერო მოვალეობა. იმპერატიული მოვალეობა“.

მიხარია, რომ ქართულმა ჯერ კიდევ 80-იან წლებში პატივი მიაგო პინტერს: ნანა ხატისკაცმა რუსთაველის თეატრის პატარა სცენაზე დადგა მისი „კარისკაცი“, იმდროიდელი ქართული რეპერტუარისთვის უჩვეულო, დახვეწილი, შავი იუმორითა და ტრაგიზმით სავსე სპექტაკლი. ორი ძმა და კარისკაცი. ავთო მახარაძე, მერაბ თავაძე და ბორის წიფურია... სამი ადამიანი, აბსურდულ სიტუაციაში ჩართული, ერთმანეთში ჩახლართული ბედით, ერთმანეთზე ბატონიბის წყურვილით შესყრობილნი. ნანამ, რომელიც სულით ხორცამდე რეჟისორი იყო და ნამდვილი ნოვატორი, მხატვრული ინტუიციით შექმნა ის სივრცე, რომელიც თურმე არსებითი იყო პინტერის დრამატურგიაში: სპექტაკლში ბატონიბდა პინტერისული დუმილი, პერსონაჟთა უცცარი გაჩუმება, რომლის საშუალებითაც ადამიანები ურთიერთობენ და ახორციელებენ აგრესიას ერთმანეთის მიმართ. დუმილი, რომელიც თავის თავში იტევს ტყუილს. რეჟისორმა ამოატივტივა პიესის არსი:

ყველაზე ბანალურ სიტუაციაში – ორი ძმის ურთიერთობაში – გამოააშეარვა ადამიანის შემაშფოთებელი მისწაფება, დაიმორჩილოს მეორე ადამიანი, ძალაუფლების მოპოვების წყურვილი – ადამიანის იმპერატიული მოთხოვნილება. სამწუხარო ის არის, რომ სპექტაკლი მაყურებელმა თითქმის ვერ ნახა. ის გენერალური რეპეტიციის მერე აკრძალეს; როგორც ჩანს, ცენზურამ მასში საბჭოთა სინამდვილისთვის შეუფერებელი ტენდენციები დაინახა.

ვფიქრობ ნანა ხატისკაცზე – რეჟისორზე. მისი პალიტრის მრავალფეროვნებაზე. მისი სპექტაკლები – ასე თანამედროვედ ევროპული და ასე ძირეულად, ტრადიციულად ქართული.

>>> გაგრძელება გვ. 124





## ქალაუფლების დისკურსი საქართველოს მართლაცილებელ ეკლესიაში

<< დასახი გვ. 40

**ბეჭა მინდიაშვილი** - როდესაც 2006 წელს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საშობაო წირვა ნახევარი საათის დაგვაინტენით გაუშვა, როგორც ვიცი, ძალის დიდი განგაში ატყდა საპატრიარქოდან ხელისუფლების მიმართ და ხელისუფლება მაუწყებლის საქმიანობაში ჩაერია. ასეთი ფაქტი ბევრია. არაფერი ვიცით ეკლესის ეკონომიკური საქმიანობის შესახებ, რაც ასევე ძალიან საინტერესოა, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ ბოლო წლების განმავლობაში ეკლესია დიდი მიწოდებლებით გახდა. ეს რეალობა აღუნერელია, საზოგადოებისთვის უცნობია ბევრი რამ. ის, რომ ამაზე არავინ საუბრობს, სწორედ ცენტრულის ბრალია. შეგვიძლია ვისაუბროთ როგორც ხელისუფლების, ისე ეკლესის ავტორიტეტიზმზეც. ცენტრული ეხება კულტურის სფეროსაც. შეიძლება გავიხსენოთ, რომ საპატრიარქოს პოზიციის შემდეგ აკრძალულა სპეციალური, ჩამოუხსნიათ აბრეხი და ა. შ.

**ფიქრია ჩიხრაძე** - საპირისპირო მაგალითებიც არსებობს. ეკლესია შეიძლება ვალდებულად თვლიდეს თავს, გამოხატოს პოზიცია. გავიხსენოთ „და ვინჩის კოდი“, როცა ფილმის ჩვენება საპროტესტო აქციების ფონზე მიმდინარეობდა.

**ზურაბ კიკნაძე** - ეკლესიამ ბევრი რამ განსაზღვრა ჩვენი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებასა და ჩამოყალიბებაში. ახლა დრო შეცვალა და დღეს ეკლესიას უნდა, ის უფლებები აღიდგინოს, რაც ფერდალურ ხანაში პერიოდი, სურს, ფერდალი გახდეს. ეს ხომ აბსურდია. კონკრეტულის პრემბულაში ენერა, რომ ეკლესია დაზიანდა 200 წლის და, განსაკუთრებით, ბოლო 70 წლის მანძილზე. მაგრამ მაშინ ხომ მთელი ქართველი ხალხი დაზარალდა. დღეს ეკლესია ხალხისგან განზე გადგა. ვინ უნდა აუნაზღაუ-

როს ქონება, იმავე ხალხმა, ვინც თვითონაც დაზიარალდა? გაიხსენეთ, ეროვნული მოძრაობა რელიგიური მოძრაობა იყო. სწორედ მაშინ იყო, კათოლიკური ეკლესიები რომ მიიტაცეს. მაშინ საქართველოში კათოლიკური მრევლი ცოტა იყო, მაგრამ რაც უნდა ცოტა იყოს მრევლი, ეს მანიც კათოლიკური ეკლესიის მყოფობაა საქართველოში და მათ ჰქონდათ უფლება, შესულიყვნენ საკუთარ ტაძრებში. რატომ არ დაიდო ასეთივე შეთანხმებები კათოლიკურ ეკლესიასთან? კათოლიკები გუშინ არ მოსულან საქართველოში. რატომ ხდება ასე? ამას არავინ არ ემაურება. ვთქიერობდი, რომ ებრაელებს მანიც არ შეექმნებოდათ პრობლემა, რადგან სინაგოგები ვერ გადაკეთდებოდა ეკლესიებად. რამდენიმე ენლინადი იყო დავა სინაგოგაზე, ყველამ ვიცოდით, რომ ეს შენობა სინაგოგა იყო. მაშინ აკადემიკოსი ბერიძე მოვიდა სასამართლოზე და თქვა, – ეს ტიპიური ქარვასლააო. პატრიარქმაც ასე თქვა, – ქარვასლაო. როცა არ ვეინდა, ვერ გავარჩევთ ქარვასლას სინაგოგისგან. მერე ებრაელებმა მოიგეს ეს პროცესი.

**ზურაბ პაპიძე** - თუ გვინდა, რომ თავისუფალ საზოგადოებაში ვიცხოვოთ, არ უნდა არსებობდეს ტაბუ არსად, არც ერთ სფეროში, მაგრამ მანიც სიფრთხილისკენ მოგინოდებთ. თუ რაღაც ორგანიზებულობაა ამ ქვეყანაში და ერთმანეთს ქვებს არ ვესვრით, ეს ეკლესიის დამსახურებაცაა. აქ საჭიროა ფორმის მონახვა, დარწმუნებული უნდა ვიყოთ არგუმენტებში. ჩვენი პატრიარქის ავტორიტეტის გამი, მის ირგვლივ უმრავი ხალხი ტრიალებს. ალბათ ამ ხალხიდან ვიღაც დამოუკიდებლადაც მოქმედებს. სიფრთხილეა საჭირო, რომ მთავარი ძარღვი არ დავაზინოთ. მე ბოლო 6 თვის მანძილზე ჩემი მცირე კონტაქტით ვერ დავინახე, რომ საპატრიარქოს ხელისუფლებაზე გავლენის რაიმე მექანიზმი აქვს. პირიქით, მომეჩვენა, რომ კონტაქტი მინიმალურია.

**ბეჭა მინდიაშვილი** - დღეს თეოკრატიის არა, მაგრამ იეროკრატიის ნიშნებზე საუბარი ნამდვილად შეიძლება. 2004-2005 წლებში დღევანდელ ხელისუფლებას ჰქონდა პრეტენზია, რომ თვითონ ყოფილიყო უზენაესი მმართველი. მასთვის შემთხვევა, როცა სპეციაზი შევიდა ერთ-ერთ მონასტერში, რადგან ეგონათ, რომ იქ დამაშავე იმაღლებოდა. ამის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრი ჩავიდა მეუფე ზენონთან და ბოდიში მოუხადა, რადგან ეს იყო ზღვარს გადასვლა. ის ადამიანი, ვინც ოპერაცია დაგეგმა და განახორციელა, თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ეკლესიამ აჩვენა, – ჩემთან შემოსვლის უფლება არ გაქვთო; ასევე ფერის მთის ამბავი – მაშინ მეუფე დიმიტრი აცხადებდა, – ეს საქართველოს მინაა და ადრე ეკლესია ყოველთვის იქ აშენებდა ტაძარს, სადაც მოესურებოდა. როგორც ჩანს, ეს არის ორ ძალაუფლებას შორის ჭიდილი. დღეს ხელისუფლებას ასეთი ამბიცია აღარ აქვს, უკვე კარგად იცის, ვინცაა ამ ქვეყანაში უზენაესი.

მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს იმის რესურსი, რომ საკუთარი თავი დაიცვას, რელიგიურ უმცირესობებს კი ეს რესურსი არ გააჩნიათ. ჩვენი ვალია, რომ მართლმადიდებლობის დაცვა არ მოხდეს უმცირესობების დაკინების სარჯზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ეკლესიისთვისაც. არა აქვს მნიშვნელობა, ეკლესიასთან ურთიერთობის რა პოლიტიკური რეჟიმი იქნება. ინგლისში ნაციონალური ეკლესიის ცნება არსებობს და ეპისკოპოსები ლორდთა პალატის წევრები არიან, მაგრამ ინგლისის ანგლიკანური ეკლესია ე.წ. სექტანტური ჯგუფების პირველი დამცველია.

ჩვენთან ეკლესიის გავლენა ერთნაირად ძლიერია ოპოზიციაზეც და ხელისუფლებაზეც. ეკლესიას უნდა, პოლიტიკური პროცესების ნარმართველი იყოს. სწორედ ამას უკავშირდება განცხადებები იმის შესახებ, რომ მომავალი პოლიტიკური ინსტიტუცია ეკლესიის წილში დაიბადება და მონარქი ეკლესიის კარზე უნდა აღიზარდოს.

**მაია ცაცანაშვილი** - აქ ითქვა, რომ თეოკრატიზმის საფრთხე არსებობს, ტერმინი „კონკორდატი“ ასენეთ, რაც სწორედ თეოკრატიის მაჩვენებელია. სწორედ კონკორდატის დადების შემდეგ შეიქმნა ვატიკანი. ხელშეკრულებას პქვია „საკონსტიტუციო შეთანხმება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის“. ამერიკაში რელიგიის მხრივ ასეთი მდგრმარეობა: კონსტიტუციაში ეს არანია და დაფიქსირებული, იქ დაახლოებით 3000 რელიგიური ორგანიზაციიადან და მათ შორის ფინანსდება 1200. ეკროპაში ორი ტიპის მოდელია – ერთია სახელმწიფო რელიგიის მოდელი, მაგალითად, ბრიტანეთსა და საბერძნებიში, და მეორე – სახელშეკრულებო, როცა სახელმწი-

ფო სუბიექტებსა და ეკლესიებს შორის იდება ხელშექრულებები. რაც შეეხება საქართველოს საკონსტიტუციო მოდელს, რადგან კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ ეკლესიას განსაუთებებული როლი აქვს საქართველოს ისტორიაში, ამ როლის დასადგენად შეიქმნა ეს საკონსტიტუციო შეთანხმება. ევროპაში თავისუფლება ტრადიციული რელიგიების ფონზე განვითარდა, ამერიკაში კი ცარიელ ნიადაგზე წარმოიშვა და, თავისთვის, განსხვავებულია. ჩვენი მოდელი ევროპულთან რაღაცნაირად მიახლოვებულია, მაგრამ არა იმ სტატუსით, როგორც ევროპაშია ცალკეული ეკლესიების მიმართ. რომელმა კონფესიამაც უნდა ჩივლოს ევროსასამართლოში, მათ არავინ სთხოვს საბუთს, რეგისტრრებულია თუ არა. დაცვის მექანიზმები რელიგიური ორგანიზაციებისთვის სტატუს კვლე არსებობს. როცა ეკლესის მიერ ცენზურაზე საუბრობთ, და თან ტერმინ „კონკორდატს“ ხმარობთ, ინფორმაციულ ომს აწარმოებთ ეკლესის წინააღმდეგ. ეს ხელშექრულება საფრთხე მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა, თუ მას კონკორდატის შინაარსი ექნებოდა.

**ნუგზარ პაპუაშვილი** - მაგრამ ამ ხელშექრულებაში იკითხება სრულიად ანტიკულტურული ცნობიერება. როდესაც კულტურის ძეგლი

ცხადდება რომელიმე ეკლესის საკუთრებად, ყოველთვის არის იმის შანსი, რომ ნებისმიერმა კონფესიამ მოითხოვოს ისტორიულად თავისი ძეგლი. მაგალითად, ჩვენში არსებობს უძველესი ხელნაწერი, ლაილაშის ბიბლია. ესაა უძველესი ეპრაული ხელნაწერი ამაზე ცნობილი ძეგლი ქართულ ხელნაწერებში არ არსებობს. მისი გატაცებაც კი უნდოდათ, მაგრამ ეს ამბავი არ გახმაურებულა. შარშან საქართველოსა და თურქეთის კულტურის სამინისტროებს შორის უნდა დადებულიყო ხელშექრულება ისტორიული ძეგლების რესტავრაციის თაობაზე. თურქეთის მხარე თანახმა იყო, აღედგინა ტაო-კლარჯეთის ქართული ძეგლები, რომელებიც დღეს სავალალო მდგომარეობაშია, სამაგიეროდ ითხოვდა სამი მეჩეთის რესტავრაციას – თბილისში, ახალციხესა და ბათუმში. ბუნებრივია, აღდეგნილ მეჩეთებს მხოლოდ კულტურული დანიშნულება ექნებოდათ, ისევე, როგორც ქართულ ეკლესიებს თურქეთში. ამ მნიშვნელოვან ხელშექრულებას ეკლესის ზენოლის შემდეგ ვეღარ მოეწერა ხელი. ეკლესია ასეთ შემთხვევებშიც ფარად იყენებს საკონსტიტუციო ხელშექრულებას.


**ზურაბ კიკნაძე** - ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეკლესიას სახელმწიფოს რესურ-

სები სექტების წინააღმდეგ ბრძოლისთვის სჭირდებოდა. ხშირად მსმენია მაღალი რანგის მღვდელმთავრებისგან, რომ თუ სახელმწიფო არ დაეხმარებათ, სექტების წინაშე ეკლესია უმწერა. არადა, ძალიან სახიფათოა ეკლესისა და სახელმწიფოს „ჩახუტება“.

**რამდენად შესაძლებელია მართლმადიდებლობის თანამდეროვე ლიბერალურ ლირებულებებთან შეთავსება?**

**ზურაბ კიკნაძე** - საპერძეოთში მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიაა, და იქ კონსტიტუციაში ჩანერილია, რომ ეკლესია სახელმწიფოსთან გადაჯაჭვულია. ეს ბიზანტიური მოდელია. დღევანდელ საბერძნეთში ეს იმიტაციაა, და მიუხედავად სამართლებრივი მხარისა, ეკლესისა არ აქვს დიდი უფლებები, იმიტომ, რომ იქ ლიბერალურ სულისკვეთება გამჯდარი აქვს საზოგადოებას. აბა, გამოვიდეს რომელიმე პარტია და თქვას, რომ არ აღიარებს ლიბერალურ ლირებულებებს. რუსეთშიც კი, როგორც ნუგზარმა თქვა, ეკლესიაში გაცილებით მეტი თავისუფლებაა. რუსეთში ეკლესიას დიდი გაელენა აქვს რუსეთშიც და მთელ მსოფლიოშიც. ნუ დაგვავიწყდება, ყველაზე დიდი თეოლოგები რუსები არიან –

## ზოგიერთი დღე Live Show



MARRJANOFF EXPRESS-ია

მუს. +995 32 36 95 16 +995 32 36 03 23  
მუს. 1. # 8

ბერდიაევი, ლოსკი, მამა სერგი ბულგაკოვი. ჩვენი პატრიარქი ხშირად იმოქმებს მათ. რუსეთთან კულტურული კავშირების გაწყვეტა არც ეკლესიას უნდა მოუნდეს და არც სხვებს.

**ბექა მინდიაშვილი -** თქვენ დაასახელეთ ძალიან დიდი ავტორიტეტები, რომელთაც თვითონ რუსეთის ეკლესია დევნიდა. ისნი არც საქართველოს ეკლესიაში არიან პოპულარულები. სამწუხაროდ, ჩვენი ეკლესიის თანამედროვე რეალობა აცდენილია სახარებისეულ ღირებულებებს. ის, რა ღირებულებებითაც ცხოვრობს ეკლესია, წინააღმდეგობაშია დემოკრატიულ და ლიბერალურ ღირებულებებთან, ასევე – სახარებისეულ მოძღვრებასთან, რომელსაც ადამიანის თავისუფლების პატივისცემა უდევს საფუძვლად.

ის, რაც კათოლიკურ ეკლესიაში გასული საუკუნის 60-იან წლებში მოხდა – აჯორნამენტო, განახლება, ჩვენთან არ მომხდარა. იქ მაშინ განხეთქილებაც იყო, რომლის ძირითადი მიზეზი სხვისი თავისუფლების აღიარება იყო. ამ კრებამ გადაწყვიტა, რომ თუ კათოლიკე არ ხარ, მაინც რჩები ლეთის ხატად ასეთი მარტივი რამ განხეთქილების მიზეზი გახდა. მართლმადიდებლობა ჩვენთან აცდენილია რწმენას და გაგებულია იდეოლოგიად, პილიტიკურ ინსტრუმენტად. სწორედ ესაა ბიზანტიის. არა-და, ეკლესიის ერთადერთი ამოცანა და მისიაა, დაუკავშიროს ადამიანი ქრისტეს მოძღვრებას, დაუკავშიროს მეორე ადამიანს სიყვარულით.

**ნუგზარ პაპუაშვილი -** ერთ საინტერესო მაგალითს გავიხსენებ – იყო ასეთი ეპისკოპოსი ამბორისი მედიოლანელი, რომელმაც თეოდოსი იმპერატორი არ შეუძვა ეკლესიაში იმის გამო, რომ მან არიანელებს სცემა. თვითონ მართლმადიდებელი იყო, მაგრამ არიანელები დაიცვა. რა თქმა უნდა, ეკლესიის ფესვებში დემოკრატიული ღირებულებები დევს.

**მაია ცაცანაშვილი -** გეტყვით, რომ სადაც უნდა წახვიდეთ, ყველგან შეგხვდებათ ასეთი შეხედულებები. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებს, რომ ჩემი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც ინწება თქვენი თავისუფლება. უფლებები ვალდებულებების გარეშე არ არსებობს. მესმის, რომ თქვენ, როგორც მორწმუნეს, გული გტკივათ რაღაცაზე, მაგრამ ეკლესია საზოგადოებრივი ერთობაა, სადაც რაღაც წესები მოქმედებს, ისევე – როგორც სახელმწიფოში. თქვენ ბრძანეთ, რომ რაღაც ცვლილებებია საჭირო. კანონი არასდროს არაა დასრულებული, ის უნდა განვითარდეს, მუშაობა უნდა გაგრძელდეს. დღეს ასეთი სურათია – რაც ერი, ის ბერი. შესაძლოა, რაღაც პრობლემები არსებობს, ვფიქრობ, მაინც უფრო ემოციის დონეზე ვსაუბრობთ, ვიდრე

გააზრებულად. სამართლებრივი საკითხები სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს.

**ზურაბ კინაძე -** საქმეც ისაა, რომ სასამართლოს არ გამოაქვს ეკლესიის სანინააღმდეგო განაჩენი, სწორედ ესაა პრობლემა. და ეს გამოთქმა, „რაც ერი, ის ბერი“, საშინელია. იმიტომ, რომ ბერი ბევრად უფრო მაღლა უნდა იდგეს.

**ფიქრია, დღეს თუკი რაიმეზე შეთანხმდა ოპოზიცია და ხელისუფლება, ეს სწორედ ეკლესიასთან დამოკიდებულებაა. შეიძლება, მოსახლეობის ნდობა ეკლესიას იმანაც მოუტანა, რომ ინსტიტუტები, რომელიც ქვეყანაში უნდა მუშაობდეს, ცუდად მუშაობს. თვითონ ეკლესიისთვის რამდენად მომგებიანია პოლიტიკოსების და ხელისუფლების ამგვარი დამოკიდებულება?**

**ფიქრია ჩიხრაძე -** არ არის მომგებიანი და ეკლესიისთვისაც და სახელმწიფოსათვისაც ბევრად უკეთესი იქნება, რომ სფეროები რეალურად იყოს გამიჯნული. ნამდვილად ჯობს, მიქვევა-მოქცევები ამ სფეროში არ არსებოდეს. ბევრი ადამიანის წინაშე დგას ეს პრობლემა – წინააღმდეგობაშია თუ არა დემოკრატია და ქრისტიანული ღირებულებები. მეც ბევრი მიფიქრია ამაზე, იმიტომ, რომ მართლმადიდებელი ვარ. ბექა ამბობდა, რომ თავისუფალი ნება არის რწმენის საფუძველი და ასეა დემოკრატიისაც. ეს ჩემს რელიგიურ მრნამში და პოლიტიკურ მოღვაწეობაში დიდ კომფორტს მიქმის. თუმცადა, არის თემები, რომლებიც კონკრეტულ შემთხვევებში, შეიძლება ერთმანეთს შეეჯახოს. შეიძლება, რაღაც შეცდომებია დაშვებული ჩვენს თანამოქალაქეებთან, კონფესიებთან მიმართებაში, მაგრამ შეცდომები ბევრ სხვა სფეროშიც დაიშვა. აფხაზეთსა და ოსებთან მიმართებაში ხომ დაუუშვით შეცდომები, რომლებიც გამოუსწორებელ ზღვარს მიუახლოვდა? მაგრამ ვფიქრობთ, რომ გამოსწორდება. ეს პოსტსაბჭოთა პერიოდის პრობლემები უფროა, ვიდრე ეროვნული ხასიათის თვისება. გუშინ ვუყურებდი ლატეიისა და რუმინეთის მივლენებს. ერთგან 1000 კაცი გამოიდა ქუჩაში, მეორეგან 2000. ის ადგილები დაინგრა და დაილენა. ჩვენთან 100 000 კაცი გამოსულა ქუჩაში, მაღლობა ღმერთს, მსგავსი არაფერი მომხდარა. როგორც აფხაზებთან და ოსებთან უნდა დავალაგოთ ურთიერთობა, ისევე უნდა დავალაგოთ კონფესიებთანაც. მე ვცდილობ, ეს პოლიტიკურად გავაკეთო. თუ მეუბნებით, რომ ხმალი უნდა ამოვილო და ეკლესიას ვევეთო, არ გავაკეთო ამას, იმიტომ, რომ მიმართა, გულშემატეივრის პოზიციიდან ბევრი რამის გავაკეთება შეიძლება; არ ვთვლი, რომ ეკლესიას უნდა წაუყენონ პრეტეზია დემოკრატიულობასთან დაკავშირებით, როცა

ყველა სფეროში უკიდურესად მძიმე პრობლემებია. მიმართა, რომ საზოგადოების დემოკრატიზაცია ბევრი სფეროს დემოკრატიზაციას მოიტანს. პოლიტიკური კონიუნქტურა ეკლესიის მიმართ ძალიან ცუდია, და სულ ვცდილობ, ჩემი თავი გავაკონტროლო. ძალიან არ მიყვარს კამერის თანხლებით ეკლესიაში მისვლა, მაგრამ ხანდახან მანც მიწევს. პოლიტიკოსები კრიზისის დროს საპატრიარქოს და პატრიარქების მიმართავენ, რადგან საზოგადოებაში მისი მიმოკვეთილი ინსტიტუტები არ არსებობს, მედია და სამოქალაქო საზოგადოება ვერ ასრულებს თავის ფუნქციას და ვისაც აეტორიტეტი აქვს, სწორედ იმას მიმართავენ. ამაში ცუდი არაფერია.

**ზურაბ პაპაშვილი -** ზუსტად ასეთივე პროცესები მოხდა რუსეთშიც, პოსტსაბჭოთა მართლმადიდებლურ ქვეყნებშიც – ელცინმა, კუჩამა, ლუკაშენკომ იგივე გააკეთეს. ეს გააკეთეს ცენტრალური აზიის ქვეყნებში. რელიგიის გამოყენება ძალაუფლებისთვის პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის დამახასიათებელია.

**ნუგზარ პაპუაშვილი -** ვერ დაგეთანხმდებით. თუ დღეს რუსეთში სახელმწიფოს აქვს გავლენა ეკლესიაზე, ჩვენთან პირიქით – ეკლესიის გავლენა სახელმწიფოზე, ეკლესია ახდენს დიქტატის სახელმწიფოზე. ბექამ სწორად აღნიშნა, ჩვენთან თეორეტიკის კი არა, იეროკრატიის, სასულიერო პირების დიქტატია.

**ეკლესიისთვის რამდენად მომგებიანია ეკლესიის გავლენა სახელმწიფოზე და პირიქით?**

**მამა ზაზა -** ძალაუფლებისკენ ლტოლვა, მთავრობისმოყვარეობა ადამიანის ერთ-ერთი სისუსტეა. მაგრამ ეკლესიას, უპრეველეს ყოველისა, ზემინიერი დანიშნულება აქვს, ესაა გზა ზეციური იურუსალმისკენ. როდესაც ეკლესიის და სახელმწიფოს ასეთი მკვითირი ბმაა, ეს მთელი საზოგადოებისთვისაა საზიანო. მაინც ვფიქრობ, ასე იმიტომ ხდება, რომ სახელმწიფო დანიშნულება ვერ აგვარებს. თუ უკეთესი შეასრულებს თავის ფუნქციას, მაშინ გვექნება ლიბერალური დემოკრატია, სადაც გველების გამოცილებია. როგორც აფხაზებთან და ოსებთან უნდა დავალაგოთ ურთიერთობა, ისევე უნდა დავალაგოთ კონფესიებთანაც. მე ვცდილობ, ეს პოლიტიკურად გავაკეთო. თუ მეუბნებით, რომ ხმალი უნდა ამოვილო და ეკლესიას ვევეთო, არ გავაკეთო ამას, იმიტომ, რომ მიმართა, გულშემატეივრის პოზიციიდან ბევრი რამის გავაკეთება შეიძლება; არ ვთვლი, რომ გამოსულა ქუჩაში, მაღლობა ღმერთს, მსგავსი არაფერი მომხდარა. როგორც აფხაზებთან და ოსებთან უნდა დავალაგოთ ურთიერთობა, ისევე უნდა დავალაგოთ კონფესიებთანაც. მე ვცდილობ, ეს პოლიტიკურად გავაკეთოთ. თუ მეუბნებით, რომ ხმალი უნდა ამოვილო და ეკლესიას ვევეთო, არ გავაკეთო ამას, იმიტომ, რომ მიმართა, გულშემატეივრის პოზიციიდან ბევრი რამის გავაკეთება შეიძლება; არ ვთვლი, რომ ეკლესიას უნდა წაუყენონ პრეტეზია დემოკრატიულობასთან დაკავშირებით, როცა

**ბექა მინდიაშვილი -** მთავარი პრობლემა, ჩემი აზრით, ჩვენს საეკლესიო ცნობიერებაშია. ვერ ვპოულობთ ორიენტირს იქითკენ, რომ დავუბრუნდეთ ცოცხალ რწმენას. ეკლესიაში დღეს, სამწუხაროდ, ლიბერალური ფლანგი აღარ არსებობს. გარკვეული თვალსაზრით, მამა ზაზაც დევნილია. სამწუხაროდ, ძირითადი დისკურსი დღევანდელ ეკლესიაში ძალაუფლების დაკავშირებით, როცა



<<< დასაცყისი გვ. 48

პალესტინელებს სრულიად განსხვავებული ხედვა აქვთ. ბუტუ აცხადებს, რომ, რაც ისრაელი ღაზიდან გავიდა, ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ეკონომიკა არ განვითარებულიყო. „როდესაც ისრაელელები გავიდნენ, იმედი მოგვეცა, რომ ღაზელ პალესტინელებს ოდნავ მაინც მიეცემოდათ თავისუფლად ცხოვრების საშუალება. იმედი გვქონდა, რომ სასაზღვრო პუნქტები გაიხსნებოდა. ნამდვილად არ ველოდით, თუ მათხოვრობა მოგვიწვდა ჩვენთან სა-

ჭმლის შემოტანის უფლების მისაღებად,“ – განმარტავს ბუტუ.

მისივე თქმით, სამი წლის წინ, ჯერ კიდევ პამასის არჩევამდე ისრაელს უკვე ბლოკადში ჰყავდა მოქცეული ღაზი. პალესტინელები იძულებული იყვნენ, მიემართათ შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კონდოლაზა რაისისთვის და მსოფლიო ბანქის პრეზიდენტ ჯეიმს ვოლფენსონისთვის, რათა მათი ზენოლით, ისრაელს ნება დაერთო, თუნდაც რამდენიმე სატვირთო მანქანა ყოველდღიურად შესულიყო ღაზის ტერიტორიაზე. ისრაელი დათანხმდა ამ

მოთხოვნას, თუმცა მოგვიანებით პირობა არ შეასრულა. „ეს ყველაფერი პამასის არჩევნებში გამარჯვებამდე ხდებოდა. ასე რომ, ყველაფერი, რასაც ისრაელი იჩემებს, ერთი დიდი მითია. თუ უკვე არ არსებობდა ჩვენი იზოლირებისენ მიმართული პოლიტიკა, რატომ დაგვჭირდებოდა რაისის და ვოლფენსონის შუამავლობა შეთანხმებისთვის?“ – კითხულობს ბუტუ.

იოსი ალფერმა, მოსადის სადაზვერვო სამსახურის ყოფილმა ჩინოვნიერმა და სამშვიდობმობაპარაკებების საკითხში მაშინდელი პრემიერ-მინისტრის, ეპუდ ბარაკის ყოფილმა მრჩეველმა, განაცხადა, რომ, მისი აზრით, ღაზის ბლოკადა მცდარი სტრატეგიაა, რომელმაც, შესაძლოა, გააძლიერა კიდეც პამასი: „არ მგონია, ვონმეს შეეძლოს იმის დამადასტურებელი არგუმენტების მოტანა, რომ ბლოკადა კონტრპროდუქტიული იყო, თუმცა, ცხადია, მის პროდუქტიულობასაც ვერავინ დაამტკიცებს. ძალიან დიდი შანსია იმისა, რომ კონტრპროდუქტიული ყოფილიყო. ეს არის კოლექტიური სასჯელი, უმძიმესი ჰუმანიტარული განსაცდელი. ბლოკადამ ვერ აიძულა პალესტინელები, ისე მოქცეულიყვნენ, როგორც ჩვენ გვსურდა. მაში, რატომ მივმართავთ ამ მეთოდს? ჩემი აზრით, ხალხმა ნამდვილად დაიჯერა, რომ თუ ღაზის მოსახლეობას ვაშმიშილებთ, ისინი პამასას აიძულებენ, შეტევები შეწყვიტოს. ეს მცდარი პოლიტიკაა, რომელსაც სრულიად დაუფიქრებლად კვლავ და კვლავ ვიმეორებთ.“

# დეგაპრინტ

**DEGAPRINT**

ციფრული რესატური გაზლა

ტელ.: +995 32 995007 / 998843  
ფაქსი: +995 32 995681

degaprint@caucasus.net





## მარში საქართველოზე

<< დასაცხის გვ. 60

თავიდან სანდრა და მიშა ქვინსში დასახლდნენ. მათი ბინა სარდაფში იყო, ბინის მფლობელი კი „სულ ელექტრონერგიის დაზიანება“ სისხლისათვის. სანდრა Cheesy Pizza-ში მუშაობდა და საათში ოთხ დოლარს იღებდა, მაგრამ დაბალოებით ერთ წელინადში ორივემ მოახერხა ნიუ-იორკის იურიდიულ ფირმებში სამსახურის შოვნა და საცხოვრებლადაც ზემო ვესტ-საიდში გადავიდნენ. „მშვინერი იყო, თითქმის ფუფუნებაც კი“, – მთხრა სააკაშვილმა.

მომდევნო წელს სააკაშვილმა სადოქტორო ხარისხის დაცვა გადაწყვიტა და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში საერთაშორისო სამართლის შესწავლა დაიწყო. სადისერტაციო თემად აირჩია უტი პოსსედეტის – საერთაშორისო სამართლის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ახლად შექმნილ ავტონომიურ სახელმწიფოებს იგივე საზღვრები უნდა დარჩით, რაც დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ჰქონდათ. სააკაშვილმა ამ პრინციპის არსი – სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე აშკარა მინიშნებით – ასე განმიმარტა: „ყოველი არალეგალური ქმედება უნაყოფოა“.

როდესაც ვაშინგტონში სასწავლებლად ჩავიდა და, თეთრი სახლის პირდაპირ, ლაფაიეტის სკვერში, უამრავი უსახლკრო ადამიანი და ვირთხები აღმოაჩინა, მახლობელი ქუჩები კი მოუვლელი დახვდა, საშინად შეშფოთდა. „მივხვდი, სინამდვილეში როგორი შეძლება იყოს სხვა ქვეყნების მთავრობები, – იხსენებს სააკაშვილი, – გზა მართლა საშინელ მდგომარეობაში იყო, უარეს დღეში – ვიდრე გზები შევარდნაძის დროს. მაგრამ, რადგან ადგი-

ლობრივი ხელისუფლება არ ფლობდა საკმარის თანხებს გზების შესაკეთებლად, ამაზე არავინ წუხადა. მერე რა, რომ ეს გზა თეთრი სახლისკენ მიდიოდა. წარმოიდგინეთ, აგერ აქვე ზის მსოფლიოს ყველაზე ძლიერამისილი პრეზიდენტი, მაგრამ ასფალტის შეკეთება კი ვერ მოუხერხებია!“ – აგრძელებს სააკაშვილი, – „ისინი ამას ძალაუფლების განაწილებას უნიდებენ. ვიღაცისთვის ეს დემოკრატიაა, მე კი ამას არაეფექტურ მართვას დაგარქევდი“.

სააკაშვილმა სადოქტორო კურსის დასრულება ვერ მოახერხა. 1995 წელს ზურაბ უვანიამ, შევარდნაძის პარტიის, მოქალაქეთა კაშირის ერთ-ერთმა ახალგაზრდა რეფორმატორმა, საქართველოში დაბრუნება და სასამართლო სისტემის რეფორმირებაში ჩართვა სთხოვა. სააკაშვილის სადოქტორო თემის ხელმძღვანელმა თომას ბურგენტალმაც, რომელიც წარსულში ჰოლოკაუსტს გადაურჩა, ახლა კი ჰაგის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეა, თავის სტუდენტს შინ დაბრუნება ურჩია. სააკაშვილი ბურგენტალის სიტყვებს ასე იხსენებს: „მისმინე, სულაც არა ხარ ვალდებული, ეს დისერტაცია დაწერო. შეცვალე შენი ქვეყანა და ამას ახალი ქვეყნის შენება დაარქვი. ბევრად უფრო საინტერესო იქნება“.

სააკაშვილი უკან დაბრუნდა და პარლამენტში სახელისუფლებო სიით შევიდა. 1999 წელს მან ვაკეში, თბილისის იმ უბანში იყარა კენჭი, რომელიც გასული საუკუნის ორმოცდათან, სამოციან წლებში აშენდა, პერიოდში, როდესაც საბჭოთა არქიტექტურა ჯერ კიდევ „აპარატჩიკების“ კლასისთვის მუშაობდა და გულუვებად ასაჩუქრებდა მათ მაღალჭერიანი, პარკეტიანი ბინებით. „ჩემი

კონკურენტი საგადასახადო ინსპექციის ძალიან კორუმპირებული ხელმძღვანელი იყო, – იხსენებს სააკაშვილი – მეგონა, რომ ადვილად გავიმარჯვებდი, რადგან ახალგაზრდა ვიყავი, თანამედროვე და ა.შ. და ა.შ. მაგრამ გამოკითხვებმა გვაჩვენა, რომ ძალიან დიდი მაჩვენებლით მისწრებდა. ეს იყო პირველი რეალურ სარჩევნო კამპანია საქართველოში. პირველი ბილბორდი, პირველი ნეგატიური სარეკლამო რგოლი, საერთოდ პირველი პოლიტიკური რეკლამა ტელევიზიონით. ეს იყო ნამდვილად კლასიკური დასავლური კამპანია, – ამბობს სააკაშვილი, – და მე 50 ხმით გავიმარჯვე“.

2000 წელს შევარდნაძემ სააკაშვილი საკუთარ იუსტიციის მინისტრად დაინიშნა. სულ მალე ის კაბინეტის სხდომაზე მინისტრების ახალ-ახალ „დაჩების“ სურათების ფრიალით შეიქრა, უკან კამერები მისდევდა. ეს საქციელი - გაბეჭდული, თვითდარწმუნებული და მედიის ყურადღებაზე გათვლილი, მისი მომავალი ქმედებების მოდელად იქცა. ერთი წელიც არ იყო გასული, რომ სააკაშვილი თანამდებობიდან გადადგა, საკუთარი პოლიტიკური პარტია შექმნა და თბილისის საკურებულოს თავმჯდომარე გახდა.

ახალგაზრდა პარლამენტარის რანგში სააკაშვილი ვაშინგტონს რამდენჯერმე ეწვია უვანიასთან ერთად – იმ კაცთან ერთად, რომელმაც მიშას საქართველოში დაბრუნება ურჩია და რომელსაც კაპიტოლიუმში ყველა კარზე დაკაუნება შეეძლო, თუკი ის საერთოდ კი იღებოდა. (სააკაშვილმა უმაღ გაიაზრა, თუ რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა ვაშინგტონში კონტაქტების დამყარებას და უკვე, როგორც პრეზიდენტმა, რვაასი ათასი დოლარი გადაუხადა „ორიონ სტრატეგიის“ – ორკაციან ლობისტურ ფირმას, რომელსაც ჯონ მაკეინის ახლო მრჩეველი რენდი შოინემანი ხელმძღვანელობდა). სააკაშვილი იხსენებს: „ დიდი რუკა გვედო და მათ ვუხსიდით, „ეს ამერიკა, ეს რუსეთი. ეს საქართველო. ეს კი მიღსადენი. აი, რატომაა საქართველო მნიშვნელოვანი“.

სააკაშვილის პრეზიდენტობის პირველი თვეები თავბრუდამხვევი იყო. პოლიციის თანამშრომელთა უმეტესობა სამსახურიდან დაითხოვეს, შეცვალეს და კრიმინალურმა შემთხვევებმაც იყლო. გადასახადები შემცირდა, მაგრამ სახელმწიფო შემოსავლებმა იმატა. სახელმწიფო სამსახურები გააუქმდა და კორუმპიაში დადანაშაულებული მინისტრების დაპატიმრებებს ნაციონალური ტელევიზიონით გადასცემდნენ. თბილისში სააკაშვილს ძირითადად იმის გამო აკრიტიკებნ, რომ მოუთმენლობით, მან ის ინსტიტუტები დაამზო, რომლებსაც დემოკრატიული რეფორმების საფუძვლები უნდა

ჟექებნა. „ვუყურებდი და ვხედავდი, მოქმედებდა ისე, თითქოს ჯულიანის სამოქმედო გეგმას მისდევდა და ისიც მინახავს, როგორ იმეორებდა პუტინის ნაბიჯებს,“ - ამბობს ლინკოლნ მიტჩელი, საერთაშორისო პოლიტიკის პროფესიონალი კოლუმნისტი და მომელიც 2 წლის განმავლობაში თბილისში, ამერიკულ არასამთავრობო ორგანიზაციაში, ნაციონალურ დემოკრატიულ ინსტიტუტში მუშაობდა - „თითქოს მხრებზე ორი ანგელოზი აზის - კეთილი და პოროტი. კეთილი ანგელოზი კეთილი საქმეებისკენ უბიძგებს, პოროტი კი იმას კარნახობს, თუ რა უნდა გააკეთოს, რომ ის მიიღოს, რაც სჭირდება“.

2007 წლისთვის საქართველოს შპპ 12%-ზე  
მეტით გაიზარდა, ხელახლა დაიგო გზები,  
განახლდა სკოლები და საავადმყოფოები,  
განვითარდა ბინათმშენებლობა, გაკეთდა შა-  
დრევნები (კრო-ერთი მათგანი კი ფილმ „მი-  
სია შეუძლებელიას“ თემატური კომპოზიციის  
თანხლებით ჩუქჩუქებს). პირდაპირმა უცხ-  
ოურმა ინვესტიციამ გასულ წელს 1.7 მილ-  
იარდ დოლარს მიაღწია, ჩატარდა ათასობით  
ობიექტის პრივატიზაცია, უცხოელი ბიზნეს-  
მენი, რომელიც საქართველოში, უკვე ათ  
წელიწადზე დიდი ხანია, ცხოვრობს, საქართ-  
ველოს მთავრობას ლიბერტერიანულად მი-  
იჩნევს. „მილტონ ფრიდმანი იამაყებდა,“  
- ამბობს ის. თუმცა მიღწევებისადმი მაინც  
სკეპტიკურადა განწყობილი. „პრივატიზაცი-  
ის ბევრი შემთხვევა არაგამჭვირვალედ  
ჩატარდა, გამჭვირვალე პროცედურებს კი  
უამრავი დაბრკოლება შეხვდა,“ - ამბობს ბი-  
ზნესმენი (მაგალითად, რამდენიმე სანარმო  
უცხოეთში რეგისტრირებულ ისეთ ფირმებს  
მიჰყიდეს, რომელთა მფლობელთა ვინაობა  
ბენდოვანი იყო).

յրտմա մըրհիցքըլմա մըտերա, րոմ սաշաշվու-  
լու էրողյէթո ասց გամոնպյուրեծա: „ամիազո միուն  
Շեսաեցծ, տոյ րողոր գուօլողծ 200 դասա-  
լունո ծոյժու ռտենաեցարո մըլունոն յարուց-  
լու ուղարմացրու սաշաշվունցի գամոնուր-  
ցաս“: սաշաշվունմա գամոնպյոն ցըրոպէլ ճա-  
մերուկըլ մըրհիցքըլու ճամեմարյէծա: ուշտանու,  
րողորու կընոնիս. յարճա ամիսա, տացուանցու  
մուօլու ջոնանեսյուրո ճամեմարյէծա աշի-ս սաելում-  
նուցու ջըկարբամենիցուցան ճա ակըց արա-  
գուրծաւուր - սորունու յոննօւնուանաւ. սաշա-  
տար ագմոնուցրացուածի կո մալալ ծոսցէծից  
յուքեռուրո քասպորդու մյօնեց սպէցուալուսկըն  
ճանոնինա (միսու գուրցելու սացարյու սայմետա  
մոնուսցրո սայարուցըլոնի սացրանցետու յու-  
ուլուն յլուրո ոյսո, միսու ցըրոնմօյուս մինուս-  
ցրո սայարուցըլու ճա ամերուցու մոյշալայէյա,  
եռոլու ծողու գրոմէց տացաւցուու մինուսցրաճ  
սայարուցըլուսա ճա ուրայլուս մոյշալայէյ ։ Յաշ-  
ճա). ամ պյուլայրուս ցամո, րուսետშո ցամպարճ  
աչիրո. րոմ սավարուցըլու ուսաւուուուս սահի-

ლიტია (რუსული ელიტისთვის კი დასავლეთი იგივეა, რაც ამერიკა).

სააკაშვილის მინისტრები ამტკიცებენ, რომ  
მათი პოსტმოდერნული ეკონომიკური ექს-  
პერიმენტი მოსკოვს აშინებს, რადგან იქმნება  
იმის პრეცედენტი, რომ რეგიონში რუსეთის  
დახმარების გარეშეც ბევრის მიღწევაა შესა-  
ძლებელი. მაგრამ ეკონომიკურმა რეფორმებ-  
მა ჩვეულებრივ, რიგით ქართველებს ბევრი  
ვერაფერი მოუტანა და ეიფორიაც, რომელიც  
ვარდების რევოლუციას მოჰყება, გაიფარა.

ლევან რამიშვილი, რომელიც თბილის-ში, თავისუფლების ინსტიტუტში მუშაობს, ამბობს, რომ უმუშევრობის მაჩვენებელი საქართველოში 18%-ს აღწევს, ხოლო თბილისში უფრო მაღალიც კია. ძევრი რეფორმა, მაგალითად განათლებისა და ჯანდაცვის, ან არაეფეტურად განხორციელდა, ანდა საქმარისად დაფინანსებული არ გახლდათ. „დანარჩენ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებით, საქართველო ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ყველაზე მცირე ნაწილს ხარჯავს განათლებაზე, – ამბობს რამიშვილი, – მაშინ, როდესაც სამხედრო ბიუჯეტი უკვე მთელი სახელმწიფო ხარჯის მესამედს შეადგენს – ყოველთვის ხდება ხოლმე რაღაც კრიზისი, რომელიც მთელ პოლიტიკურ ყურადღებას, რესურსსა და ეკონომიკურ ბერკეტებს იზიდავს“.

ვილმა ამ ბრალდებულს აბსურდულ უხოდა და თავდაცვის მინისტრმაც ხანმოკლე პატიმ-რობის შემდეგ მათზე უარი იქვა). სატელე-ვიზიონ არხი „იმედი“, რომლის მფლობელიც მილიარდერი ოლიგარქი ბადრი პატარკაციშ-ვილი იყო, საპროტესტო დემონსტრაციებს პირდაპირ ეთერში გადასცემდა და სააკაპე-ლის რეჟიმის დამხობის მოთხოვნების გადა-ჯამით თემონსატრანზიქს კითავ ზეპრო არ-

ზებდა. როდესაც სააკაშვილმა პარლამენტის კიბეებზე მოშიმშილე 70-მდე მომიტინგის დასაშლელად პოლიცია გაგზავნა, „იმედმა“ ესც გააშუეა, რაც ფაქტობრივად საპროტესტო ტალღის გაძლიერების უკენ მოწოდებას უდრიდა. შეიკრიბა ასობით მომიტინგები, სპეცდანიშნულების შენაერთობამა ცრემლსადენი გაზისა და რეზინის ტყვიების გამოყენებით ქუჩა გამოინდეს. შემდეგ პოლიცია „იმედში“ შეიჭრა, დალენა არხის სტუდიები, უცხოელი უურნალისტები და სტუდიის სტუმრები იატაკზე პირქვე დააწვინა, მაუწყებლობა კი გათიშა. სააკაშვილმა ათდღიანი საგანგიბო მდგომარეობა შემოიღო და გამოაცხადა, რომ მისი ხელისუფლების დასამხობად მოწყობილი საპროტესტო გამოსვლები რუსეთის მიერ დაგეგმილი შეთქმულების ნაწილი იყო.

სოზარ სუბარმა, საქართველოს სახალხო დამცველმა (მის მოვალეობებში სამოქალაქო თავისუფლებების დაცვა შედის) მითხვა, რომ დემონსტრანტთა და პოლიციას შორის ჩადგომას ცდილობდა, როცა თავადაც სცემეს. „ჩემმა თანამშრომელმა წამოიძახა: „რას აკეთებ, ის სახალხო დამცველია“ და მასაც უთავაზეს“. საჯაშვილის მთავრობის მიერ მიღებული კანონები პოზიტიურ რეფორმებს მართლაც გულისხმობდა, მაგრამ, სუბარის თქმით, პრაქტიკაში კანონები არ ტარდება, რეალურად სასამართლოებსა და მოსამართლებზე პოლიტიკური ზეწოლა კიდევ უფრო გაიზარდა. „საკმარისია, პოლიციონერმა წარპი ანიოს და მოსამართლემ უკვე იცის, რა გააკეთოს. კანონი მმართველი პარტიის მოთხოვნებს მოარგეს ისე, თითქოს ლუდოვიკო მე-14-ის ეპოქაში ვცხოვრობდეთ“. სუბარმა პოლიციის ძალადობის რამდენიმე ფაქტი გაიხსნა, ახსენა ქონგის კონფისკაციის, საგადასახადო პოლიციის მიერ პიზნესმენების დევნის შემთხვევებიც. სუბარის ომბუდსმენობის კანონით გათვალისწინებული ხუთი წლიდან ოთხი უკვე გავიდა. ვადის დასრულებამდე თანამდებობიდან მას ვერ მოხსნაან, მაგრამ მიამბო (“და საქართველოში საქმეები ყოველთვის ასე გვარდება”), რომ რამდენიმე თვის წინ ძველმა უნივერსიტეტელმა მეგობარმა დაურეკა და უთხრა, რომ თუ გადადგებოდა, დამოუკიდებელ სააგენტოში სამსახურს მისცემდნენ, გაცილებით მაღალი ანაზღაურებით. „მერე კი იტყოდნენ, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადავთენ“.

სააკაშვილის ამერიკელი მხარდამჭერები მისი დემოკრატიის შესახებ გამოთქმულ ეჭვებს გაურბიან. ერთმა დასავლელმა დიპლო-მატმა ისიც მითხრა, რომ ზომები, რომლებიც ნოემბერში დემონსტრანტთა წინააღმდეგ გაატარეს, არაფრით განსხვავდება ევროპის დედაქალაქებში აპრილის პროტესტთან. მაგრამ უზრუნველყოფის მიზანით გამოსაულ პროტესტთა

ტალღამ სააკაშვილის თვითონმენა შეაყყია  
და აიძულა, ვადამდელი საპრეზიდენტო არ-  
ჩევნები დაენაშნა. როგორც თვითონ მითხვა,  
ეს გადაწყვეტილება მისი ცხოვრების ყველაზე  
სარისკო ნაბიჯი იყო. „ჩევნ ვცხოვრობდით  
ქალაქში, რომელშიც ადამიანებს ვძულდით,“  
- მითხვა სააკაშვილმა. 2008 წელს ხმების  
53%-ით ის ხელახლა აირჩიეს, მაგრამ მან  
თბილისის უმეტეს უბანში არჩევნები წააგო.

შემოდგომის ერთ დამეტს პარლამენტის წევრთან ერთად რესტორან „კოპალას“ ტერასაზე ვსადილობდი. ის მიყვებოდა, რომ ვარდების რევოლუციამდე ასეთ კარგ რესტორანში სადილს ვერ შეძლებდა. ეკონომიკურ მიღწევებს სააკაშვილის მთავრობას უწნონებდა, მაგრამ ვიდრე სუფრასთან ვისხდით, გაუჩერებლად აკრიტიკებდა მას ქედმაღლობის, რჩევის გაუთვალისწინებლობისა და უაზრო, გაუთვლელი ნაბიჯების გამო. მიამბო, როგორ შეხვდა საერთო მეგობართან ერთად სააკაშვილს ვარდების რევოლუციიდან რამდენიმე კვირაში. მეგობარმა სააკაშვილს უთხრა: „ხვდები ხომ, რომ ახლა ამ დაწყევლილი ქვეყნის პრეზიდენტი გახდები და სულ დაგვაქცევ იმიტომ, რომ გიუჟ ხარ“. სააკაშვილმა პასუხად გაიცინა: „რალაცას ყოველთვის მოვიფიქრებ, - თქვა და თითები დაატკაცუნა, - სიტუაციიდან მანც გამოვძრები.“

სააკაშვილის ორივე საარჩევნო კამპანიის პლატფორმა ეკონომიკური კეთილდღეობა იყო, მაგრამ ყველა ხვდებოდა, რომ სეპარატისტული რეგიონები, აფხაზეთი და სამხრეთი ისეთი, მაინც მისი პრიორიტეტი იქნებოდა. საზოგადოდ ქართველებისთვის აფხაზეთსა და სამხრეთი ისეთს – რომელთა მოსახლეობაც ყოველთვის შერეული ეთნიკური წარმომავლობის იყო – საშობლოს განუყოფელ ნაწილად განიხილავენ. შესაბამისად, დაკარგული რეგიონების დაბრუნება მათი მთავარი პატრიოტული სურვილი გახლავთ.

2004 წელს სააკადემიურა შეძლო, აღედგინა კონტროლი აჭარაზე, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ავტონომიურ ოლქზე, რომელიც თურქეთს ესაზღვრება. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მომენტიდან აჭარას ყოფილი საბჭოთა ფუნქციონერი, ასლან აბაშიძე ფეოდალივით მართავდა. მისი პირადი ბრძანებით, ბათუმში, აჭარის დედაქალაქში ყველა სახლი თეთრად შედებეს; გაშინგონთან დახლოების მიზნით, ჰილარი კლინტონის ძმებს თხილის ბიზნესზე ექსპლუზიური უფლებები შესთავაზეს. პორტისა და საბაჟოს შემოსავლებიც პირდაპირ მის ჯიბეში ხვდებოდა. აბაშიძე არაპოპულარული ფიგურა იყო, მაგრამ მოსკოვის მხარდაჭერით სარგებლობდა. სააკადემიურა აჭარაში საპროტესტო მოძრაობა შეაგულიანა და აბაშიძეს სანქციებიც დაუწესა - იმედოვნებდა, რომ

ვარდების რევოლუცია ზღვის პირასაც გან-  
მეორდებოდა. ბოლოს აპაშიძემ თავშესაფარი  
რუსეთს სთხოვა, სააკაშვილი კი ტელევიზიოთ  
გამოვიდა და განაცხადა: „ასლანი გაიქცა.  
აჭარა თავისუფალია!“ ამ თავპრუდამხ-  
ვევი წარმატებიდან მაღლევე მან ყურადღება  
სამხრეთ ისეთისკენ მიმართა.

2004 წლის აგვისტოში სააკაშვილმა ქართველი პოლიციელები სამხრეთ ოსეთში, საზღვართან არსებული ბაზრობის დასახურად გააგზავნა, სადაც კონტრაბანდული სიგარეტითა და საწვავით ვაჭრობდნენ. აქციას ქართველ მშენიდვისმყოფელთა და ოსების შეიარაღებული ბანდების შეტაკება მოჰყვა. ამერიკელებმა განგაშის ზარი შემოკრეს. ერთი დასავლელი დიპლომატი მიყვებოდა: „ცუდ ამბავში გაეხვივნენ, ვფიქრობ, ორივე მხარე იყო დამნაშავე“. დიპლომატმა სააკაშვილს დაპირისპირების შეწყვეტა მოსთხოვა. „ის გაცეცხლდა, ჯანდაბას, ამბობდა, ასეთ ვითარებაში ცხოვრება შეუძლებელია“, მაგრამ უკან დაიხია. ამ ამბის გახსნებისას, სააკაშვილი გამომიტყდა, რომ იმედს მაინც არ კარგავს. ჰერნია, რომ ერთ რამეში სამხრეთ ოსეთის ლიდერების დარწმუნებას აუცილებლად მოახერხებს – დემოკრატიული, ეკონომიკურად აყავებული საქართველო რუსეთზე უკეთესი პარტნიორი იქნება. „მოთმინება გვექიდება,“ – ამბობს სააკაშვილი. ლონდონის სტრატეგიული კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის წამყვანი თანამშრომლის, ოქსანა ანტონენკოს აზრით, პრობლემა ისაა, რომ სააკაშვილი ძირეულად არასწორად აფასებს ოსების გრძნობებსა და მტრული განწყობების ინტენსივობას. „როდესაც გააცნობიერა, რომ მხოლოდ ქარიზმითა და დასავლეთში ინტეგრაციის სწრაფვის დემონსტრირებით ფონს ვერ გავიდოდა, მან ახალი მიმართულება მოსინჯა, რითაც კიდევ უფრო მეტად უგულებელყო იმ ადამიანების სურვილები,

რომელთაც ის არ უყვარდათ, ანუ აფხაზები-  
სა და ოსებისა, და გადაწყვიტა „პოტიომკინის  
სოფლების“ გაშენებით გარევნულად შეექმნა  
სამშვიდობო პროცესის იმიჯიზ“.

სააკაშვილმა ვერც ის გათვალა, თუ რამ-  
დენად მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი  
რუსეთს რეგიონში თავისი ჰეგემონის შე-  
ნარჩუნება. „შეუძლებელია, კავკასიაში და-  
სუსტებული რუსეთი წარმოიდგინო, – მითხრა  
მოსალის პოლიტიკური და სამხედრო ინსტი-  
ტუტის თანამშრომელმა, სერგეი მარკედონ-  
ოვმა, – ეს ჩვენი ტრადიციაა, გასაგებია, რომ  
ევროპელებისთვის ამის გაგება რთულია, მა-  
გრამ ამ ფაქტორის უგულებელყოფა უბრალ-  
ოდ შეუძლებელია“.

ამასობაში სააკაშვილი სამხედრო საკითხ-  
ებში სულ უფრო მჭიდროდ თანამშრომლობდა  
დასაგლებთან. მან ერაყში 2000 ჯარისკაცი

გაზიარდა (ქართული კონტინენტი, ამერიკულისა და ბრიტანულის შემდეგ, რაოდენობრივად მესამე ადგილზე იყო, ვიდრე აგვისტოს ომის გამო ქართული შენაერთები საქართველოში არ დააპრუნეს) და, ბუშის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, ნატო-ში განევრიანების საკითხსაც აქტიურად ლობირებდა. სამი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი უკვე განევრიანდნენ ნატო-ში, რუსეთის მთავრობას კი საქართველოს ნატო-ში განევრიანების „შორეული პერსპექტივაც კი საშინალად აავებს. მაშა ლიპშანტა მითხრა, რომ მოსკოვში ნატო-ს ექსპანსიას განიხილავნ, როგორც „შემოქრას სივრცეში, რომელსაც რუსეთი საკუთარი გავლენის ლეგიტიმურ სფეროდ განიხილავს“.

2006 წელს საქართველომ შპილნაუზის  
ბრალდებით ოთხი რუსი ოფიცერი დააპა-  
ტიმდა. საპასუხოდ რუსეთიდან იქ მცხოვრე-  
ბი რამდენიმე ათასი ქართველი გამოაძევეს,  
ქართული პროდუქტის ექსპორტს რუსეთში  
ემპარაგო დაუწესეს, საპატიო მიმოსვლა და  
პოლიტიკური კავშირები შეზღუდეს. რამ-  
დენიმე კვირის შემდეგ სააკაშვილმა სამხრეთ  
ოსეთის ქართულ სოფლებში არჩევნები ჩაა-  
ტარა. სამხრეთ ოსეთის ყოფილ პრემიერ-  
მინისტრს და სამხედრო ლიდერს, დიმიტრი  
სანაკოვეს, რომელიც ახალი ადმინისტრაციის  
ხელმძღვანელი გახდა, რეგიონის პრორესუ-  
ლი მთავრობისთვის კონკურენცია უზდა  
გაეწია. სანაკოვესმა თბილისის ფულით ბინე-  
ბი, საავადმყოფოები, სპორტული ობიექტები  
ააშენა, მაგრამ ოსების უმეტესობისთვის ის  
მოღალატედ და მარიონეტად იქცა. რუსეთმა  
კი სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებს პენსიები  
გაუზარდა და უფრო ინტენსურად დაწინც-  
რუსული პასპორტების გაცემაც. ოსურ და  
ქართულ ბლოკ-პოსტებთან ორმხრივი ცეცხ-  
ლი ჩვეულ მოვლენად იქცა, გასულ ივლისში  
კი სანაკოვესმა ძლივს გადაურჩა ტირაქტის.

მოვლენები, რომლებიც ამის შემდეგ განვითარდა, დღემდე კამათის საგანია. ჯერ ყიდვე აგვისტოს დასაწყისში ოსურ სამხედრო შენართობასა და ქართულ პოლიციას შორის სროლები სიტუაციის მორიგ გამწვავებად აღიქმებოდა. მერე, ქართული მხარის ვერ-სიით, თავდასხმა მათ პოზიციებზე უფრო ინ-ტენსიური გახდა და ცეცხლი უკვე ზოგიერთი ქართული სოფლის მახლობლად გაიხსნა. ოს-ებთან მოლაპარაკებების მცდელობა ჩაიშალა. „რუსებმა სრულიად ღიად განაცხადეს უარი ჩვენთან კონტაქტზე, ხოლო სეპარატისტებ-მა – უკან დახევაზე, რაც ძალიან უჩვეულო იყო,“ – ამბობს სააკაშვილი. მისი აზრით, ეს ყველაფერი ქართველთა პროვოცირების მიზნით წინასწარ დაიგეგმა (რუსების მტ-კიცებით, პირიქით, მოლაპარაკებზე უარს ქართული მხარე აკანდებდა). თემურ იაკო-

ბაშვილი, საქართველოს რენტბეგრაციის მინ-ისტრი ამ მოვლენებს შეშფორთებული და ოდ-ნავ დაბრული ადენებდა თვალს. 7 აგვისტოს შუადღეს ის ცხინვალში იმ კვირაში მეორედ ჩავიდა. ქუჩები თითქმის დაცარიელებული დახვდა. „უცნაური იყო, - მითხრა იაკობაშვილმა, - უცებ მივხვდით, რომ ქალაქი მთლიანად უკაცრიელი იყო. ცუდი ნინათვრძნობა გაჩნდა - ქუჩაში არც მანქანები მოძრაობდა და არც გამვლელები დადიოდნენ. თითქოს, ცხინვალი ომისთვის ემზადებოდა“.

იაკობაშვილმა მითხრა, რომ რუსული სამშვიდობო ძალების მეთაურს, მარატ კულახმეტოვს შეხვდა. კულახმეტოვმა უთხრა, რომ ოსებს ვედარ აკონტროლებს, მაგრამ ივარაუდა, რომ ქართველების მიერ ცალმხრივად ცეცხლის შეწყვეტა სიტუაციას განმუხტავდა. იმ დღეს, 7 საათზე სააკაშვილმა ტელევიზიონით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განცხადება გააკეთა, ის მებრძოლებს ამნისტიის, ხოლო რეგიონს ფართო ავტონომიას დაპირდა. მაგრამ ქართველების მტკიცებით, ოსები დაბომბვებს მაინც აგრძელებდნენ „თაიმისის“ ცნობით, ევროპელ სამხედრო დამკვირვებლებს დაბომბვა იმ მომენტამდე არ შეუნიშვნავთ, სანამ ქართულმა არტილერიამ არ გახსნა ცეცხლი. იმ სალამის სააკაშვილს დაურევეს და უთხრეს, რომ დასტურდება მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, რუსულმა შენაერთებმა როკის გვირაპი, სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის დამაკავშირებელი ერთადერთი გზა გადაკვეთეს, – იხსენებს იაკობაშვილი. სააკაშვილმა ყურმილი დაკიდა: „გაფითრდა. მე ვკითხე, რაშია საქმე-მეთქი. „ისინი მოდიან,“ – უპასუხა იაკობაშვილს და ჰკითხა: „როგორ ფიქრობ, მეორე ისრაელი გახედებით?“ (რუსული ხელისუფლება ამბობს, რომ როკის გვირაპში იმ ღამეს სამშვიდობო ჯარების როტაციასთან დაკავშირებულ რუტინულ გადაადგილებებს ახორციელებდნენ). სააკაშვილი მეტებოდა, რომ თავის დასავლელ პარტნიორებთან დაკავშირება სცადა, მაგრამ ბუში, ისევე, როგორც პუტინი, იმ დროს უკვე პეკინში, ოლიმპიური თამაშების გახსნას ესწრებოდნენ. 23:30 წუთზე, სააკაშვილის ბრძანებით, ქართულმა არტილერიამ ცხინვალს ცეცხლი გაუხსნა. ყუმბარები ქალაქის საცხოვრებელ უბნებსა და რუსული სამშვიდობო შენაერთების ყაზარმას მოხვდა.

მომდევნო თახი დღის განმავლობაში რუსულმა ავიაციამ ქართული ბატალიონები გაანაბეჭდის. რუსულმა ტანკებმა ქვეყნის მთავარი გზატკეცილი დაბლოკეს, ალყა შემოარტყეს საპორტი ქალაქ ფოთს, ქართულ სამხედრო ბაზებს და დასავლეთ საქართველოს მიედენენ. რუსები ამტკიცებდნენ, რომ ამ ქმედებით ოსებს იცავდნენ, მაგრამ მსოფლიოში თითქმის ყველამ კონტინენტი

„ციონი ომის“ და რუსული სამხედრო საფრთხო-ის დაბრუნებად აღიქვა. თბილისის ქუჩებში მაისურები გამოჩნდა, წარწერებით „Stop Russia“ და „პრაღა 1968“.

გაურკვეველია, რაზე ფიქრობდა ან რის  
მიღწევას იმედოვნებდა სააკაშვილი, როდესაც  
კონფლიქტის ასეთ ესკალაციაზე წავიდა. მყ-  
ისიერი შედეგი კი ასეთი მიიღო: დაპირისპირება  
სამხრეთ ოსეთთან სრულმასტებაბიან ოშში გა-  
დაიზარდა და კონფლიქტში რუსეთი ჩაერთო.  
11 აგვისტოს სააკაშვილმა წინააღმდეგობის  
შეწყვეტის ბრძანება გასცა. ამ დროს, ცეცხ-  
ლის შეწყვეტის მიზნით, პროცესში სარკოზიც  
ჩაერთო. ექვსაუნქტიანი შეთანხმება ორივე  
მხარეს იმამდელ პოზიციებზე დაბრუნებას  
სთხოვდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსულ  
და ოსურ სამხედრო შენაერთებს დღემდე  
ოკუპირებული აქვთ სამხრეთ ოსეთის ის  
რაიონები, რომლებიც ომამდე ქართული ად-  
მინისტრაციის კონტროლს ექვემდებარებოდა.  
იგივე ხდება აფხაზების, კოდორის ხეობაში  
(რუსები ამბობენ, რომ ისინი აქ ოსებისა და  
აფხაზების თხოვნით იმყოფებიან). დაიღუპა  
ოთხასზე მეტი ქართველი, მათი უმეტესობა  
მშვიდობიანი მოქალაქე იყო. კონფლიქტს 150  
ოსი და, რუსეთის მონაცემების თანახმად, 64  
რუსი ჯარისკაცი ემსხვერპლა. გარნდა 200 000  
იძულებით გადაადგილებული ადამიანი. უკვე  
თვეები გავიდა, მაგრამ 20 000 ქართველი სა-  
კუთარ სახლებში, სამხრეთ ოსეთის ქართულ  
სოფლებში ვერ ბრუნდება.

პირად საუბარში ყველა დასავლელმა დიპლომატმა მითხვა, რომ საქართველოს შეტევა ცხინვალზე შეცდომა იყო. ისინი სააკაშვილს ქედმალლობაში სდებენ ბრალს და რუსეთთან მიმართებაში მის პროვოკაციულ პოლიტიკას სკეპტიკურად აფასებენ. გარკვეული თვალსაზრისით, სააკაშვილს მაინც გაუმართლა. რუსულმა რეაქციამ, რომელიც სააკაშვილის დაუნინებული მტკიცებით: „აგრძესი იყო და არა რეაქცია“ – ამერიკა და ეკრიპტა გააერთიანა – მათ რუსეთი დაგმეს. რა შედეგებს მოიტანს ეს ყველაფერი გრძელვადან პერსპექტივამი, გაურკვეველია. რიჩარდ პოლ-ბრუკმა მითხვა: „ვფიქრობ, რომ ყველამ წააგო. ქართველებმა წააგეს თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს ეკონომიკამ საშინელი დარტყმა მიიღო და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეჩერდა, კრედიტების შემცირე-

ბა კი ცუდ შედეგებს მოიტანს. და ვეჭვობ, რომ მიშვას პოზიციები გამყარდეს. რუსებმა წააგეს იმიტომ, რომ მათი რეალური მიზანი სააკაშვილის დამხობა იყო, არადა, დასავა-ლეთის მიერ გარიყულნი აღმოჩნდნენ. უკვე ყველამ ცალსახა ფაქტად აღიარა, რომ რუსე-თი შეზობლებისთვის ძალიან საშიში ძალაა. ნატო-მ და აშშ-მ კი იმიტომ წააგეს, რომ მიხ-კდნენ, პატარა დემოკრატიული ქვეყნისთვის,

რომელსაც მხარს უჭერდნენ, ვერაფრის გა-  
კეთება ვერ შეძლეს“.

სექტემბრში საკაშვილი ნიუ-იორკში გაერო-ს ყოველწლიური სესიის გახსნას დასწრო. ძალიან უნდოდა ამერიკული მხ-არდაჭერის სტიმულირება. უკვე ცნობილი იყო, რომ ამერიკა საქართველოს მილიარდი დოლარით დახმარებოდა. დანიელ კუნინს როკფელერის ცენტრში შევხვდი, ის საკაშ-ვილს ელოდებოდა, რომელსაც NBC-ის ჟურ-ნალისტისთვის, ბრაიან უილიამსისთვის ინტერვიუ უნდა მიეცა. კუნინი ბედნიერი ჩანდა. Transparency International-ს ახალი გამოქვეყნებული ჰქონდა ახალი კვლევა „კო-რუფციის ინდექსის“ შესახებ, რომელშიც საქართველომ 79-ე ადგილიდან 67-ზე გად-აინაცვლა და ბევრად წინ აღმოჩნდა, ვიდრე რუსეთი, რომელიც 147-ე ადგილზე გავიდა: „ეს ნამდვილი საჩიქარია. უკვე ჩავამატე საკაშვილის ტექსტში,“ – მითხრა კუნინმა.

შუადღეს სააკაშვილმა გენერალურ ასამბლეაში სიტყვა წარმოთქვა. რუსეთს სახელით არ მოიხსენიებდა, მას „მეზობელს“ უწოდებდა, გმობდა შეტყვას საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე და საერთაშორისო საზოგადოებას ომის გარემოებების გამოძიებას სთხოვდა. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა საკუთარი ერთგულება დემოკრატიული ლირებულებებისადმი და დემოკრატიული რეფორმებისკენ მიმართული ძალისხმევის გაორმაგებისა და მეორე „ვარდების რევოლუციის“ დაწყების პირობაც დადო. შემდეგ ვესტიბიულში გავიდა, მიესალმა ქართველ დემონსტრაციებს, რომლებსაც ხელში პლაკატები ეჭირათ და Stop Russia-სა და „მიშა, მიშა“-ს სკანდილურებდნენ. მერე კი იმ მიღებაზე დასასწრებად შეპრუნდა, რომელსაც პრეზიდენტი ბუში მართავდა.

დაახლოებით ნახევარ საათში შესვედრა  
დასრულდა და სააკაშვილი ესკალატორთან  
შეუ აზის ქვეყნის პრეზიდენტთან დასალა-  
პარაკებლად შეჩერდა. პრეზიდენტმა ხელი  
ჩამოართვა და წავიდა. სააკაშვილი შეყ-  
ოვნდა და ამ დროს ვესტიბიულში პრეზი-  
დენტი ბუში და გაერო-ში ამერიკის ელჩი,  
ზალმერი ხალიზადი გამოჩნდნენ. სააკაშვილი  
მათ მიუახლოვდა, ბუშს ერთი ხელი გადახ-  
ვია, ხოლო მეორე ჩამოართვა და ხალიზადის  
თბილად მიესალმა. სამივე ესკალატორზე  
ავიდა და სანამ ბუში და ხალიზადი ლიფტში  
შევიდოდნენ, სამნი ქველი მეგობრებივით  
საჯარობონინ.

საათები უყავრს, ის ნელინადში რამდენიმეს ყიდულობს და როცა მოპეზრდება, გააჩუქებს ხოლმე. მითხრა, რომ ბუშის ვახშამზე დარჩენა აარ სურდა. „ჯერ ერთი, ასეთ მიღებუბზე წესიერად არასდროს გაჭმევნ და თან მუგაბეს გვერდზე გსვამენ“.

ნიუ-იორკში სააკაშვილის დაცვას დიდი ჯაფა ადგა. როდესაც ნიუ-იორკში, როგორც პრეზიდენტი, პირველად ჩავიდა, დაცვა მას „ენერჯეტიკულის“ ბაჭიას ეძახდა. ახლაც გარ-ბოდა, „თაიმსის“ რედაქტორთან მიიჩქაროდა, რომელსაც შუაღლეს უნდა შეხვედროდა. თანმხლები პირები მეექვსე ავენიუზე მიატოვა. „აბა, პრეზიდენტი ასე უნდა დაქროდეს?“ - ქრშინებდა მისი პროტოკოლის ხელმძღვანელი. ჭამითაც ძალიან ჩქარა ჭამს, ორი ხელით, პირველი ლუკმის ღეჭვა დამთავრებული არ აქვს, მეორეს მიადგება ხოლმე. ლაპარაკითაც სწრაფად ლაპარაკობს. ნიუ-იორკში ყველას ელაპარაკა: მაკეინს, პეილინს, ჰენრი კისინჯერს, ჯორჯ სოროსს, ბენ კი-მუნს, რიჩარდ გირს (ერთადერთი, ვინც ვერ ნახა, ბარაკ ობამა იყო). ინტერვიუ მისცა NBC-ს, CNN-ს, BBC-ს, PBC-ს და FOX News-ს. უკვე კვირის ბოლოს კი ხუმრობდა, ორად ორ არჩევ არ გამოვჩინოლვარ, Foot Network-სა და Animal Plannet-ზე. გაერო-ში გამოსვლამდე ბილ კლინტონთან იმუსაიფა ერთი საათი: „გასააკარია, ამერიკელი არ ვარ, მა-გრამ თავისიანად აღმიქვამენ და ჩემი აზრის მოსმენაც აინტერესებთ, - მითხვა სააკაშვილმა, - არც ერთი ევროპელი არ მეჭორავე-ბოლო ასე“.

საღამოებს სულ გარეთ ატარებდა, შინ  
ლამის ორ-სამ საათამდე არ პრუნდებოდა.  
სააკაშვილს წვეულებები უყვარს: ერთ ღამეს  
დაცვასთან ერთად სასტუმრო ჩელსის კორი-  
დორში ნახვდით, მეორე ღამეს იპამასა და  
მაკეინის პირველი დებატების საყურებლად  
– ვესტ ვილიჯში გამართულ წვეულებაზე.  
თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში არ-  
ქიტერეტურის გამოფენაზე ახალი იდეების  
დასაზრეოდ მივიდა. მაშინაც კი, როდესაც  
მისი დელეგაციის დიდი ნაწილი თბილისში  
დაბრუნდა, სააკაშვილი ნიუ-იორკში დარ-  
ჩა. პროტოკოლის თანამშრომლები ფრენის  
განრიგს გაუთავებლად ცვლიდნენ, რადგან  
გამგზავრებას აყოვნებდა. ვკითხე, – შინ  
საქმეები როგორ მიდის-მეტქი: „ისე კარგად,  
როგორც ველიდია“. სააკაშვილს ძალიან ახ-  
არებდა, რომ ომის შემდეგ საქართველოში  
მისმა რეიტინგმა მოიმატა. მაგრამ უკმაყ-  
ოფილების ნიშნებმაც თანდათან იჩინა თავი.  
ნინო ბურჯანაძემ, რომელიც ვარდების რევო-  
ლუციის ერთ-ერთი ლიდერი იყო და რომელ-  
მაც მაისის საპარლამენტო არჩევნების წინ  
სააკაშვილის პარტია დატოვა, განაცხადა,  
რომ პრეზიდენტთან ზაფხულის მოვლენ-

დაბთან დაკავშირებით 43 შეკითხვა აქვს და ომის გარემოებების გამოძიება მოითხოვა. (როცა სააკაშვილს ბურჯანაძეზე ვკითხე, მიპასუხა: „ის არავის უყვარს“). სააკაშვილთან დაახლოებულმა ერთმა-ერთმა მინისტრმა მითხრა, რომ ვადამდელი არჩევნების შესახებ რეფერენცდუმს მხარს დაუჭირს, როგორც კონსტიტუციით დასაშვებ მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც სააკაშვილის გადადგომა შესაძლებელი გახდება, თუ საზოგადოებრივი აზრი მთავრობის წინააღმდეგ შემობრუნდება. (სააკაშვილის მეორე ვადა 2013 წლის იანვარში იწურება. კონსტიტუციის თანახმად, მას კიდევ ერთი ვადით ხელისუფლებაში მოსვლის უფლება არ აქვს). როგორც ჩანს, მინისტრი, ზაფხულის მარცხის გამო, საკუთარი და თავისი კოლეგების პასუხისმგებლობაზე წუხდა. „ხალხი განსჯის, – მუნდენმდე ის, – ხალხი განსჯის იმის მიხედვით, თუ როგორ შევძლებათ ეკონომიკური პრობლემების დაძლევას და ომთან დაკავშირებული პოლიტიკური დისკუსიის სარმართვას“.

ნიუ-ორკიდან დაბრუნების შემდეგ, ერთ-ერთ სალამის მე და სააკაშვილი აჭარაში, შავი ზღვის სანაპიროზე, სამთავრობო აგარაკზე ჩავედით. ორი დღით ადრე ანგელა მერკელი, გერმანიის კანცლერი, რუსეთის პრეზიდენტი დამიტრი მედვედევს სანკტ-პეტერბურგში ბალტიის მილსადენის შესახებ მოსალაპარაკებლად შეხვდა. ამ მილსადენით დასავლეთ ევროპასა და გერმანიას გაზი უნდა მიაწოდონ. იმავე პრესკონფერენციაზე ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ არ ეთანხმება საქართველოს განევრიანებას ნატო-ში. ვკითხე, — გუნდება ხომ არ წაგიხდათ-მეტეი. „არ არის სასიამოვნო, — მიპასუხა სააკშვილმა, — ის ბალტიირებას ცდილობს, მაგრამ ახლა ბალანსირების დრო არ არის“. ის იმ ზენოლაზე ლაპარაკობდა, რომელსაც რუსეთი უკრაინაზე ახორციელებს. მითხვა, რომ ვიქტორ იუშჩინკოს, უკრაინის პრეზიდენტს წინა საღამოს ელაპარაკა და ის ძალან აღელვებული ჩანდა. მერე ისევ პუტინის ქედმაღლობაზე ალაპარაკადა.

სააკაშვილს გულწრფელად მიაჩინია, რომ  
ზაფხულის ომი არ წაუგია. „ჩვენ არ გვეგონა,  
რომ ცხინვალის აღებაა გამარჯვება. რა, ჩაი-  
ბარო კიდევ ერთი ქართული ქალაქის შარ-  
თვა — ესაა გამარჯვება?“ იმ ტერიტორიების  
დაკარგვას, რომლებიც სეპარატისტების კონ-  
ტროლექებს მოექცა, დიდ პრობლემად არ მი-  
იჩნევს. „და რა მერე? ორი ქართული რაიონი.  
ეს სულაც არ ნიშნავს წაგებას. ჩვენ საომარ  
მდგომარეობაში ვიმყოფებით და ეს ამ ბრძო-  
ლაში მხოლოდ ერთ-ერთი პოზიციაა. უფრო  
მნიშვნელოვანი საკითხი რუსეთის გავლენის-  
გან გათავისუფლებაა, — ამბობს სააკაშვილი  
და დასძენს — და ასევე რუსეთის გაზვიადე-  
ბული რეაცია“.

„თუ ვინმექს იმის ილუზია პერნდა, რომ ორასი წლის შემდეგ რუსეთის გავლენას ერთ კვირაში დაგადწყვდით თავს, ეს დიდი შეცდომა იყო, მაგრამ პროცესი დაწყო. ეს რეგიონში რუსეთის გავლენის დასასრულის დასაწყისია, – დასძინა მან, – თუმცა, ვისურვებდი, რომ ჩემი მცდელობა აღმოჩნდეს წარმატებული და ამას კიდევ ერთი თაობა არ დასჭირდეს“.

ამერიკის საარჩევნო კამპანიის დროს სააკაშილი ფრთხოლობდა, როდესაც მაკეინ-თან მეგობრობაზე ეკითხებოდნენ, აზრს მოზომილად გამოიტვამდა და მუდამ იმას უსვამდა ხაზს, რომ ორივე პარტია უჭერს მხარს და რომ ჯო ბაიდენთანაც მეგობრობს. როდესაც არჩევნების შემდეგ ველაპარაკე, ოპამასა და საკუთარ თავს შორის პარალელებს ავლებდა: იხსენებდა, რომ კოლუმბიაში სწავლისას ხშირად ორივეს გაუთენებია ღამე ქუჩაში, როცა სტუდენტური საცხოვრებლის კარი იკეტებოდა; და ორივეს, როგორც ახლგაზრდა პრეზიდენტებს, დიდი მოლოდინის ტვირთი ამძიმებდათ, რომელიც მათ ამომრჩეველმა დააკისრა. „მე რევოლუციის სათავეში ხუთი მილიონი ქართველის გამოჩავუდევი, ის კი – 6 მილიარდი ამერიკელისთვის. მაგრამ ვიცი, რომ როდესაც ყველას უყვარხარ, შენში იმას ხედავენ, რისი დანახვაც სურთ“. თუმცა, მას მანც ადარდებდა ერთი ფაქტორი, კერძოდ კი ახალი ტენდენცია, უმტკიცონ ბაბამას და იმ ადამიანებს, რომელთაც თეთრი სახლი უნდა დაიკავონ, რომ საქართველო და უკრაინა დათარსული პროექტებია, რომლებიც უნდა მიაგდონ და უარი უთხრა“.

სააკაშვილმა ისიც მითხრა, რომ რამდენიმე  
დღლის წინ ობამას ულაპარაკა. მიუხედავად  
იმისა, რომ დეტალებს არ ჩასძიებიან, ობამა  
კარგად ინფორმირებული და საქართველოს  
მიმართ კეთილგანნწყობილი ეჩვენა. თუმცა,  
სააკაშვილმა ისიც აღიარა, რომ ეკონომი-  
კური კრიზისის გადაჭრით გართული ახალი  
ადმინისტრაციისთვის შეიძლება საქართველო  
პრიორიტეტი ველარ იყოს. „საქართველოს  
მიტოვება იოლი საქმეა იმიტომ, რომ ჩვენ არ  
გვყავს ამერიკაში დიდი ლობი და არც დიდი  
ინტერესები. ყველაფერი იმაზეა დამოკიდე-  
ბული, რამდენად იდეალისტური ალმოჩნდება  
ამჟრიკა“.

ადრე სააკაშვილმა ასეთი რამ მითხოდა:  
 „ამერიკელებთან შეგიძლია არ ითამაშო, იყო  
 ის, ვინც ხარ და ისინიც ბუნებრივად მიგიღე-  
 ბენ. მათგან არასდროს გამიგია, რომ ჩემზე  
 ეთქვათ, — ფიცხია, ანდა ძალაუფლების-  
 მოყვარეო. ევროპელებისგან კი ასეთი შე-  
 ფასებები ბევრჯერ მსმენია. იმიტომ, რომ  
 ევროპელებისთვის, რაღაც თვალსაზრისით,  
 სპონტანურობა სახითათო ამბავია“.



## „საქართველოში უცდა დამთავრდეს მესივბის მოლოდინი“

<< დასახული გვ. 68

ბევრი რამ არ ვიცით თქვენი ბიოგრაფიიდან და ბევრი დეტალი თქვენს შესახებ – შესაძლოა, იმის გამო, რომ თქვენი კარიერა დიდწილად სპეცსამსახურებთან არის დაკავშირებული და ჯერჯერობით არ არის ხელმისაწვდომი. დიდი ძალისხმევის შედეგად გაფიგრ, რომ გაიარეთ წვრთნა ამერიკის სამხედრო ბაზაზე, არიზონაში, ფორტ ჰუაჩუკში....

არასოდეს მქონია სურვილი, ვყოფილიყვავი სახელმწიფო სამსახურში, იმიტომ, რომ მამაქე-მი იყო და მახსოვეს, ოჯახისათვის ეს რამდენად მძიმე ტერიტორია იყო. ამიტომ, იურისტობას ვა-ბირებდი. მაგრამ აფხაზეთის მოვლენებმა შე-ცვლა ჩემი ცხოვრების გზა და მაშინ მივიღე გადაწყვეტილება საქართველოს სპეციალურ სტრუქტურებში მემუშავა. უშიშროების ორგანიზაცია 1994 წელს მივედი. მერე ვისწავლე უშიშროების აკადემიაში და გავაგრძელე მუ-შაობა კონტრდასტრუქტურებთან ერთად ქართულ-ამერიკულ ერთობლივ ღონისძიე-ბას ჩავადექი სათავეში. ვთვლი, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ოპერა-ცია, რომელიც განვახორციელეთ. დეტა-ლურად ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ პანკისის ხეობა ახლაც მშვიდი, წყნარი საქართველოს კუთხეა, მშინ კი, შემიძლია ვთქეა, რომ ის საქართველოს იურისდიქციას არ ექვემდება-რებოდა. ეს იყო ყველაზე დიდი უწყებათა-შორისი ღონისძიება.

ვარდების რევოლუციის მერე გავაგრძელე მუშაობა თავდაცვის სამინისტროში, მაგრამ 6 თვეში პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტი-ლება, რომ აფხაზებთან მოლაპარაკებას ჩავდგომოდი სათავეში. ეს მომენტიც გარ-დამტეხი იყო ჩემთვის, იმიტომ, რომ მანა-მადე ძნელად თუ წარმომედგნა, არათუ მოლაპარაკება აფხაზებთან, ხელის ჩამორთ-მევაც კი. კონფლიქტთან პირადი ტრაგედია მაკავშირებს, ისევე, როგორც ათასობით ქართველს. ამ დანიშვნამ საშუალება მომ-ცა, პირადი წაცნობები გამეჩინა იმ წრეშიც კი, რომელშიც ყოველთვის მოწინააღმდეგეს ვხედავდი. ძალიან დაგვეხმარა არაფორმა-ცური შეხვედრები, რომლებსაც სახვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია ატარებდა. თავიდანც ძალიან ლია ლაპარაკი დავიწყეთ პრობლემებზე და შემდეგ მივედით იმ დასკვ-ნამდე, რომ მხოლოდ წარსულში ყოფნა ხელ-ფეხს შეგვიკრავს, რომ წინ უნდა ვიმორაოთ. ბევრთან იმ იდეის ირგვლივ გავერთიანდით, რომ მოდი, პირველ ამოცანად დავისახოთ, რომ ეს საშინელება მეორედ აღარ განმეორ-დეს; რომ ჩვენმა შვილებმა იგივე არ გამოია-რონ, რაც ჩვენ გამოვიარეთ.

შეური შეხვედრები, რომლებსაც სახვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია ატარებდა. თავიდანც ძალიან ლია ლაპარაკი დავიწყეთ პრობლემებზე და შემდეგ მივედით იმ დასკვ-ნამდე, რომ მხოლოდ წარსულში ყოფნა ხელ-ფეხს შეგვიკრავს, რომ წინ უნდა ვიმორაოთ. ბევრთან იმ იდეის ირგვლივ გავერთიანდით, რომ მოდი, პირველ ამოცანად დავისახოთ, რომ ეს საშინელება მეორედ აღარ განმეორ-დეს; რომ ჩვენმა შვილებმა იგივე არ გამოია-რონ, რაც ჩვენ გამოვიარეთ.

შევძელი ნდობის მოპოვება, უფრო დინა-მიური გახდა პროცესები, აფხაზები ჩამო-დიოდნენ თბილისში და მეც გამიჩნდა იმედი, რომ მშეიდობიანი მოლაპარაკებების წარ-მართვით საქართველოს გამთლიანება შესა-ძლებელი იქნებოდა.

აյ მინდა ხაზი გავუსვა, რატომ ვისმენდი ძალიან მოთმინებით ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებისგან კრიტიკულ მოსაზრე-ბებს. ვიდრე აფხაზებთან ურთიერთობა არ გამიჩნდა, მეც არ მჯეროდა ამ პროცესის. ამიტომ, ვცდილობდი, მათვისაც ამეხსნა ის, რაც მე დავინახე აფხაზებთან ურთიერ-თობის დროს...

### და რა იყო ეს? თანაცხოვრების სურვილი?

პირველ რიგში, აღარავის უნდოდა იმის განმეორება, რაც მოხდა. მეორე ის, რომ მი-ხვდნენ, თვითიზოლაციაში ყოფნა მათთვის არ იყო მომგებიანი. ანუ, მათი სტაცუს კვო არ პასუხობდა მათსავე ინტერესებს, ისევე, როგორც ჩვენსას. ამიტომ, გაჩნდა შანსი, რომ ერთად დაგვენერო მომავალზე ფიქრი, რა თქმა უნდა, დაშორიშორებული პოზი-ციებიდან, მაგრამ ვხედავდი ამ პოზიციების დაახლოების პერსპექტივას. შემდეგ უკვე პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაერო-ში გამეგრძელებინა მოღვაწეობა.

ეს უკვე მას შემდეგ, რაც სამშვიდობო პრო-ცესი ჩაიშალა? ანუ მას მერე, რაც ჩაიშალა შეხვედრა სააკავშიროსა და შამბას შორის?

არ ვიცი, მე ასე ვერ დავუკავშირებ ამ ორ მოვლენას ერთმანეთს. პრეზიდენტის გა-დაწყვეტილება მივიღე, როგორც ჩვეულე-ბრივმა სახელმწიფო ჩინოვნიკმა. თუმცა, მე თვითონაც ვთვლიდი, რომ ჩემი გაერო-ში ყოფნა სააკავშირო იქნებოდა და შეიძლე-ბოდა ამის გამოყენება ქართული პოზიციე-ბის დასაცავად.

თქვენი აზრით, რამდენად ეფექტურად მუშაობს საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით გაერო-ს ინფრასტრუქტურა კონფლიქტების პრევენციის თვალსაზრისით?

აქვთ მათ ადეკვატური რესურსი იმისათვის,  
რომ ახალი სამყაროს ახალ გამოწვევებს უპა-  
სუხონ?

არსებული კრიზისები იმაზე მეტყველებს, რომ ეს მექანიზმები არ არის ეფექტური, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სხვა მექანიზმი ჯერ არ არსებობს. ჩვენი ამოცანა ყოველთვის იყო და უნდა იყოს, რომ ამ ფრონტზეც წარმატებულები ვიყოთ, რომ ჩვენი პრიმულება ადეკვატურად იყოს წარმოჩენილი. არასოდეს მქონია იმის ილუზია, რომ აქედან მოვახერხებდით ამ კონფლიქტების დარღვეულობას და გადაწყვეტას. ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ კონფლიქტების მოგვარების გასაღები არის აფხაზებსა და ქართველებში, ოსებსა და ქართველებში. არც რუსეთში, არც ვაშინგტონში და არც ბრიტანელში. ჩვენ თუ არ გავაზრეთ, რომ თანაცხოვრება გვჭირდება, სხვები, ჩვენს მაგივრად, ამ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ. ჩვენზეა, რამდენად გამოვიყენებთ საერთაშორისო ბერკეტებს საჩვენოდ, რამდენად მოთმინებით მივუდვებით დიპლომატიურ პროცესს. არის საუბარო რეფორმირებაზე; ცხადია, მათ შორის უშიშროების საბჭოს შემადგენლობის და გადაწყვეტილების ფორმების მიღების გადახალისებაზე, რასაც მე სკაპტიურად ვუყურებ. ვეტოს მქონე ქვეყნებს აქვთ შინაგანი სოლიდარობა, რომ ეს პროცესი წინ არ წავიდეს. გაერო-ს რალაც ტრანსფორმირება ალბათ მაინც მოხდება, მაგრამ მისი საქმიანობის ეფექტურობის ზრდა რომენად გაზრდის ჩვენს რეგიონში კონფლიქტების გადაწყვეტის შესაძლებლობებს, ამაზე პასუხის გაჯერა გამიჭირდება.

ისევ თქვენს ბიოგრაფიას დაუკუპრუნდეთ. ორ რამეზე ამახვილებენ ხოლმე ყურადღებას – „კულინარიელების“ თემა და თქვენი და იგორ გიორგაძის ურთიერთობა. ამ კონტექსტში, რა მითია და რა – რეალობა?

ჩემი აზრით, ეს გარკვეულწილად, საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაა. თუმცა, „კულტურულებთან“ დაკავშირებულ შეკითხვას თბილისშიც გავეცი პასუხი. ბევრი ნაცნობი მყავს, მაგრამ ბუნებრივია, არანაირი ურთიერთობა არ მქონია დაჯგუფებებთან, საძმოებთან... ამიტომ, ასე დაწრილებით ამაზე პასუხის გაცემას არ ვაპირებ. მეორე შეკითხვა უფრო საინტერესოა, იმიტომ, რომ ამას საფუძველი აქვს – ჩვენ წლების მანძილზე ვიყავთ მეზობლები. საერთო საქმიანობიდან გამომდინარე, მას საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა მამაჩრემთან. მას შემდეგ, რაც გიორგაძემ დატოვა საქართველო, ბუნებრივია, მასთან არანაირი კავშირი

არ მაქვს. თუმცა, უშიშროების ორგანოებში  
ჩემი მუშაობა დაემთხვა იგორ გიორგაძის  
მუშაობის პერიოდს.

ეს მისი ნაკარნახევი გადაწყვეტილება ხომ არ იყო?

არა, მე თავადა მივიღე ეს გადაწყვეტილება  
აფხაზეთი განვითარებული მოვლენების შე-  
მდეგ. ეს გადაწყვეტილება ქართული საჯა-  
რისო სანილების მარცხმა განაპირობა. ასე  
რომ, აქაც მითიური არაფერია, უძრალოდ  
მეზობლობა გვაკავშირებდა, სხვა – არაფე-  
რი.

ასევე მუშაობდით შევარდნაძის დროინ-  
დელ უშიშროების სამინისტროში, რომელიც  
ძალიან კორუმპირებული იყო და უამრავი  
ფაქტი არსებობს იმისა, თუ როგორ იყო ჩარ-  
თული უშუალოდ ეს სამინისტრო ადამიანე-  
ბის გატაცებაში, იარაღის ბიზნესში, ნარკობი-  
ზნებში და ასე შემდეგ. როგორ მუშაობდით ამ  
სივრცეში? რამდენად იყავით ან არ იყავით ამ  
სისტემის ნაწილი?

დღეს რომ ვფიქრობ, გადამარჩინა იმან, რომ როცა ხელმძღვანელ თანამდებობებზე ვმუშაობდი უშიშროების სამინისტროში, მთლიანად გადართული ვიყავი კონტრტერო-რისტულ საკითხებზე, სხვა სფეროსთან არ მქონდა შეხება და უმეტეს დროს ვატარებდი რეგიონში – კახეთში და პანგისში. ამის გამო, ნაკლებად ვიყავი თბილისში და, აქედან გამომდინარე, უფრო დიდხანს გავძელი.

კორუმშინობული სისტემა იყო, ბუნებრივია. არ დაგიმაღლავთ, ძალიან რთული იყო პიროვნულადაც, როცა არ ერთვები კორუმციულ სისტემაში, ყველა ეჭვის თვალით გიყურებს, ყველას ჰგონია, რომ შენ ამ ნაბიჯებს იმიტომ დგამ, რომ სხვებს მერე კარიერულ წინსვლაში ხელი შეუქმნო ან საშუალება მოგეცეს, რაღაცები დააბრალო. მე არასოდეს მქონდა მიზნად, სხვების კარიერი

კულად, თავიდან კორუფციული პირამიდის შერყევა შეძლეს. ჩემი გადმოსახედიდან ამ ხელისუფლების ყველაზე დიდი დამსახურება ესაა – კორუფციული პირამიდა მოისპო. კორუფცია არ გამქრალა, ცხადია, მაგრამ... ეს არის დასაფასებელი.

გუნდური მოთამაშე სართ

ყველგან, სადაც მიმუშავია, არასოდეს შე-  
მიცვლია ჩემი ხელკვეთები იმის მიხედვით,  
პირადი ერთგულების რა ხარისხს ვგრძნობ-  
დი მათში. პირიქით, დავადასტურე ის, რომ  
თუ მოახერხებ იმ ადამიანებთან მუშაობას,  
რომლებიც სკეპტიკურად და კრიტიკულად  
არიან შენს მიმართ განწყობილი, ყველაზე  
დიდ ეფექტს იძლევა. სულ ისეთი სამსახური  
მქონდა, სადაც დილეტანტს ვერ დაეყრდნო-  
ბოდი. პროფესიონალებს შენს გუნდში შეიძ-  
ლება მოსწონდე, შეიძლება – არა. ზოგთან  
პიროვნული შეუთავსებლობა გაქვს. ყოველ-  
თვის ვცდილობდი, ასეთი ხალხი შემენარ-  
ჩუნებნა და მათი მეშვეობით გადამეწყვიტა  
დასახული ამინცანები. ყოველთვის ამარ-  
თლებს ეს გზა, ყოველთვის.

უკვე გადაწყვიტეთ, ოპოზიციური პოლი-  
ტიკური სპექტრის რომელ ნაწილთან ითა-  
ნამშრომლებთ და რომელთან – არა? ბევრს  
ვსაუბრობთ ხოლმე ხელისუფლების ნარქუმა-  
ტებლობაზე და იმ შეცდომებზე, რაც ხელი-  
სუფლებამ დაუშვა. ძალიან იშვიათად ვსვამთ  
კიოთხვებს ოპოზიციის მისამართით. უძრავი  
შანსი ჰქონდა ოპოზიციას, ელემენტარული  
ამოცანები გადაეჭრა და ვერ მოახერხა. კრი-  
ტიკულ სიტუაციებში ჩანდა მათი სისუსტე,  
ოპოზიციური სპექტრი საკმაოდ ჭრელიცაა.  
თქვენი აზრით, რა უფრო მნიშვნელოვანი და  
ეფექტური იქნება, ოპოზიციური სპექტრის  
გაერთიანება ერთის წინააღმდეგ, თუ ღირე-  
ბულებითი თანხვედრა იმ ოპოზიციურ ძალე-  
ბთან, რომლებთან ერთად საერთო მიზნისა-  
თვის იბრძოლებთ?

ଏକାବ୍ୟବିଳିତାନ ଗାମରୁକ୍ତିକ୍ଷେତ୍ର ତାନାମଧିକାରମଲ୍ଲଦ୍ଵାରା  
ପାଇଥାଏଇଛି। କେବଳ ପାଇଥାଏଇଛି ଏହାର ଅଧିକାରୀଙ୍କ ପାଇଥାଏଇଛି। ଏହାର  
ଅଧିକାରୀଙ୍କ ପାଇଥାଏଇଛି ଏହାର ଅଧିକାରୀଙ୍କ ପାଇଥାଏଇଛି। ଏହାର  
ଅଧିକାରୀଙ୍କ ପାଇଥାଏଇଛି ଏହାର ଅଧିକାରୀଙ୍କ ପାଇଥାଏଇଛି। ଏହାର  
ଅଧିକାରୀଙ୍କ ପାଇଥାଏଇଛି ଏହାର ଅଧିକାରୀଙ୍କ ପାଇଥାଏଇଛି।

ლებელია და ვისი აზრის გაზიარება პრო-ბლემატიკაზე მნიშვნელოვანი იქნება.

მქონდა შეხვედრები ოპოზიციის ძალიან ბევრ წარმომადგენლთან, მაგრამ ყველას-თან – არა. კონსულტაციები გაგრძელდება თბილისში ჩემი ჩასვლის შემდეგაც. ღრე-ბულებითი თვალსაზრისით და იდეოლოგიუ-რად ძალიან ახლო ურთიერთობები მაქვს ახალ მემარჯვენებთან და რესპუბლიკელე-ბთან. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ შევძლებთ ერთ პოლიტიკურ ძალად ჩამოყა-ლიბებას. ზოგადად, მე ჯერ კიდევ არ მოვ-სულვარ პოლიტიკაში.

**რა ფულით აპირებთ პოლიტიკური საქმია-ნობის დაწყებას?**

ჯერჯერობით საიმედოს ვერაფერს გე-ტყვით. ამ პოლიტიკური ნაბიჯისთვის არ ვემზადებოდი. ამიტომ, არანაირი წინასწა-რი კონსულტაციები შესაძლო ფინანსებზე არ მქონია. ჯერ კიდევ ვეცნობი ზუსტ საკანონმდებლო შესაძლებლობებს იმას-თან დაკავშირებით, თუ დაფინანსების რა გზები არსებობს. რამდენადაც მეუბნე-ბიან, ეს ძალიან შეზღუდული და რთულია, რადგან არსებობს გამართული რეპრესიუ-ლი მანქანა იმისათვის, რომ ოპოზიციური

პარტიების დაფინანსება მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. მაგრამ იმას დიდი ფინანსები არ სჭირდება, რომ ჩახვიდე და ხალხთან შეხვედრები დაიწყო. დღეს ამ კითხვაზე პასუხი ნამდვილად არ მაქვს. ეს ყველაზე დიდი კითხვაა, რომელიც ჯერ ჩემთვისაც პასუხგაუცემელია.

**რა იყო თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც გავლენა იქონია თქვენს ცხოვრებაზე?**


აფხაზეთის მოვლენებმა – ალბათ დი-დწილად, და ასევე იმან, რომ ძალიან ადრე დავოჯახდი, 18 წლისა. საბედნიეროდ, ჩემი მეულე ჩემზე უფროსია, მან უფრო დაფი-ქრებით მიიღო ეს გადაწყვეტილება და ამი-ტომაც დღემდე ერთად ვართ. ალბათ ეს იყო გარდამტეხი აქამდე ჩემს ცხოვრებაში.

**როგორი ურთიერთობა გქონდათ მამასთან – მნიშვნელოვანი ადამიანი იყო ის თქვენს ცხოვრებაში?**

კი, მეგობრები ვიყავით, მაგრამ ამ თემა-ზე მხოლოდ ძალიან ვიწრო წრეში თუ ვილა-პარაკებ. საჯაროდ ამაზე საუბარს ვერიდე-ბი, ბოდიში.

ფიქრობთ თუ არა, რომ თქვენი პოლიტი-კური კარიერისთვის, შესაძლოა, პრობლემად იქცეს, რომ თქვენი ბიოგრაფიის დიდი ნანილი სპეციალისახურებთან არის დაკავშირებული და თქვენი ცხოვრების ბევრი დეტალი საჯარო განხილვის საგანი არ გამხდარა? ერთი გაკვე-თილი, რაც სასწავლი გვაქვს, მგონი, სწორედ ისაა, რომ ვიდრე ადამიანში ამხელა ნდობას დავაპარისებთ, ის კარგად გავიცნოთ და ინ-ფორმირებული გადაწყვეტილება მიიღოთ. სწორედ ამით არის მომხიბვლელი ამერიკის თითქმის ორწლიანი საარჩევნო პროცესი, როცა საპრეზიდენტო კანდიდატებს მედია „რენტგენის აპარატში“ ატარებს. თქვენ რამ-დენად ხართ მზად ამისათვის?

ძალიან კარგად მესმის ის ინტერესი, რაც საზოგადოებაში არსებობს ჩემი ბიოგრაფიის მიმართ და ამისთვის, ბუნებრივია, მზად ვარ. აბსოლუტურად ლოგიკურია და მიმართია, რომ სწორია. საქართველოში საზოგადოება უნდა მიეჩვის იმას, რომ არ შეიძლება ადა-მიანს დაუკავშირო დიდი ემოციური მოლო-დინი, ვიდრე არ გაარკვევ, რა ამოძრავებს მას და რა ლირებულებების მქონეა. ჩვენი ისტორიის უახლოესი წარსული კარგ მაგა-ლითს გვაძლევს, რომ ემოციური არჩევანი აღარ უნდა გავაკეთოთ.



## ლილიან როსის საუბარი ქლინთი ისტორია

<<< დასაწყისი გვ. 74

**ქლინთი ისტორია:** თქვენ წარმოიდგინეთ, მართლა მქონდა ასეთი თვა-ლები. მაგრამ ვხვდები, რასაც გულისხმობთ, განსაკუთრებულ მედი-დურ მზერას, არა?

**ლილიან როსი:** დიახ და საინტერესოა, მაშინ თუ ხვდებოდით, რამხე-ლა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს პერსონაჟი მაყურებელზე?

**ქლინთი ისტორია:** რა თქმა უნდა არა! უბრალოდ ვიცოდი, რომ ბედი უნდა მეცადა. დასაწყისში ეს ერთი მცირებიულეტიანი ფილმი იყო, რო-

მელსაც ესპანეთის სტეპებში ვიღებდით. მე ჩემთვის ვფიქრობდი, – აქედან თუ არაფერი გამოვა, ვერც ვერავინ ნახავს და ვერც ვერაფერს გაიგებენ-მეთქი. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა და ფილმია საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ეს გარკვეულწილად ექსპერიმენტი იყო. ცხოვრება საფსეა ასეთი შემთხვევითობებით და ხანდახან გეძლევა შანსი, ეს შემთხვევითობები შენს სასარგებლოდ გამოიყენო. ასეა კინოშიც. კინო ყველაზე დიდი შემთხვევითობაა...

**ლილიან როსი:** თქვენი ფილმებისათვის მუსიკის წერა Mystic River-ით დაიწყეთ თუ მეშლება?

**ქლინთ ისთვუდი:** არა, ეს გაცილებით ადრე მოხდა. მოკლე მუსიკალური თემა ჯერ კიდევ Unforgiven-ისთვის დავწერე და პერიოდულად ვაგრძელებდი ხოლმე საკუთარი მუსიკალური იდეების ჩემივე ფილმებში ჩაგდებას. რაც შეეხება Mystic River-ს, ეს გაცილებით როტლი აღმოჩნდა. ყველაფერი ფილმის სამი პერსონაჟით დაიწყო. ამ როტლს თიმ რობინსი, შონ პენი და ქევინ ბეიქონი ასრულებენ. სწორედ ამ სამი პერსონაჟის გარშემო დავიწყე მუსიკალურ თემაზე ფიქრი. ძირითადად ფორმულირებით და მოხდებას ასრულებდი. მართალია, საბოლოო ჯამში ფილმის მუსიკა ძალიან ღრმა და რთული არ გამოვიდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ კინოს თანმხლები მუსიკა არც უნდა იყოს ღრმა და რთული; ის უნდა მიჰყვებოდეს და აძლიერებდეს ფილმის თემას, ისე, რომ არ აჭარბებდეს მას. რაც შეეხება Million Dollar Baby-სთვის დაწერილ მუსიკას, თავიდან მარტივი მელოდია მომივიდა თავში, ბლუზის სტილში, მაგრამ შემდეგ ის ფილმის ნამყვან მუსიკალურ თემად ვაქციო.

**„ნიუ იორკერი“:** როდის იწყებთ მუსიკის წერას ფილმებისთვის, – როცა ყველაფერი მზადაა და მონტაჟიც დასრულებულია, თუ საწყისი თემა ფილმზე მუშაობის პროცესშივე გიტრიალებთ თავში?

**ქლინთ ისთვუდი:** ეს ყოველთვის სხვადასხვაგვარადა. მაგალითად, მუსიკა Unforgiven-ისთვის ფილმზე მუშაობის დაწყებამდე დავწერე. იყო ერთი დიდებული გიტარისტი, რომელიც არაჩეულებრივ, მარტივ მუსიკალურ თემებს ასრულებდა და შთაგონებაც მისგან მოვიდა. ზოგჯერ მუსიკა ადრე ინერება, უფრო ხშირად კი მონტაჟის დროს. მაგალითად, ჯოელ კოქსა, რომელიც Mystic River-ის მემონტაჟე იყო, უყვარს როდესაც მუშაობის პროცეს-

ში ყველა კომპონენტი ერთადაა შეკრული. ამიტომაც ამ ფილმისთვის მუსიკა მონტაჟის დროს დავწერე. ფილმებისთვის მუსიკის წერაც შემთხვევითობების კასკადზეა აგებული.

**ლილიან როსი:** ფილმში Bridges of Madison County ეროლ გარნერის თემა გამოიყენეთ, არა?

**ქლინთ ისთვუდი:** არა, ეროლ გარნერის კომპოზიცია ფილმში Play Misty For Me გამოვიყენე. ეს კომპოზიცია მან 40-იანი წლების ბოლოს დაწერა და მოგვიანებით ტექსტიც მიუსადაგა. ამ სიმღერას რამდენიმე მომღერალი ასრულებდა, მაგრამ ფილმისთვის ორიგინალის გამოყენება ვარჩიე, რადგან ეს მუსიკა ტექსტის გარეშე უფრო ლირიული აღმოჩნდა და ფილმისთვისაც უფრო შესაფერისი.

**ლილიან როსი:** თქვენი მეუღლე დნა მიყვებოდა, რომ Mystic River-ზე მუშაობისას საათობით იჯექით ფორტეპიანოსთან და მონოტრონური აკორდებით უწვერილებდით გულს. მერე კი, უეცრად ერთ საინტერესო მუსიკალურ იდეას გადაეყარეთ, რომელიც დინას მოეწონა და სწორედ მან გირჩიათ ამ თემის გამოყენება ფილმში.

**ქლინთ ისთვუდი:** ასეც ხდება ხოლმე. ხანდახან დინა მართლა მაძლევს რჩევებს და ხშირად ჩემი პირველი კრიტიკოსიც ის არის.

**ლილიან როსი:** შეგიძლიათ, გაიხსენოთ, როგორ უკრავდით რეგტაიმებს ახალგაზრდობაში?

**ქლინთ ისთვუდი:** წარმოიდგინეთ, ხარ სკოლის მოსავლე, არ თამაშობ ფეხბურთს, რადგანაც გარკვეული თვალსაზრისით ჩამორჩენილი ბავშვი ხარ. არა, ასე ლაპარაკი არ შეიძლება, ვთქვათ, უბრალოდ, სხვებზე უფრო ნელა აზროვნებ. ერთ დღესაც, რაღაც წვეულებაზე მოგხვდი, ვიღაც ბიჭი იჯდა ფორტეპიანოსთან და ბუგი-ვუგის უკრავდა, გოგოები კი ბუზებივით ეხვეოდნენ გარს. ღმერთო, ამის დაკვრა მეც ხომ შემიძლია-მეთქი, გავიფიქრე. წავედი სახლში და ამჟამინდ პიანინზე ვიწავლე დაკვრა. მერე პოპულარულ მელოდიებზე გადავერთე, შემდეგ კი კლასიკური მუსიკაც შემიყვარდა, განსაკუთრებით კი შოპენი და, შეიძლება ითქვას, რომ ჩემი მუსიკალური თემების უმრავლესობა სწორედ შოპენთანაა დაკავშირებული. ძალიან მიყვარს ჯაზი. მიყვარს ოსკარ პიტერსონი და დეივ ბრუ-

ბეკი. ეროლ გარნერიც, რა თქმა უნდა, თუ-მცა ფორტეპიანოსთან მისებური მიდგომის სტილს ნამდვილად ვერ გავიმეორებ, იმიტაცია კი შემიძლია.

**„ნიუ იორკერი“:** თქვენ ასევე თამაშობდით მიუზიკულში Paint Your Wagon ლი მარვითან ერთად, არა?

**ქლინთ ისთვუდი:** ასეა, მაგრამ ამაზე ხმა-მაღლა ნუ იტყვით.

**„ნიუ იორკერი“:** რა იყო ყველაზე დასამახსოვრებელი ამ ფილმზე მუშაობის დროს?

**ქლინთ ისთვუდი:** ყველაფერი საკმაოდ უცნაურად დაიწყო. ევროპაში ვიყავი გადა-ლებებზე, როდესაც ლონდონში ალბ ჯეი ლერნერი ჩამოვიდა ჩემთან შესახვედრად და მთხოვა, მიუზიკულში მონაწილეობა მიმელო. ვიფიქრე, ღმერთო, რა სისულეელა-მეთქი. არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ეს კარგი იდეა იყო. მერე კი რატომლაც მაინც დავთანხმდი. ამ ფილმს აღმოსავლეთ ორეგონში ვიღებდით, დაახლოებით ექვსი თვის განმავლობაში. ლი მართლა არაჩეულებრივი ადამიანი გახლდათ. დილიდან ღამემდებარები იჯდა და კოტებილებს მიირთმევდა. ერთხელ მისი ასისტენტი მოვიდა და მითხრა, – როცა ლი ლუდს გთხოვს, უთხარი, რომ არ გაქვს. მე მივუგი: კი, მაგრამ, მე რომ მაქვს ლუდი ჩემს ტრაილერში, როგორ მოვატყუო ის კაცი? მოატყუე, ჩამაცივდა. რატომ-მეთქი. იმიტომ, რომ ლუდით რომ იწყებს, მერე არაყზე გადადის და ველარც ჩერდება... რიჩარდ ბერთონიც ასეთი იყო. ის უელსელი იყო და ყველას კარგად მოგეხსენებათ თუ როგორ უყვართ სმა უელსელებს. ლამის სმის ჩემპიონატებს აწყობენ ხოლმე. ბერთონის და მარვინის გადამკიდე შეიძლება ალკოჰოლიკი გავმზდარიყავი, მაგრამ გადავრჩი და დღეს სერიოზულად მგონია, რომ რე მართლაც გერმინი და სასარგებლო სასმელია.

**„ნიუ იორკერი“:** მიუზიკულში თქვენი ხმაა გამოყენებული, თუ პროფესიონალი მომღერლები მღერიან?

**ქლინთ ისთვუდი:** ჩვენი ხმაა, მაგრამ აქაც ყველაფერი საკმაოდ უცნაურად გადალწყდა. იმის ნაცვლად, რომ სტუდიაში ჩაენერათ ყველაფერი, ცოცხლად ვმღეროდით.

**ლილიან როსი:** იცით თუ არა, რას ფიქრობენ თქვენზე ის მსახიობები ვისაც თქვენთან უმუშავია? იქნებ ისაუბროთ იმაზე, თუ როგორია თქვენი დამოკიდებულება

მათ მიმართ? რა დოზით თანამშრომლობთ მათთან სასურველი შედეგის მისაღწევად?

**ქლინთ ისთვუდი:** დავიწყებ იმით, რომ ვფიქრობ, ძალიან ლოგიკურია, როდესაც მსახიობები რეჟისორობას იწყებენ. საერთოდ, უამრავი სხვადასხვა სპეციალისტის მქონე ადამიანი ირჩევს ამ პროფესიას, ხშირად სცენარისტები, ოპერატორები, მაგრამ, მგონი, წლების განმავლობაში დაგროვებულმა შემთხვევებმა ნათელი გახდეს ის, რომ რეჟისორი, რომელიც ადრე მსახიობი იყო, უფრო გულისყრით ეკიდება არტისტების შრომას. საკმაოდ რთული მისიაა მიახვდორ მსახიობს, თუ როგორ აპირებ ამა თუ იმ სცენის გადაღებას და რას მოითხოვ მისგან. არა აქვს მნიშვნელობა, გამოცდილია თუ დამწყებია მსახიობი, ყველასთან ერთნაირი ტაქტიკა მაქვს – ვცდილობ, მუშაობის პროცესი გავუმარტივო. შეუმჩნევლად უნდა შეიყვანო როლში და შეუმჩნევლადვე აკონტროლო მისი თამაში; ისე უნდა დაიწყოს მან გარდასახვა, რომ არ დაძაბო ჩიჩინით – მსახიობი ხარ, მიდი და ითამაშე. ასეთი უშუალო ატმოსფეროს შექმნა გადასაღებ მოედანზე აუცილებელია, თუ გინდა, რომ სასურველ შედეგს მიაღწიო.

**ლილიან როსი:** გამოგადგათ თუ არა იგივე მეთოდი ანჯელინა ჯოლისთან მუშაობისას? როგორც მითხრეს, ის Changeling-ში შეუდარებელია.

**ქლინთ ისთვუდი:** ანჯელინა ჯოლი გადასაღებ მოედანზე წედმინებით მომზადებული მოდის ხოლმე. იგივეს ვიტყოდი მერილ სტრიპზეც და კიდევ ბევრ სხვა მსახიობზე, ვისთანაც წლების განმავლობაში მიმუშავია. ვინაიდან დღეს უკვე ყველამ იცის, რომ ექსპერიმენტები მიზიდას, მსახიობები წინასწარ მომზადებულები მოდიან მოედანზე, წინადადებებით სავსენი, ზედმეტი საათები რომ არ დაგვეხსარჯოს რეპეტიციებზე. მათ იციან, რომ შედეგს მათგან საკმაოდ მოკლე დროში ველი, და თუ ისინი კარგად მომზადებული არიან, სამუშაო პროცესიც უფრო ნაყოფიერი ხდება.

**ლილიან როსი:** Changeling-ზე მუშაობისას რამდენად ხშირად გიხდებოდათ დეტალური ახსნა-განმარტებების მიცემა მათთვის?

**ქლინთ ისთვუდი:** გადასაღებ მოედანზე საერთოდ ცოტას ვფილოსოფოსობ ხოლმე. ყოველთვის ვამჯობინებ, ჯერ ვნახო ის, რაც მათ მოიტანეს. თავიანთი როლები მათ ისევე კარგად იციან, როგორც მე.

ისინი სწავლობენ სცენარში აღნერილ ისტორიულ რეალობას, რაც ფილმებს უდევს საფუძვლად და მე მათ ვაძლევ იმის უფლებას, რომ მათ მიერ ინტერპრეტირებული ეს ცოდნა გადასაღებ მოედანზე მოიტანონ. ვეუბნები, დამანახე, რას ფიქრობ და რას გრძნობ შენ. ჩემთან ასეთი წესი მოქმედებს, იმოქმედე თავისუფლად და კამერაც შეწებ იმუშავებს. მახსოვს, Unforgiven-ზე მუშაობისას, ერთ-ერთი სცენის გადაღებისას რიჩარდ ჰარის და ჯინ ჰექმანს შევთავაზე, მოდი, ჯერ ცოტა წავირეპეტიციონთ-მექი, მაგრამ შუა რეპეტიციის დროს მივხდი, რომ რაღაც მართლაც ძალიან კარგი გამოგვდიოდა და აუცილებელი იყო ამ ვყველაფრის ფირზე აღბეჭდვა. ამიტომაც, სასწრაფოდ შევაჩერე რეპეტიცია და კამერების ჩართვა უყიდობანე თავისუროებს და მათ ასისტენტებს. სწორედ ამ შემთხვევის შემდეგ დავიწყე განურჩევლად ყველა რეპეტიციის ფირზე დაფიქსირება, რადგანაც არასდროს იცი თუ რა შეიძლება მოხდეს. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ბავშვებთან მუშაობ. ხანდახან ისე ვიღებ, რომ მათ არც კი იციან, კამერები ჩართულია თუ არა.

**ლილიან როსი:** ასეთ შემთხვევებში ზუსტად ის გამოდის ხოლმე, რაც წინასწარ გაქვთ დაგეგმილი, თუ გადაღებული მასალით გაოცებული რჩებით?

**ქლინთ ისთვუდი:** თუ ის გამომდის, რაც წარმომედინა, ანდა კიდევ უკეთესი, ცხადია, ბედნიერი ვარ, თუ შედეგად უფრო ნაკლებს ვიღებ – ბუნებრივია, იმედგაცრუებული ვრჩები.

**ლილიან როსი:** გავიხსენოთ სცენა ფილმი-დან Bridges of Madison County, როცა გარეთ წევის, მერილ სტრიპი კი მანქანაში ზის და მის მზერაში არის რაღაც აბსოლუტურად მომნუსხველი. ეს მის მიერ იმპროვიზირებული სცენაა, თუ თქვენი ჩანაფიქრი?

**ქლინთ ისთვუდი:** არა, ეს მთლიანად მერილის იდეა იყო. რა თქმა უნდა, ამ სცენისთვის მზად ვიყავით, მაგრამ ყველაფერი დანარჩენი მისი დიდებული ტექნიკის შედეგია. მსახიობები გონიერი ადამიანები არიან, მაგრამ ამავე დროს ინტუიტიურად აზროვნებენ და ხვდებიან როდის რა არის საჭირო. მე აქ იმ გონიერებაზე არ ვსაუბრობ, რაც კოსმოსური ხომალდების ასაგებადაა აუცილებელი. ესაა გონიერება ინსტინქტურად აზროვნების დონეზე. ჩემი ვაღლია, სწორედ ამის გამომჟღავნების შანსი მივცე მსახიობს.

**ლილიან როსი:** რა ხდება გადაღებების დასრულების შემდეგ. დიდ დროს ხარჯავთ მონტაჟზე?

**ქლინთ ისთვუდი:** ამ დროს ძირითადად მემონტაჟეები მუშაობენ, ალაგებენ კომპონენტებს და ანყობენ კადრებს; იციან სცენარი და ამას იოლად ახერხებენ. თუ რაღაც დეტალში ვერ გაერკევევიან, ტელეფონით ვესაუბრებით ერთმანეთს, ვუხსნი, თუ როგორ ვხედავ ამა თუ იმ ეპიზოდს. მე მათ ვენდობი, თანაც მაინტერესებს თუ რა გამოუვათ მათ ასეთი მუშაობის შედეგად.

**ლილიან როსი:** ვიცი, რომ თქვენ ზედმინენით ლილიალური ბრძანებებით თქვენი გადამღები ჯგუფის წევრების მიმართ, რომ არაფერი ვთქვათ თქვენს მეგობრებზე...

**ქლინთ ისთვუდი:** დიახ, მე როგორც წესი ერთსა და იმავე ადამიანებთან ვმუშაობ ფილმებზე. რაც შეეხება მეგობრებს, ჩემხელა რომ მოყრებით ბევრი მეგობარი აღარ დაგრჩებათ. რამდენიმე ხნის წინ საშუალო სკოლის იუბილე მოვაწყვე და „კვორუმის“ შესადგნად, პარალელური კლასების დაპატიუებაც მომიხდა. რამდენიმე ძველი მეგობარი კი მართლა შემომრჩა, და დღემდე ვურთიერთობ მათთან.

**ლილიან როსი:** კიდევ გყავთ ვერტმფრენი?

**ქლინთ ისთვუდი:** დიახ, მყავს და ხშირად დავფრინავ კიდეც.

**ლილიან როსი:** როგორც წესი, მარტო?

**ქლინთ ისთვუდი:** მხოლოდ მარტო. ვერავინ ბედავს ჩემთან ერთად ფრენას...

**ლილიან როსი:** ადრე ჩემთვის გითქვამთ, რომ ვერტმფრენით ფრენა მხოლოდ იმიტომ მოგწონთ, რომ თუ ზემოდან რაღაც საინტერესო დაინახეთ, დაშვება შეგიძლიათ...

**ქლინთ ისთვუდი:** დიახ, ხშირად ვიქცევი ხოლმე ასე. თუ რამე საინტერესოს დავინახებ ზევიდან, ანდა თუ, ვთქვათ, გადაუფრენებულებიან მდელოს, აუცილებლად დავეშვები ხოლმე, დავათვალიერებ გარემოს ვერტმფრენიდან და მერე ისევ მაღლა ავფრინდები.

**ლილიან როსი:** იარაღს მართლა კარგად ფლობთ?

**ქლინთი ისთვუდი:** მონადირე არ ვარ, ცხოველებს არასდროს ვესვრი. მიზანში სროლა კი მიყვარს.

**ლილიან როსი:** ქუჩაში როცა დადიხართ, ბუნებრივია, გამვლელები გცნობენ. სატვირთო მანქანების მძღოლები ალბათ მოსვენებას არ გაძლევნ, როდესაც Dirty Harry-ის ხედავენ... როგორ იქცევით მსგავს სიტუაციებში?

**ქლინთი ისთვუდი:** ძირითადად იმედგაცრუებულები რჩებიან, ხელში „მაგნუმი“ რომ არ მიჭირავს...

**ლილიან როსი:** თქვენ ძალიან ბევრს მუშაობთ. არ გიფიქრიათ იმაზე, რომ შეიძლება დადგეს მომენტი, როდესაც ყველაფერი ყელში ამოგივათ და გაჩერებას ისურვებთ?

**ქლინთი ისთვუდი:** არ ვიცი... როლს, რომელიც არ მომწონს, არც ვთამაშობ. ყოველთვის ვარჩევ ისეთ მასალას, რომელიც მიზიდავს, რომელშიც რაღაც ახალ გამოწვევას ვხედავ. იგივე ეხება რეჟისურასაც – რაც არ მომწონს და მიზიდავს, იმას არ ვიღებ. არ მომწონს მაყურებლის ემოციებზე თამში, მათი განცდებით მანიპულირება. ამ დროს შედეგი ყოველთვის უხეირო გამოდის ხოლმე. პირველ რიგში, სცენარი უნდა იყოს ძლიერი, თუ ტექსტს და მოქმედებას არ მოაქვს თავდაპირველი მუხტი, მას ვეღარაფერი უშველის. მაგალითად, უინტერესო სცენარს მუსიკით ვერ გააკეთილშობილებ. მუსიკა სიუჟეტს ზომიერად უნდა შეუსაბამო, ისე, რომ ეპიზოდების შეკვრაში, აზრის განვითარებაში დაგეხმაროს. მაგრამ ზომიერება აუცილებელია, მუსიკას ემოციურობაში არ უნდა გადააჭარბოს მოქმედებას.

**ლილიან როსი:** მოდი, ახლა მაყურებელაც ვთხოვოთ დასვან შეკითხვები...

**კითხვა დარბაზიდან:** მოქლედ გეითხავთ: კომედიის გადალებას თუ გეგმავთ?

**ქლინთი ისთვუდი:** კარგად გაცინებას რაჯობს, და კომედიაზე მუშაობაც მაგარია. ცოტა საფრთხილო გასაკეთებელია, მაგრამ სახალისო ნამდვილადაა. Changeling-ი ზედმეტად სერიოზულ პრობლემას ეხება და მასში კომედიურ ელემენტებს ვერ შევიტანდი, სამაგიეროდ, Gran Torino-ს არ აკლია მსგავსი ელემენტები, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს ფილმი ცალსახად კომედიაა.

**კითხვა დარბაზიდან:** მოახლოებული არჩენების ფონზე როგორ ფიქრობთ, რა თვი-

სეპები უნდა ახასიათებდეს პრეზიდენტობის კანდიდატს?

**ქლინთი ისთვუდი:** წლების წინ, როცა ყველა სტანისლავსკის სისტემაზე ლაპარაკობდა, და როცა ყველა ცდილობდა, ეპონა საკუთარი სამასიობო სტილის სრულყოფის გზა, ჯეიმზ ქეგნის ჰკითხეს, თუ რა იყო მისი სტილი და სისტემა. მან უპასუხა, – მაგრად იდექი და სიმართლე ილაპარაკევფიქრობ, რომ მისი სიტყვები კარგი რჩევა იქნებოდა ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის.

**კითხვა დარბაზიდან:** რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

**ქლინთი ისთვუდი:** მოდი, შორიდან დავიწყებ. ძალიან მომწონდა ჯონ ჰიუსთონის Treasure of Siera Madre და მისი ადრეული ფილმები, ჯერ კიდევ film noir-ის უანრში რომ მუშაობდა. ძალიან მომწონს ჯონ ფორდის Grapes of Wrath, არაჩეულებრივი ფილმია. საერთოდ, ფილმები პოპულარული სიმღერებითაა. რადგანაც ამ სიმღერებთან თქვენ საკუთარი ცხოვრების გარკვეულ ეპიზოდებს აკავშირებთ და ამ სიმღერების მეშვეობით იხსენებთ, თუ რას აკეთებდით ამა თუ იმ დროს... ძალიან, ძალიან ბევრი ფილმი მომწონს. ავიღოთ თუნდაც ბილი უაილდერის Sunset Boulevard, ან ჰოვარდ ჰოუესის ნებისმიერი ფილმი. ახლებზე ვერაფერს გეტყვით, იმდენს ვმუშაობ, რომ ნახვასაც ვერ ვახერხებ.

**კითხვა დარბაზიდან:** ახლა ერთი ინტელექტუალური კითხვა უნდა დაგისვათ და არ დაიბრუთ. კითხვა ასეთია: მთელი ცხოვრების განმავლობაში სულ სამი ცნობილი ადამიანის კოცნა მომნდომებია: რობერტ რედფორდის, ჯონ კენედი უმცროსის და, რა თქმა უნდა, თქვენი. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ახლა თქვენ აქ ხართ. რობერტ რედფორდსაც შევხვედრივარ პირისპირ, მაგრამ უნდა ვალიარო, რომ თქვენს კოცნაზე ოცნება მაინც ყველას სჯობდა. უთქვამს თუ არა რომელიმე თქვენს პარტნიორ მსახიობ ქალს, რომ არაჩეულებრივი კოცნა იცით?

**ქლინთი ისთვუდი:** დიახ, რამდენჯერმე ყოფილა ასეც.

**კითხვა დარბაზიდან:** არ მინდა პოლიტიკისკენ წავიყვანო ეს საუბარი, მაგრამ როგორც ერთ-ერთ ყოფილ ჩინოვნიკს, მაინტერესებს, არ გაბრაზებთ ის, რომ რესპუბლიკელებს არასდროს შემოუთავაზებიათ თქვენთვის ვიცე-პრეზიდენტობის პოსტი?

**ქლინთი ისთვუდი:** სულაც არა. მართალი რომ გითხრათ, ერთხელ ერთ-ერთ თავყრილობაზე, რომელსაც პოლიტიკოსებიც ესწრებოდნენ, ჯონ მაკეინი მომიახლოვდა და საუბარი გამია, მაგრამ სანამ თვითონ შემომთავაზებდა რამეს, დავასწარი და მივახალე: არც კი იჯიქროთ! მართალია, ერთი პატარა ქალაქის მერი კი ვიყავი, მაგრამ პოლიტიკა არ მიზიდავს. პოლიტიკაში როცა ხარ, სული უნდა გაყიდო.

**კითხვა დარბაზიდან:** თქვენი შემდეგი ფილმი ნებსონ მანდელაზე იქნება. მე მანდელას დიდი თაყვანისმცემელი ვარ, მაგრამ ამავე დროს ვარ სამხრეთ აფრიკელი მსახიობი. ბუნებრივია, მაინტერესებს თუ როგორ აპირებთ ასეთ მასშტაბურ თემას გაუმჯობესეთ...

**ქლინთი ისთვუდი:** ნუ მაშინებთ... თქვენი რეპლიკის შემდეგ უკვე აღარ ვიცი, გამომივა კი რამე? ისე კი, ეს მართლაც რომ არაჩეულებრივი ისტორიაა. როცა მანდელა ციხიდან გამოვიდა და პრეზიდენტი გახდა, იმის მაგივრად, რომ ადამიანების კანის ფერზე გაემახვილებინა ყურადღება, თავისი გუნდი პროფესიონალიზმის ნიშნით ჩამოაყალიბა. ჩინოვნებებს ეგონათ, რომ მანდელას მოსვლის შემდეგ აუცილებლად უნდა დაეტოვებინათ პოსტები და შეგუბეულებიც კი იყვნენ ამ აზრს, ალაგებდნენ ჩანთებს, ემზადებოდნენ... მან კი საქმის მცოდნენი თავიანთ პოსტებზე დატოვა, და შემდეგ იმდენი მოახერხა, რომ ქვეყნის გაერთიანებაც შეძლო. თუნდაც, აი, ეს ამბავი რად ლირს: სამხრეთ აფრიკას ჰყავდა ძალიან ძლიერი რაგბის გუნდი, რომელსაც რაგბის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა ეკრძალებოდა, და ისინი მხოლოდ იმიტომ აგრძელებდნენ ვარჯიშს, რომ თამაში უყვარდათ. მანდელა შეხვდა მათ და ყველაფერი გააკეთა იმისვის, რომ მათში იმედი გაელვივებინა. მან დაარწმუნა ისინი, რომ ღირსეულ თამაშს შეძლებდნენ და მართლაც ასე მოხდა – იმ ნელს სამხრეთ აფრიკის გუნდს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მხოლოდ იმიტომ მისცეს, რომ სამხრეთ აფრიკა მასპინძელი ქვეყანა იყო, მანდელას სიტყვებით გამნევებულმა ეროვნულმა ნაკრებმა კი იმ დროის უძლიერესი გუნდი დაამარცხა. ნებსონ მანდელას ბიოგრაფია – ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება პოლიტიკოსმა საზოგადოება შთაგონებით ააგსოს. ახლა ჩვენ ქვეყანაში ხალხს სწორედ ასეთი მოღობინი აქვს. ამ ფილმით კი ყველანი მიგხვდებით, რომ ისეთ ლიდერზე ოცნება, რომელიც მთელ ქვეყანას შთაგონებას და მომავლის იმედს დაუბრუნებს, უმნიშვნელოვანესი რამაა.



<<< დასაცყისი გვ. 80

ყველა ცოცხალ არსებას აქვს ბუდას ბუნება. ჩვენ ბუდისტებს არ გვწამს ღმერთის არსებობის. ჩვენ გვჯერა ქრისტეს და ბუდას არსებობის, მაგრამ კიდევ უფრო მეტად გვჯერა ბუდას ბუნების, როგორც ჩვენი პოტენციალის, ჩვენი რეალიზაციის ხარისხის.

თუკი შენც მოახერხებ შენი გონების აბსოლუტურ რეალიზებას, შენ გახდები შენი გონების და აღქმის მპრძანებელი, შენი გონების და აღქმის მმართველი. და შენი გონება აღარ იქნება დამოკიდებული ტანჯვის და ბედნიერების გარკვეულ დინებებზე. თუკი ერთხელ მოახერხებ გონების ჭეშმარიტი ბუნების რეალიზებას, გათავისუფლდები.

ბუდას გონებისთვის არა აქვს მნიშვნელობა, მდიდარი ხარ თუ ღარიბი. ის ყველას აქვს – ქალს, კაცს, ბავშვს, ახალგაზრდას, მოხუცს, ყველას. ამ თვალსაზრისით, ყველას შეუძლია ივარჯიშოს.

ბუდა სრულ თავისუფლებას გვაძლევს. თუნდაც ის, რაც მე ვთქვი, არ არის სავალდებულო, რომ ირნმუნოთ. თქვენ უბრალოდ ეს უნდა მიიღოთ იმისათვის, რომ გააანალიზოთ. ეს ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანია. არც სხვადასხვა სისტემების მიყოლაა სავალდებულო. ზოგიერთი სისტემა კარგია, ზოგიერთი არც ისე, ზოგიერთი ინტელექტუალურად გაზიადებულია და არც ისე პრაქტიკული. თქვენ კი ღია და თავისუფლები უნდა იყოთ. ბუდა ამბობს, – რაც არ გინდა რომ გააკეთო, ნუ გააკეთებ. ბუდა იყო ადამიანი, რომელმაც დაამსხვრია და გააუფასურა ყველა მოლოდინი და ყველა კანონი. ჩემი აზრი, ის ყველაზე ბუდა ამდიდრი იყო. მაგრამ, იცი რა? ძალიან

მაგარი „ჰიპობაც“ არ არის კარგი – სამუშაოს ადვილად ვერ იშოვი.

– თუკი ყველა ცოცხალ არსებას აქვს ბუდას ბუნება, რატომ ამბობთ ხოლმე ბუდისტები ადამიანთა ნანილზე, რომ ისინი ჩვეულებრივი, უაზრო არსებები არიან?

„იმიტომ, რომ ეს ადამიანები მხოლოდ საკუთარი თავით არიან დაკავებულნი, მუდმივად მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავენ. მაგრამ იგივეს არ აკეთებენ ცხოველებიც? როცა ცხოველს შია – ეძებს საჭმელს, როცა სწყურია, ეძებს წყალს. ჩვეულებრივი ადამიანები ძალიან გვანან ამ ცხოველებს. ისინი არასდროს ფიქრობენ სხვებზე და ჩვეულებრივი, ნორმალური არსებები არიან. ხანდახან მათ უაზრო ადამიანურ არსებებსაც ეძახიან. რატომ უაზრო? იმიტომ, რომ არ აცნობიერებენ ადამიანური არსებობის ფასს. მაში რა აზრი აქვს იმას, რომ ისინი ადამიანებად დაიბანენ?

ჩვენ სულ სინანულში ვატარებთ დროს, პრობლემებზე ფიქრში, წუნუნში, რომ რაღაც არ გვყოფნის, უფრო მეტი გვინდა. და იმას ვერ ვაცნობიერებთ, თუ რას ვფლობთ. ჩვენ ვფლობთ უძვირფასეს ადამიანურ სხეულს, განსაკუთრებულ უნარებს და შესაძლებლობებს.“

– რა შეიძლება გახდეს ჩვენი გონებისთვის ყველაზე საშიში ხაფანგი?

„ბუდისტები თვლიან, რომ ხუთი რამ ნამლავს გონებას: მიჯაჭვულობა, მრისანება, ხიბლში ყოფნა, სიამაყე და შური. ჩვენ მუ-

დმივად საკუთარი თავით ვართ შეპყრობილები, სულ ასე ვფიქრობთ: მინდა ვიყო ბედნიერი, მინდა მქონდეს ყველაფერი. ეს ეგოზე ორიენტირებულობა შეზღუდული ხდის ჩვენს გონებას. ასეთი მდგომარეობა გვაკარგვინებს სხვისი გაგების და თანაგრძნობის უნარს. ბუდას სწავლება – ეს, რაღაც თვალსაზრისით, ანტიდოტია ეგოზე ორიენტირებისგან. ის გვათავისუფლებს, გონებას გვიხსნის და უფრო მგრძნობიარეს გვხდის.

შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენ, ადამიანებს გვიჭირს, დავაფასოთ ის, რაც გვაქვს; ბედნიერები ვართ, მაგრამ ვერც კი ვხვდებით ამას.

როდესაც რაღაც მიღწევებზე ვფიქრობთ და გეგმებს ვაწყობთ, ყოველთვის მომავლში ვიმყოფებით. აი, მე რაღაცას მივაღწე, რაღაც მექნება, ბედნიერი ვიქნები, მაგრამ ახლა კი არა, მომავალში! ბედნიერება კი მხოლოდ აქ არის და ახლა.

მაგალითად, როდესაც ვსვამთ ჩაის და ჩვენი გონება აცნობიერებს ამას – აი, ახლა მე ვსვამ ჩაის. ამ დროს გონება მოცემულ მომენტშია და მას შეუძლია აღიქვას ჩაის ნამდვილი გემო. ესაა სწორედ სიცოცხლის გემო, რითაც ჩვენ სიცოცხლეს ვუსინვავთ გემოს, ეს სიცოცხლის მომენტია. მხოლოდ ამ ჭეშმარიტების მომენტში, ცხოვრების მომენტში შეგვიძლია შევიგრძნოთ ჩაის ნამდვილი გემო. ასეთ მომენტებში ჩვენს გონებას სპონტანურად, მომენტალურად შეუძლია გახდეს ბედნიერი. ხოლო, როცა ვსვამთ ჩაის და ჩვენი გონება დაკავებულია რამეთი ან ნარსულიდან ან თუნდაც მომავლიდან, გვიჭირავს ჭიქა ჩაი, ესვამთ, მაგრამ ჩაი ქრება. ვინმემ შეიძლება გვკითხოს, ჩაის გემო?

და შეიძლება ვუპასუხოთ, – კი, – მაგრამ სინამდვილეში ჩვენ ის არც კი გაგვისინჯავას, არც კი გაგვირკვევია, კარგია თუ არა.

იმისათვის, რომ ვიყოთ ბედნიერები ახლა და ამ მომენტში, არ არის საჭირო ძალიან, ძალიან შორს ყურება და შორეული გეგმების დაწყობა. ამისათვის საჭიროა, რომ რასაც უნდა ვაკეთებდეთ, ჩვენი გონება მოცემულ მომენტს აცნობიერებდეს.

სად არის რეალობა? ნარსულში? არა, ის უკვე ნარსულია. მომავალში? არა, ის ჯერ არ დამდგარა. რეალობა მხოლოდ მოცემულ მომენტშია. გონებას მხოლოდ მოცემულ მომენტში შეუძლია ყოფნა. სწორედ მოცემული მომენტი არის ჭეშმარიტი რეალობა.

ნე იფიქრებთ ასე: მე ბედნიერი ვიქნები ხვალ, მომავალ კვირას, მომავალ თვეს, მომავალ წელს, ეს ძალიან საქმეა. იცია რა, შეიძლება იმ მომენტისთვის სული განუტევოთ. ისე, ზოგიერთი ბუდისტი ბედნიერებას მომავალ ცხოვრებაშიც კი გეგმავს ხოლმე.

მოცემული მომენტის გონება, ეს უძვირფასესი, გმირი გონებაა. ეს გონება არ არის დამოკიდებული შიშებზე და მოლოდინებზე. რა სიტუაციაშიც უნდა მოვხდეთ, რა კატაკლიზმებიც უნდა შეგვემთხვეს, ამ გონებას დარტყმას ვერაფერი მიაყენებს. თუ ჩვენ მოცემული გონების აღმოჩენას შევძლებთ, რაც უნდა მოხდეს, ყველაფერი ბედნიერების წყაროდ იქცევა.“

– საოპერაციო მაგიდაზე ყოფნაც? – ეკითხება პატრულ რინპოჩეს მისი ერთ-ერთი მოწაფე.

„არ აქვს მნიშვნელობა, თუ მოცემული მომენტის გონებას ვაცნობიერებთ. თუ ვერ ვაცნობიერებთ, მაშინ პერაცია პერაცია ხდება, ძალიან მტკიცნეული რამ. თუ შეგვიძლია იპერაციის გაცნობიერება და მიღება, მაშინ იპერაციაც კი არ არის დიდი ამბავი. როცა არ შეგვიძლია მიღება, მაშინ შემი გვიპყობს. ფიქრობ: ცუდად რომ ჩაარის, რომ მოგვადე? და ოპერაცია ტანჯვის მიზეზი ხდება.“

იპერაცია ისე საერთოდ რთული რამეა, ეს გარემოებაა, სიტუაციაა. რომ მიიღო ის, გააცნობიერო, ასე უნდა იფიქრო – დიახ, მე მივდივარ იპერაციაზე, მაგრამ ეს შეიძლება დიდი გამოცდილება გახდეს. შეიძლება მოვკვდე, მაგრამ მე ვერაფერს შევცვლი. მე ხომ როდესაც მაინც უნდა მოვკვდე და თუ გამოვკეთდი, ძალიან კარგი.

როდესაც ბუდა შაკიმუნიმ პირველად ნახა, როგორია მოხუცებულობა, ავადმყოფობა და სიკვდილი, იკითხა:

– ეს რა, სინამდვილეა, ეს რეალობაა?  
– დიახ, ყველა გადის ამ მდგომარეობას, – უპასუხეს მას.  
– მეფე და მეფის ოჯახიც? – მაშინ ბუდა

– კი, მეუფეო, მაპატიე, მაგრამ ასეა. როდესაც მეფე და მისი ოჯახიც დაბერდებიან, იავადმყოფებენ და გარდაიცვლებიან, – უპასუხეს მას მსახურმა.

– იქნებ შეიძლება ვალაცას ფული გადაუუხდოთ და თავიდან ავიცილოთ სიბერე, ავადმყოფობა და სიკვდილი? – იკითხა პრინცმა.

– არა! ეს გარდაუვალია, მეუფეო, – მიუგო მსახურმა.

იგივეა ოპერაციაც. არის რაღაც სიტუაციები, რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელია, გარდაუვალია და ჩვენ უნდა გავიაროთ ეს პროცესი. და ამ დროს უკეთესია, მიიღო ეს ყველაფერი, მაშინ ტკივილიც კი შეიძლება გაქრეს.

მეც გამოვიარე იპერაცია. ეს რთული ამბავია. მინდოდა ამ პროცესის გამოცდა, გავლა, რაღაც გამოცდილების მიღება. მაგრამ იმდენი აირი მასუნთქეს, რომ უგონოდ დამებინა. იპერაცია საღამოს გამიკეთეს. დილით ძლიერმა ტკივილმა გამაღვიძია, იპერაცია ისევ გრძელდებოდა, ვიფიქრე: ახლა მართლა გამოვცდი რა არის ეს-მეტქი, – და ისევ არი და ისევ ძილი. როცა საბოლოოდ გავიღვიძე, უკვე პალატაში, სანოლში ვიწევი. მოკლედ, ვერ გავიგო, ეს რა იყო.

ჩვენ ძალიან ძლიერად ვართ მიჯაჭვულები საკუთარ სხეულს. პატარა პრობლემა და, მაშინვე ვიწყებთ წუნუნს და მოთქმას. თუ ვიღებთ სიტუაციას, თუ შეგვიძლია მოცემულ მომენტში არსებობა, მაშინ სიკვდილიც კი არაა ისე რთული, სიკვდილიც კი არ არის დიდი გამოწვევა.“

– როგორ უნდა აღმოაჩინო, გაერკვე, შეისწავლო, იპოვნო, რა არის მნიშვნელოვანი – რა შეიძლება გახდეს ჩვენთვის დასაყრდენი ცხოვრებაში და რა – სიკვდილისა?

„ბუდამ 84 ათასი სხვადასხვა სწავლება დატვოვა, რაც ძალიან დიდი ცოდნის მარაგია. ყველა მათგანი გვასწავლის, თუ როგორ ვიცხოვოროთ სწორად და როგორ მოვკვდეთ სწორად.“

როდესაც ჩვენ ბუდაზე ვლაპარაკობთ, ვფიქრობთ: ეს არის რაღაც უმაღლესი, განსაცვიფრებელი, განსაკუთრებული არსება. ბუდა ეს არის არსება, რომელიც ჩაწვდო საკუთარი გონების ბუნებას და მოახდინა საკუთარი გონების ჭეშმარიტიც ბუნების რეალიზება. აბსოლუტური ჭეშმარიტების თვალთახედვით, არ არის რაიმე განსხვავება ბუდასა და სხვა არსებებს შორის. ჩვენც ისევე გვაქვს ეს აბსოლუტური ბუნება და, ამ თვალსაზრისით, ჩვენ თავად ვართ ბუდები.“

„შეხედე ამ ბებერ ძროხას. ის კმაყოფილია იმით, რომ ბოსელში ძინავს. შენ გჭირდება

ჭამა, სმა და მოსაქმება, ამას თავიდან ვერ აიცილებ, დანარჩენი შენი საქმე არ არის.“

### პატრულ რინპოჩე

პატრულ რინპოჩე ძოგჩენის სკოლის მასნავლებელია. „მე ვეკუთვნი, მე ვარ ძოგჩენის მონასტრის ბერი,“ – მეუბნება ის. პირველი პატრულ რინპოჩეს ნაშრომი „ჩემთა სრულყოფილი მასნავლებლის სიტყვები“ დღეს ძოგჩენის ყველა მიმდევარის სამაგიდი წიგნია. პატრულის ამ და სხვა ნანარმოებებზე ძოგჩენის სხვადასხვა მასნავლებლები ლექციებს კითხულობენ. ძოგჩენი ეს არის სწავლება ცნობიერების თავდაპირველი მდგომარეობის შესახებ, რომელიც ყველა ფენომენის, ცოცხალი არსებისა და საგნის ჭეშმარიტი ბუნებაა. ამ მდგომარეობაში შესვლა ნიშნავს, აღიქვა საკუთარი თავი ისეთად, როგორც ხარ სინამდვილები, თავი დააღწიო მცდარი აღმის ტყვეობას. ამ თავდაპირველი ჭეშმარიტი მდგომარეობის ჩანვდომა ნიშნავს ძოგჩენის სწავლების ჩანვდომასაც. ძოგჩენი უდიდეს სრულყოფილებას ნიშნავს. ის ბუდიზმის უმაღლესი სწავლებაა.

ნოშუნ ლუნგტოკი, რომელიც შემდგომ ძოგჩენის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ოსტატი გახდა, თვრამეტი წელინადი თავის მასნავლებელს პატრულ რინპოჩეს თითქმის არც ერთი წუთით არ მოშორებია. ნოშუნ ლუნგტოკი ძალიან ბეჯითად სწავლობდა და ვარჯიშობდა. თუმცა ჯერ არ ჰქონდა შეცნობილი პირველი ცნობიერება.

ერთ მშვენიერ საღამოს პატრულ რინპოჩე და ნოშუნ ლუნგტოკი ძოგჩენის მონასტრის ზევით, მაღალ მთებში კელიის წინ ისევებდნენ. ძალიან ლამაზი ლამე იყო. სიჩუმეს მონასტრის ეზოში დაბმული ძალიის ყეფა არღვევდა. პატრულ რინპოჩე მინაზე გართმებული ინგა და ძოგჩენის სპეციალურ პრაქტიკას ასრულებდა. მან დაუძახა ნოშუნ ლუნგტოკს და ჰკითხა:

– შენ ამბობდი, რომ არ იცი, რა არის გონების ჭეშმარიტი ბუნება?

ნოშუნ ლუნგტოკი მიხვდა, რომ ეს განსაკუთრებული მომენტი იყო და სინაულით თავი დაუკინა.

– ამაში განსაკუთრებული ბუნებების ჩვეულებრივი არსებობა არ მომენტის მიზანით და თავის მონაცემის საფუძველით არსებობა. ნოშუნ ლუნგტოკი მინაზე გართმებული ინგა და ძოგჩენის სპეციალურ პრაქტიკას ასრულებდა.

– ზევით, ცაში ხედავ ვარსკვლავებს?

– კი.

– გესმის, ძალი ყეფს ძოგჩენის მონასტრში?

– კი.

– გესმის, რასაც გელაპარაკები?

– კი.

– პირი, ძოგჩენის ბუნებაც ასეთია, უბრალოდ ასეთი.



## ჯაჭუშის ცეოვანება

<< დასახული გვ. 86

ეს არაფერს ნიშნავს. ეს დემოკრატიული ფორმა არ არის, მაგრამ დემოკრატიაა, რადგან დემოკრატიის მთავარი არსი „რესპუბლიკური აზროვნებაა“. ჩვენ ეს არ გაგვაჩნია. პარტიები თავისი უფლებებისთვის ზრუნავენ, რაც დემოკრატიის პირველი ნაბიჯი სულაც არ გახლავთ, თუ სიტყვა „ნაბიჯს“ არა ქრონოლოგიური, არამედ საწყისის, პირველადის მნიშვნელობით გამოვიყენებთ. პარტიებს შორის პარლამენტში ბრძოლა, მეათე ნაბიჯი შეიძლება იყოს. ეს ყოველივე უსარგებლოა, თუ უკან არ დაბრუნდებით, საწყის წერტილში და არ შევქმნით res publica-ს.

ჩვენ გვჭირდება რესპუბლიკა, რათა შემთხვევითობაზე არ ვიყოთ დამოკიდებული, განსაკუთრებით კი – რუსების გადაწყვეტილებებზე. ჯერჯერობით მათგან თავისუფლები არ ვართ. ანტირუსულ განწყობილებას პოლიტიკური ხასიათი აქვს, რადგან რუსებსა და ქართველებს შორის სიძულვილი არ არის, არანაირი შეტაკება ეროვნულ ნიადაგზე. ყველა არაკეთილმოსურნე სიტყვა მათ მიმართ ნათქვამი, ნებისმიერი ბრძოლა, მხოლოდ პოლიტიკურია. ნაციონალური ნიუანსები აქ არ არსებობს. მათი წარმოჩნა შესაძლოა აფხაზებთან ან ოსებთან მოხდეს, ისიც – უვიცობის ან ისტორიული სიბრძმავის გამო.

შეიძლება პრორუსული განწყობილების ბრალდება ნამიყენონ, რადგან რუსულად

უაქცენტოდ ვლაპარაკობ და ეს უკვე ცუდის ნიშანია. მე დიდხანს ვცხოვრობდი რუსეთში და ბევრს ვწერ როგორც რუსულად, ისე ქართულად, მაგრამ ჩემში ანტირუსული საწყისი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ჩვენს ანტირუს პოლიტიკოსებში, რადგან ისინი გარეშე მტრის ფაქტორებზე მეტისმეტად არიან კონცენტრირებულნი. ეს პოლიტიკური მიმართება და უკრც კი ამჩჩევენ, რომ რუსების გადაწყვეტილებებზე დამოკიდებულება მათგან მომდინარეობს. ამას სამუდა-მოდ უნდა მოელოს ბოლო.

არცთუ ცოტა ცოდვა შემოგვრჩა საქართველოს ისტორიიდანაც, რომლებიც ჩვენს თავზე უნდა ავიღოთ. ესეც გვეყოფა, რუსეთის ისტორიის მანეირებები კი ჩვენი პასუხისმგებლობის სფერო არ არის. მთავარია, მათ გადაწყვეტილებაზე არ ვიყოთ დამოკიდებულები. მათ უფლება აქვთ, საკუთარი ბედი ისე გადაწყვიტონ, როგორც სურთ, ისევ – უარყოფითად და მარცხი განიცადონ ამ გზაზე.

ჩვენი საკუთარი გზა უნდა ვიპოვოთ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება რუსულ დემოკრატიულ და პროგრესულ ძალებთან კონტაქტის დამყარება. აუცილებელი წინაპირობა გზების ფიზიკური და შინაარსობრივი გაყოფა. გვეყოფა ერთად ტანჯვა და ნეხვში ერთად ცხოვრება.

**ან შევალიე:** პირადად თქვენ პოლიტიკური ცხოვრების მიღმა დარჩით?

**გ. მამარდაშვილი:** არა, არც მთლად ასეა. თუმცა საკმაოდ სასაცილო როლი მაქტე – თეატრალურ პერსონაჟს ვგავარ, ისეთს, სცენაზე რომ ერთი წუთით გამოჩნდებიან და მერე ისევ გარბიან, შემდეგ ისევ უმიზებოდ ვხედავთ მას და ისევ ქრება. ჩვეულებრივ, ეს დიდ სიცილსა და მხიარულებას იწვევს დარბაზში.

ტემპერამენტით და გონიერით აქტივისტი არ ვარ. საზოგადოებრივი ორგანიზმის თავკაციობით სიამოვნებას ვერ ვიღებ. აქტივისტი ის ადამიანია, რომელიც მუდამ სხვათა საქმეებით არის დაკავებული. ეს ჩემს ხასიათში არ ზის. თუ რამე ამის მსგავსი გამაჩნდა, საბჭოთა წყობილებამ ჯერ კიდევ ბავშვობაში ჩაკლა. კომკავშირული ორგანიზაციის და

ნებისმიერი აქტივობის მიმართ სიძულვილი მთელი ცხოვრება თან მდევდა. სინამდვილეში ეს საქმიანობა მრავალ ამოცანას მოიცავს, ადამიანების დახმარებას გულისხმობს. ეს მესმისი, მაგრამ ჩემი თავი აქტივისტის როლში ვერ წარმომიდგენია. ფილოსოფოსს მარტობა და სიწყნარე სჭირდება. თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩავებმები, აზროვნებისთვის აუცილებელ სიჩუმეს და მარტობას უნდა შეველიო.

ამავე დროს, რასაც მე ვაკეთებ, ეს პოლიტიკაა, რადგან ვამბობ იმას, რასაც ვხედავ, გამოვხატავ ჩემს აზრებს – ჩემი საუბარი ხომ პოლიტიკური აქცენტებისგან შედგება. ვიღაც ჩემი პოლიტიკური ოპონენტი ხდება, ვიღაც პოლიტიკური მეგობარი. ამ თვალსაზრისით, მეც ჩართული ვარ პოლიტიკურ მოღვაწეობაში. არ ვესწრები ეროვნული ფრონტის კრებებს და კომუნისტური პარტიის ნევრი ვარ.

**ან შევალიე:** ისევ კომუნისტური პარტიის ნევრი ხართ?

**ბ. მამარდაშვილი:** ჩემი პარტიაში ყოფნა პოლიტიკური აქტი არ არის და ვერც ჩემს პარტბილეთს მივანიჭებ პოლიტიკურ ფუნქციას. არ ვთვლი საჭიროდ, ეს ავუსსნა იმ ადამიანებს, ვინც პარტბილეთები გადაყარა. არ მაღლევებს, რას ფიქრობენ ჩემზე. არ-სებობს გარე და შიდა პარტიულობა. ენაც ორია – შიდა პარტიისთვის და გარე პარტიისთვის. თუ შენ შიდა პარტიას არ ეკუთვნი, პოლიტიკური აზრით, შენ სულაც არ ხარ პარტიის ნევრი.

ახლა პარტიიდან გამოსვლა ნიშნავს, პოლიტიკური მნიშვნელობა მივანიჭო იმას, რაც არასდროს ყოფილა. პარტიულობა რაღაც სოციალური დაზღვევის მსგავსი იყო მაშინ. ამიტომ შევედი. ჩემი იქ შესვლა თავისებური სამუშაო მაგიდის მომზადება იყო, რადგან ფილოსოფიურ ჟურნალებთან თანამშრომლობას ვაპირებდი. ფილოსოფოსის საქმიანობა ამის გარეშე წარმოუდგენელი იყო, თანამშრომლობა კი – პარტბილეთის გარეშე. სულაც არ ვჩივი, ეს ჩემთვის ტრაგედია არ ყოფილა და არც პარტიის აცრემლებულ მსხვერპლად მომაქვს თავი.

მე ქართველი ვარ, ფილოსოფოსი. სიყმანვილიდან შინაგან ემიგრაციაში ვიმყოფები. კარგად ვიცი, რას ნიშნავს იყო ჯაშუში. წარმატებული ჯაშუშური საქმიანობისთვის, და არცთუ იშვიათად ეს შემოქმედებისთვის აუცილებელი პირობაა, ძალიან ჰგავდე გარშემო მყოფებს. ფლობერი ამბობდა, რომ პირად ცხოვრებაში ის მეშჩანია (ფილისტერი), რაც მას აბსოლუტურ თავისუფლებას აძლევს ლიტერატურულ მოღვაწეობაში. დამოუ-

კიდებელი, თავისუფალი ადამიანის მანტიის ტარებას მეტისმეტად ბევრი ენერგია მიაქვს. შეიძლება ჰიპო გახდეთ, მაგრამ ამის უკან პრიმიტიული აზროვნება იმაღლება. რამდენი დრო უნდა დახარჯო სარკის წინ, რომ ასეთი განენილი გამოიყერებოდე. დარჩე შეუმჩნეველი და არ დაკარგო თავისუფლება: ეს იმდენად რთული ამოცანაა, მთელი სასიცოცხლო ძალები სჭირდება და თეატრალური ჟესტებისთვის ენერგია არ რჩება. მე პირადად თეატრალურობისკენ მიდრეკილი არ ვარ.

**ან შევალიე:** მინდა, კიდევ ერთ საკითხზე გკითხოთ აზრი – როგორ ახსნით რუსეთსა და საქართველოს გულგრილ დამოკიდებულებას გერმანიაში მიმდინარე მოვლენების მიმართ?

**ბ. მამარდაშვილი:** მართალი ბრძანდებით. ეს პოლიტლემა რომ გაინტერესებდეს, ევროპაში უნდა ცხოვრობდე, არა – გეოგრაფიულად, არამედ ევროპული ცხოვრების წესით. ევროპაში ეს აღელვებთ იმიტომ, რომ მიღებული გადაწყვეტილება საერთოეროპულ მომავალზე აისახება. ეს ჩვენთვის მარსიანული ისტორიაა. ენა კი საერთო გვაქვს, მაგრამ სხვადასხვა პლანეტაზე ვცხოვრობთ.

**ან შევალიე:** და მაინც, გაისმის ფრაზა: ევროპის ნაწილი ვართო.

**ბ. მამარდაშვილი:** ეს ჩვენი შინაგანი ცხოვრების ძალიან სერიოზული ფერიმენია, რადგან ჩვენ თავად არ გვაქვს სინამდვილის საერთო საზომი. თქვენი ენით ვსარგებლობთ, მაგრამ ჩვენი სინამდვილე არ შეესატყვისება თქვენსას. პირველი სიმპტომები ჯერ კიდევ პეტრე დიდის დროს გაჩინდა, რამაც რუსეთის ისტორიული თუ პოლიტიკური გზის არჩევაში გადამწყვეტი როლი შეისრულა. ასეთია ცნობიერების დეფორმირებული სტრუქტურის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ელემენტი.

საერთოდ, თავი და სხეული ერთი ბუნების არიან და ინფორმაცია, რომელიც სხეულიდან თავს გადაეცემა, ერთგვაროვანია. მოდით, მეტაფორულად ასე ჩამოგაყალიბოთ: თავი (სადაც ხდება იმის გაცნობიერება, რაც სხეულს ემართება) და სხეული თავიანთი ბუნებით განსხვავდებიან – ასეთი მდგომარეობაა საბჭოთა კავშირის სალების და რუსეთის შემთხვევაში.

რუსი ინტელიგენციის ტრაგედია ისაა, რომ ენას, რისი საშუალებითაც მოვლენების გააზრება ხდება, არაფერი აქვს საერთო ამ მოვლენების არსთან და ეს მათთვის გაუგებარია. ჩვენთვის სულერთია, რა ხდება გერ-

მანიაში. თქვენ ეს პარადოქსალურად გერვენებათ, რადგან თვლით, რომ თუ ერთ ენაზე ვსაუბრობთ, ესე იგი, ერთი სინამდვილე გვაქვს, ანუ ენის საერთო ეკვივალენტი გაგვაჩნია. ცდებით – სინამდვილის ნანილი უნდა იყო, რომ ეს სინამდვილე გაღელვებდეს.

ახლასან აკრძალული სიტყვები „დემოკრატია“ და „კერძო საკუთრება“ გაათავისუფლეს ისე, როგორც ახალ აღთქმაში დემონების განდევნა მოხდა. ახლა ამ სიტყვების წარმოთქმა შეიძლება, მაგრამ გამოხატავენ კი ისინი კონკრეტულ რეალობას? არა, მათ სულში ფესვი არ აქვთ გადგმული. ასეთია საბჭოთა ადამიანების სამოქალაქო ცნობიერება.

**ან შევალიე:** დავუბრუნდეთ პოლიტიკურ სიტუაციას საქართველოში, სადაც გამსახურდია მთავარ როლს ასრულებს. როგორ შეაფასებდით მის მოღვაწეობას?

**ბ. მამარდაშვილი:** გამსახურდიას მოღვაწეობა, ფაქტობრივად, დემოკრატიული გარდაქმნების დესტრუქტურიზაციაში გამოიხატება. სიტუაციის დესტაბილიზაციის გზით, გამსახურდია ცდილობს, ხალხის დაუოკებელი მღელვარება, ადამიანური ვნებები გამოიყინოს, ის, რაც ჰერში ტრიალებს. მაგრამ ის პოლიტიკოსი არ არის, მხოლოდ თავისუფლებას მოყოლილი ემოციებით იკვებება.

თუ სიტუაციას გავანალიზებთ, დავინახავთ, რომ ანმყო ახალგაზრდებს ეკუთვნის. ეროვნულ მოძრაობაში ცოტა მონიფული ადამიანი, და ისინიც დიდად აქტიურები არ არიან. მხოლოდ ოცდაათ წლამდე ახალგაზრდები უფროსები უკვე მიეჩინების წინაგანი მოღვაწეობით. კინებამტოგრაფია ამის მაგალითია. მათვის ცნობილია იატაკებელი შემთხვევას იატაკებელი შემთხვევაში განვითარდება არა მაგალითია მათთვის ცნობიერებით. კინებამტოგრაფია ამის მაგალითია. მათთვის ცნობილია იატაკებელი შემთხვევაში კანონები, იციან, როგორ მიიყვანონ საქმე ბოლომდე. ისინი ამ ბრძოლაში გაიზარდნენ და ჩამოყალიბდნენ.

იფიქრებდა ადამიანი პოლიტიკურ ბრძოლაზე, მაგრამ სივრცე გაივსო ვნებებით, ემოციებით, ამბიციებით. მონიფულობა ნაკლად იქცა, რადგან უფროსები მობეზრდათ. ჩემი ფილოსოფიის ერთგული ვრჩები და გავურბივარ პოლიტიკაზე საუბარს ახალგაზრდებთან; უნებურად უფროსი თაობის კაცი ვხდები, ვინც მათ დაუსრულებლად რჩევა-დარიგებებს აძლევს. მათი მესმის – უფროსი თაობა მათთვის სიცოცხლესთან არ ასოცირდება. არ მინდა ვიყო იქ, სადაც ჩემი ნახვა არ სურთ. სურვილის არქონა ჯაშუშის ცხოვრების ერთ-ერთი უდიადესი კანონია, რაზეც უკვე ვისაუბრე და რომელიც მე მეკუთვნის.



## ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები

<<< დასახული გვ. 96

ამგვარად სახეცვლილი და განაციონალისტურებული მართლმადიდებლობა ჯერ „პერესტროიკის“ ხანის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, შემდგომ კი უკვე დამოუკიდებელი საქართველოს ძირითადი პოლიტიკური მოძღვრების სახეს იღებს, რომელიც ერთი, ასევე, სრულიად ბუნდოვანი და შელოცვის მსავასი ფორმულირებით – „საქართველო გაბრწყინდება!“ გვირგვინდება.

„საქართველო გაბრწყინდება!“ – ქართული სახელმწიფო ბრიონის ფაქტობრივად ერთადერთი პოლიტიკური „დოქტრინა“, რომელიც პოლიტიკური მართლმადიდებლობისა და ქართული ნაციონალიზმის ჰიბრიდმა ნარმოშვა და უკანასენელი ოცი წლის განმავლობაში ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში დომინირებს. რადგანაც ამ ხნის მანძილზე საქართველოში მოქმედ არც ერთ პოლიტიკურ ძალას რეალობასთან მიახლოებული ქართული სახელმწიფო ბრიონის არანაირი კონცეფცია არ შეუქმნია, ეს ფორმულა ერთადერთი პოლიტიკური რეალობის განსახიერებად იქცა. სწორედ მისი მადლით საქართველო ურჩეულებით, გველეშებით და მათთან მებრძოლი გმირებითა და წმინდა-

ნებით დასახლებულ ერთგვარ ვირტუალურ სამყაროში იმყოფება და მხოლოდ სრულიად გაზღაპრებული წარსულის რეპროდუქციას ცდილობს. აქედან გამომდინარე, ასევე ლოგიკურია, ერთი მხრივ, პრეზიდენტების ეკლესიაში ფიცის დადგების კურიოზული რიტუალი (პრეზიდენტობა, როგორც სეკულარული ინსტიტუცია, თავის არში გამორიცხავს საკრალურ ლეგიტიმაციას) და მონარქიის აღდგენის, როგორც ქვეყნის გამთლიანების ერთადერთი გზის იღები, რადგანაც საქართველო თავისი პოლიტიკური ცნობიერებით არა 21-ე საუკუნეში, არა-მედ საკუთარი ფანტაზიებით გამოგონილ შუა საუკუნეებში იმყოფება. მეორე მხრივ კი, 2002 წელს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული საკონსტიტუციო შეთანხმება (კონკორდატი), რომელიც ამ ეკლესიას განსაკუთრებულ პრივილეგიებს ანიჭებს და, ფაქტობრივად, გზას უსსის ერთგვარით თეოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას, სადაც როგორც პოლიტიკური, ასევე, ყოფითი სფეროებიც საეკლესიო კონტროლს უნდა დაექვემდებაროს. აქედან გამომდინარე კი, მომავალი საქართველოს პროექტი აიათოლა ჰიმეინის დროინდელ ირანს უფრო წააგავს, ვიდრე ლაიცისტურ პრინციპზე და-

ფუძნებულ, ლიბერალური ღირებულებების თანამედროვე ევროპული ტიპის სახელმწიფოს. ამდენად, „საქართველოს გაბრწყინება“ თავისი არსით იმის გამოხატულებაა, რასაც ევროპელი განმანათლებლები ობსკურანტიზმს უწოდებდნენ: როდესაც გონებას, რაციონალურ აზროვნებას სრულიად ბუნდოვანი და არაფრის მთქმელი მითოსური ფორმულები უპირისპირდება და მის ჩახშობას ცდილობს. ასეთი განვითარება კი საქართველოში რელიგიური ფუნდამენტალიზმისა და ექსტრემიზმის ნიადაგს ქმნის, რომლის პირველი ნიშნებიც უკვე სახეზეა და ქვეყნისა და საზოგადოების მომავალს სერიოზული საფრთხოთაც კი ემუქრება.

### მართლმადიდებლური ფულაბარისალიზმის სიმატოლები და გეგასასტაზები

როდესაც მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ აქტივისტებმა და სამღვდელო პირებმა თბილისში ჰელოუინის მოზემე ახალგაზრდები დაარბის: – ეს ფაქტი ფუნდამენტალიზმის სიმპტომია: რელიგიურ ფანატიკოსთა ჯგუფი ძალადობს და ფიზიკურად უსწორდება ადამიანებს, რომლებიც უცნაურად გამოიყურებიან, მათგან განსხვავებულად გამოხატავენ მხიარულებას, და, საერთოდაც, არცხოვრობენ იმ წესების მიხედვით, რაც მათ ერთადერთ ჭეშმარიტებად მიაჩნიათ, ანუ არასწორი აზრი აქვთ. ეს კი ამ მართლმადიდებლებისათვის, როგორც „სწორი აზრის მქონეთათვის“, არათუ მიუღებელია, არამედ „სატანისტურია“ და ლიკვიდაციას ექვემდებარება, რაც უკვე ფუნდამენტალიზმის მეტასტაზებზე მიუთითებს. ფუნდამენტალიზმის მეტასტაზები ადამიანის ფსიქიკურ და მენტალურ უკანსვლას, ანუ დეგენერაციას იწვევს, რის გამოც, ადამიანს კანავალურ ფორმაში გამოწყობილი მეორე ადამიანი შეიძლება სატანად ან აგსულად მოეჩვენოს, რადგანაც მისი გონება უძლებულია სიმბოლო რეალობისგან განასხვაოს და საგნებს იმ სქემის მიხედვით ალიქვამს, რომელიც მასშია ჩაპროგრამებული. ამდენად, ფუნდამენტალისტი გულწრფელია, როდესაც იგი საკარავალო კოსტუმში გამოწყობილ ახალგაზრდაში სატანას ებრძვის, ისევე, როგორც გულწრფელი იყო არაერთი ფანატიკოსი კომუნისტი, რომელიც 1937 წელს „ხალხის მტრებს“ ავლენდა და ხვრეტდა. ასეთ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ამას სტალინის სახელით გააკეთებ, თუ მართლმადიდებლობის.

ფანატიკოსები ყველგან არსებობენ, მათ შორის – დასახლეთის ყველაზე ლიბერალურ ქვეყნებშიც, მაგრამ ისინი რეალურ

საფრთხეს არ წარმოადგენენ, ვიდრე საზოგადოებას კანონმდებლობით, მედითა და საზოგადოებრივი აზრის შემქმნელი ინსტიტუტების მეშვეობით მათგან თავის დაცვა და მათი განეიტრალება შეუძლია. მაგრამ როდესაც ფუნდამენტალიზმის მეტასტაზები ფართო მასებში იწყებს გავრცელებას, მაშინ საზოგადოებასაც და სახელმწიფოსაც მათგან თავდაცვის იმუნიტეტი უქვეითდება და უძლური ხდება, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს ექსტრემიზმს, აღასრულოს საკუთარივე კანონმდებლობა და დაიცვას მოქალაქეთა უსაფრთხოება. მედია არათუ არ აშუქებს, არ აჩვენებს მომხდარს, არა-მედ ერთადერთი გაზეთი „ალია“ ტრიბუნას უთმობს ფუნდამენტალისტებს და მათივე სიტყვებით აფასებს ამ ფაქტს, რაც იგივე იქნებოდა, რომ, ვთქვათ, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შეფასებისათვის ალ-ქადას ტერორისტები მოეწვიათ. ასეთი დუმილისა და უძლურების მიზეზი არა მხოლოდ ისაა, რომ მედიას ან ხელისუფლებას უბრალოდ ეშინიათ ფუნდამენტალისტების, არამედ უფრო მეტად ის, რომ მათშიც შეაღწია ფუნდამენტალიზმის მეტასტაზებმა, დაავადა, დაასუსტა ისინი, დაუკარგა ეთი-კური პრინციპები და დაუქვეითა გონებრივი უნარები. სწორედ ამიტომ, შესაძლებელი ხდება ეკლესის ჩარევა მედიას საქმიანობაში, თვით ყველაზე „პროფანულ“ „რიალითი

შოუებშიც“ კი – ეს მან უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელი და როგორი ლიტერატურული თხზულების დაწერის უფლება აქვს მწერალს, როგორი სპექტაკლის დადგმის ამა თუ იმ თეატრს; საერთოდ, შეიძლება თუ არა წმინდაზე ეკლესისგან განსხვავებული აზრის ქონა (თუ გავითვალისწინებთ, რომ არაერთი წმინდანად შერაცხული პიროვნება „ქართველი ერის წინაშე დამსახურებისთვისაა“ ამ რანგში აღზევებული, მათზე არაკანონიკურ ტონში საუბრის აკრძალვა ძალიან წააგავს თანამედროვე რუსული ინტერვენციების ლოგიკას, როდესაც, მაგალითად, აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას ჯერ რუსული პასპორტები ურიგდებათ, შემდეგ კი საკუთარი მოქალაქეების დასაცავად რუსეთის ჯარები შემოდიან). კიდევ უფრო სახიფათოა ფუნდამენტალიზმის მეტასტაზების სკოლები შელწევა და მოსწავლებში ობსეკურანტული აზრებისა და ყოფის ნორმების გავრცელება, რაც არათუ მხოლოდ მოგვარებებს საბჭოთა სკოლის სტერეოტიპებს, არამედ მათზე ბევრად უფრო ანაქრონულია და თავად განმანათლებლობის პრინციპების წინააღმდეგაა მიმართული.

ფუნდამენტალიზმის მეტასტაზები იმდენადა მოდებული მთელ საზოგადოებაში, რომ ადამიანთა საკამიდ დიდი წარმილი ქრისტიანულად რელიგიურ რიტუალში იმყოფება: ეკლესის დანახვაზე იწერს პირჯვარს,

აკურთხებს ბინას, ავტოს, ყოფით ნივთებს, „მოძღვრის“ ლოცვა-კურთხევით მიდის შევბულებაში, ექიმთან, იღებს გადაწყვეტილებებს; თუ საჭიროა, იძალადებს კიდეც, რადგანაც ეს ძალადობა „სწორი აზრის ქონას“ ემსახურება და მოძალადეს თავი შეიძლება აპოკალიფტურ მხედრადაც წარმოუდგენია, რომელიც განკითხვის ჟამის მოახლოებას იუწყება, მით უმეტეს, რომ მას ისიც ასწავლეს, რომ განკითხვა ქართულ ენაზე ჩატარდება.

სახელმწიფო კი, რომელიც ასევე დასნეულებულია ამავე მეტასტაზებით, უძლურია დაიცვას და განახორციელოს საკუთარი კონსტიტუცია, რომელიც რელიგიურ შუღლს, ადამიანის რაიმე ნიშნით დისკრიმინაციას და ექსტრემიზმს კრძალავს და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ამ აკრძალვებს სისტემატურად არღვევს. სახელმწიფო ვერ ახერხებს მას საკუთარივე კანონმდებლობა დაუპირისპიროს, რადგანაც მას სახელად „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ ჰქვია.

ეკლესის ასეთი ზესახელმწიფოებრივი უფლებები კი თავად სახელმწიფოს შინაგან რღვევას იწვევს, რომელიც საკუთარ იურისპრუდენციას ვეღარ ფლობს და მთელ ქვეყანას თვითიზოლაციისაკენ მიაქანებს, სადაც თანდათანობით უკვე ყველაფერს ჩაკეტილი საზოგადოების დარაჯები განაგებნ.

## „360გაბით სავსეს, ვიზონებ ნარსულს“...



<<< დასაწყისი გვ. 100

ასკეტური „კარისკაცი“ და ზღვარგადასული ფანტაზიით დატვირთული „სიბრძნე სიცრუისა“, მჩქეფარე „მერი პოპინსი“ და თავშეკავებულად ნაზი „პატარა პრინცი“, თელავის თეატრში განხორციელებული ბოლო დადგმები... ყველა ეს სპექტაკლი, და კიდევ ბევრი სხვა, თენგიზ მაღალშვილთან ერთად დადგმული, ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია. და როგორი აუცილებელია, გამოჩნდეს თეატრმცოდნე, რომელიც შეისწავლის ნანას (და თენგიზის) შემოქმედებას, მის თავისებურებას და ადგილს ქართულ კულტურაში.

ვფიქრობ ნანაზე, ჩემს უახლოეს, უახლოეს ხვდნენ ამერიკის პრეზიდენტები, ბოლო მეგობარზე, რომელთანაც ერთად ვარსებობ- ხუთი პრეზიდენტი: მამა და შვილი ბუშები, დით ყოველდღიურად. ერთად ვმუშაობდით, კლინტონი, კარტერი და ობამა; ყველა – სცენარებზე, ფილმებზე. ერთად ვატარე- მალალი (კარტერის გამოკლებით), თხელი, ბდით ზაფხულს, თელავში – ზაირასთან, ლალი და მომლიმარი. მომზილავი გამო- ზღვაზე – ბიჭვინთაში; რომელთანაც ყვე- სახულება და თავის არსში სრულიად გან- ლაფერ მაერთიანებდა – დამოკიდებულება საკუთრებული მოვლენა. გარკვეულ დროს დიდი თუ პატარა საზოგადოებრივი და პო- მსოფლიოს ხუთი უძლიერესი პიროვნება, ლიტიკური მოვლენების მიმართ; რომელიც სხვადასხვა მრნამსისა და იდეოლოგიის მა- მაკლია ყოველ დღე, ყოველ წუთს; რომლის ტარებელი, რესპუბლიკელები და დემოკრა- გარებები არსებობაც ვერ წარმომედგინა.

და მაინც, ვარსებობ.

ეთერ თათარაიძეს და ამირან არაბულს ემსახურებიან! ბარაკ ობამა აცხადებს, ჩვენი მომავალი, საერთო სამუშაოს გამო რომ ის აფასებს ყველა მათგანის ლვანლს შევხვდი. ჩემი წინადადებაა – წარვადგინოთ და ყველას დაეკითხება აზრს მსოფლიოს იუნესკოში, მსოფლიოს არამატერიალუ- უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე. აი, ეს რი კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში არის დიდი პოლიტიკის ნამდვილი უწყვე- შესატანად ფშავ-ხევსურული და თუშური ტობა, ასეთი მნიშვნელოვანი და აუცილე- ფოლებორი. ეთერი და ამირანი კი ამ დარ- ბელი ყველა სახელმწიფოსთვის. დადგება გის სპეციალისტები არიან და მათ მაშინვე ოდესმე ასეთი დრო ჩვენი ქვეყნისთვისაც? დიდი ენთუზიაზმით გაიზიარეს ეს იდეა. მაინ კი შეგვეძლება თქმა, რომ ნამდვილ ვფიქრობ, რომ ამ როულ დოსიეს კარგი დემოკრატიაში ვცხოვრობთ.

პატრონი გამოუჩნდა და ჩვენი ხალხური არ ხარ მოხუცი იქამდე, სანამ გამოძრა- პოეზიისთვის გაკვალული იქნება გზა მსო- ვეს ცნობისმოყვარეობა ცხოვრების ყველა ფლიოს მემკვიდრეობისკენ.

ეთერ თათარაიძე, დიდი ხანია, მიყვარს, ალფროთოვანდე. ჩემი ახალი ფორმულაა როგორც თვითმყოფადი და თავისებური – ცნობისმოყვარეობა და ალფროთოვან- ბოეტი, თუში პოეტი, რომელმაც ქართუ- ბის უნარი არის ახალგაზრდობის შენარ- ლი პოეზია განსაკუთრებული ინტონაციით ჩუნების წამალი და სიბერის პრევენცია. გაამდიდრა. მაგრამ ახლა ამ თვალებანთე- ახალგაზრდა ხარ, სანამ გაინტერესებს ბული ქალის და მორიდებულად მომლიმარე და გიხარია! სწორედ ამიტომ არ ბერდება ამირანის სხვა მხარეც დავინახე: ჩემს წინ ლამის 90 წელს მიტანებული სუსანა (ტო- ალმოჩნდა ორი თავდადებული და უანგარო რომელიძე), რომელსაც გარეთ გასვლა კი მშრომელი, ერთად შექიდებული დიდ და უჭირს, მაგრამ სულ ახალი და ახალი აღ- უალრესად საჭირო საქმეს, ქართული კულ- მოჩენებით ცხოვრობს ლიტერატურისა თუ ტურის თავმდაბალი და მოკრძალებული ადამიანური ურთიერთობების სფეროში და მოამგენი. როცა ასეთ ადამიანებს ხვდე- ისეთი ხალისით გპასუხობს ტელეფონში – ბი, გული გინათდება და რწმუნდები, რომ კარგად ვარ, კარგად, – რომ... უბრალოდ ჩვენს კულტურას გადასწენება არ უნერია.

„შენდობით მომიხსენიერ“ – ასეთი სათაუ- რი აქვს მათ მშვენიერ წიგნს, მიძღვნილს ქართული ეპიტაფიებისადმი. ეს წიგნი მათი მი- ათწლიანი თავდაზიგავი შრომის შედეგია. ღებისას ყოველთვის განსაკუთრებული მათ მოიარეს მთელი საქართველო, გადა- მოლოდინის განწყობას ქმნის. ასე იყო ღეს და აღნუსხეს უამრავი საფლავის ქვა ამჯერადაც, როცა შვედეთის აკადემიის მათზე ამოტვიფრული საოცარი გამოსახული ლებით და სამდგრავი ლექტორით მოოჭვილი დარბაზის სცენისკენ ლებით და სამგლოვიარო ლექსით, რომელ- მსუბუქი ნაბიჯით მიემართებოდა მაღალი, თაც „მგოსანი გლოვისანი“ წერდნენ, რო- ახალგაზრდულად მოხდენილი ღე კლეზიო, გორც მათ ხატოვნად უწოდებს მემატიანე. რომელსაც ასე ახასიათებენ: „ის ქერაა, მა- ჩემთვის სასიამოვნოა ისიც, რომ ამ წიგნის გრამ აქვს აბორიგენის ნაკვთები, თითქოს არსებობა ზურაბ უვანისა სახელთანაა დაკა- სიინამდვილეში ფრანგი კი არ არის, არამედ ვშირებული და მის ხსოვნას ეძღვნება.

ბარაკ ობამას ინიციატივით თეთრი სა- ეჭვის შესახებ“, – ამბობდა წინასწარ ღე- სლის ოვალურ კაბინეტში ერთმანეთს შე- ვია არსებობა მუდმივი დაეჭვებისა და არა

პატივის მიგების ატმოსფეროში. „რატომ წერს მწერალი?“ – ასეთი კითხვით იწყე- ბს ნობელის ლაურეატი თავის სიტყვას და ასე პასუხობს: მწერალი არსებობს „პარა- დოქტების ტყეში“, რომელსაც ის არ უნდა გაურბოდეს, არამედ პირიქით, დამკვიდრ- დეს იქ, რათა ამოიცნოს ყველა დეტალი, შეისწავლოს ყველა ბილიკი, სახელი დაარ- ქვას ყველა ხეს. მწერალი მოწმეა, მაგრამ თავის არსში მას უნდა მოქმედება; მოქმე- დება და არა მოწმედ დარჩენა. წერო, იოც- ნებო, წარმოისახო იმისათვის, რომ ეს სი- ტყვები, გამოგონებები, ოცნებები ჩაერიონ რეალობაში, შეცვალონ ადამიანთა გონებე- ბი და გულები, გახსნან უკეთესი სამყაროს კარი. და ამავე დროს სწორედ ამ წუთში რაღაც ხმა ჩასჩურჩულებს, რომ ეს არ მო- ხდება, რომ ამ სიტყვებს გაიტაცებს საზო- გადოების ქარი, რომ ოცნებები ქიმერებად დარჩება. რა უფლება გაქვს იფიქრო, რომ ხარ უკეთესი? არის კი მწერალი ის, ვინც პოულობს გამოსავალს? როგორ შეუძლია მწერალს იმოქმედოს, როდესაც მას მხო- ლოდ გახსნება ხელენიფება?

მარტონბა მაგნიტია მწერლისთვის, მხოლოდ მარტონბაში პოულობს ის ბედ- ნიერების არსს. ეს ბედნიერება წინააღმ- დეგობებით არის სავსე, ტკივილისა და ნე- ტარების ნაზავი, სასაცილო ტრიუმფი, ყრუ და განუქარველი ბოროტება, რომელიც თან გდევს, როგორც მუსიკალური ფრაზა. მწერალს უნდა ილაპარაკოს ყველასთვის, ყველა დროისათვის. და აი, ის ზის თავის ოთახში, ცარიელი ფურცლის ძალიან თეთრ სარკესთან. თავისი კომპიუტერის ძალიან ცოცხალ ეკანთან. ეს არის მისი ტყე. ტყე – სამყარო ორიენტირების გარეშე. შენ იძირები ხებისგან წამოსულ სულისშემუ- თველ სიცხესა და წყვდიადში...

საბოლოოდ მთელ თავის სიტყვას ლე კლეზით უძღვნის ცენტრალური ამერი- კის – ელ ტაპონ დარიენის – ინდიელებს – მსოფლიოში ყველაზე უფრო ხშირი და გაუვალი ტყის მაცხოვრებლებს, სადაც მან დიდხანს იცხოვრა, ისწავლა მათი ენე- ბი და ჩაეფლო მათი მითების სამყაროში. სწორედ ამ ინდიელების ერთ-ერთ წარ- მომადგენელს, მითებისა და ზღაპრების შემქმნელსა და მთხობელს – ელვირას უძღვნის ლე კლეზით თავის საქებარ სი- ტყვას და პრიზს, რომელსაც მას ნობელის აკადემიია ანიჭებს.

ვფიქრობ, ლე კლეზით არ გააცრუა მო- ლოდინი და შვედეთის აკადემიის საზიმოდ გაბრწყინვებულ დარბაზში ძალიან უჩვეუ- ლო და ინდივიდუალობით ალბეჭდილი სი- ტყვა წარმოთქენა.

მწერლის სიტყვა ნობელის პრემიის მი- ათწლიანი თავდაზიგავი შრომის შედეგია. ღებისას ყოველთვის განსაკუთრებული მათ მოიარეს მთელი საქართველო, გადა- მოლოდინის განწყობას ქმნის. ასე იყო ღეს და აღნუსხეს უამრავი საფლავის ქვა ამჯერადაც, როცა შვედეთის აკადემიის მათზე ამოტვიფრული საოცარი გამოსახული ლექტორით მოოჭვილი დარბაზის სცენისკენ ლებით და სამგლოვიარო ლექსით, რომელ- მსუბუქი ნაბიჯით მიემართებოდა მაღალი, თაც „მგოსანი გლოვისანი“ წერდნენ, რო- ახალგაზრდულად მოხდენილი ღე კლეზიო, გორც მათ ხატოვნად უწოდებს მემატიანე. რომელსაც ასე ახასიათებენ: „ის ქერაა, მა- ჩემთვის სასიამოვნოა ისიც, რომ ამ წიგნის გრამ აქვს აბორიგენის ნაკვთები, თითქოს არსებობა ზურაბ უვანისა სახელთანაა დაკა- სიინამდვილეში ფრანგი კი არ არის, არამედ ვშირებული და მის ხსოვნას ეძღვნება.

„ეს არის სიტყვა, სადაც მე ვლაპარაკო ეჭვის შესახებ“, – ამბობდა წინასწარ ღე- სლის ოვალურ კაბინეტში ერთმანეთს შე- ვია არსებობა მუდმივი დაეჭვებისა და არა




## „კოლიტებიური“


უპრეცედენტო პროექტია, რომლის ფარგლებშიც 10 ცნობილი პოლიტიკოსი საკუთარ თავზე აიღებს უურნალისტის ფუნქციას. „პოლიტბიუროს“ წამყვანები სახელისუფლებო და ოპოზიციური ძალების წარმომადგენლები არიან.

გოგა გაგაშვილი, სოზარ სუბარი, ლევან გაჩიჩილაძე, შალვა ნათელაშვილი, გიორგი გოგუაძე, ლაშა ზვანია, ეკა ბესელია, გოგა ხაიდრიავა და კახა კუკავა გადაცემის თემას და სტუ-მარს შეარჩევენ და თავიანთ რესპონდენტებთან ერთად ქვეყნისათვის აქტუალურ პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებს განიხილავენ.

გადაცემა ეთერში გადის ყოველ სამუშაო დღეს 16.00 საათზე.



იმპერიალისტური სამართლის, ჩავს ყველაზე მნიშვნელოვანი



[www.gpc.ge](http://www.gpc.ge)



## დაბეჭით საანალიზო და საშობაო ფუნქცია

- ❖ მოაწყევთ საანალიზო და საშობაო წვერებია თქვენი მქონებისთვის კოუნი 24-ის რესტორანში და ასევე ინიციუტ ხიდანის დარბაზში და ღვინის ბაზე
- ❖ დაბეჭით უბეჭიო ქონები კურიები და ლეპროსი და ინიციუტ უონდალი მესიერების თანხლებით

რესტორანი



სიგარების დარბაზი



ღვინის სარდაფი



აფეთქების ფასადზენად დაგვიკავშირდით.  
იჩქარეთ, აფეთქები შეზღუდულია

კლუბი 24  
კორპენაძის ქ. 9 თბილისი, 0103  
ტელ: +995 32 774 676  
[info@club24.ge](mailto:info@club24.ge)